

# ԽԵԲԾՈՅՑԵԿԱ 3-4·92





საქართველოს  
მთავრობის  
1921 წლიდან

# ზელავენიშვილი

თავისუფალ საქართველოს —  
თავისუფალი ხელოვანება

3•4 1992

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს  
გოვლობის მიზანი

მომავარი რედაქტორი  
ნოდარ გერამიანიძე

თეატრი  
გუსტავ  
მხატვრობა  
კინე  
არაიონის მუზეუმი  
ეროვნული მუზეუმი  
თელევიზია

რედაქციის მინისტრი: ს 80029 თბილისი, უშინაძეს ქ. № 18  
ტელ. 95-10-24, 95-12-24

მხატვრული რედაქტორი პავლე გივიანეგო

საქართველოს კურნალ-გაზეთების  
გამოშენებლობა „ხაშუბლები“  
თბილისი, 1992

# ნოაერაზია:

გამოკიანის პირველ გეორგიუსზე: შირიან უცდლიდე — „აწ ჩვენი უშუალი გამოკიანებამ დაგივირვინა“ (შექსპირის „რინარზ III“); მესამე გეორგიუს — ოთარ შეღვანეულობრივ იოლიდების მფუძნების როლში; მეოთხე გეორგიუს — კონსტანტინოსის თემიტენი (შაბიობების რუსლის მატებრიძე, დაყო პასალში), ჯემალ ლალანიძე, ოთარ ზაუტაშვილი, გურაგ სალარაძე, რამიშვილი (კაპიტანი).

# სვენაზე მურვნის თამაში...

ნათელა არველაძე

კოლეგიის სხდომა ახალი დამთავრებული იყო, ოთარ მელვინეთუხუცესის რომ შევხვდი, იგი საუბრობდა დინქად, გულწრფელად და უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნებით.

ბახა („მოქვეთილი“)



ნათელა არველაძე — ბატონი ოთარ! ყოველი ადამიანი უნიკალურია თავის-თავის. ძნელად მოსაცნობიც და ბოლომდე შეუცნობელიც. თქვენ მაინც რომელი თვისება გხიბლავთ ყველაზე მეტად?

ოთარ მელვინეთუხუცესი — თითო-ეულ ჩეკითაგანს ჩამოყალიბებული გვაქვს. იდეალი. ასე დავსკამდი კითხვას — როგორი მინდა რომ იყოს ქართველი ადამიანი, საერთოდ ადამიანი? უპირველესად, მინდა, რომ დარბაისელი იყოს. მინდა, რომ მასში ძლიერი იყოს მაშაკაცური საწყისი. ყველასა გვაქვს სისუსტე, მაგრამ ძირითადი თვისება მაინც სიძლიერე უნდა იყოს. ხანდაზმულსაც უნდა შემორჩეს ახალგაზრდული ვნება, ძალაც ბიჭური. არ მიყვარს, როდესაც ფრზიჭურ სიჭარ-მაგესთან ერთად სულიც მობერდება, როცა კაცი ფრთხილი ხდება, სულის სიჭაბუე კი ძალა უხდება ადამიანი. ახლა ერთი ფაქტი გმახსენდა. პროფესორ გივი უკინიასთან ერთად ახალი ათონის მღვამეს ვეწვიე. დელეგაციის წევრებთან ერთად ვიყავით. საუბრისას ცოტა ჩამოვრჩით. ჩვენს წინ მიმავალი მოგვიბრუნდა და ქართველებზე არასასიამოვნო რამ წამოსცდა. ჩვენ გავჩერდით ასეთი მოულოდნელობისაგან. უცბად, თვალი მოვკარი ბატონ გივის აღმართულ მარჯვენას, სილა გა-

ଏହା ଓ ଫାମତକ୍ଷେତ୍ରଲ୍ଲା. ମେରୁ ଗାୟଗେତ,  
ରୂପ ଗାନ୍ଧେତ „ପର୍ମାଙ୍ଗଦିସ“ କ୍ରାନ୍କସପନ୍ଦର୍ଭ-  
ରୀ ଯନ୍ତ୍ରିଲୋ. ଗିରି ଉତ୍ତାନାମ ତିରନ୍ତକ୍ଷେତ୍ର  
ଓ ଗର୍ଭକ୍ଷେତ୍ରଲ୍ଲା ଲିଖେଶ୍ଵର ଦାତାପାଦ!  
ଅର, ପ୍ରେମା-ଚୁପ୍ପେଶ୍ଵର ଗର୍ଭାସ୍ଵରା ଅର ମାଜ୍ଜେ  
ମେତ୍ରକ୍ଷେତ୍ରଲ୍ଲାଶି, ମାଘରାମ ଲିଖେଶ୍ଵରି ଶୈ-  
ଳାକ୍ଷ୍ମୀ ଅପ୍ରେତିଲ୍ଲାଦ ଅର ଉନ୍ଦା ଅମ୍ବାରୀ  
ବିନଥୀ. କାହିଁ କ୍ଷେତ୍ରାନ୍ତ ଉନ୍ଦା ଯୁଗେ. ଅମା-  
ଶି କାଲେବି ଗ୍ରେକ୍‌ବର୍ଗବିତ ଅଳା. ଏସେପ  
କାର୍ଣ୍ଣଗଠ. ମାଘରାମ ମାମ୍ବାଙ୍ଗପ୍ରିସାଟାର୍କିଲ୍ସ ଉଦ୍ଧି-  
ଦ୍ୱେସି ମନୀଶ୍ଵରକ୍ଷେତ୍ରବିନାଶ କ୍ଷେତ୍ର, ଗର୍ଭନୀର୍ବା-  
ଦା. ଗନ୍ଧାତଲ୍ଲେଶବା ଦିଲାଦ ପ୍ରେତ ପାତ୍ରିଗ୍ରୀ.  
ଅ ମେରିଯ କ୍ରୀମି ତାନବା ଦେବରୀ ରାମ ଲା-  
କ୍ଷେତ୍ରଲ୍ଲା. ବାମାମ୍ବୁଲନ ନନ୍ଦା ଗାୟପିତିରୀ. ମା-  
ମାକ୍ରୀମି ଅନିନ୍ଦନ ମୁଶ୍କାନବଦ୍ଧା. ଦ୍ୱୟାକ୍ରୀମି  
ନାନ ଏ ଯୁଗ, କାନ ଏଁ. ଉମ୍ଭେତ୍ରେସନବା ମାମା  
ନନ୍ଦି ପ୍ରେତା, ଦ୍ୱୟାବି ଦିଲାଦାନ ଲା-  
ଭେଦମ୍ଭେ ମୁଶ୍କାନବଦ୍ଧନ୍ତି, ଅମିତ୍ରମାତ୍ର ସାନକ୍ଷେତ୍ର-  
କ୍ଷେତ୍ର କ୍ଷୁରାଶି ପ୍ରୟାଗିତ ଗାସୁଲ୍ଲେବି. ଡି-  
କ୍ଷିନ୍ଦା ଓ ଉତ୍ତରମାନ୍ଦେତିଲ୍ ଗାତ୍ରାନା କି ଶୈବ-  
ନିନ୍ଦା, ମାଘରାମ ନ, ଗନ୍ଧାତଲ୍ଲେବିତ କି  
ମେଲ୍ଲିକ୍ଷନ୍ତରେବତ. ଅତି କାଲୀନ ଗାନ୍ଧିପ୍ର-  
ଦିଲାଦ. ଇସ୍, ଉନ୍ଦା ଗିତକାତ, ପ୍ରତ୍ଯା କ୍ରି-  
ମିଲ୍ଲେଖୀନି କାହିଁ ବାର. ଗାନ୍ଧିପ୍ରଦିଲା, ରୂ-  
ତ୍ରେଶାପ ରାମିର ଅ ଗାମନମିଦିଲ୍ ଏବଂ ପ୍ରଦନ  
ମାମ୍ବାଙ୍ଗଲ୍ଲେବା କୋଲମ୍ବେ. ତୁ ବିନମ୍ରେ ରାମ-  
ନନ୍ଦି ନିମ୍ନକାରୀ, ମନ୍ତ୍ରପ୍ରବନ୍ଦା ବୁପାର. ଅମି-  
ତ୍ରମାତ୍ର ମେରୁ ଦା ମେରୁ ଗୋଗର୍ହନ୍ତି, ରୂପ  
ଉନ୍ଦା ଅବ୍ରତେନି ଲେଖେବି. ଫିଙ୍ଗନି ଲୋପ-  
ନାନ୍ଦା ଦିଲ୍ଲେବୁଲା ରାମାନ. ଗୁରୁନନ୍ଦା  
ମେତ୍ରମାରା. ମେରୁ ଅଳାର ଅଶ୍ୱମବଦ୍ଧା କୋଲ-  
ମ୍ବେ କ୍ରୀମି ଗାଲ୍ପିରେବା, ମାଘରାମ ରାମ ନିଶାମି.  
ମାମ୍ବାଙ୍ଗି କ୍ଷେତ୍ର କୋମ ପାର... ଗୁଣିତ  
ମୁଶ୍କା ଲିଖେଶ୍ଵରା ରୂପ ଯୁଗେ ଅଧିନାନି,  
ଗନ୍ଧାତଲ୍ଲେବୁଲା, କ୍ଷେତ୍ରାନ୍ତି, ଦାର୍ଢାନୀଶ୍ଵରା.  
ରା ତଜ୍ମା ଉନ୍ଦା, ପାତ୍ରାନୀନି ଜୀବିନ ଉସିନ-  
ରାମୀନୀ.



### ସାତିଳିଙ୍ଗ („ଫ୍ରେଜରିକ୍ସର୍”)

ლით. მერე განიცდით, ალბათ. მიტე-  
ვებას ადვილად ახერხებთ? საკუთარ  
თავსაც განსჯით ხოლმე?

ო. 8. — მართალია, მთლად დალი-  
გებული ხასიათისა არა ვარ. ჩემი პრი-  
ნციპები მაქვს და მათ ხელყოფას ვერ  
ვეგუები. ჩეკილორებთანაც ამის გამო  
მაქვს დავა, მაგრამ მხოლოდ პრინცი-  
პული სახის კამათი! ჩემთვის პრინცი-  
პულისა, რაღა თქმა უნდა. როცა ჩემ-  
თვის მიუღებელია რამე, იქ მნელია  
მარტო ნებას გავყვე. ჩემთვის მთავა-  
რია ვიზწმუნო, რომ სიმართლეს ვემ-  
სახურებით, კაცი კაცი არ უნდა ატყუ-  
ებდეს, ავფორქდები ხოლმე. ესეც შარ-  
თალია. მერე განვიცდი, რაღა თქმა უნ-  
და, მიტევებაც ვიცი, მაგრამ დრო უნ-  
და გავიდეს, ისე კი. როცა აღმიანისა  
მჯრა, აღვილად ვიცი პატიება.  
წყრილმანზე არ გავგიტდები, მნიშ-  
ვნელოვან პრინციპების გამო კი უკო-  
მპრომისოდ ვიცი გაბრძოლება. ისეა  
ეს. კარგია თუ ცუდი, ვერ გატყვით.  
მე სცენაზეც მყოფის თამაში, ცხოვ-  
რიბაში რომ არ ვითმიშო!

5. a. — მსახიობის პროფესია როგორ აირჩიეთ?

თ. 8. — სკოლაში გმევობრობდი  
ერთ ბიჭთან. კარგად ცეკვავდა, მღე-  
როდა. ამბობდნენ ნიშიერიაო. მომწო-

ნდა მისი ქცევა. მასთან ერთად მივეღი დი პიონერთა სასახლეში. მხატვრული კითხვის კაბინეტს ხელმძღვანელობდა ნოდარ ჩხეიძე. ძალიან დიდ ენერგიას გვაძარჯვადა, ზრუნავდა, ჩვენზე. წამიტაცა იქ მუშაობამ და ჩავაბარეთატრალურ ინსტიტუტში. პედაგოგები ბევრი მყავდა. თითქმის ყოველ წელს გვივლიდნენ. I და II კურსზე სპეციალობას გვიკითხავდა მირა რატნერი, II კურსზე — იყავი დვალიშვილი და დოდო ალექსიძე. სადიპლომო სპექტაკულები კი დადგეს იყავი ხორავაშ და იყავი ვასაძემ. ის, რამდენი მასწავლებელი გამომივიდა. სხვადასხვაფვარი მიღონა ჰქონდათ. ესეც საინტერესოა. სტუდენტობის წლებიდან დიდი სიმპათიები გამიჩნდა ლილი ინსელიანის მიმართ. ქალბატონი ლილი ჩემი უშუალო პედაგოგი ია ყოფილა, მაგრამ ინსტიტუტშივე შევჭრდი რამდენჯერმე. მისმა მუშაობის სტილმა ძალზე დამაინტერესა. მერე მთელი ჩემი ახალგაზრდობა მისი ზედამხედველობით გავატარე. მწამს მისი და ვენდობი, ყველაზე მეტი მაინც მან მომცა.

ნ. ა. — ქალბატონი ლილი უკომპლიმისო ხელოვანია. მსახიობისაგან შავი ბერის თავგანწირვას და თვითშეზღუდვის ითხოვს. ყველაფერი სცენისათვის! ჩვენ ადამიანები ვართ და

ჩნელია სცენის სამსხვერპლო მისამართია ტან მთელი შენი ცხოვერბა, სცენის გარდა სხვა არაფერი გირაცებდეს. სხვაგვარად, კი, მართლაც არაფერი გამოიდის. ბევრი ვერ უძლებს, ესეც ბუნებრივია. დრო რომ გადის, ამერიკულები, რომ სცენა მართლაც ითხოვს მსხვერპლშეწირვას. ახალგაზრდობაში კი როლია ცხოვერებისეულ სიამეზე უარის თქმა.

ო. მ. — შემიმჩნევია, რომ სტუდენტებს უჭირთ ქალბატონ ლილისთან ურთიერთობა, ზოგჯერ მსახიობებსაც, მისი მაქსიმალიზმი რთული გისახლებია, მაგრამ ძალიან ბევრს გაძლევს, პროფესიონალი ხდები მის გვერდით. ქალბატონი ლილი უკომპლიმისო და მკაცრია რეპეტიციების დროს. ძალზე მომთხოვნია. მუშაობის პროცესში ვიდრე არ მიაღწევს რაც ჩაითქმა, მანამდე არ მოგეშვება. მე არასოდეს გამჭირვებია მასთან მუშაობა. უნდა მიენდო, ირწმუნონ და წინააღმდეგობებსაც ადვილად გადალახავ. რაც უნდა ნიჭიერი იყოს ადამიანი, ისტატობის გარეშე ფონს ვერ გავა. მას წლები უნდა. ქალბატონ ლილისთან მუშაობა კი ისტატობის დიდი სკოლაა. პროფესია ითხოვს თავგანწირვას, ესეც კეშმარტებაა.

ნ. ა. — თქვენ მნიშვნელოვანი პრობლემა წამოსჭირით. პროფესიონალიზმის დეფიციტი ძალზე გვასცენებს

ნიკოლოზ I („ასი წლის შემდეგ“)



თავს თოთქმის ყოველ სფეროში. არც თეატრია გამონაკლისა. თავისი საქმის ჭეშმარიტი ისტატი ახლა უნიკალური მოვლენაა. ხშირია შემთხვევა, როდესაც ბუნება წიჭით აჯილდოვებს ადამიანს, მერე კი თავგადაკლული შრომაა საჭირო დაოსტატებისათვის. მსახიობსაც უდიდესი რუდუნებით მართებს ინდივიდუალური მონაცემების დახვეწა. თავის თავზე მუშაობის სპეციფიკა ჩვენში თოთქმის მოშლილია. ახალგაზრდობის ნაწილი ხელობას ვერ ფლობს და ეს ეტყობა კიდეც მათ მიერ განხორციელებულ პერსონაჟებს.

მ. მ. — ახალგაზრდობაზე ხელჩაქ-

მავალი ყოფილა. წიჭიერი ხალხი არა მოვალე დის თეატრში. მით უფრო, როცა მიხედვილ თუმანიშვილი ზრდის მათ. თავდაბირველად მე ყველაზე არ ვიყავი კარგი შეხედულებისა. მაგრამ დრო გავიდა, ისინი უკვე ათი წელია ერთად არიან. დიდი ისტატის მეთაურობით მოღვაწეობენ და შედეგია ძალზე მნიშვნელოვანი. ვინც უძლებს ქალბატონ ლილისთან მუშაობას და მას აწმენით მისკვება, მათგანაც მომავალში ისტატი დგება. მშვენიერი პედაგოგი დადგა გიზი ეორდანია. კარგი მსახიობები გაზრდა, ერთად რომ მუშაობენ, იმედის მომცემია მეტად. კარგ ხელში მოხვდ-



დონ კიხოტი ლამანჩელი („ლამანჩელი“)

ნეული კაცი არა ვარ. მართალია თეატრალური 'ინსტიტუტია' მსახრობთა აღზრდის კერა, მაგრამ თეატრიც ხომ სკოლაა. აქაც ძალიან ბევრს სჭავლობს ახალგაზრდა. სცენის ისტატების გვერდით მუშაობა მართლაც დიდ გამოცდილებას გძენს. ერთი პირობა ძალზე შევშინდი. როცა რევისურამ სცექტაკლის დადგმის დროს თავის ხელში აიღო სადაცები ჩვენი საქმისა, ვიფიქრე, ახალგაზრდა მსახიობების წინსცლა შეფერხდაშეოქი. ვინდა იზრუნებს მათ დაოსტატებაზე? ერთი პერიოდი ჩვენ, მსახიობებს, დაგვეკრგა ის პოზიციები, თეატრში აქტიორს რომ პერსონდა. ჩემდა სასიამოვნოდ ეს წარ-

ნენ ისინი, წიჭიერი და შშრომელი კაცი მიაღწევს კიდეც ბევრს. სასიამოვნო და საგულისხმოა მუშაობის ის ფორმა, კინომსახიობთა თეატრში რომაა მიღწეული. ტრენაჟი, მსახიობის შემოქმედებითი აპარატის დახვეწა, ძალზე დიდი მნიშვნელობისაა. ეს ყველა თეატრში რომ დაინერვოს, ურიგო არ იქნება. როცა ასეთ მსახიობებს ვუყურებ, იმედიანი ვხდები.

ნ. ა. — ბატონი ოთარ! თქვენმა თაობამაც თითქმის ერთად შეაბიჯეთ მარჯანიშვილის თეატრში. იქ თქვენ დიდებული უფროსი თაობა დაგხვდათ. თითოეული მათგანი ცალკე თეატრი იყო. ისინი ჭერ კიდევ კარგ ფორმაში



ფიროსმანი

იყვნენ. თქვენმა თაობამ მათვე სიცოცხლეში მიაღწია ალირებას, საკუთარი ადგილის პოვნას ასეთ ვარსკვლავთა დასში. სრულიადაც არ ვფიქრობ, წინააღმდეგიბა და სიჩოთულე არ ყოფილა.

ო. მ. — თქვენ წარმოიდგინეთ, იმად და მშვენიერად ვგრძნობდით თავს. თეატრში ჟეველა თაობაა აუცილებელი. ეს არის სიმდიდრე დასისა. როცა ერთი თაობა ცალკე ქმნის თეატრს, როცა, ერთიანდებიან თანამოაზრები, იქც არის სიჩოთულე. მაგალითად, ახალგაზრდებს იქ უხდებათ ხნოვანი ადამიანების განსახიერება. რაც რა უნდა ნიჭიერად ითამაშო ჭარბაზი კაცი, ოსტატობითაც რომ მიაღწიო კარგ შედეგს, მაინც გაელია რაღაც. ეს კი ცხოვრებისეული გამოცდილებაა. ამას ასაკი გძენს. ის სიბრძნე, წლები რომ გმატებს, არ შეიძლება ახალგაზრდობაში ჭარბად იყოს თავმოყრილი. ეს კი აუცილებელია. თუნდაც ამიტომ თეატრში აუცილებელია ჟეველა თაობის თანაარსებობა, ჟეველა ასაკის მსახიობი. იდეალურია დასი, როცა ჟეველა თაობა შემატებილებულია და ერთად ქმნიან, ერთად ამბობენ საფქელს, ერთ ენაზე

ლაპარაკობენ. უფროსებს თავისი საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი, ჩვენი თაობა თეატრისთვის აუცილებელი იყო. ახალგაზრდების გარეშე ვერ იარსებებს თეატრი. მასშივეს როგორ შზრუნველობას იჩინდენ ჩვენს მიმართ მალვა ლამბაშიძე, სესილია თაყაიშვილი, ვერიკო ანჯათარიძე, სხვებიც. ბედნიერები იყვნენ, რომ ნიჭიერი ახალგაზრდობა შეემატა დასს. თეატრალური ინსტრუმენტის დირექტორი იყო აკადი ხორავა. ნიჭიერი სტუდენტები რუსთაველის თეატრში მიჰყდა, მასშივეს, მარჯანიშვილის თეატრის მაშინდელმა დირექტორმა, ვანიჩა გვინჩიძემ, კრებაზე სიხარულით განაცხადა: „ჩვენ პირველად მივაღწიეთ იმას, რომ ვინც გვინდონდა ისინი მივაღწიეთ თეატრში“. ნამდვილად მშობლებივით გვექცეოდნენ. საოცრად გვეპყრობოდნენ. განსაკუთრებით პირველ წლებში. მერე ცოტა გართულდა ურთიერთობა. ჩვენ ასაკი მოგვემატა, გამოცდილებაც და სურვილებიც დაზიანდა. პრეტენზიებიც გავვიჩნდა. ბუნებრივად წამოიჭრა პრობლემა, ვის უნდა ეყო ხელში სადაცები თეატრისა უფროსი თაობის შემდეგ. არა, როლებზე არ მოგახსენებთ. ამ მხრივ ყველას თავისი საქმე გვქონდა გასაკეთებელი. საკითხი უფრო ლრმა და მნიშვნელოვანი იყო. ესის უნდა გადასცემდა ესტაცეტია იმ დიდებული თაობის შემდეგ. აი, ამაზე ძალზე სერიოზული დავა იყო. შინაგანი კამათი, ხმამაღლა გამოუთქმელი. ამაზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით. ჩვენ ვგრძნობდით, რომ მზად ვიყავით მათ შემდეგ გაგვეგრძელებინა საერთო საქმე. მზად ვიყავით პასუხისმგებლობა აგველო თეატრის ბედზე. მაგრამ იმ დიდი თაობის შემდეგ ჩომ იყვნენ სხვები, ასებობდა კადევ ერთი თაობა. ისინი წლების მანილზე ფესვგამდგარი და ძლიერი მუხის ჩრდილში აღმოჩნდნენ. მათ შორის ნამდვილად იყვნენ ნიჭიერები, მაგრამ უფროსი თაობის ოსტატობამ მაინც დაჩრდილა ისინი, ისე ვერ გაი-

შალნენ მხრებში, როგორც სურდათ  
ან შეეძლოთ. ამიტომაც წმინდარია  
მტკიცნეული პრობლემა. ეს პროცესი  
ჩოული იყო, წინააღმდეგობა ძნელი და-  
საძლევი გახდა. ჩვენ ავიტანდით იმ  
დიდი თაობის პირველობას, სხვები-  
სას კი ვეღარ. ამის გამო მოხდა ის,  
რაც მოხდა. ჩემი თაობა წავიდა მარ-  
ჯანიშვილის თეატრიდან.

**ნ. ა.** — თქვენ მსჯელობდით თეატ-  
რის მომავალზე, როგორ უნდა განვი-  
თარებულიყო მარჯანიშვილის თეატრი,  
რა გზით უნდა წასულიყო შემდგომ?

**ო. მ.** — დიახ, ის ეს მოხდა, სხვა  
არაფერი. ჩვენ რუსთავში შეექმნით  
თეატრი. საწყენი იყო ერთი მომენტიც.  
რამდენიმე წლის წინათ, ვიდრე ჩვენს  
თეატრში ეს წინააღმდეგობა უკვე გა-  
რჩევულ სახეს მიიღებდა, რუსთავე-  
ლის თეატრიდან პენსიჩე გაუშვეს  
უფროსი თაობის მსახიობები. მოხდა  
დასის დაცხრილვა. ჩვენს უფროსებისაც  
ჩააგონეს, რომ ჩვენ ვკინდოდა მათი  
წასული თეატრიდან. ეს ხომ სრული  
ულოგიკობა იქნებოდა. ეს არ იყო  
სიმართლე. განა ჩვენ შეგვეძლო მაა:  
გარეშე ყოფნა თეატრში მათ გარეშე,  
ვისაც ვეთაყვანებოდით, უზომო პა-  
ტივს ვცემდოთ. დღესაც ისინა ღმერ-  
თის ტოლ ხალხად მიმაჩინა, თეატრის  
ღმერთის, რაღა თქმა უნდა. ჩემთვის  
და ჩემი თაობის მსახიობებისთვისაც  
თითოეული მათგანის სახელი, როგორც  
ხატი ისე არსებობს დღესაც. განა შე-  
იძლებოდა, რომ ისინი წასულიყვნენ  
და ჩვენ დავრჩენილიყვავთ თეატრში?  
განა საკითხი ისე იდგა? ხომ მაინც  
ჩვენ წავედით...

დიდი უბედურება იყო, რომ უფ-  
როსი თაობის რამდენიმე წარმომად-  
გენელი ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. გიორგი შავგულიძე ორმოცდაცხრა  
წლის ასაკში შალვა ლამბაშიძე ორ-  
მოცდათექვსმეტის. სხვებიც ნააღრე-  
ვად, უცბად წავიდნენ. მათ შემდეგ  
არ შეიძლებოდა შექმნილიყო ვაკუუ-  
მი...

**ნ. ა.** — ეს პროცესი ჩვენს თვალ-  
წინ მიმდინარეობდა, რუსთაველის თე-  
ატრის ცნობილი მოვლენაც. განსხვა-

ვებაცია შეთ შორის და მსგავსებაც. აშალილიც  
და სათეატრო პროცესები რთული გა-  
საგებია გარეშე პირისათვის. თეატრის  
ბეჭდ მაინც დასი და ხელმძღვანელობა  
უნდა სწყვეტდეს. მაგრამ უმეტესად  
ამ ურთულეს. მაგრამ ბუნებრივ წი-  
ნააღმდეგობას ემატება იმ ადამიანთა  
სურვილებიც, რომლებიც გარედან  
იღებენ აქტიურ მონაწილეობას სათე-  
ატრო ოჯახის დავაში. თამაშდება რა-  
ღაც ფარსი, ხშირად მავანთა ამბიცი-  
ებს ემსხვერპლება ხოლო ბუნებრივი  
პროცესი, რომელიც შესაძლებელია  
უფრო მშევიდობიანად წარმართულიყო,  
ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა. ზოგ-  
ჯერ რაღაც შიდა დინების, გარკვეუ-  
ლი „პოლიტიკის“ მსხვერპლი ხდება  
თეატრი. ამის თქმის უფლებას მაძლევს  
რუსთაველის თეატრის მოვლენები,  
რომლებსაც დგილი პენდა 60—70-  
იან წლებში. მაშინ თეატრში ვმუშაობ-  
დი და კარგად მახსოვს ვინ რისთვის  
იბრძოდა თეატრის შიგნით და გარეთ.  
ჯდამიანები, რომლებიც სათეატრო  
ოჯახს გარს ახვევია, ხშირად თავად

სირნო და ბურჟუაზი





ამწვავებენ ქონფლიქტს ხმ ოჯახის წევრებს შორის. რუსთაველის თეატრში ბევრი რამ ემსხვერპლა მათ პირადულ ინტერესებს.

ო. მ. — ეგ სწორი შენიშვნაა. ასე იყო ჩვენს შემთხვევაშიც, ახლა სხვა კუთხით შევაფასოთ მოვლენები. ყოველი თაობა, რომელიც ერწყმის დასს, აზრძელებს ტრადიციასაც მაგრამ მათ თავიანთი სათქმელიცა აქვთ. განსხვავდებიან კიდეც ამით წინა თაობისა-

გოგი გვეუბნებოდა, რეალიზმის მატერიალის არის თეატრის ისტორია. აზრძელი თანდათან უაბლოვდება ცხოვრებას, თანდათან უფრო უაბლოვდება მსახიობის თამაშის მანერა აღმიანის ყოფას და ქცევას. თუკი ცხოვრებაში აღმიანთა ქცევა, ყოფა, არსებობის მანერა იცვლება, სცენამაც ეს ცვლილებები უნდა გამოხატოს თავისი ფორმით. აქ სიმართლის შეგრძნებაზე არაა მარტო საქმე. მისი გადმოცემის



ოთიპონი

გან. შეიძლება ნაკლებ ნიჭიერებიც იყვნენ, მაგრამ თავიანთი თვალსაზრისის გამოხატვას ესწრაფვიან. ესეც უაქტია. როგორც ცხოვრებაში ხდება თაობათა მონაცემების დროს, მყვიდრება ახალი თვალსაზრისი. ასე თეატრშიც. ჩვენი უფროსები იმდენად ნიჭიერები და ოსტატები იყვნენ, ისეთი სიმართლე გამოჰქმნდათ სცენაზე, რომ შეუძლებელი იყო ამ მხრივ მათთან შეჯიბრი. შალვა ღამბაშიძეს და სესილია თაყაიშვილს სასცენო სიმართლის გამოხატვის რაღაც განსაკუთრებული უნარი გააჩნდათ. ასე იყო სანდრო ქორქოლიანც და სხვებიც. მახვილგონიერი ფორმით და სასცენო სასწაულმოქმედი ძალით რთული იყო გიორგი შავგულიძესთან ან ვასო გოძიაშვილთან შეჯიბრი. ისინი არტისტიზმის ღმერთები იყვნენ. ჩვენ საკუთარი მსოფლმხედველობა ზაგვაჩნდა, კარგად მაჩსოვს ერთი ჩინებული პედა-

ფორმების ცვლილება მაქვს მხედველობაში, თორებ სიწრფელისა და ცხოვრებისეული შესრულების იმ დონეს ქალბატონ სესილიას და ბატონ შალვას რომ ახასიათებდა, ჩვენი თაობა ვერ გაუსწრებდა. ამ თვალსაზრისით მათ ვერ გადააჭარბებდა კაცი. აქ მათთან წინააღმდეგობაში ვერ შევდიოდით. თუნდაც ამიტომ ვამბობ, მათთან საკონფლიქტო ჩვენ არაფერი გვერდდა. ჩვენ შეგვეძლო მთელი სიცოცხლე მათი მოწაფები ვყოფილიყოთ, როგორც ამბობენ, სწავლა სიკვდილამდეო, არა? ჩვენ საკუთარ მეობას, საკუთარ თვალსაზრისს ვიცავდით.

მახსოვს, კონფლიქტი რომ ძალზე გამწვავდა, ვასო გოძიაშვილთან მივიყვანებ მთელი ჩვენი თაობა. მივედით მასთან სახლში, რათა ავვეხსნა, რომ მათი საწინააღმდეგო სრ შეიძლება რაიმე გვერდობა. მშვიდიდ ვსაუბრობდით. ცოტა ხნის შემდეგ შემოგვეს-

წრის საშუალო თაობის? მსახიობი, ოდნავ ნასვამი იყო და ვითომ შემთხვევით მოვიდა. ჩვენი დიალოგი ჩაშალა ბატონი ვასო ცოტა არ იყოს დაფრთხია, არ მოისურვა ან შეეშინდა დიალოგის გაგრძელებისა, შეიძლება შემოსწრებულს ხათომ ვერ გაუტეხა. მერე და მერე სიტუაცია ძალზე დაიძაბა. წლები რომ გავითქმდა რუსთავის თეატრში აკაკი ვასაძე მოვიდა, ჩვენ იგი საოცარი სიყვარულით მივიღეთ. პირადად შე გულში ჩავიხუტე მარტო იმიტომ კი არა, დიდი არტისტი, ლსტარი, ჭიჭიანი და საინტერესო ადამიანი რომ იყო. არა, მარტო ამიტომ არა. რაღაცით უნდა შემევსო ის ადგილი ჩემს გულში, უფროს თაობას რომ ჰქონდა განკუთნილი. ის ტკივილი უნდა დამეცხო, მათთან განშორებამ რომ მომგვარა, მათთან ჩამოშორებამ რომ დაბადა. ამ სამაგიეროს ვხედავდი ბატონ აკაკის სახით.

ნ. ა. — თქვენი თაობის ნაწილმა რუსთავში შექმნა ახალი თეატრი. ვფიქრობ, ამ პერიოდმა დიდი როლი ითამაშა თქვენი შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის. იმიტომ კი არა, „სირნონ დე ბერეერაქს“ ან „ასი წლის წინათ“ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ვერ ითამაშებდით. მაგრამ იქ, თანამოაზრეთა თეატრში, რაღაც თვისებრივად ახალი დათბადა, საშუალებაც მოგეცათ ბოლომდე გახსნალიყავით. მახსოვს, სამოციანი წლების დასაწყისში თქვენი თაობის რამდენიმე წარმომადგენელმა კლილი იოსელიანთან ერთად მაშინდელ სანკულოტურის თეატრს მაჟურა. ჩვენ მაშინ სტუდენტები ვიყავით. თითქმის მთელი ჯგუფი დავდოლით თქვენს რეპერიტიგზჭ, სპექტაკლებზე. ჩვენი თაობისთვის ეს იყო რაღაც შევების მომგვრელი ამოსუნთქვა, სუფთა პაერივით დავწაფეთ იმ შემოქმედებით სიახლეს, იმ სასცენო სიმართლეს, პატარა სცენაზე რომ იბადებოდა. მერე გიგა ლორთქიფანიძის შეთაურობით მეორედ მოხდა თქვენი შეკავშირება ერთ სათეატრო ოჯახად. ასეთი მო-

ძრაობა მთელს მსოფლიოში შეინიშნებოდა, მაგრამ ჩვენში ამას კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. ასე მონია, ამ გაერთიანებებით ახალი სათეატრო ესთეტიკის მიკვლევასთან ერთად, შესაძლოა, გაუცნობიერებელი რამ ხდებოდა. ეს არ იყო პროტესტი მხოლოდ არსებული სათეატრო ესთეტიკის მიმართ, ეს იყო პროტესტი საერთოდ არსებული სინამდვილის მიმართაც. შინაგანად ჩვენ ყველა იმ რეჟიმის წინააღმდეგნი ვიყავით, რომელიც სულს გვიხუთვდა, რომელმაც ჩამოგვაყიბა და რომლის წინააღმდეგ გალაშერება პოლიტიკური საშუალებებით ყველას არ შეგვეძლო. შემოქმედებით ინტელიგენცია, მათ შორის თეატრის მოღვაწენი, ასეთი ფორმით ვცდილობდით ჩვენი ფარულ ზრახვებისათვის საღინარი გმირგვებდნა. ახალგაზრდების გამზღვებული სწრაფვა ახალი სათეატრო კავშირებით გამზღვებული თვალსაზრისის წარმოჩენა.

ოდისოსი





ეს იყო, ვგონებ, მოქალაქეობრივი სამწიფის გამოხატულებაც, იმ დროისათვის ასეთი ქმედება რისკონ იყო დაკავშირებული. სცენიდან გაისმოდა პროტესტის ხმა, რისი გამოხატვა ცხოვრებაში საჯაროდ არ შევვეძლო. სცენა კი საშუალებას იძლეოდა შენილბულად მაინც გაგვერიტიკებინა დესპოტიზმი. ტორალიტარიული რეჟიმი. ისტორიული წარსულის სასცენო დაპტაციით, ქარაგმულად მაინც შევხმიანებოდით რეალურ ვითარებას. ახალი სათეატრო გაერთიანებების წარმოქმნა, თვისებრივიდ სცენგვარი სათეატრო ესთეტიკისათვის ბრძოლა, ეს იყო ერთგვარი „შევიდების“ მცდელობაც იმ რეემთან, რომელიც ასეთი ნისასტრიკით ახშობდა მართალ აჩხა.

ო. მ. — შემთხვევითი ხომ არ არის, რომ დაახლოებით ამავე პერიოდში, მაგრამ უფრო ადრე, დაიბადა „სოვერე-

ჩურშ ემა („პავი ადბა“)



შენიკი“. ტაგანკის თეატრს სამართლებული ჩავისი შეასრულებით, სხვაგანაც იქმნებოდა ახალი თეატრები. აქ მაინც ითქმებოდა თამამი სიტყვა. ბოლომდე სიმართლის ქადაგება შეუძლებელი იყო, მაგრამ ახომ მაინც ვახერხებდით მნიშვნელოვანი თვალსაზრისის წარმომჩენას. და მერე, რა საოცარი ძალა აქვს ამ დალოცვილ სცენას! მაშინ როდესაც „დაბშულია კველა ჭაშქარი“, ვიღაცა რომ გამოამტკრევს პატარა სარკმელს, ჰავერის ნაკადი რომ შემოიჭრება და გამოატანებს, გულს მოიბრუნებ და შვებით ამოისუნთქვა, ასე ხდება სცენიდან ნათქვამი ნამდვილი სიტყვითაც. საოცრად უღერს სიმართლე სცენიდან. ეს ერთი მხარეა. სხვა სიკეთეცა აქვს თანამოაზრეთ შეხმატებილებულ ერთიანობას. რაც ზემოთა ვთქვი, სხვადასხვა თაობის ერთად ყოფნაზე, ახლა იმის საჭინააღმდევოდ კი გამომივა ეს მოსაზრება, მაგრამ ყოველი სახის თეატრს თავისი დადგებითი და უარყოფითი თვისებები აქვს. ერთი თაობა როცა ქმნის ოეატრს, ამას ის უპირატესობა აქვს, რომ ერთსულოვნება და ურთიერთგავება მეტია, განსკუთრებით პირველ წლებში. როცა სცენაზე ხარ გასული და მუშაობ, დანარჩენები კულისებშია მოწყდარი, კველის უნდა, რომ საუკეთესო იყო, რაღანაც შენი გამარჯვება, მათი გამარჯვებაცა. თითქოს გესმის კიდეც მათი გულისითქმა: შენ გენაცვალე, კარგია, აბა შენ იცი, მიღი... უფრო მეტი გაავეთეო, ეს უხმო შეძანილი ძალას გმატებს, ფრთებს გასხამს, არ არსებობს დაჭიმულობის გრძნობა, უხერხულობა, შენდაუნებურადც მაქსიმუმს აკეთებ და ისნენები ბოლომდე. შენ ხომ მხოლოდ საკუთარ ლირსების არ იცავ, მთელი შენი თაობის სახელით გამოდიხა სცენაზე. ეს სულ სხვა გრძნობაა, იზრდება პასუხისმგებლობა, განუზომელია ენთუზიაზმი, დალობს ვერ გრძნობ, სულ ერთად გინდათ ყოფნა, თეატრს ვერ შორდები. სამწუხაროდ, დიდხანს არ გრძელდება ერთსულოვნება.

6. ა. — თქვენ იმდენად გულწრფე-

ლი ხართ ახლა, რომ მინდა მეც ასევე გიბასუბოთ. ორმა შემთხვევამ ჩემი და-მოკიდებულება თქვენს მიმართ, რო-გორც პიროვნებისადმი, სრულიად შეს-ცვალა. ჩევნ თითქოს ერთ თაობას ვე-კუთვნით, მაგრამ ცხოვრებიში შეხების წერტილები ნაკლებად გვქონდა. უმე-ტესად სცენაზე და ექრანზე, ან იშვია-თად ტრიბუნაზე გხედავდით. როდესაც თქვენს თეატრში დაიდგა ჩიკამცუს „შეუყვარებულთა თვითმკვლელობა კი-ურ ბადეთა კუნძულზე“, ახალგაზრ-დები იყვნენ უმეტესად დაკავებულნი. გასინჯვის შემდეგ სპექტაკლის გან-ხილვის დავესწარი. იქ რამდენიმე გა-მომსვლელმა საჭიროების აზრი გამოს-თქვა ახალგაზრდა შემსრულებელთა მიმართ. თქვენ კარგახანს დუმდით. უც-ბად, აღექით და სთქვით: რაზე ვკამა-თობთ, ეს ცალკეული შენიშვნები არაა მნიშვნელოვანი. მთავარია, რომ დასს შეეძლო კულტურული და ნიჭიერი თაობა. მათ იციან სცენაზე თავის და-კერა, ბოლოსდაბოლოს მე მათში ვხე-დავ სცენის მომავალ ისტარებს, რომ-ლებაც თავიანთი სათქმელი აქვთ და ესწრავფიან მისი გამოხატვის ნატიფ ფორმას მიაგნონ. ვიგრძენი, რომ ვი-ხაროდათ თეატრის შესება ახალი, სა-იმედო ძალით. მაგრამ უმთავრესი თქვენს გამოსვლაში იყო პატივისცემა ახალგაზრდების მიმართ. ეს იშვიათია. ახალგაზრდა შეიძლება გიყვარდეს, ებრაებოდე, ათავამებდე კიდეც; მაგ-რამ პატივისცემის გრძნობა ეს მაინც სხვა კატეგორიის ვნებაა და თქვენ და-უფარავად გამოხატეთ იგი. მოხიბლუ-ლი დავრჩი ამის გამო.

მეორედ სხვა თულია: ლოვიჟი თქვე-ნი პიროვნება სპექტაკლ „გრალის მცენის“ პრემიერაზე. სცენაზე „ლი-ლეუს“ მღეროდით და ომაზიანად გუ-გუნებდა მსახიობთა გუნდი. სამი თვე გასრულებულიყო 9 აპრილის ტრაგე-დიიდან. საზოგადოება თავზარდაცემუ-ლი იყო და ეს წარმოდგენა აღივეს, როგორც შევბა, როგორც საკუთარი სულის ძალი, მხერობა და ჩრდენა გა-ნუმტეციცეთ თითქოს. „ლილეოს“ პასუ-ხად დარბაზშა შემოსძახა რევაზ ლალი-

ძის სიმღერა დიდი ილიას ტექსტზე „მუშაობაში მო-კარგო ქვეყანავ“. ხალხი ტირაზა-აქაიჯ სანთლები დაანთეს. ფეხზე ვი-დექით გაერთიანებით გაცისკრონებუ-ლნი და ბედნიერებით აღვისლნი. ყმა-წვილმა კაცბა, დავით ტურაშვილმა, დარბაზში ჩვენი ეროვნული დროშა ააფრიალა. მერაბ თბეუქაშვილმა სცე-ნაზე აიყვანა და იგი მსახიობებს შო-რის დადგა. არ დამაკიტყდება თქვენი გამებებული სახე. თვალებიდან სევდი-ანი მაღლიერება იფრქვეოდა. იყო რა-ლაც გამოუთმელი იმედიცა და კაცუ-რი მოკრძალებაც. მმ ერთ გამოხედვა-ში დაგრძირებ მამის სიამაყეცა და მშენიერი შეუპოვრობაც. მერე ზეია-დად და მტკაცედ ჩამოაზოგით ყრმის დროშა. კიდევ უფრო მაღლა და ძლი-ერად აფრიალდა ალამი. ტაში გაძლიერ-და. სცენის შუაგულში გოროზად შემა-რთული იდექით როგორც მსახიობთა საძმოს წინამდლოლი. კიდევ ერთხელ ვიგრძენი, რომ თეატრის ბატონ-პატრო-ნი აქტიორია, სცენის მაგიურ ძალას აქტიორი აძლიერებს. იმ წუთს კი თქვენ გემის კაპიტანიც იყავით და სამშევიდობოს უნდა გაგევყანათ ეკი-ბაჟი. უფრო სწორად, გაერთიანებული დარბაზისა და სცენის აზვირთებული კნებათაღლევისათვის წერტილი თქვენ უნდა დაგესვათ, როგორც ამ წახის მასპინძელს, თავკაცს, წინამდლოლს, სცენაზე ხომ მსახიობთა „საიდუმლო სერობა“ იმართება.... ეს მარადიული, კოსმიური იდუმალებაა. თრთოლებით ალევილი ხიბლი აქვს სასცენ მაგიას. დიდებულ იდუმალებას შევესწარით წვენც.

ო. შ. — მერე ის დროშა თეატრში დარჩია, როგორც სიმბოლო ამ წუთები-სა, თეატრი კი ჩვენი სახლია, ოჯხია და სწორად შენიშვნეთ, ჩვენი ვართ ყოველთვის უპირველესი მასპინძლებიც. ასეთი ვნებათაღლევა მართლაც არ გა-ნმიცდია. თეატრის ისტორიიდან ვიცი კოტე მარჯანიშვილის „ცხვრის წყაროს“ შემდეგ რა ხდებოდა კიევსა და თბი-ლიში. სანდრო აბმეტელის სპექტა-ლის, „რღვევას“, საფინალო აკორდს, იარუსიდან დაძრულ დროშას როგორ



ლეო („პროვინციული ამბავი“)

ებმიანებოდა დარბაზში. ახლა კი, თავად განვიცადე ასეთი დიდებული წუთები. ბოლო ხანს ასეთი ერთიანობა, ასეთი ღლესასწაული, რაც ამ სპექტაკლზე ხდებოდა, არ მსმენია. ხალხი პირდაპირ მიტინგიდან მოდიოდა თე-ტრაში, რადგანაც აქ ეგულებოდა, მისი ზრახვების ამეტყველება. შშვენიერია გაერთიანებული დარბაზი და სცენა.

6. ა. — ქართველები მაინც ინდივი-  
დუალისტები გართ. ბუნებამ ასეობად  
შეგვემნა. ახლა მეჩვენება, რომ ჩვენი  
პოლიტონიური, მრავალხმიანი და შეხ-  
ატყველებული ხალხური სიმღერები  
იმიტომაც გაჩნდა, რომ ინდივიდებს გა-  
ერთოანებისკენ მოუწოდებდა. აი, თუნ-  
დაც, ქართული ნადი. ასე მგონია, რო-  
ცა მეზობლები ერთმანეთს ჰინდახულის  
აღებაში ეხმარებიან, ეს მხოლოდ თანა-  
დგომის ფაქტი არ იყო. ეს არის გაერ-  
თოანების დიდებული და მშევნიერი  
მოწოდება. ნადის სიმღერაც ამ თანა-  
დგომის ურთიერთშეხმატებილების ჰიმ-  
ნია. მაგრას გაფრითოლებაცაა და მო-  
წოდებაცაა. თუკი ჩვენმა გენიმ შე-  
ქმნა მრავალხმიანი, ურთიერთშეჯრე-  
ბული, გაწონასწორებული და პარმო-  
ნიული სიმღერა, უნიკალური პოლი-  
ტონიურობა, ისეთი თანახმიერება  
გვმართებს სიერთო საქმეშიც. ხალხუ-  
რი სიმღერა, ეროვნული ჰანგი, გენე-

ტიკური კოდის მოწოდება, გვაფილი მიზანით გვაფილი ლება და გვაფილებს თითქოს.

ო. 8. — მართალია. ამაშტინათ „ლი-  
ტერატურული საქართველოს“ ფურც-  
ლებზე გრიგოლ რობაქიძის სტატიის  
გავეტნი ქართულ ნადიმზე. მეცნაურა  
მწერლის მოსახრება. რატომაა, რომ  
ასეთ აღმატებულ ხარისხში მიმართავს  
თამაღა სუფრის თითოეულ წევრს. მათ  
თავმოყვარეობაზე კარგად მოქმედებს  
ეს შექება, დადებითი ოცისებების გა-  
ზვიადებული წარმოჩენა. ერთს აქებ,  
მეორეს, მესამეს და ასე, თანდათან იე-  
რობინან მენინანებს. ეს დიდი ხილია  
ერთმანეთის გულებთან გადებული. კა-  
ცი კმაყოფილია, მიახედრეს რა თვი-  
სებები უნდა გაზიარდოს და აამოქმე-  
დოს საკუთარ თავში, შეიცნოს კიდეც  
საკუთარი მეობა, უკეთესიც ხდება. ყო-  
ველ შემთხვევაში, იმ წუთებში ნამდ-  
ვილად უკეთესი ხდება. ასეთ დროს  
ურთიერთობაც იოლია და ურთიერთ-  
კონტაქტებიც ადვილად მყარდება. ეს  
უცნაური რაღაცა. იგივე იდუმალე-  
ბაა, რაც სცენაზე ხდება. დიდი მო-  
აზროვნისა და ჩვენი ფსიქიკის ჩი-  
ნებული მცოდნის გენიალური დაკვირ-  
ვებაა. ქართველებს ეს სპირდებათ,  
როგორც სხანს. რომ შეიძლებოდეს  
ახლა ერთი დიდი სუფრის გაშლა, ერ-  
თი დიდი საყოველოთაო ნაღიმის მოწ-  
ყობა, პევიანი, გამჭრიახი და ენწყლი-  
ანი თამაღის მიერ ყოველი ქართველის  
შექება, იქნება ასეთ გათიშულობას ბო-  
ლო მოელოს. მდევნი პარტიები, ასო-  
ციაცები, საზოგადოებები და დაჭ-  
გუფებები ნამდვილად მეგობრებად, თა-  
ნამებრძოლებად გადაიცეოდნენ. ეს  
გავგაერთიანებდა და გავიმარჯვებდით  
კიდეც. მაგრამ ვაი, რომ ასეთ ერთიან  
სუფრის ვერ წამოსჭიმავ.

ၬ. ၁. — စာဂျုဏ်ပေးမြော ဤတေ ဖာဌံ-  
ရိုက်ပုံ၊ တေတ္ထော်လှေ့ သိ လူအားဖွေပေးစာ ဒါ  
ဒါန်ရှိခိုင် ပေါ်ရှာ — စာဌာနတွေ့ကြပ် စာရွှေ-  
လှေ လုပ်နှုန်ပေါ်ရှိလောင်ပေး မိုးပိုး — မာ-  
မျှလှေ ဤတေ ကျားမျိုး၊ မိုးနားနှင့် ဤတေ၊ မာမျှ  
နာရှိများ ဆုတ္တာမျိုး ဆောင်တောင်္ဂာ?

მ. მ. — ჩვენ კამათი ას შევვიძლია,  
ჩვენი კამათი ჩხუბია. ას გვსურს ერთ-  
მანეთის შესმენა, მოკამათის აზრის გა-

ზიარება ან გაგება მაინც. მოწინააღმდეგს ისეთ რამეს დავწამებთ, რისიც თვითონაც არ გვუჩრა. იმდენად ვაჭარბებთ, რომ არ შეიძლება შენს სისწორეში თავათავ; არ შეგქონდეს ეჭვი. მაგრამ მაინც დაუნდობლად ვადანშაულებთ სხვას იმში, რაც ძნელი სარწმუნოა. ეს კი ომშფროთებელია.

თეატრის მონაწილეობა ერთონულგანმათავისუფლებელ მოძრაობაში — ეს არის პატრიოტული სპექტაკლის ჩვენება. ეს ჩვენებური მიტინგია. „გრაალის მცველნი“ ჩვენი ბრძოლის ფორმა იყო. თეატრმა გაიმარჯვა მარტო იმიტომ კი არა, საინტერესო წარმოდგენა რომ გამოვიდა, არამედ იმიტომაც, რომ დროის კვალობაზე იყო საგულისხმო და მნიშვნელოვანი. თეატრმა ახლა გაერთიანებისაკენ უნდა მოუწოდოს საზოგადოებას, ესაა მთავარი საფრთხოები. მით უფრო „გრაალის მცველნის“ შემდეგ, კიდევ იყო თუცილებელი ასეთი სპექტაკლის შექმნა. მაგრამ ვერ მივაგენით ნაწარმოებს. არჩევანი ისევ კონსტანტინე გამასახურდისა პროზაზე შევაჩერეთ: „დიდოსტატის მარჯვენა“ ამ გზის გაგრძელებად მიმაჩნია.

ნ. ა. — რამდენადაც ვიცი, ამ საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოების სრულიად ახლებურად ამოკითხვა განუზრახდეს დამდგმელ ჯგუფს. დავით ანდლულაძესთან ამასწინანდელი შეხვედრის დროს გირჩვა, რომ ფარსმან სპარსის როლი ერთ-ერთი წამყვანი იქნება. მით უმეტეს, როცა ამ როლის შესრულება თქვენ დაგეიძრაო. კინოფილმში თქვენ გიორგი მეფე განასახიერეთ, საინტერესოა როგორი იქნება თქვენი ფარსმანი. ასეთი განსხვავებული როლების შესრულება მსახიობის დიაპაზონზეც მეტყველებს.


მ. მ. — ნათელა, ძვირფასო, ჩემიც იციდები რომ დაიწყო, მე გადაღებები მქონდა ორი ფილმისა. ამ პერიოდში ისინი ძალზე წინ წავიდნენ. ჩემი შემცველელი უკვე მოერგო როლსაც, მას ბევრი უმუშავია. მარჯანიშვილის თეატრის სკოლა მაქს განვლილი, როცა უფროსები პრემიერებს უმცროსებს უთმობდნენ. იმიტომ, რომ მსახიობს,

რომელიც, მეტ რეპერიციის გაფრთხევაზე გზა უნდა მისცე. მეც მომიშევს შეს მოვიქცე. ჩემთვისაც საინტერესოა ფარსმან სპარსის როლი. სად გიორგი მეფე და სად ფარსმანი?! დავით ანდლულაძეს ისე აქვს ეს სახე ჩაფიქრებული, რომ ფარსმანი ძლიერი კაცი უნდა იქნას, ათასი ჭირვარამი აქვს გადატანილი და ბევრი რაღაცა გამოპყვა იმ წლებიდან. კაუკიო კაცია, ძლიერი და მაგარი, ჩამოღულაბებულია თითქოს. მრავალმხრივიც არის, წინააღმდეგობებით ლისავე, მაგრამ მეტად მკვრივია, იმიტომ, რომ ცეკლშია გამოვლილი და ნაწრობი. ეს გონიერასაც ეხება, სულსაც და ფიზიკურ მონაცემებისაც. თუნდაც ის ამბავი, პატარა გოგოებს რომაა დარეული, შემთხვევით ხომ არაა. ფიზიკურადაც და სულიერადაც ჭერ კიდევ ერჩის ძალი. ბრძენია ფარსმანი, ვერაგიცაა და შორისმკვრეტელიც. ეს კი ძირითადია მის ხასიათში. რამდენად იქნება წამყვანი ეს როლი, არ ვიცი, საინტერესო ჩანაფიქრი რომ არსებობს, ეს კი ფატერია.

ნ. ა. უთუოდ საინტერესო იქნება მაყურებლისათვისაც, რადგანაც ჩვენც ხომ გარკვეული სტერეოიადები შეგვიმზადდა. ეს კი იქნება მსხვერვა ჩვევადეჭეული მოსაზრებისა. როგორც არ უნდა იყოს გადაწყვეტილი ფარსმანის სახე, თქვენი შესრულებით იგი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდება. ეს თქვენი პიროვნული თვისებაა. სცენაზეც, ეკრანზეც და სხვადასხვა თავშეურის ადგილებშიც, თქვენ გამორჩეული ყურადღებით სარგებლობთ.

ო. გ. — მე მაინც ამას ჩვენს პროფესიას მივიწერ.

ნ. ა. — ასეც არის, მაგრამ ბუნებაც ხომ აჯილდოვებს მსახიობს გამორჩეული ინდივიდუალობით. თქვენ მასობრივ სცენაშიც რომ იღებდეთ მონაწილეობას, მაინც! განირჩევით სხვებისაგან. თუნდაც „გრაალის მცველნის“ დასაწყისი რომ გავითხოთ. სცენაზე უკვე დაარბის ხალხი და ჩამოგლიგეს ფრესკები. სცენის სიღრმეში გამოჩნდებით, ხაკისფერი ტანსაცმელი გაცეიათ, ჭობზე,



ორელი

როგორც კვერთზე, ისე ხართ დაყრდნობილი და ნელა მოდიხართ. ორაფერი ჩვეულებრივი არ ხდება თითქოს, მაგრამ მაყურებლის ყურადღება უკავი თქვენზეა მიპყრობილი. ორის რაღაც წრანდიონზელი მისიონური სიმშეიდვე, განკითხვა და შემწყნარებლობა თქვენს პოზაში, გამოხედვაში, სიარულში.

ო. მ. — მასსოვს ჩეცენზიში აღნიშნეთ, რომ მშეემსმა თოთქოს თვის სამშესოს მიაშრაო. მესიამოვნა ასეთი შედარება. სწორედ ის შეამჩნიეთ, რაც როლის გახსნის ერთგვარ „საიდუმლოს“ წარმოადგენდა.

ნ. ა. — ახალგაზრდა ჩეცისორთან კონტაქტი ადგილიდ დამყარეთ? მისი პოზიცია, მსოფლმხედველობა და გადაწყვეტის ლოგიკური ხაზი მისაღები იყო თავიდანვე თუ თანდათან მოხდა და გათვალისწინება და მორგება?

ო. მ. — დავით ანდოლულაძე ძალზე ღრმა ბიჭა. ასე გავიცანი და ეგრე დივინახე პირველ შეხვედრაზევე. ყოველ მოვლენას რაღაც უცნაური კუთხით შეხვდავს ხოლმე. რაც არ უნდა დიდი ხნის ნაფიქრი გქონდეს ნაწარმოებსა თუ როლზე, რაღაც იმისთანას შეამჩნევს და გამოაჩინეს, რომ

გაცემული რჩები. ძალზე გამოიჩინება მოვნოც არის და მეტმარება კიდეც. ეს ამდიდრებს ჩემს წარმოდგენას ნაწარმოებზე, როლზე, გარევიულ მოვლენაზე. დამოუკიდებლობა რასაც გააკეთებდ, იმას კულისხმიერად მდიდებს და კიდევ ამდიდრებს რეპეტიციებზე. არ გამშიარებია მასთან მუშაობა. პირიქით, სახლისო და სინტერესო. საერთოდ პატივისცემით სარგებლობს ჩვენს შორის. ესეც მოხარის.

6. ა. — ჩვენ ახლა სწორედ ისტორიულ-პატრიოტული თემატიკა გვპირდება. ასეთი სპექტაკლები შემობარუნებს მაყურებელს თეატრისაკენ. ამის შემცნებითი დანიშნულებაც ექნება. სამწუხაროდ, ხალხის ფართო ფენამ, ქართველმაც და ამ მიწაზე მცხოვრებმა სხვა ერის წარმომადგენლებმაც, ნაკლებად იყინ ჩვენი ისტორია. ქართველმა უნდა იცოდეს „ვისი გორისაა“, ხოლო მოსულმა რა წარსულის, როგორი ტრადიციების ხალხთან უზრდება ცხოვრება. ისტორიის გაყალბება, მესიერების მოშლა და ეროვნული ღირსების შელახვა იმპერიის იდეოლოგის საყრდენს უმაგრებდა. ამან არა მხოლოდ ჩვენს თვემოვეარეობაზე იმაქმედა, არამედ ეთნოკრიზისის ერთერთი მიზეზიც შეიქმნა. საყოველთაოდ ცნობილია რა როლი ითამაშეს თხებმა 1921 წელს. სტალინისა და ორგანიკობის გეგმა მათ განხორციელებს და ამისათვის მიიღეს ჯილდოდ სამხრეთ სეთის აეტონომიური ოლქი. საქართველოში ამით შეიქმნა კიდევ ერთი კონფლიქტის კერა. ეს იყო ნაღმი, რომელიც ასე მოხერხებულად ჩადეს ჩვენმა თანამებამულებმა „ინტერნაციონალური“ პოლიტიკის განსამტკიცებლად. თითქმის უნიკალური შემთხვევაა ცავილიზებული სამყაროსათვის, რომ ერთ ერს ორი სამშობლო ჰქონდეს. ბოლშევიკთა სისხლიან ტერორს ემსვერებლა საქართველოს დამოუკიდებლობა, ხოლო მათი მემკვიდრეები ჰყიდნენ მიწებს და ფულის საფასურად გაიზარდა სამაჩაბლოში ჩიმოსახლებულთა რიცხვი. მართალია, მიწას კინც უვლის. ვინც ამუშავებს, ვინც შრო-



მობს, მოსავალიც მას ეკუთვნის, მაგრამ ტერიტორია საქართველოს კუთვნილებაა. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა საერთაშორისო სამართლის მიხედვით აგრესის კვლიფიკაციით ფასდება. მაგრამ, საუბეჭროდ, ვერც ეს კანონები მოქმედებენ ამჟამად, აი, ეს სიმართლე უნდა ითქვას გარკვევით და კარეგორიულად მთელი მსოფლიოს მასშტაბით. წლების განძილება პარტოკრატია ჩევნენ ისტორიკოსებს უკრძალავდა სიმართლის დაწერას, მოვლენების პირუთვნელ შეფასებას, უბირი ხალხი კი აღვილი მოსატყუებელია. იმპერიამ თავისი საქმე გააკეთა. სამაჩაბლოში შექმნილი ისტაუარა მხარევალშესრივ არის საგანგაშო. საშობლოს გვედავებიან, ქართველობას ადგილ-მმულიდან ერკებიან, სისხლი იღვრება, ეს დანაშაულია ერთი ერის, ერთი სახელმწიფოს მიმართ. მაგრამ ახალგაზრდებში სიძულვილის თესლის ჩადება, მმულვარების გაღვივება, მომავალი თაობის ფსიქიკის მორჩევა — ესაა დანაშაული მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე. ხოლო კაცის კვლის, ვანდალიზმის ფორმები, რომელთაც იყენებენ ოსი ექსტრემისტები — დანაშაულია მსოფლიო ცივილიზაციის მიმართ. საგანგაშო ისიცაა, რომ ვერავის გავაგებინეთ მოვლენის არსი და ვერც საერთაშორისო სამართლი დაგვიცავს. ჭაბჭოთა იმპერიისთან აშეარა კონფლიქტს ზესახელმწიფოც კი ერიდება.

ო. მ. — ყველაფერი კეთდება მოთხოვნებიდან ჩევნი გამოყენანისათვის. ელოდებიან როდის დავკარგავთ წონასაწორიბას, რომ მსოფლიო საზოგადოების წინაშე თავი იმართონ, ეროვნულ უმცირესობას ხოცავნ ქართველებიო. აი, ეს აჩერებს ქართველობას, თორემ თავმოყვარეობა და ვაჟკაცობა არავიზენაკლები არ მოგვდგამს. მქალავიც გვერჩის, მაგრამ გონებამ უნდა გადაწონოს. ნათესავ-მოყვარენი აიშალნენ, მეგობრები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. როგორ მოხდა ეს? მამიდაჩემი, ოლღა მეღვინეთუხუცესი, ოსხე იყო გათხოვილი. ცოლ-ქმარი პედაგვები იჯვნენ

და ცხინვალში მუშაობდნენ. მამიდა შეილებთან როგორ შეიძლება რაიმე მტრობა მქონდეს? ჩემს სისხლსა და ხორცს ხომ ვერ ავუკანყდები? ისე ჩელართეს ჩევნი ისტორია, რომ არც ერთ მხარეს არ უნდა სცოდნოდა თავისი წარმოშობის ამბავი. იმდენი ტყუალი ითქვა წლების მანძილზე, რომ ახლა, როდესც სიმართლეს ვიმბობთ და ჩევნს მმულს ვიცავთ, აღარავის უნდა შესმენა. ვისია ეს ისტორიული სამშობლო? ვის ტერიტორიას გვედავებიან? ხომ უნდა ჩაწვდეს კაცი ისტორიულ რეალობას!

მართალია, ორი საუკუნეა, როცა ოსებმა იწყეს შიდა ქართლში დასახლება. მაგრამ მკილრი მოსახლეობის შევიწროება გაგონილა? როცა გავრგე, რომ ათასობით ოჯახი აიყარა და თბილისს შეაფარა თავი, თავზარი დამეცა. კაცი მქეია მე, რომ ჩემს ხალხს ვერ ვიცავ? მაგრამ იმავ მიზეზით უნდა მოვთოვო ვნება. მშვიდობიან დროს თავიანთსავე მიწაწყალება ქართველები ლორმლვილები გახდნენ. მათზე საშინელი რაღა უნდა მოხდეს?

ნ. ა. — გაუთვითცნობიერებელი და გაუნათლებელი ხალხის მართვა იოლი იყო. ამ პრიცეპს იცავდა მეტროპოლია. ახლა, როცა მიზეზებს ხმამაღლა ვასახელებთ, მოქმედებისათვის უნდა დავირაზმოთ. ხომ ვიცით, რომ ისტორიული მეტისებების მოშლამ ქართველობა გადააგვარა, განათლებისგან გაუცხოებაც ადამიანი ადგილი სამართავი გახადა. სწორედ ამიტომაც სადღესოდ ქართულ თეატრს განმანათლებლური მისიაც აკისრია. თუნდაც ამისთვისა აუცილებელი ისტორიულ-პატრიოტული რეპერტუარის გაძლიერება.

ო. მ. — ნამდვილად გეგმისრდება ჩევნი წინაპრების სამაგალიოთ ქმედება ავსახოთ სცენაზე. დავინახოთ ხალხს რანი ვიყავით, როგორ ვცხოვრობდით, როგორ და ვის ვებრძოდით, როგორ შეეგინარჩუნეთ მეობა, სახლ-ჯარი, მამული. უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორ მივიტან მაყურებლამდე ასეთ დრამატურგიას. ერთსადამიავე საკითხზე კაცს შეიძლება სრულიად განსხ.



შექმნა საბჭოთა იმპერიამ სახურავის  
მეურნეობის, განათლების, კულტურული  
საფეროებისათვის. ახლა დღის წესრიგ-  
ში დგება მათი მსხვერევის აუცილებ-  
ლობა. ჩვენი დარგიც ემსხვერპლა ამ  
დრომოშემულ სტრუქტურას. ერთ თაოს  
მსახიობები ჩაუდგნენ სათავეში ატ-  
რიბს. მარჯანიშვილის თვატრს ჩელმ-  
ძლვანელობდა შალვა ლიმაშიძე, კური-  
კო ანგაფარიძე, რუსთაველის თვატრს  
სერგო ზაქარიაძე. კოლეგიის მმართვე-  
ლობის ინსტიტუტმა რუსთაველის თვატ-  
რში არ გაამართლა არსებობა. თქვენ-  
თან შეიქმნა კოლეგია. ხელი შეუწყო  
სათატრო ცხოვრება?

ო. მ. — მართალია, ჩვენს თვატრში  
შეიქმნა კოლეგია, მართველობის კო-  
ლეგიალური ფორმა, მაგრამ ლიდერი  
მაიც თემურ ჩხეიძეა. ჩვენ, კოლეგი-  
ის წევრები, ვცდილობთ მხარში ამო-  
ცუდებთ მას და შევემსუბუქოთ შრო-  
მა, საერთო საქმის გაძლილა, ჩვენ ერ-  
თად ვწყვეტთ თითოეულ საკითხს—შე-  
მოქმედებითს, აღმინისტრუციულს, ფი-  
ნანსურს. თითოეული ჩვენთაგანი უდი-  
დესი პასუხისმგებლობითაა ღლურვი-  
ლი, ერთმანეთის აზრს პატივს უემთ  
და თვატრის კეთილდღეობისათვის მო-  
ნიღობებით ვიღვწით. არც მთავარია  
ვცდილობთ ყველას პქონდეს სამეშაო.  
მე მსახიობი ვარ და კოტე მახარაძეს-  
თან ერთად ვიცავ დასის უფლ პებს,  
თუმცა, ამ უფლებების შელახეს არც  
რეისიონები მედეა კუჭუნიძე, თემურ  
ჩხეიძე და არც ღირებული არ ცდი-  
ლობენ. გაიოჩ კანდელაკ ორგანიზა-  
ციული და ფინანსური პრობლემების  
გადაწყვეტის ნიჭი აღმოაჩნდა. ორმად  
ერკვევა და კარგადაც უვლის. მთავარია,  
რომ ჩვენ ახლა უკეთესი ურთიერთობა  
გვაქვს, ვიდრე მანამდე. არავისა აქვს  
პრეტენზია, რომ მხოლოდ მისი აზრი  
ან პიზიციაა სწორი. ერთმანეთს ანგა-  
რიშს ვუწევთ. პირადად მე, შინაგანად  
ასეთი შეგრძნება მავჭა: იმრომ ვარ  
იქა, რომ შევასო, არც მათ არ გაჩ-  
ნათ. ჩვენ ვასებთ ერთმანეთს. ხე-  
ლისგულზე ვუზივართ ერთმანეთს. არც  
ერთი არ ვიბრძიოთ პირველობისათვის.  
როცა ეს დაიწყება, როცა რომელიმეს



გავებული მოსაზრება შეუქმნა, თუკ  
ვერ გაითვალისწინებ მისი მომზადების  
ღონეს, ემოციურ ბუნებას. ჩვენი ის-  
ტორიული წარსულის ამსახველი დრა-  
მატურგიაც მცირეა. არც არის, იმასაც  
დამუშავება უნდა. გამონაკლისი, რა  
თქმა უნდა, ასებობს. ასეთი პიესები  
უფრო ხშირად იდგება. ამიტომაცა  
საჭირო დრამატურგების მოზიდვა თე-  
ატრში, არათ მათ გაითვალისწინონ ჩვე-  
ნი სურვილებიც.

ერთიც არის. რამდენიმე წლის წი-  
ნათ შეიქმნა ისეთი პოლიტიკა, რომელ-  
მაც უგულებელყო გამორჩეული პი-  
როვნება, გმირი. როდესაც ასეთ ამალ-  
ლებულ გმირზე უარი ითქვა, შევეშით  
კიდევ დიდი ტრაგედიების დაფგას. ა-  
მან იმქომედა არა მარტო საერთო გან-  
წყობაზე, არამედ სათეატრო ხელოვ-  
ნების ფორმაზეც, სასცენო შემოქ-  
მედების მსშტაბზეც. ახლა, რო-  
ცა იმდენიანი დრო მოვიდა, როცა გულ-  
გატეხილობის პერიოდი წარსულშია,  
როცა სანუკვარი ოცნება თითქმის კა-  
ზეა მომდგარი, როცა განჩნდა შინაგანი  
მოძრაობა, ბრძოლის წყურვილი, ასე-  
თი პიროვნებების წარმოჩენა აუცილე-  
ბელი ხდება. ხომ ხედავთ არა მასშტა-  
ბური მნიშვნელობა შეიძინა ილიას სა-  
ხელმა, მისმა პიროვნებამ. შესაძლოა,  
გაცილებით მეტი, ვიდრე მაზინ, როცა  
ის ამქვეყნიად ფიზიკურად ასებობდა.  
ილია გახდა ჩვენი სიმბოლო ეროვნულ-  
განმანთავისუფლებელი მოძრაობის ამ-  
ჟამინდელი ეტაპისათვის.

ნ. ა. — კაბალური სტრუქტურები

ՍՄՐՎՈԼՈ ԳԱՅԻՆԾԵՐԸ — մարտուն սենճա  
զմառտու տյագրուո, ոյ ահացուրո գամո-  
վա. Իշեն թանը տյմուր ինքույս սենճա  
ՇԵՐՄՇՎՈՒ ելու, ոմուռու, հրու լուղ-  
հար ծառոնու տյմուրու հիեծա. Իշեն ՇԵՐ-  
ՄՎՄԻՌԸՆՈՒ, հրու գամացՇՎՈՒՐՈՒ, հրո-  
ջոր սկնուրու տրակտի.

**5. ա.** — տյագրու եռմ սաելմՇՎՈՒՐ-  
ՆԵԳՈՒԹԱ, տայսու սացույու տյ սամոնառ  
ծոլուրոյու, ցյոնոմոյու, որգանինա-  
պուու դա ս. թ. եռմ ՇԵՏԱԾԼԵՑԵԼՈԱ գա-  
յրուանցա սայրու սայմու ՇԿԵՐ մո-  
ՇԿՈՋՈՒՆԱԵՎՈՒ, եռմ ՇԵՏԱԾԼԵՑԵԼՈԱ գան-  
ցա աղուարեցուլ լուցուր ելու ՇԵՐՄՇՎՈՒ  
դա գարիանմու մու ուրցուրու! աս սենճա  
ոյու սաելմՇՎՈՒՐ մասթրածուացա.

**6. թ.** — ռունճաց! սվորու ոյու ցու-  
րամուշուլու, հրուա մմեռծու: յարուցու  
յաց մալիչ ցայս կայս կուրուցա, հրուա տայէ  
նեմուտ մալու արահ արու դա ցիս պենո-  
սա աղարաս, մամոն ուրու մոյցանսատցու  
մեսրու մուցրա. աելու հրու ցասացուր  
ցուրցա, մասն մերու հալա սենճա լուն-  
ցարուանու? գացուրցա ցայրուանցան, մա-  
շեյշուուրուցան, ցամուռուանցան յամո.  
սենճա ցուռուու սացուտարու տացո, հացու-  
ցուրցա հրուուսա ցարու պայլուան յարց-  
են, աղմացուլ լուցուր դա աս ցանշեմուն-  
ցու ՇԵՎԿԱՎՇՈՒՐԸՆԵ. իշեն տայմու սե-  
նճա աղմուցահինուտ պայլուան մուրտցուս,  
պայլուան նալու, ՇԵՎԿԱՎՇՈՒՐԸՆԵ ցրտմա-  
նեցու եմա դա ցրտուան մաստուու ցո-  
սենատ մամուլու. մարտու աս տյ ցայս կու-  
լյութ սասրու ՇԵՄՈՒՐՎԵցան, կու-ցարամի,  
սուրացել և սեցան տանամեմամշունաւա գա-  
յարցան ցամո, սուսենուու լուրու ցամո.  
“եմա լուտուսա դա եմա ցրուասու” — եռմ  
ցացուցատ. մեռուու ցրտուան, մուուրու.  
եալուրու սոմլուրանսացու ՇԵՄԱՏԿԵԼՈՒ-  
ՇԵԼՈ եմա տյ սենճա սայահ-  
տցուրու.

**6. ս.** — ցմալունծ, ծարուն ոտար,  
սայերուսատցու. լմերումք կուսմոնու.  
սենճա ունեցան անցուն ցուսրուցա.  
**7. թ.** — ռմերումք մշուրուու ցայրա-  
հու յարուցուրօնա.

9 տյերցալու, 1991 թ.

## ԾԱՑԿԱՆԵՐԸ

### ԾԱՐՍԵԼՑՈ

ՅԹԵՐ ՑՇՑՇՑՑՈՂՈ


Ամաս ֆոնատ գ. մարջանոմշուուս տյ-  
արուու սցենաչյ նահցենցմա որմա սեյշ-  
բայլմա — Շեյշեմուու անցոնույս և  
կլեռուաթրամ” դա ՑՇՑՇՑՎՈՒ ս. “ՄՐՈՂԵ՛  
ՀԿՈՆՑՔԱՄ” Վարսեսլո մոմացունես. ամ პո-  
լեյեծու մոկեցուտ տայու գրունչյ Շեյշ-  
բայլմա և կլեռուաթրամ” եռմ սենճամահարու  
ռուու Շեասրուլու յարուու տյագրուու  
և սկորուամա. մայցուրեցլու մեխեօրյեա-  
մո սամշուամուա աղծեշքուու մատու րո-  
ւու պայտու, մայցու սցենուրու սաեյ, եռ-  
լու ցալու ուրուցլու մալուուրյեծու.  
ցրմենօնա ոմ ՇԵՄՈՒՄԵԶու մոմարտ, զոնց  
ամ քեմահանուա գայուուիցար տյագրալուր  
լուցուսենցաւու յմնուա. աս, րագրումա այ-  
ուուցեցելու յարուու տյագրուու ըաքեր-  
թարշո սցենուրու կլասույս մենարին-  
ցեծ, սատուտու մամուցուցեցեծ ոմ ՇՊ-  
ՄԵԶՄԵԶու մոմարտ, ռումլուեմաց յասեդ-  
աւուելու Վալուու ՇԵՈՒԱՆԵս ամ քոյես-  
ծու նշանուու ամա. աս, րագրում ացոյօցելու  
հացենու յուու ցրմենօնա և ցացունցան  
հացենու ՇԵՏԱԾԼԵՑԵԼՈԱ Վարսեսլու յե և եալու-  
թակլուեծու. ուսոնո ցացունցան առ գայ-  
ուուիցար սացուտարու ուսկորուա, ցամու-  
ցա և ու գրուցու ուրուցու ուրուցու ուրուցու

ლი იყო „კრიმინალური ინტელიგენციის“ მიერ.

მსოფლიო კლასიკის საუკეთესო ნიმუშების დადგმამ არაერთგზის მოუტანა ქართულ თეატრს წარმატება. დღემდე ეს ტრადიცია ქართულ თეატრში ადვილად იკაფავდა გზას და არსებობდა, როგორც მქეიდრი რეალობა. საბერძნიეროდ, იგი დღესაც ცოცხლობს, მიუხედავად ქართველი ხალხისათვის იმ უცხო „ტენდენციებისა“, რომელიც ამ ბოლო დროს „შემოიჭრა“ ჩვენს ცხოვრებაში. და განა ამ ტენდენციების გამო არ გადაიდო განუსაზღვრელი დროის მიხეილ თუმანიშვილის მიერ ჩაფიქრებული ა. ჩეხოვის „აღუბლის ბაღი“?. თურმე ნუ იტყვით, ჩეხოვი დღეს არ სჭირდება ქართულ თეატრს!.. დღემდე გული მტკიცა იმის გამო, რომ საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის სცენაზე ეს სპექტაკლი ვერ განხორციელდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ წერილის მი-

„ურიელ აკოსტა“, ივლით — ნ. დუშბაძე,  
ურიელი — ჸ. სტურუა



ზანს. რომელიც სპექტაკლით დავიწყებული აღნათ პირველით, რომელიც დადგმა ინგლისელი რეჟისორისა და თეატრალური ბედაგოგის პილარი უდის მიერ: — სტუმარობოვარეობის გრძნობა ჯერ (ჯერ!) კიდევ ჩვენში წარსულს არ ჩაბარებია.

პილარი უდი გავიცანი ინგლისში, სადაც შარშანწინ თეატრალური სკოლების ხელმძღვანელების მსოფლიო სიმპოზიუმი ტარდებოდა. ჩვენი ყოფილი ქვეყნიდან ორი რექტორი იყო მიპატიუბული — ოლეგ ტაბაკოვი (სამხატვრო თეატრის სკოლა-სტუდია) და ამ სტრიქონების ავტორი (რომელიც მაშინ ჯერ კიდევ რექტორი იყო).

სიმპოზიუმზე პილარი ვუდიც ესწრებოდა, როგორც ლონდონის თეატრალური სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. გაცნობისთანავე მითხრა, რომ მაპალიან აინტერესებს ჩვენი ქართული თეატრალური სკოლის სწავლების მეთოდიკა. ამის შესახებ მე აღრეც ვაცოდი თემურ ჩხეიძის და მედეა კუჭუბიძისაგან. მარჯანიშვილის სახ. თეატრის ინგლისში გასტროლების დროს ჰ. ვუდი შეხვდა თეატრის რეჟისორებს. იგი აღფრთოვანებული ლაპარაკიძება ქართულ თეატრზე. მან ქართული თეატრის წარმატება ჩვენს თეატრალურ სკოლას დაუკავშირა: „როდესაც ინგლისში ჩამოვიდა რუსთაველის სახ. თეატრი, ჟე აღფრთოვანებული ვიყავი ამ თეატრით. მერე, ედინბურგში, მსოფლიო თეატრალურ ფესტივალზე მიხეილ თუმანიშვილის თეატრის სპექტაკლი „დონ შუანი“ ვნახე. ეს იყო სულ სხვა თეატრი, ის არ ჰგავდა რუსთაველის თეატრს, და მე ისევ აღფრთოვანებული დავჩრი. ახლა თქვენი თეატრი ვნახე, რომელიც სულ არ ჰგავს ამ ორ თეატრს და მე ისევ აღფრთოვნებული ვარ“. ამ აზრს ჰ. ვუდი მერე გააგრძელებს, როდესაც გ. შორდანიას ხელმძღვანელობით რუსთაველის თეატრის მცირე სცენის დასს ნახავს. „გამაგებინეთ, რაშია თქვენი საიდუმლო? მე მინდა ვნახო ის სკოლა, სადაც გაზარდნენ ეს მსახიობები და რეჟისორები, მინდა გავეცნო პედაგოგე-

ბის მუშაობის მეთოდებს, რომელიც მხახილებს და რეჟისორებს საშუალებას აძლევენ ასე მსუბუქად დაუფლონ პროფესიას“.

სახიამოვნოა? რასაკვირველია! ჩემთვის, როგორც მაშინდელი რექტორისათვის, ორმაგად სახიამოვნო იყო.

მაღვ პ. ვუდის სურვილი შესრულდა ამაში დიდი წვლილი ქეთი დოლიძე<sup>1</sup>. მიუძღვის. მისი მცდელობის წყალობით პ. ვუდი თბილისში ჩამოვიდა, დაიწყო მუშაობა მარჯანიშვილის სახ. თეატრში, პარალელურად ესწრებოდა თეატრალური ინსტიტუტის გაკვეთილებს, ხოლო ლონდონში კი მისი მიწვევით წავიდა ჩვენი ინსტიტუტის სასცენო მეზყველების ქაფედრის გამგე, პროფესიონალი ბარბალე ნიკოლაიშვილი, რომელმაც საკონსულტაციო მეცადინეობები ჩაატარა ლონდონის თეატრალურ სკოლაში.



დე სილეა — ე. მაღალაშვილი,  
ურიელი — ზ. სტრიტი

\* \* \*

ერთხელ, როცა მოსკოვის მცირე თეატრში მთავარ რეჟისორად ევგენი სიმონოვი მივიდა და შექსპირის ტრაგედიის „ანტონიუსი და კლეოპატრა“-ს დასაღებელად ემზადებოდა, გამჭრიახმა და შორსმჭვრეტელმა ჩემმა მასწავლებელმა, თეატრმცოდნე პავლე მარკოვმა სიმონოვი გააფრთხილა მუშაობაში მოსალობელი დისენანსების გამო. მარკოვს მიაჩნდა, რომ სიმონოვის მიერ შეტანილი მუშაობის სტილი არ შეიძლება დამკვიდრებულიყო ამ თეატრში, რაღაც მარკოვის ვარაუდით, „სხვა პროფილის“ თეატრია!

მართლაც რომ საყურადღებო გაფრთხილება და ამაზე ნამდვილად უნდა დაფიქრდეს ყველა თეატრი, კველი შემოქმედებითი კოლექტივი, რომლებიც შექსპირის დადგმას განიზრახავენ. თუ არ არსებობს შემაკავშირებელი ძაფები, თუ თეატრის პროფილი შექსპირის დრამატურგიის სულისკვეთებას არ პასუხობს, მაშინ თეატრს დიდი საფრთხე ემუქრება.

ქართული თეატრი სწორედ „იმ პროფილისა“, რომელიც შექსპირის მოითხოვს: ასე იყო ყოველთვის, იქნება მო-

მავალშიც, თუ რასაკვირველია, თეატრი გადარჩება, თუ თეატრისა და მის მსახურთ ავის მოსურნენი საბოლოოდ არ მოსპონძენ.

შექსპირი ქართული თეატრის, ქართველი მსახიობისა და რეჟისორის „სისხლშია“. ლაპარაკია არა კონკრეტულ სცენები ქმნილებებსა და სახეებზე, არამედ სულიერ ნათესაობაზე, „სისხლია“, (გელისხმება – სცენერის) ჯგუფობრიობაზე, რომლებიც თეატრს აუცილებლად გამოიყვანს სარბილოზე გზაზე და შექსპირის სარბილოზე გზას გაუკაფავს, ქართული თეატრის მსახიობები შექსპირის მაგით არიან აღსავენი, ეს მაგია გულში, ტვირში, თითოებშიაც კავკვეტ გამჯდარი. და ამ, ზოგჯერ მიუწვდომელ, შექსპირისეულ „გრძნეულ ხმას“ ქართული თეატრალური ხელოვნება არაერთხელ გაუკეთილშობილებია.

ნათევამი პირდაპირ იმ თეატრსაც შეეხება, რომელიც კოტე მარჯანიშვილმა შექმნა, შეეხება აგრეთვე პირადად მას. თავისი ცხოვრების განმავლო-



ესთერი. — ს. ჭიათურელი, ივლითი — ს. დუმბაძე

ოუმცა, აქ პირდაპირი, და ამდენაა, კულგარული პარალელები შეუძლებელია. მაგრამ შექსპირის ულმა შემოქმედვებითა სულმა თავისი გამოძახილი ნებისმიერ დროში უნდა პპროვოს. კაცობრიობის ცხოვრებაში შექსპირი დროთა ცოცხალ კავშირთა ქანონების მიხედვით შედის და სწორედ ამ კავშირის ადმინისტრის გონების გამახვილება, მისი აზროვნების, სულის გამდიღება ძალებს. შექსპირისადმი მიღვომა შეიძლება სხვადასხვანარი იყოს. პილარი ულმა ტრადიციული წაეკითხვის გზა აირჩია.

რევისორის პრეზიციის გარეკულობა თავს იჩენს მოედი სპექტაკლის განმავლობაში. მასში არ არის არავითარა ბუნიფიციალური, შექსპირის „შეკულის“ არავითარი ცდა, — არ ჩანს სურვილი ყველაფრის „უკულმა“, უჩვეულოდ, ლაგიას საწინააღმდეგოდ, არატრადიციულად გაკეთებისა სპექტაკლში არ არსებობს.

ბობს არავითარი პრეტენზია „ნოვატორობაშე“, არ ჩანს თაგბრუდამშვევე ტრანსფორმაციები, მეტამორფოზები და შ.

ქ. კუდის სპექტაკლში შეელაფერი შექაბირის მიხედვითაა თავიდან ბოლომ-დე. ტექსტის მიმართ რეჟისორმა დადა კეთილსანდისიერება და კურადღება გამოიჩინა. აქ, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, არ არის კუპირი, შემონახულია სურათების თანმიმდევრობა, თუმცა ზოგიერთი მოქმედი პირი გაერთიანებულია. ესეც ადასტურებს ტექსტისადმი მზრუნველობით დამოკიდებულებას და კიდევ იმას, რომ რეჟისორისათვის შექსპირი — შექსპირია და „სხვა“ არ შეიძლება იყოს. რეჟისორს არ სურ-გადახრა არც „მარცხნივ“ არც „მარჯვნივ“ და სწორედ ამიტომ მისა სპექტაკლი (ბოლოშს ვიხდი გამორებისათვის) ისეთია, როგორც არის და „სხვა“ არ შეიძლება იყოს.

ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს ერთ-გვარი გამოწვევაა. გმოწვევა ბევრი თანამედროვე თეატრისა და რეჟისორებისა, სრული გულგრილობაა მოხალოდნელი საკუდურების მიმართ, იმის გამო, რომ რეჟისურა „არ ჩანს“, დაიკარგა, დაძველდა, „არათანამედროვევა“. აქ რეჟისორის პრიციპის სიმტკიცეა საცნური.

სრულად არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ სპექტაკლი, რომელიც კლასიკური დრამატურგიის მახალის მიხედვით დაიდგა, აუცილებლად უნდა იყოს „სამუშავემო“, ხოლო თვით დრამატურგია — ხელუხლებელი. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად შექსპირის ღრმა გაგებისა, სპექტაკლში მაინც უნდა იგრძნობოდეს დღევანდელი დღისადმი ავტორების დამოკიდებულება.

რეჟისორმა დათო ანდოლულაძემ გაზ. „თბილისის“ კორესპონდენტის შეკითხვაშე სპექტაკლთან დაკავშირებით თქვა: ეს ჩემი თეატრი არ არისო. პროფესიონალებისთვის ახალგაზრდა რეჟისორის აზრი გასაგებია. რა თქმა უნდა, თუ გავითვალისწინეთ თანამედროვე რეჟისურის ძიებანი, მათ შორის ქართული რე-

გისურისაც (ხოლო, შესაძლოა, ქართული რეჟისურისა უპირველეს ყოვლისა), ალბათ, სპექტაკლის დადგმის გადაწყვეტა შეიძლებოდა თავისი სტილისტიკით, გამომსახულობითი ხერხებით, კიმპოზიციით სხვანაირი ყოფილიყო — უფრო დროსთან დაკავშირებული. რა თქმა უნდა, თანამედროვეობა ან არათანამედროვეობა თეატრალურ ხელოვნებაში საბოლოო ჯამში განისაზღვრება არა თამაშის ცალკეული ხერხებით და რეჟისურის მკაფიო გამომგონებლობით, არა ზედაპირული „პარალელებით“ ან „ალუზიებით“, არამედ ს პ ე ქ ტ ა კ ლ ი ს კ რ ნ ც ე ფ ც ი ი თ, რეჟისორის აზ რ თ ვ ნ ე ბ ი თ, მისი მხატვრული, ცხოვრებისეული, მსოფლმხედველობითი პ რ ზ ი ც ი ი თ. და აქ საქმე ის როდია, რომ აუცილებელია ჩვენი და ან-

„ანტონიუსი და კლოპატრა“. ანტონიუსი — თ. მელონეოსუცუკი





ტიკური ხანის ცხოვრების შემთხვევა-  
რება (ღმერითა და მაიფაროს!), საჭირო  
ჰიესა (და სპექტაკლიც) მაყურებლის  
თანამედროვე აზროვნებას მიუვაჩლო-  
ვით, ასოციაციურად ჩვენთვის გასაგე-  
ბად გადავიცითხოთ და გადავითხომოთ  
დრომატულ მასალაში ის, რაც ამ მაყუ-  
რებლის განსაკუთრებით ააღელვებს.  
შექსპირი კი, შესაძლოა, როგორც არც  
ერთი სხვა დრამატურგი, ამ საშუალე-  
ბას გვაძლევს. სპექტაკლს, რომელიც  
შექსპირის მიხედვითაა დაგმული, ყო-  
ველთვის უნდა პქრნდეს ზუსტი მისა-  
მართო.

რასაკვარველია, ეს იმას არ ნიშნავს,  
რომ სპექტაკლის მოქმედება ჩვენს დრო-  
ში უნდა იყოს გადატანილი. სიტყვაშ  
მოიტანა და ახეთი ცდები ჩვენთვის  
ცნობილია. სულ ახლახან რუმინელმა  
რევისორმა ლ. ჩუილეიმბა შექსპირის  
„პამლეტის“ მოქმედება გადმოიტანა  
XIX საუკუნეში, ბისმარკის დროში,  
ხოლო როზენკრანცი და პილდენსტერ-  
ნი პილიციის აგენტებად გადააქცია.

დიახ, შექსპირი ვერ ითმეს უბადრუქ  
გადაწყვეტის და აქ ლაპარაკი ახეთ „ექ-  
სექტრესებზე“ კი არ არის. შემოქმედის  
სული უნდა ამორაკებდეს სპექტაკლის  
მოქმედებას, უნდა შემოიჭრას ჩვენს ცხო-  
ვრებაში, უნდა იყოს თავისებური ხი-  
დი მაყურებლის გულისაკენ. და ჩვენ  
დღეს, როგორც არასოდეს, ველით ამ  
„გრძნეულ გამოძახილს“, რომელსაც  
შექსპირისეულ მაგიასთან შერწყმულს,  
თეატრში ძალუძს სასწაული მოახდი-  
ნოს!

და ამ, რევისორის მიერ შექსპირის  
ტრაგედიის შესანიშნავი გაგების მიუ-  
ხდავდ, მიუხედავდ მაღალპროფესია-  
ონალიზმისა, რომლითაც აღდეჭდილია  
რევისორის ნამუშევარი და მსახიობთ:  
შესანიშნავი ქოროთი (ხიამორენებით მი-  
ნდა აღვნაშნო მსახიობთა ხმებისა და  
მეტყველების მაღალი დონე), მაღალი  
საშემსრულებლო და გაფორმების კულ-  
ტურის მიუხედავდ, მარჯანიშვილების  
სპექტაკლმა ვერ მიაღწია სწორედ ამ  
„გრძნეულ გამოძახილს“. აკი ჰიესაში  
ამის პირობა არსებობს: სისხლიანი, სა-

სტიკი და ულმობელი ბრძოლა დაქორმებულ  
პირებულ ძალებს შორის, ბრძოლა მეღმიც ერთმანეთს ეჯახება ორი სამ-  
ყარო, ორი მსოფლმხედველობა, ორი სა-  
სიცოცხლი პრინციპი, ბრძოლა, რომ-  
ლის შესახებ ძერნარდ შოუ წერდა:  
„ჰკვლელობა ძალებს ჰკვლელობას, და  
უკველვის ამას სხადიან ხამართოის,  
ღირსებისა და მშვიდობისათვის, სახამ  
ღმერთები სისხლისაგან არ დაიღლები-  
ან და არ შექმნიან ადამიანთა ახალ მო-  
დგმას, რომელსაც შეეძლება შეიგნოს,  
რომ ახეთი ცხოვრება შეუძლებელია“  
ლექტორები უკვე დიდი ხანია, რაც და-  
იღლინებს სისხლისღვრისაგან, ეს უეჭვე-  
ლია. მაგრამ ვი, რომ... საქმე ისაა, რომ  
არ იცვლება იმ ადამიანთა მოდგმა, რო-  
მელთაც ამ ჰეშმარიტების გაგება  
ძალუძს...

აი, ის პირები „ხიდისათვის“ ჩვენს  
ცხოვრებაში, ჩვენს სინამდვილეში. და  
შემიძლია ვთქვა, მარჯანიშვილელთა  
სპექტაკლში ახეთ მომენტად ტრიუმვი-  
რატის სცენა გვავლინება. ამ სცენაში  
შევლაფერი უძილერებად დაბატულია,  
აითქმის დანის პირზე გადის. ხმაღლა-  
ხმალ შებმა, ღიმილის, იუმორის, ირო-  
ნიის შებმა, შებმა ურთიერთგაგებისა და  
განცალკევებულისა, ხდობისა და უნ-  
დიბლიობისა, ცდა შეთანხმებისა და შე-  
უძლებლობა ამის მიღწევისა. რაც არ  
უნდა ვთქვათ, სიტუაციის „გამოცინა“,  
ასოციაციების წარმატობა ჩვენთვის,  
ქართველებისათვის გარდაუვალია. მა-  
გრამ ის სცენა და ის აზრი, რომელიც  
შექსპირის და რევისორის მიერ მასში  
ჩადგეულია, შემდგამში თავის გაგრძე-  
ლებას არ პირულობს, ქრება სხვა საუ-  
გატური ხახების პერიპეტიობში და არ  
იღებდება ხაერთო ხადადგმის გადაწყვე-  
ტაში.

მასხლებ, იავის დროზე (შედარები-  
სათვის კი არა, არამედ აზრის ახსნა-გან-  
მარტებისათვის) კახტანგოვის სახ. თე-  
ატრის სცენაზე სპექტაკლი „ნტონიუ-  
სი და კლეოპატრაში“ გადაწყვეტას გა-  
ნახახლვადა ჩვეულებრივი არენა. ამა-  
ში იყო ნაგულისხმები სათანადო აზრი:

რომისდროინდელ არნაშე მიმდინარეობდა გლადიატორების სისხლიანი ბრძოლა, მაგრამ მიხდა აღვნიშნო: ეს იყა გადაწყვეტა, რომელშიც აღიბეჭდა სპექტაკლის სახე. კიდევ ერთი, ჩვენივას უფრო ახლობელი მაგალითია — რიბერტ სტურუას „მეფე ლირი“. სცენა თითქოს დარბაზის გაგრძელებაა (შესაძლებელია, მისი სარკული გამოსახულება). თეატრი თეატრში რეჟისორის აზრი შექსპირის აზრს ემთხვევა: თეატრი ცხოვრებაა.

მარჯანიშვილელთა სპექტაკლის მხატვრული გადაწყვეტა ასეთ განხოგადებას მოკლებულია. და რეჟისორთან ერთად აქ პასუხისმგებელია მხატვარიცარ უნდა დაგვაიწყდეს, რომ საადაგმი გადაწყვეტის საკითხი ერთ-ერთ ცენტრალური საკითხია თეატრის პრაქტიკაში. მასშე ბევრად არის დამოკიდებული სპექტაკლის აუდირება.

რაც შეეხება გაფორმების სხვა მხარეებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მხატვარი შოთა გლურჯიძე გემოვნებით, ცოდნით და კეთილსინდისიერად ქმნის სცენაშე ანტიკური სამყაროს სურათს. ამ აზრს ყველაფერი ემორჩილება. თაღები და სკეტჩები, სარკოფაგები და ტატები, ავეჯი და მდიდრული სამოსელი. რას იზამ, ისტორიული ამ ჩანაფიქრში აუცილებელია და მხატვრის მიერ დაცულია კიდევაც. ორიგენი — რეჟისორი და მხატვარიცა, ისტორიული სიზუსტისაკენ ისწრაფიან.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ რეჟისორმა და მხატვარმა თავიდან აიცოლეს მოქმედების ფრაგმენტულობა, რომელიც სხვათა შორის ამ უზარმაზარ სცენურ მასალაში მოსალოდნელი იყო. ტრაგედიის სურათებისა და მოვლენების სიმრავლე გულისხმობს მოქმედების ადგილების სწრაფ შეცვლას, ერთიანი სცენური გადაწყვეტა უზრუნველყოფს მათ გადასვლას ერთი ადგილიდან მეორეშე. სურათების ცვლა სინათლის მეშვეობით ხდება, ხოლო გაფორმების დეტალები მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებში იცვლება. სტაბილური სცენური დაადგარი სცენურ მოქმედებს სიდიადეს აძლევს,



ქლეოპატრა — გ. გაბურია,  
ანტონიუსი — ო. მელიქიშვილი

რაც თანაბრად ვრცელდება როგორც რომის, ასევე ეგვიპტის სცენებშე.

რეჟისორმა უზარმაზარი მუშაობა ჩაატარა, შეძლო მსუბუქად შესულიყო უცნობ კოლეგეტივში (ერთი საქმეა თეატრის სახვა გასტროლების დროს, მეორე კი ამ თეატრთან შემოქმედებით და სამუშაო კონტაქტების დამყარება), მთელი ძალით გამოავლინა მსახიობების შესაძლებლობები, შესძლო მთავარი — გადალახა ენობრივი ზღურბლი.

სპექტაკლის შექმნის პროცესში კვედს მუშაობაში ერთი უბადლო უპირატესობა პერიოდია: შექსპირის გასაოცარი ცოდნა სწორედ ამან ითამაშა მთავარი როლი კოლეგეტივთან ურთიერთობაში, მხატვრულ სახეებშე მუშაობისას, ქმედითი ხაზების დადგენაში და გზა გაუკაფა მსახიობის გულისქენ. ხოლო კონვენი მათგანი — გამორჩეული ინდივიდუალება და (მიუხედავად თეატრალურ სამყროდან ზოგიერთი „მწერლუკის“ მტკიცებისა) — პიროვნება. მე კარგად ვიცნობ მათ შესაძლებლობებს და ვიცა, რომ მათ შექსპირის ძალა შესწევთ.



მსახიობთა ნამუშევრების ანალიზი კლეოპატრას როლის შემსრულებლის გურანდ გაბუნიათი მინდა დაყიწყო. არ შევပდები თუ ვიტყვი, რომ კლეოპატრას როლი, ისევე როგორც ლედი მაკბეტისა, ერთ-ერთი ურთულესია მსოფლიო ქალთა რეპერტუარში. თავის დროზე დიდი ტრაგიკული მსახიობი აღისა კოონენი, რომელმაც კამერული თეატრის სცენაზე კლეოპატრას სახე შექმნა, წერდა: „დიდი მსახიობებიც კი ვერ ახვრხებდნენ ამ მხატვრული სახის ხორც-შესხმას“. შესაძლოა ეს ნათქვამია, როგორც ნუეგში ბედუეულმართი მსახიობებისათვის, ან როგორც კეთილი შეძახილი შემართებისკენ, მაგრამ, ცხადით თვით მიკარება ამ როლთან, უზომო სიმძიდრით აჯილდოვებს მსახიობებს: და აძლევს მათ გრძნობების მთელ სამყაროს, გრძნობებისა, რომლებიც ჰეშ-მარიტად მიუწედომელია, მნელად ასახსნელი, თითქმის კისმოსური. როლი მოითხოვს მაქსიმალურ ენერგიას, გამოცდილებასა და ოსტატობას.

კლეოპატრა! მას იოლად ვერ მოიხლეობ, ის თითქოს გისხელტება, იკლაპნება, ეხვევა, როგორც ის გველი, რომელიც ასე ადვილად კლავს მას. კლეოპატრა ყოველ წუთს იცვლის თავის სახეს, მისი გრძნობები და მოქმედება გაუთვალისწინებელია და სწორედ ამოტომ ეს სახე უსახლვორ ფანტაზიის საშუალებას იძლევა. ალბათ ამ საშუალებით მწერლებიც სარგებლობდნენ – მათ ნაწარმოებებში კლეოპატრა სხვადასხვა ხასიათით გვევლინება. ბ. შოუსთან, მაგალითად, იგი ჯერ კიდევ ბაჭ-შვა, რომელიც გაოცებული მაყურებლის წინ ვერაგ დედოფლუად და ვეფხვებალად გადაიცევა. შექსპირთან იგი უკვე ჩამოყალიბებული მბრძანებელია, ძალაუფლების, ბატონიბის მოყვარული და მძინარე, გაუწინოსაწორებელი, კნებიანი და ფინიანი ქალი, რომლისთვის სწორედ ვნებები განსაზღვრავნ მის ქეცებს, წარმართავნ ადამიანებისადმა მის სიციარულსა და სიძულევის. და თუ გავისხენგთ რამდენი ლეგნდაა კლეოპატრას სახელთან დაკავშირებუ-

ლი, რამდენი ისტორიული მიმდინარეობის გამოყენების მაშინ მსახიობის წინ მოღვაწეობის ფართო ასპარეზი იშლება – ემიე „მოცე-მულ პირობებში“ შენთვის საჭირო და ახლობელი, ააშენე როლის ქმედითი ხაზები – მსახიობის ფანტაზიას ხომ არა აქეს ზღვარი და არც ლეგნდებს, არც ისტორიულ ექსკურსებს არა აქვთ ამ ფანტაზიის შეზღუდვის საშუალება.

როგორი იყო კლეოპატრა? პასებს მე შეკითხვაზე კოველ ცალკეულ შემთხვევაში თვითონ მსახიობი იძლევა.

უნდა გამოგიტყვდეთ, შიშის გრძნობა დამებადა, როცა გავიგე, გურანდა გაბუნია კლეოპატრაზე მუშაობსო. ვიზიურებ: ნამეტანი დიდი ნახტომია, დიდი, თითქმის მიუწედომელი სიმაღლეა. როგორ მიუახლოვდება შემსრულებელი მას და ბოლოს, სად უნდა ვეძიოთ ჰეშმარიტება?

ჰეშმარიტება კი იმაშია, რომ გურანდა გაბუნიამ ძალზე რთული გზა გაიარა. ამ გზის, ამ ძიებების განსაზღვრა და განმარტება შეიძლება ასე: საკუთარი თავის, საკუთარი მონაცემების დაძლევა. მსახიობის ბიოგრაფიაში ეს არის მოულონებელი და მე ვიტყოდი, გმირული ნახტომი. ბრწყინვალე სახასიათო მსახიობი, აღსავსე უშრეტი იუმორის გრძნობით (და არა მარტო სცენაზე!), მას არასიღეს არ ეშინია სცენაზე სახაცილო, ზოგჯერ კი გროტესკულ გადამეტებებს მიმართოს. იგი უგულვებელყოფს ქალისთვის „არასახარიბიერლი“ მდგომარეობას, არ ეშინია სცენაზე იყოს არაქალური, ულამაზო (გავისხენორ მისი მაგაროვა ა. აფინიკონოვის „შიში“, მას არ აშინებს არავითარი რისკი!

კლეოპატრას როლში მსახიობი თითქოს რეგანში იღებს და ესეც რისკია, რადგანაც საქმე არა მარტო ქალურ სილამაზესა და მომხიბვლელობაშია, არამედ ნაცნობი, ყოფითი კომედიური სიტუაციებიდან თავის დაღწევაში, თანდაცილი იუმორისა და თვალშისაცემი მოურილებელი ქცევისაგან განთავისუფლებაში. მას მერე კი = ჩაძირვა უძირო-

ସଜ୍ଜକର୍ତ୍ତାଙ୍କ ମହିଳାଙ୍କ ପଦାର୍ଥରେ ଉପରେ ଏହାଙ୍କ ଧାରାବନ୍ଦରୁଣ୍ଟବେଳୀ ଗୁରୁତ୍ବ କି କେବଳ ନାମେ ନାହିଁ । ଏହା ନାମଦଵ୍ୱାରାଲ୍ଲାଙ୍କ ରିସକ୍ୟୁଅର ଦ୍ୱାରା ନାମନ୍ଦା ଦ୍ୱାରାବ୍ନାଇ ହେବାକୁ ପରିଚାରିତ କରିଛି ।

თავისი თავის გადალახვის პროცესი  
თანდათან, ამოცანის სირთულის სრუ-  
ლი გათვითუნობიერებით, მიზანდასახუ-  
ლად ვთარღებოდა. ნიჭიერმა მსახიო-  
ბმა შეძლო მთავარი ამოცანის მიღწე-  
ვა: თავისი ჩანაფიქტის ბოლომდე გან-  
ხორციელება. კლეოპატრას როლი სპე-  
ციაკლში აგებულია გარკვეული ლოგი-  
კური მიზანდასახულობით, ლოგიგა კა-  
იმაში მდგომარეობს, რომ მსახიობი  
ცდილობს თანდათანობით, თანმიმდე-  
ვრობით დაძლიოს კლეოპატრას რთუ-  
ლი სცენური სახე. იგთ ცდილობს გამო-  
ავლინოს მისი სულიერი ცვალებადობა,  
რომელიც ზოგჯერ თვალის მიღმა და-  
მაღლული. მაგრამ ამის შესახებ კეკმოლ  
მოგახსენებთ.

სხესა და კლეოპატრაზე” ითქვას. ყოველდღიური  
შემთხვევაში, რეისითორი ჰ. ვედი და  
მსახიობი გ. გაბუნია ამას არ უარყო-  
უენ. გაბუნია-კლეოპატრა არ ბრძლენის  
ცნობებს, არ წარმოგვიდგება ჯოჯოსეთის  
მაშხალად და ვეფხვად გალიაში. მე ჰი-  
რიტიქით მომეჩვნა, რომ ამ კლეოპატრას ა  
ახასიათებს ქალური სისუსტე და იგი  
არა იძღვნად მმართველია, რამდენა-  
დაც უნდა მმართველია და წარმოგ-  
ვიდგეს და გველაფერს აკეთებს თავისი  
უფლებების და ძალის დემონსტრაცი-  
ისათვის. არის ამაში რაღაც ძალატა-  
ნება, მოჩვენებითობა — აი, შემოჩედეთ  
როგორი ვარ და გვშინოდეთ ჩემი! სამა-  
გიეროდ, თავისუფლება და ბუნებრიობა,  
თავს იჩენს იქ, სადაც კლეოპატრა-გა-  
ბუნია გვევლინება, როგორც შეევარებუ-  
ლი, ეშმაკი, მზიარული ანდა ეჭვიანი  
ქალი. მსახიობი ბოლომდე გახსნილია  
და ბოლომდე მართალია თავისი პირა-  
დი გრძნობების გამოვლინებში. მას არ  
სჭირდება სხვებისათვის თავისი სიყ-  
ვარულის და ეჭვიანობის დაბალვა. იგი

၅၌။ — ၆. မွေးလက်ပဲလီ၏။ အနိုင်ကျော်  
— ၇. မြေးလွှာ၏။ တွေ့ဖျော်ပြု၏၊ လာပါလွှာ၏ —  
၈. ဇွာလီ၏။





ეროვნი—ა. ბუაძე, ენობარბოსი—გ. ჩუგუაშვილი, ანტონიუსი — თ. მელვინეთუხუცესი

არ ერიდება არც მსახურებს, არც მეო-  
მრებს, არც თავის მტრებს – ქიასრის  
დესპანებს. განსაკუთრებით შთამბეჭდა-  
ვია სცენა, სადაც კლეოპატრა იყებს ან-  
ტონიუსის ოქტავიაზე ქორწინების ამ-  
ბავს. რისხვა, უნდობლობა იცვლება ეჭ-  
ვით და არანორმალური სურვილით,  
რომ ეს საბედისწერო ცნობა არ გამარ-  
თლდეს. და როცა ეს ვრებათა დელვა  
თავდება ჰქეშმარიტების გაეხით, ჩვენს  
წინაშე რჩება არა დელიფალი, არამედ  
ქალი, ჩვეულებრივი ქალი, რომელიც  
დარღით განადგურებულია და კულმო-  
კლულია, ქალი, რომელიც უბრალოდ  
ადამიანურად, შეიძლება ითქვას, ბავშ-  
ვივით არის თავშარდაცემული ამ უბე-  
დურებით და სურვილი აქვს აქვე, ამ  
წუთს გამოიტიროს ეს ჩვეულებრივი  
ქალური ცრემლით. და იგი ჩამად ტი-  
რის, როგორც იტირებდა ჩვილი ბავშვი,  
რომელსაც დაუნგრიეს ბროლის სახა-  
ლე. შეურაცხეოფილი დელიფლის თავ-  
მოყვარეობა მეორე პლანზეა და ახლა  
ცრემლიდაა სანუგეშოდ. ცრემლი კი  
მისი სევდისა და უსუსურობის მაჩვე-  
ნებელია. დიახ, ეს ეწინააღმდეგება დე-  
ლიფლის ლოგიკას, მაგრამ ეთანხმება  
ქალისას.

თუმცა სასიკედილო გადაწყვეტილებას იგი არა უსუსერობის ან ნისუსტის გამო ღებულობს, სიკედილზე მიღიას ქალი, რომლისთვისაც ანტონიუსის გა-

რეშე სიცოცხლეს ფასი არა აქვს. წენა-  
რი და ამაყი ემშვიდობება გურანდა გა-  
ბუნიას კლეიოპატრა სიცოცხლეს.

ოთარ შედვინეთუბუცესის სივრცის უფრო  
ითლი გამოდგა ანტონიუსის სახის ხო-  
რცებესხმა. პამლეტმა, ოდიოპოსმა, ოტე-  
ლომ, ფიროსმანმა, ჩრინთამ, დათა თუ-  
თაშხამ, გიორგი ორბეგლმა და ბეკრძა-  
სხვა სახემ უკვე დიდი ხანია ამ ღირს-  
შესანიშნავი მსახიობის შემოქმედების  
გმირულ-რომანტიკული, ტრაგიკული  
ხასიათი განსაზღვრეს. ანტონიუსის სა-  
ხე მისთვის მოუღლონდნელი ნატური კი  
არა, მისი შემოქმედებითი ძიებების ლო-  
გიკური განვითარებაა, იმ ძიებებისა,  
რომელთაც ყოველთვის დაბაჟულად და  
სიხარულით ელოდება მაყურებელი.

აღმართ ი. მედვინეოთუხუცესს ოცნების წინ რომ ეთამაშა ანტონიუსი, სულ სხვანაირად წარმოადგენდა მას. უკეთესი იქნებოდა თუ უარესი, ამაზე არ არის საუბარი — ხუთბალიანი სის-ტემით ხომ არ ხდება შემოქმედის შეფასება! იგი უბრალოდ სხვანაირი იქნებოდა: ნაკლებად გამოცდილი, უფრო სწრაფი; ნაკლებ მეუფრ, უფრო გაშემაკებული; ნაკლებად დინჯი, უფრო თავ-შეუკავებელი ან, როგორც პლუტარქე წერდა—დაუდგრომელი, ნაკლებად გონიერადინჯი, უფრო ცოდვილი; ნაკლებად იმპრეზანტური, უფრო ვრებიანი; ნაკლებად „მიწიერი“, უფრო ცეცხლოვანი. ეს



ჩამოთვლა შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგანაც მსახიობის პირადი თვისებები ბევრად განსაზღვრავენ მისი გმირის ხასიათს, მის სცენურ გამოსახულებას. ო. მელეკინეთუხუცესი არ არის გამონაკლისი, მაგრამ ეს „უფრო“ ან „ნაკლებად“ არ ამოწურავენ ჩვენს წარმოდგენას ანტონიუსის შესახებ. ანტონიუსის სახე, როგორც კლეოპატრასი, რთული და ამოუწურავია. ეს ყოველივე ბადებს მაყურებლის მოლოდინის მაქსიმალური შტატის, სახის ჭარბი განზორისების შოლოდინს. შეიძლება გავაკორ რა დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგას მსახიობი. შეიძლება ისიც გავიკორ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში მის ავტორიტეტს. და თუ ჩვენს წინაშეა ისეთი მსახიობი, როგორც მელეკინეთუხუცესია, ნდობა მის მიმართ გადამწყვეტ როლს თამაშობს.

მსახიობის შესრულებაში იმარჯვება არა დეტალების სიუხვე, არამედ არსებითის არჩევა. მსახიობი არ აპატარავებს წვრილმანებით გმირის სახეს, უფრო განზოგადებისაკენ მიისწრაფვის. ემოციების აფეთქებებს ცვლის დინჯი, დარბაისლური სიმშვიდე, ზოგჯერ კი ცივი გულგრილობა და განდგომა. ასეთ

წუთებში გვეჩვენება, რომ ანტონიუსი მეტებულია შექმნილი სიტუაციით და თვითონაც არ უხარია, რომ ჩაბმულია მასში. მაგრამ, შესაძლოა ეს მხოლოდ გვეჩვენება...

ასე თუ ისე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ო. მელეკინეთუხუცესის ანტონიუსი თითქოს თავს იკვებს და ეს ჩუმი, შინაგანი ბრძოლა საკუთარ თავთან, ზოგჯერ ირონიული, მწარე ანდა ოდნავ დამცირავი ღიძილით „ნათლება“ ხოლმე (ხშირად საქუთარი მისამართით). ასეთ წუთებში გმოსჭვივის მასში როგორლაც მოტეხილი, განადგურებული ლომის სახე.

თავის დროზე ცნობილი თეატრმცოდნე გ. ბოაჯიევი წერდა შექსაირის ანტონიუსის „ტრაგიკული მოტეხილობის“ შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ მსახიობისათვის ეს აზრი არ იყო ცნობილი და საერთოდ, არ არის სავალდებული მსახიობისათვის ყველაფრის კათხვა, რაც კი მათ გმირებზე დაწერილი, (კ. მარჯანიშვილმა „პამლეტზე“ მუშაობის პერიოდში უშანგი ჩეხობეს აუკრძალა რაიმე წაეკითხა პამლეტის შესახებ), მაგრამ აქ მსახიობის ინტუიციაში გადკვლია გზა. ანტონიუსის მოტეხილობის ოდნავ შესამჩნევი ნიშნები თა-

#### სცენა სპექტაკლიდან





პომპეუსი — შ. გორგოლაძე,  
ლაპიძეუსი — დ. ლვალიშვილი

ვიდან ბილომდე გასდევს მის სახეს. ეს იგრძნობა კლეოპატრას სცენებში, ტრიუმვირატის სცენებშიც, სადაც ჰიქიო ხელში წყდება ქვევნის ბედი. ეს მოტეხილია იგრძნობა ოქტავიათან სცენაშიც. თვითონ სცენა თითქოს შენელვაზე რიტმში თამაშდება. წყნარი, ლინჯი, თავშეეკავებული და ოდნავ მაყიფი, ირონიული ანტონიუსი (მან კარგად იცის ამ კავშირის ფასი) თითქოსდა აღწევს თავისი „ტყვეობის“ მწვერვალს და შეტანილ რიტმში რომ რჩება, წარმოთქვამს ნაღვლიანად და ძლიერ შესამჩნევი ღიმილით:

...აქ ქორწინებით  
თუმცა მშვიდობა მოვიპოვე,  
სიამოვნება  
აღმოსავლეთში უნდა ვემი.

არა, ეს აღმოჩენა როდია, ეს მისა ჩაფიქრების ლოგიკური დასკვნაა. სევდიანი ღიმილი თითქოს მოწმობა: რა-

შექმნილი გამოვიყურები შექმნილი სიტუაციაში! თითქოს საკუთარ მატერიალი ათხება: ნუთუ მე ვარ ეს, ანტონიუსი?! ეკითხება და არ სჯერა! თითქოს გამოსავალს ეძებს და პოულობს კიდევ. გადაწყვეტილება მიღებულია და ანტონიუსი განთავისუფლებულია სულით, როგორც არწივი, გაღილიდან გამოშვებული, მიჰქრის მყუდრო საგანედან ქარიშხლისაგნ, სიხარულისაგნ და... საკუთარა აღსასრულისაგნ. ამაშია ოთარ მეღვანეოთუხუცესის გმირის ბედის ტრაგიკულ გარღვევალობა. და ეს — შექმნირისეულია, შექმნირთან სრულ თანხმობაშია.

შექმნირთან სრულ თანხმობაშია გადაწყვეტილი ოქტავიანე კეისრის სახეც ნოდარ მგალობლიმენის შესრულებით. თანხმობა არა სახის ტრადიციულობაშია, არამედ, მის მოულოდნელობაში. ეს არის მისი, შესახიობური, გადაწყვეტა. მგალობლიმენის კეისარი არა იმდენად პომებზური და იმპოზანტურია, რამდენადაც გამჭრიანი და ბრძენი, ცივი და დინივი, ირონიული და გესლიანი, ელასტიკური და მოქნილი, რომელიც მშვენიერად ზვდება, რომ მბრძანებლის ცხოვრებაში ძალა კი არ არის გაღამწევეტი, არამედ გონება, აღლო, აზროვნების მოქნილობა.

დიაბ, ჩვენს წინაშეა ჰქვიანი, მოაზროვნე, წინდახედული მმართველი, რომელმაც იცის თავისი თავის ფასი, მას ძალუმს იყოს ბოროტი და თავშეკავებული, თავშეუკავებელი და უდარდელი, მშვიდი და გამჭრიანი, მაგრამ სიბოროტე და თავშეეკავებულობა მუდაშ ცვლიან ერთმანეთს, რადგანაც ამ კეისარს შეუძლია კონტროლი გაუწიოს თავის ქცევებს. მას შეუძლია საჭირო მიმართულება მისცეს თავის გრძნობებს, თავის შეეავებაც ძალუმს. კეისარი-მგალობლიმენი აღვირს ქანის იქ, სადაც ეს საჭიროა, რათა მერე უკეთესად მოემზადოს ნახტომისათვას. კეისარის გამომცდელი, გამჭრიანი, ჰქვიანი მზერა მის შინაგან სულიერ ძალაშე მეტაველებს.

მართალი გიორგიათ, მე; ცოტა არ იყოს, მაწუხადება ის აზრი, რომ მსაგვება ხომ არ იქნება მგალობლიშვილის კეისარისა, და მისივე იაგოს შორის. ასე ემართება ხოლმე მსახიობებს, რომელებიც ბოლომდე „გაითქვიფნებ“ მათ მიერ შესანიშნავდ შესრულებულ როლში, თითქოს შეესისლხორცენ მას. მაგრამ აქ არაური მსაგვები არ მომდარა. ჩვენს წინაშე მსახიობის სრული „გასხვისება“ იაგოსაგან, მან სრულიად ახალი სახე შექმნა.

რასაკვირველია, კეისარი იაგო არ არის, მაგრამ მასაც აქვს მიზეზი შურისათვის. კეისარს აქვს თავისი ანგარიშები ანტონიუსთან და ამ ანგარიშს წორების გზა ხრიკით იკვებება. და განა არ არის ხრიკი, შეტიც — ხაფანგი — ანტონიუსის ოქტავიაზე ქორწინება, რომელიც კეისარმა ანტონიუსს დაუგი? აქ ორმაგი ხაფანგია — ანტონიუსისათვის და კიდევ უფრო კლეოპატრასათვის. 6. მგალობლიშვილის კეისარი ინტრიგების ქსოვის ოსტატია, სწორედ აქ კლინდება მისი ჭეუა და ეშმაკობა. და იგი ტქბება თავისი გამარჯვებებით, ტქბება იმიტომ, რომ ამით აჩვენებს თავის ძალა ორივეზე — ანტონიუსზეც და კლეოპატრაზეც.

დიახ, მგალობლიშვილის კეისარის აწუხებს ყოველივე, რაც კლეოპატრას თანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით ეს იგრძნობა სცენაში, სადაც იგი ტადიასს ეგვიპტეში გზავნის. აი, მან დახარა მზერა, მისი თითები რაღაცას აწვალებენ. იგი აღელვებულია და კერ ფარაეს მას. მოგვიანებით კი, როდესაც ყველაფერი დამთავრდება და რომი გაიმარჯვებს ეგვიპტეზე, კეისარი კიდევ იცვლის სახეს. ახლა მას გამარჯვებულის იერი აქვს, მაგრამ იგი მზად არის გაღანტური თავაზიანობით გამოხატონის, მის მიერ დაცემული კლეოპატრას დედოფლისა და ქალისადმი ყოველგვარი პატივისცემა. და კარგად ჩანს თუ რა სიამოვნებას იღებს იგი ამ მდგომარეობით, გასხივოსნებული, გამარჯვებული. კეისარი თითქოს კეკლუცობს კრდეც ამით, თუმცა ჩაფიქრებული მზერა

და სევდიანი ღიმილი სახეზე შეშრობაშვილია ჰეკვანი და წინდახედული კეისარის მუდმივი „გაორება“ მსახიობის მიერ უფაქიზეს გრძნობათა ზღვარზე გადის. ნიუანსების ამ უნატიფეს დანაწევრებაში, პოლარულად განსხვავებულ გრძნობათა, ემოციათა უსწრაფეს ცელაში, სულის რთულ მოძრაობაში იძალება ოქტავიანე კეისარის ურთულესი სახე. ეს არის, მსახიობის კიდევ ერთი გამარჯვება.

შექსპირის ტრაგედიაში უამრავი მოქმედი პირია და ყოველი მათგანი აღნიშვნის ღირსია, რადგანაც მათ თავიანთი წვდილი შეაქვთ სპექტაკლის მთლიანობის შექმნაში. აღბათ, ეს მოკლე მიმოხილვა იქნება, მაგრამ რეცენზენტს არა აქვს უფლება უფრადდებოდ მოეკიდოს მსახიობის შრომას.

რბილ, აუჩქარებლად წყნარ რიტმში მიპყავს ოქტავიას როლი ნანა ჩიქვინიძეს, მსახიობს, რომელიც ყოველთვის იძყრობდა ჩემს ყურადღებას როლის

ანტონიუსი — ი. შევინეორაუენა





კლეოპატრა — გ. გაბუნია,  
მარდიანი — შ. ეგუშიძი

შესრულების მაღალი კულტურით და გმირის ფიქოლოგიის ღრმად წვდომის უნარით. მქევთრი, მსუე საღებავებით იხატება დავით დვალიშვილის მიერ განსახიერებული დაბილუსის. სახე. თავისუფლად, გაქანებით ქმნის მაღაზ. კორელაციები მომცემის როლს. კლეოპატრას მოახლების ქარმიანასა და ირას როლებში ახალგაზრდა მსახიობები ქეყვენა გეგმისე და ნინაკ გელაშვილი წარმოსდგნენ. მათ თამაშს გულწრფელობა, გულითადობა ახასიათებს. განსაკუთრებით ეს ჩანს ფინალურ, — კლეოპატრას სიკვდილის სცენაში.

ფურადღებას იყერობს ენიბარბოსის როლის შემსრულებლის გივა ჩუგუაშვილის მაფიო, დამაჯერებელი და ემოციური თამაში. ენიბარბოსის სახე — ერთ-ერთი დასამახსოვრებელია სპექტაკლში. დასრულებული და გამოკვეთილია აგრიპას სახეც თემურ კილაძის შესრუ-

ლებით. შესაშური სიზუსტით გაუმჯობესებული ცაელა რეზო ჩხიკვიშვილმა ტადათაძე სახე, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ზემოთ აღნიშნულ სცენაში კლეოპატრასთან. დასამახსოვრებელია დიმიტრი ტატიშვილი დილაბელას როლში.

აღსანიშნავია პატარა როლებში მარლენ ეგუტია (მარდიანი, საჭურისი), ვახტანგ თანდილაშვილი (აღექსასი), ამირან ბუაძე (ეროსი), თემურ ქამხაძე (სკარისი), აკაკი მესაბლიშვილი (მენასი), გაფა გელაშვილი (შიგრიკი).

მინდა აღვნიშნო ერთი მომენტი და ამით ზემოთ თქმულს დავუძრუნდე. სპექტაკლში მსახიობთა ძალების განაწილება, მათი არსებობა სცენურ კოთარებაში განხილულია მხოლოდ მათ მიერ შექმნილი სახეების ჩარჩოებში, ამ სახეების ლოგიკური და მხატვრული გადაწყვეტის მიხედვით. მაგრამ ძალაში რჩება სპექტაკლის მთლიანი, გლობალური გადაწყვეტის საკითხი, სპექტაკლის, როგორც ზემოთ უკვე ითქვა „მისამართი“.

გადამრჩენდად კი ისევ შექსპირა გვევლინება. შექსპირის შესანიშნავი ტექსტი ივანე მაჩაბლის შესანიშნავ თარგმანით მოჰქრის სცენიდან, მას უსმენ, გინდა, რომ უშმინო და რაც მთავარია, გინდა ამოიკითხო რაღაც ისეთი, რაც მიმართულია ჩვენსკენ, ჩვენ დროისკენ.

მაღლობა ღმერთს, ეს უფლება ჯერ არავის წაურთმევია მაყურებლისათვის.

\* \* \*

წარსულთან შეხვედრა „ურიელშიც“ მოხდა.

„ურიელ აკოსტე!“ უნდა გამოგიტყდეთ, შიშის გრძნობა „ურიელზეც“ მქონდა. ავტორის გვრი ხომ გუცკოვია! რაღაც უცნაური გვარია, თანაც რუსული დაბოლოებით!! რესი ხომ არ არის?! მაგრამ არა, აქ შარს ვერ მოსდედ. ყველა სახელმძღვანელოში, ენციკლოპედიაშია და ცნობარებში შავით თეორზე წერია: „გუცკოვი ქარლი ფერდინანდია — გვრმანელი მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი...“

თუმცა მარტო გუცკოვში არ არის



საქშე. მთავარია ის, რომ სპექტაკლია, რომელიც დღეს აღდგენილია, დადგა ვიღაც გავლით ჩამოსულმა რეჟისორმა, გვარად მარჯანიშვილი (უთუოდ რუსაა!!!), რომელმაც ქართული ენა არ იცოდა!!! ეს არის მთავარი, ეს!!! საინტერესოა, ძალიან საინტერესოა, კვარლის მარჯანში რომელ ენაზე დგამდა ეს მარჯანივი თავის პირველ სპექტაკლს ილია ჭავჭავაძის „კაკო-ფაჩალს“. ნუთუ რუსულად? კი მაგრამ, თარგმანი სად იშოვა? თვითონ ხომ არ თარგმნა რუსულ ენაზე? ყვარლელი გლეხები დაეხმარებნ????

„ურიელ აქოსტა“ — მარჯანიშვილის შედევრია, ქართული რეჟისურის შედევრია! სპექტაკლი აღდგენილია დამოუკიდებელი თეატრის სცენაზე (თეატრის ხელმძღვანელი კოტე მახარაძე) სოფია კი ჭიაურელის მიერ. ამ წამოწევებაში მარჯანიშვილის სახ. თეატრის შესანიშვნავი ტრადიციის გაგრძელებაა. თავის დროზე ჩევნი დროის დიდმა მსახიობმა ცერიკო ანჯაფარიძემ გადადგა ეს ნაბიჯი, ახალი შემსრულებლები შეიყვნა სპექტაკლში. ესენი გახლდნენ სოფიკო ჭიაურელი და კოტე მახარაძე. და იყო რაღაც სიმბოლური ამ მონაცემების: დედამ თავისი საყვარელი და შესაძლოა საუკეთესო როლი თავის ქალიშ-

ვილს მიანდო. ქ-ნი ვერიკოს ქალიშვილი დამა კი ამ როლში შემოქმედებითი სიხარული განიცადა.

დღეს მსახიობი სოფიკო ჭიაურელი, როგორც რეჟისორი, დედის შესახიშვანა წამოწევებას აგრძელებს — თავისი როლი ახალგაზრდა მსახიობს ნინო დუმბაძეს გადასცა. კოტე მახარაძეს ურიელი როლში ცელის ახალგაზრდა მსახიობა ზურაბ სტურუა.

თავიდანვე სარისკო კითხვა იძალება: ამ აღდგენით დათვურ სამსახურს ხომ არ ვუწევთ დიდ რეჟისორს, სამოცუნე შეტი წლის შემდეგ რომ ვუძრუნდებით მის გენიალურ ქმნილებას? ხომ არ ქრება სპექტაკლის ცოცხალი სული, უღრუს თუ არა იგი დღეს იმავე ძალით, როგორც მაშინ უდერდა?

ალბათ ეს შეგითხვა ლოგიკას მოკლებული არ არის. ყოველ შემთხვევაში, ამ შეგითხვას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ...

საიდუმლო არ არის, რომ კლასიკაზე სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. კლასიკა ხელუხლებელია, — თვლიან ერთი, მისი ნებისმიერი „ტრანსფორმაცია“ შეუძლებელია. მეორეს მხრივ არსებობს აზრი, რომ კლასიკის უბრალო წაკითხვა არ არის საკმარისი, მას

ოქტავია — ნ. ჩიქეთიძე, ოქტავიანე — ნ. მგალობლიშვილი



ხელახლა გადაკითხვა სჭირდება. ეს ორი თვალსაზრისი თანაარსებობენ და ყოველი შემოქმედი უფლებამოსილია გადაწყვიტოს ეს დილემა თავისი მრწა-მსის მიხედვით.

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ სპექტაკლს, რომლის შესახებ ვმსჯელობთ, — ხელა ხლა არავინ არ დგამს! სპექტაკლს აღდგენენ. ასეთია ამოცანა. ყველაფერი ძეველებურად უნდა დარჩეს. მასში მხოლოდ ახალი შემსრულებლებია ჩაბმული. ამიტომ მიღვომა „ურიელისადმი“ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი.

და აა, ჩვენს წინაშეა მარჯანიშვილის პირმშო. უყურებ მას და ფიქრობ იმაზე თუ როგორ, რა ჯადოსნური ხელითა „აშენებული“ სპექტაკლის „გარკასი“, როგორაა შეთანაბრტყული მისი ქმედითი ხაზები, მოქმედ პირთა როგორ ურთიერთობები, ფერთა და სინათლის გამა, მუსიკა, მსახიობების პლასტიკა, რომელიც დროის, ვერც თაობებისა და შეხედულებათა შეცვლამ ვერ შეგრყია მისი ბურჯი. ვველა კომპონენტის იშვიათ პარმონიაშია სპექტაკლის უკვდავება. ეს პარმონია — პარადოქსულია. ყოფითი თეატრისა და ელემენტარულ სცენური სიმართლის თვალსაზრისით, სპექტაკლი სიმართლეს მოქლებული გრჩენებათ. რუს-შავ-თეთრი გამის მკაცრი

სიდიადე, თეთრი სვეტებისა და კიბურის სადა გრაფიკულობა (რაც გამოიყენებოდა რებით ნათლად იკვეთება შავი ხავერდის ფონზე), შუქის პირობითი მონახაზი, სცენის მოედნის კომპოზიციის ერთგვარი „აბსტრაქტულობა“, სტილიზებული აქტიორული პლასტიკა, მოქმედების რიტმისა და მუსიკის რიტმის მკაფიო ჟულსაცია, ტანსაცმლის ნაკეცები. ყოველივე ეს სპექტაკლის დიდებულ „აბრისს“ ქმნიდა და ქმნის, განსაზღვრავდა და დღესაც განსაზღვრავს მის მშფოთორებული ატმოსფეროს, შინაგან ექსპრესიას (როგორ არ გავიხსენეთ აქ მარჯანიშვილის დიდებული კოლეგბი და თანამოაზრები — მხატვარი პეტრე ოცხელი, კიმპოზიტორი თამარ ვახვახაშვილი, ქორეოგრაფი დავით მაჭავარიანი, მთარგმნელი ვალერიან გაფრინდაშვილი, რომლებიც რეჟისორთან ერთად ქმნიდნენ სპექტაკლის ანსამბლს). ამავე დროს ეს გასაოცარი მარჯანიშვილა სული თეატრალობა მჭიდროდ უახლოედებოდა იმ დიდ, გლობალურ სცენურ სიმართლეს, რაც ცხოვრებისეულ კონფლიქტის არსში რეჟისორის ღრმა წვდომით იქმნებოდა, მოწმობდა პიესის სოციალური პრობლემატიკის მკაფიოდ გააზრებას, ჭეშმარიტად ისტორიულ მიღომას ეპოქისადმი.

ანტონიუსი — ა. მელვინეოუზეისი, პლოვატრა — გაბურია





ირა — ნ. გვლაშვილი, კლეოპატრა — გ. გამტენია, ჟარმიაშვილი — ქ. გაგეშვილი

გასაოცარია, მაგრამ სამოცხე მეტაწლის წინ დაბადებულ სპექტაკლში მონახული აქცენტები, თავისუფლების იდეუბი, ბრძოლა ჭეშმარიტების გამარჯვებისათვის, პროტესტი ტირანიის წინააღმდეგ, დღესაც აქტუალურია ჩვენს ცოდვით სამყაროში და აღლვებს მაყურებელს. და ეს სავსებით ლოგიტრია. სპექტაკლი „ურიელ აკოსტა“ დღესაც თუატრის ყველა კომპონენტის გასაოცარი შეხების ნიმუშია. ამ სინთეზის დასაშლელად დრო უძლური აღმოჩნდა.

შსაბაობების შესრულების შეფასებისას არ დირს შედარებების გზით სიახლი. ასეთი ცდა, როგორც წესი, დადებით შედეგას არ იძლევა, ამიტომ უმჯობესია ობიექტური და დამოუკიდებელი დასკვნების, შეფასებების გაკეთება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მთავარი როლების შემსრულებლები — ნ. დუშბაძე და ზ. სტურუა. მათ თამაშს კულტურობა და განცდების სიმართლე ახასიათებს. საინტერესოა ამ როლების სხეა შემსრულებლების — ეკა ჩხეიძის, რეზო ჩხილივალის და მერაბ ნინიძის ნახა. შესანიშნავმა მსახიობმა ედმერ მაღალაშვილმა დე სილვას შთამბეჭდავი სახე შექმნა. როგორც ყოველთვის, გივი ჩუგუაშვილი აქაც, დე სანტოსის როლშიც, გმირის მკვეთრ და ძარღვიან ხასიათს ქმნის. დრამატიზმითა

და უმოციურობით გამოიჩინა ესთეტის როლში ხოფილი ჭიაურელი. სპინოზას ლირიკული და ნაზი ბუნება გახსნა ნინო ბურღულმა, ხოლო ბერ აკიბას ექსტრავაგანტურ ხასიათს დამაჯერებლად ქმნის ლეი ანთაძე. ხაერთია ამსაბღმა თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს, რევაზ თავართებილაძეს (მანახე), ვალერი კორშიას (რუვიძ), თემურ ქამხაძეს (იოველი), დიმიტრი ხვთისიაშვილს (დე სილვას მსახური, ვანიძე), ვაჟა კვიტაშვილს (მანახეს მსახური).

...წერილი დაწერილია, მაგრამ მას არა აქვს დასახურული. როგორი უნდა იყოს ეს დასახურული? მე არ ვიცი. განა გასაკვირი არ არის, რომ ეს წერილი საურთიდ დაიწერა? მისი წერა დარწყე, როცა ჩვენს ქალაქში დაიწყო ზარბაზნების ქუხილი, სახლის სახურა ზე განუწყვეტლივ ზუზუნებდა ტყვიერი, ქუჩებში კი ჩემი სახლის პირდაპირ იღუპებოდნენ ადამიანები. მე მაიც ვწერდი. ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი იარაღი აქვს. „წარსულში დაბრუნება“ არ გვპირდებოდა უკეთეს მომავალს. არც დღევანდელი დღე იძლევა ამის გარანტიას. ადამიანებში მოქლეს რწმენა, ჩაგვიკლეს სულება. ისევ კლავენ ადამიანებს. გარშემო ბატონობს ლვარძლი და გაუტანლობა. საით მივდივართ? ამ შეკითხვაზე პასუხი არ ჩანს.

# შუა საუკუნეთა ქართული

თეატრალური ხელოვნების მოდერნიზაციის  
თაობის საკითხები

## საკითხები

(პროფ. დ. ჭაველიძის „თეატრმცოდნეობითი  
რიეჩანის“ თაობაზე).

### სამსონ მცირავილი

შუა საუკუნეთა ხანა ქართული თეატრის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო მონაკვეთია. მის ჩაღმავებულ კვლევა-ძიებას შეუძლია გადაგვიშალოს ახალი ფურცლები თეატრალური ხელოვნების ისტორიისა, გაამდიდროს იგი თვალსაჩინო მიღწევებით. ამჯერად თეატრალური ხელოვნებიდან ჩვენს ყურადღებას იყერობს ისეთი საკითხები, როგორიცაა ქართული დრამა მეათე საუკუნისა, თეატრის ძრსებობა XI საუკუნის საქართველოში, მითოლოგიურ-რიტუალური და სანაბონბრივი მოვლენები X—XI საუკუნეებში, რამდენადც ეს პრობლემები ახლა წინ წამოსწიო ქართული სათეატრო მეცნიერების პატიოარქმა დ. ჭანელიძე, ავტორმა „ქართული თეატრის ისტორიის“ კაპიტალური ტრმებისა.

პროფ. დ. ჭანელიძე, მიუხედავად ხანდაზმულობისა, შესაშური ენერგიით განიგრძობს თვის მაღლიანსა და ფართო სამეცნიერო მოღვაწეობას. ბო-

ლო ორი წლის განმავლობაში მან დასტუმბა მრავალი გამოკვლევა, რომელთა უმეტესობა თავს დასტრიალებს სწორედ შეა საუკუნეების ქართული თეატრალური ხელოვნების საკითხებს, მისი პებლიკაციების ცენტრში მოქმედია ამ ეპოქას ქართული თეატრის მრავალფროვანი პრობლემატიკა.

სადღეისოდ ქართული მეცნიერებისათვის ინტერესმოქლებული არ უნდა იყოს, რომ „ცხელ კვალზე“ დავინახოთ ზოგიერთი ამ შრომის მეცნიერული ღრუბლება, როგორ იქცება ამ ვრცელი ეპოქის სათეატრო ისტორიაში ძრსებული არა ერთი „თეატრი ლაქა“, და ამ გზით წამოვაჩინოთ ჩვენი თანამედროვე თეატრმცოდნების ზოგი შრომატება.

1. „თეატროდ მრჩებლთა სოფლიხად“...

დ. ჭანელიძის ბოლო ორი წლის განმავლობაში დასტაბბული შრომებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია „დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანული-



სანი“<sup>1</sup> „გალობათა“ ეს კრემული პირ-ველად განტბა საგანგებო კვლევის ობიექტი თეატრმცრდნებითი პოზიციიდან. ამ პოეტური ქმნილებით. დ. ჯანელიძის დაინტერესებას ნახევარსაუკუნევანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1913 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „რესტავრაციი და „კეფის-ტყაოსანი“ თეატრსა და დრამატურგიაში“ ეხებოდა იგი დავითის ამ ნაწარმოებს<sup>2</sup>, ხოლო შემდეგ მეოთხედი საუკუნის წინ დაბეჭდილ თავის „ქართული თეატრის ისტორიაში“ შეიტანა.<sup>3</sup> ახლა კი სპეციალური საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა და გამოავლინა მასში ჩვენი თეატრის ისტორიისათვის მეტად ძვირფასი ახალი ცნობები.

უნდა იღინდონს, რომ დავით აღმაშენებლის ნაწარმოებს არა ერთი ქართველი მეცნიერი შეხებია. კ. კეკლიძე მას განიხილავდა ავტორის დიდი თეოლოგიური განსწავლულობისა, შისი ცხოვრების ინტიმური მმებებისა და ფილოლოგიურ-ტელიგიური განცდის გამომხატველად<sup>4</sup>. შ. ნუცებიძე გასცდა პირველი ჩარჩოებით შემოფარგვდას და ამ ნაწარმოებს აფასებს ფართო მასშტაბით, იგი მასში ხედავ ხI საუკუნის საქართველოს ძელოლოგიური ვითარების ამსახველ ქმნილებას.<sup>5</sup> დ. ჯანელიძისათვის კი „ამ თზზულებაში საგულისხმო ცნობები მოიპოვება, რაც იმ დროის მხატვრულ-ულტურულ მოძრაობასა და ხახილველის ხელოვნებაზე ჩვენს წარმოდგენის განვითარებისა და განმდიდრების“<sup>6</sup>. აღმართ ჭეშმარიტების ამ უცლილატებთ, თუ ვიტვით, რომ „გალობანი სინაულისანი“ სამიერებები ამ განსახლებებს ითავსებს.

დავით აღმაშენებელი, როგორც უდილესი მხედვართმთავარი და ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე დ. ჯანელიძის განსახილველ ნაშრომში დახასიათებულია „რუს-ულტბისის ძეგლისწერილია“ მოტანილი შემდეგი სიტყვებით: „სახელგანმჭულ ვითაცა ნებრით გმირთა შორის, უბრძოლვილ ვითარცა აქილევ ელონთა შორის... უზრო ვითარცა მაკრანქელ მფლობელთა შორის, ...განმადიდებულ ფლობისა ვითარცა ალუს-

ტოს კეიისართა შორის,... კაცომოყვარება და მას განვითარება... იესუ ღმერთთა შორის, ბუნებით ღმერთი მაღლით ღმერთქმნულთა შორის“.<sup>7</sup>

ციტატის ბოლო ფრაზა იზოთეოსის იდეასაც კი მოიცავს, ე. ი. დავით აღმაშენებლის განდიდება ღვთისსწორობაშეცეც კი სწვდება.

გარდა ამისა, დავით აღმაშენებელი დ. ჯანელიძის შრომაში მართებულად წარმოდგენილია როგორც ქართული წინაარენდესანის ეპოქის უფლასაჩინოების ფიგურა. ეს ის ხნაა, როდესაც გამოცოცხლებას იწყებს ანტიურობა და ძველი ქართული მითოლოგია მისთვის დამახასიათებელი მისტერიებით. ამით არის გაპირობებული, დავითი რომ ერთ-ერთ საგალობელში განაცხადებს: „ელლინთა მიერთ ვერცნობა სიბრძე-თა ლმრთისათამ, ლმრთისა და შემოქმედისაგან შევმნილთა მიმართ ცვალებად თაყუანისცემისა კსრულყავ, რავამს თითოეულისა ვნებისა კერძა ვმსახურე“<sup>8</sup>.

ასეთივე აღსარებაა გამოთქმული დავითის სხვა საგალობელში: „გმირთა სიტოდათა მავალობამ... უფრომასად ვარავალწილე“<sup>9</sup> დ. ჯანელიძის განმარტებით „სილოდა“ ძველ ქართულში ნიშნავს „სახიობას“ — პოეტური სიტყვის, უკავის სიმღერის, საკრავიერი მუსიკის სინთეზირებულ სანახობას, ხოლო „გმირთა სილოდა“ არის სახიობის გმირული შინაარსის უარი. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით „სილოდა“ ყოფილა აგრეთვე სუმრობითი, ზევლვითი ანუ პანტრომიკური და სატრუფიალო სახისა. მაგრამ დავითი უპირატესობას აძლევს საგმირო ხასიათის სილოდას, როგორც წინაარენდესანსული ეპოქის ქართული ესთეტიკური მოძღვრების შესაბამის ეანრს პოეზიაშიც და თეატრალურ ხელოვნებაშიც.

დავითმა რომ საქართველოს ისტორიაში დაიმკვიდრა სამუდამოდ „აღმაშენებლის“ წოდება, ესეც მისი წინაარენდესანსული ხანის დიდი მოღვაწეობის მატურებელია. მის მრავალ ნაშენთა შორის საგანგებოდ უნდა დავისა-



საგალობელშია, სადაც იკითხება: „საკუთრად ლვთისმშობლად გქეადაგებთ, უხრწნელო ქალწულო, და გურზამს, ვითარებდ პატივი ხატისა შენისა შენდამი წიაღ-მოვალს და ლვთისმეტყ-ველთივებრ ცოდვილთა მოქცევის ანიშნებ მის მიერ, ვითარცა ცხად ჰყოფს თეატროდ იგი მრჩობელთა სოფლი-სამ სიკეთე ეგვიპტისა ლირსი მარი-აშ!“<sup>14</sup>

საგალობელში დაცული ეს ცნობა უაღრესად ძვირფასია შეა საუკუნეთა ქართული თეატრის ისტორიისათვის. იგი საშუალებას იძლევა გაირკვეს ამ დროის ხელოვნების რიგი საეითხები. სწორედ მით აისწნება, რომ დ. ჯანელიძე სკრუპულოზურიდ, სიტყვა-სიტყვით იძიებს მას.

პირველ რიგში მკვლევარი განიხილავს ამ საგალობლის მიმართებას კრებულის სტრუქტურასა და მთლიანობასთან. საგალობელში მეფე-პოეტი მიმართავს ლვთისმშობელს: „საექთად ლვთისმშობლად გქეადაგებთ, უხრწნელო ქალწულო.“. ამგვარი მიმართება არის კრებულის საგალობლების ძირითადი, განმსაზღვრელი თემა. მას შეიცავს საგალობელთა დიდი ნაწილი.

ასე, მაგალითად პირველ საგალობელშია: ქალწულო ბრალეუთა „თავ-მდებომ“. მომდევნო საგალობლებშია:

— „ქალწულის დედობრივითა ონითა მიერ... ცხონდენ ცოდვილნი“;

— „ღმერთებ ისნიდეს ბრალთა-გან, რომელთა ლვთისმშობლად ქადა-გონ ჭმიდა ქალწული დედა“;

— იმისთვის ქალწული დედა და შობად ახალი სიტყვისა (იქმნას), რამთა ახალი ხატ-ყოფამ მეორედ მისცეს ცოდვით გამრევნელთა მისთა“;

— „მიწით შობილთა კაცთა ცომ-მასა, ვითარცა ღმრთისა დედად დაპ-სინდეს ქალწული და იოხლეს ცოდ-ვილთა“;

ამგვარად, „გალობანი სინაულისა-ნი“ თავის მთლიანობაში გაჭრებულია ლვთისმშობლისადმი მიმართვის პოეტური ფორმით, სერტონდ, ლვთის-

მშობლის კულტით, რომელიც მომდევნო პოეტურობით სარგებლობდა საქართველოში. ამ პოეტური ფორმით და ძირითადი იდეით მირონცხებულია განსახილვები საგალობელიც. მაშა-სადამე, ეს საგალობელი ნაწარმოების დედააზრის მატარებელია, მისი ორგანული ნაწილია.

ამის შემდეგ დ. ჯანელიძე იკვლევს საგალობლის სტრუქტურულ წყობას და აღნიშნავს: „ეს საგალობელი სმი ნაწილისაგან შედგება. პირველი მიმართვა ლვთისმშობლისადმი და დაბა-სიათება მიმართვისა, სინაულში ჩავარდნილი კაცისა ლვთისმშობლისადმი; მეორე ცნობა ლვთისმშობლის ხატისადმი პატივისა და რწმენა, რომ ეს ცნობა „წიაღ-მოვალს“ მისდამი, ვისაც მიემართება; მესამე — რწმენა, რომ ლვთისმშობელა ცოდვილის მოქცევას ანიშნებს, ისევე როგორც ამას შარმოადგენს („ცხად ჰყოფს“) „თეატროდ იგი მრჩობლთა სოფლისა“ (რევე).

საგალობელში დავით აღმაშენებელი „საექთად“ მოიხსენიებს ლვთისმშობელს, რაც ორი მიხეზით აისწნება: ჯერ ერთი, ის, რომ საქართველო ლვთისმშობლის წილჩერდია; მეორე, იმიტომ, რომ დავითი და, საერთოდ, ბაგრატიონების დინასტია თავითონ წარმომავლობას ებრაულთა ბიბლიურ მეფეს დავითს უკავშირებდნენ, ლვთისმშობელი კი ამავე დავითის შთამომავლად ითვლებოდა.

განსაკუთრებული დაკვირვების საგანს გამოკვლევაში წარმოადგენს ამ საგალობლის სმი სიტყვა „თეატროდ მრჩობლთა სოფლისაა“. ამ სიტყვების ლექსიკური შედგენილობა განსილულია ლექსიკურ-სემანტიკური ისტორიის ფართო ფონზე.

„თეატროდ“ არა ქართული სიტყვა, ის მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან (ტო თეატრო), აქედან შევიღალათონურში — theatrum და გვირცელდა სხვა ენებში, მათ შორის ქართულშიც. ქართულმა რომ ეს სიტყვა ბერძნულიდან შეითვისა და არა ლა-

თინურიდან, ამას დღისტურებს სიტყვის დაბოლოება ო(ნ)-ზე და არა უმზე. დავით აღმაშენებლის დროს ეს სიტყვა იხმარებოდა თეატრო ფორმით დამაბოლოებელი მ-ს მიმატებით, ზოგჯერ თეატრონ ფორმით, ხოლო სულბან-საბა ირჩელიანი მას უკვე ხშირობს თეატრო ფორმით.

ქართულ ენის უძველესი დროიდან-ვე სანახობათა გამომახატველად ჰქონდა საკუთარი, თვითმყოფადი სიტყვა „სახილვალი“. ბერძნულიდან შეთვისებული თეატრო (ნ) და ქართულ სახილვალი გამოიყენებოდა ერთდროულად, ერთმანეთის გვერდით. ამ მაგალითები: „ნუცა თეატრომ ნუცა სახილია რამე სახილველთა“? „მისდევენ მეთეატრონებას“; „რომელმან თეატრომ აღმენა ჭალქესა შინა“; „რომელნი სამქალეოქთა შესლთა ისწავლიან რა, თეატრონიდ აღყუანებოდან“; „თეატრონის მოყვარულა“; „ხილვასა თეატრონსა მომღერალთა და განჩცხომელთა“; „მშუელაობითად, ხუმრიბად სახილდებულთა მათ სახილველთა მათთა“, „სოფლიოთა სახილველთა“ და ა. შ. ეს აღილები მოტანილი და ჯინელის განსახილველი ნაშრომიდან, რომელიც იმაწმებს ტრ. რუბაძის წიგნს<sup>15</sup>. ხანილველ და თეატრო(ნ) აზრობრივად შინარსეულად, როგორც მოელი რიგი მკვლევარები აღნიშნავენ, ერთნაირია, ტოლფასია.

სიტყვა „მრჩობლა“, როგორც ძველი ქართული მწერლობის ძეგლები აღსატურებენ, ნიშნავს ქრმაგა, წყვილს, ორკეც; მაგალითად, ეფრემ გრიგორიან დამოწმებულია „მრჩობლანუმფა“. <sup>16</sup>

სიტყვა „სოფლი“ ძველ ქართულში ნიშნავს ქვეყანას, ხეროს. X—XI საუკუნეების ძეგლებში ის ხშირად ქმნიარება თეატრალურ-სანახობრივი მნიშვნელობის სიტყვებთან კონტაქტში: „სახილია სოფლისა“, „სოფლითა სახილველთა“, „ხმანი მგოსანთა სოფლისანი“, „მსახიობელნი სოფლისანი“ და სხვ.

ასე რომ, „თეატრომ მრჩობლთა“

აღნიშნავს ური მსახიობის, ჟუკოვის მსახიობის თეატრს, ხოლო თეატრისადმი იგი მრჩობლთა სოფლისად“ იხალი ქართულით არის „წყვილი მსახიობის, თრი მსახიობის ხერო თეატრი“. <sup>17</sup>

ასევე გარეველია შესრულებული საქალობლიდან მოტანილი დგილის ბოლო სიტყვები — „სიკეთე ეგვიპტისა ღირსი მარიმ“. მკვლევარის მართებული მოსაზრებით, ეს იმსა უნდა ნიშნავს, რომ X—XII საუკუნეებთა მიწნაზე საქართველოში თეატრომ იგი მრჩობლთა სოფლისად ცხად ჰყოფდა“. ანუ ორი მსახიობის ხერო თეატრი წარმოადგენდა დრამას. ანუ მისტერიულ კომპოზიციას, სადაც მთავარი მოქმედი პირი იყო მარიმ ეგვიპტელი. ეს შესაძლებელი იყო, რადგან ამ დროისათვის ექვთიმე ათონელის მიერ უკვე თარგმნილი იყო სოფრომ იერუსალიმელის (VII ს.) ნაწარმოები „ცხოვრებას მარიამ მეგვიტელისად“. თეატრს შეეძლო ამ თარგმანის მიხედვით შეექმნა მისტერიული კომპოზიცია. ციტატის ბოლო სიტყვების ამგვარი გადების სასარგებლოდ ლაპარიკობს ისიც, რომ აღნიშნული „ცხოვრების“ ყველა კაბინდაში გამოყვანილია ორი მოქმედი პირი: მარიამი და მშობელი, მარიამ მებავი და მისი კლიერტი, მარიამი და ჭაბუკი, მარიამი მებავი და მისი მასნელის ლეთისმშობლის ჩმა, მარიამი მომნაირებელი და ზოსიმე ბერი.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, მკვლევარი მიმართავს აღნიშნული სავარაუდებელი დრამატული კომპოზიციას ასევე პიპოთეტურ რეკონსტრუქციას, რამდენადც ამის შესაძლებლობას იძლევა ექვთიმე ათონელის თარგმანის ტექსტი და მაშინდელი ბიზანტიური და ქართული თეატრის ვითარება.

დრამატული კომპოზიციის პიპეტი ეპიზოდი, პიპეტი სურათი უნდა ყოფილიყო 12 წლის მარიამ შეგვიძელის უთანხმოება მშობლებთან აღექსანდრიაში წასგლასთან დაკავშირებით. მეორე სურათი ალექსანდრიაში მის მედავებას წარმოაჩენდა. ამ სურნის ნათელყოფისათვის დ. ჯანელიძე

ორ წილს ულას მიმართავს: ერთი ერება ქართულ რომელს „გადავარიანის“, სადც იყითხება: „თითო პირთა სახითით შემკობილი (მემგოსნენი და მეჩინგენი) იშყინებედ და თადესმე უბარდები და ზედა მიეჭრებიდ“ (ჟაბუქის) განშიშვლებული და ეტყველ მრავალსა სიტყვასა აღძრვისასა“ შეორე ინალოგია მორინილა ფილორეფული პოემიდან „მოთხოვობა აბუკურასი წამებისათვის მიქელ საბაწმიდელისა“ თრივე ნაწარმოვებ განეცუთხება და ახლოვებით დაიკა ილაშენებლის ხანას. „აბუკურინდან“ ციტირებულია გაბაასება ხალიფის ყოლსა და ბერ-ბელოსას „შორის:“

### „ხეიდა“

ორ, ჰირველო ჰაბუკო,  
ტყე თუ ხარ, გამოგიყიდო  
და სნეული თუ ხარ, განგურნო,  
გლაბაკ თუ ხარ, განგმდიდრო.  
უმთო მეგობარ ჩემდა იყო,  
მე შენ კეთილი გიყო,  
ცარტრება შენდა ვიყო  
და შენ უფროს მრავალთა იყო.  
მიექალე

დედაკო! გნებავს ცხოვრებისა  
ჩემისა აწყუდა  
და მოყასთა ჩემთა მოწყუდა  
და სულისა ჩემისა წარწყმედა.

### „ხეიდა“

უკეთუ არა ბერჩდე გონებითა,  
განვეპრუო გუამი შენი გუემითა  
და განსცდელთა სიმძარტითა  
და გარდარეულთა ტანჯვითა<sup>47</sup>.

„მარიამ მეგვიპტელის სავარაულო  
მესამე სცენა შეიცვალა მარიამის გა-  
ბაასებას იერუსალიმში გასმეგზავრებ-  
ლად გამზადებულ ჰაბუკონა. მეოთხე  
სურათი მოიცავს თვით მარიამის მო-  
ნათხოვობს. მეხუთე ეპიზოდში ნაჩ-  
ენებია მარიამი იერუსალიმის ტა-  
ძართან. მეექვსე სურათში გაძიები-  
ნლი არიან მარიამი და ბერი ზოსი-  
მე, რაც მთავრდება მარიამის სიკ-  
ლილით და ზოსიმეს მიერ მისი. და  
საფლავებით.

სეთია ამ დრამატული კომპოზიცი-

ის საერაულო რეკონსტრუქცია დეილიური განვითარების მოსაზრებით. ამ პიპოთე ზურ მსჯელობაშიც ნათლად მოჩანს მკალევერის ნიჭიერება, მათვილი ინ-  
ტერიცია, დაკვირვების გამსაკუთრე-  
ბული უნარი.

სავისი თეორიის განსამტკიცებლ-  
ად, — ორმ XI საუკუნის საქართველო-  
ში ნამდვილად არსებობდა „თეატრო  
შრჩიბლთა“ — დ. ჯანელიძე კიდევ  
ორ გარემოებს ასახელებს. ერთია ის,  
რომ ქართულმა მესტვირეთა ფოლკ-  
ლორმა ჩვენიმდე შემოიახა „თეატ-  
რო შრჩიბლთას“ დრამატული კომ-  
პონიციების ფრაგმენტები. ასეთია  
„ადამ და ევა“, „იობის ლექსი“, „აბ-  
რამიანი“, „ერისტეს ლექსი“ და სხვ.

შეორე გარემოება ბიზანტიის თეატ-  
რის ისტორიას ებები. ამ სახელმწი-  
ფოში თვით ლოთისმსასურებაც ჭი-  
ტრადიციულად თეატრალური იყო  
მაგრამ, რაც მთავარია, არსებობდა  
ქრისტიანულ-მისტერიალური თეატრი.  
რომლის დრამატურგიის კვალიც მიგ-  
ნებულია და შესწავლილი მრავალ  
ქართველი, რცის და უცხოელი მეც-  
ნიერის მიერ.

ასე რომ, პიპოთე ზურად, სავარაუ-  
ლოდ ჩვენ მიგვაჩნია დრამატული კო-  
მპოზიცია და მისი წარმოდგენილი რე-  
კონსტრუქცია. ამას თვითონ მკალევა-  
რიც არაერთხელ მიუთითებს ნაშრო-  
მში, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავა-  
რია ის, რომ მისი თეორია „თეატრო  
შრჩიბლთა სოფლისამ“ — ს შესახებ  
არის საფლაველიანი, დასაბუთებული და  
მართებული. ჩვენ ეს თეორია ძირი-  
თადი ხახებით წარმოვადგინოთ. ამის  
გარდა გამოკვლევაში ბევრი საინტე-  
რესო პასაკია იღებებდილი, რომლებიც  
კიდევ უფრო დამიჭრებელსა და მი-  
სალებს ხდის აეტორის შესეღულებებს.

ამრიგად, ჩვენს ჭინაშე მშენები, მეცნიერულად დამუშავებული თეო-  
რია, რომლის თანახმად XI საუკუნის  
საქართველოში არსებობდა წყვილი  
მსახიობის ანუ ორი მსახიობის თეატ-  
რი. ეს მიგნება მნაშვნელოვანი შენა-  
ძენია შეუ საუკუნეთა ქართული თე-  
ატრის ისტორიისათვის. ასეთი თეატ-



რის არსებობის გამოვლენა იმის მა-  
უწყებელიცაა; რომ სხვა თეატრალურ-  
სანახობრივი მოვლენებიც იქნებოდა  
მაშინდელ საქართველოში.

## 2. პრობლემა X საუკუნის ქართული დრამისა

მას შემდეგ, რაც დ. ჯანელიძემ და-  
დგინა, რომ XI საუკუნის საქართვე-  
ლოში არსებობდა ორი მსახიობის საე-  
რთო თეატრი, თავისი კელევითი მუშა-  
ობა გადაიტანა X საუკუნის მიმართ,  
თუ რა ვითარება იყო ჩვენში ამ ას-  
წლეულში თეატრალურ-სანახობრი-  
ვი კულტურის განვითარების მხრით.  
ამ ძიებათა შედეგით „დავით აღმაშე-  
ნებლის „გალობანი“ სინათლისანის“  
გამოვჭეულებიდან წელიწადნახევარში,  
სულ ახლახან დასტამბული გამოკვ-  
ლევა ამეათე საუკუნის ქართული  
დრამის საკითხისათვის!“<sup>18</sup>

ამ პუბლიკაციის სახით პროფ. დ.  
ჯანელიძის დამსახურება არის, რომ  
პირველად სპეციალური შესწავლის  
საკუნად აღებულია პრობლემა X საუ-  
კუნის საქართველოში დრამის არსე-  
ბობის თაობაზე.

შრომას ასეთი ქვესათაური ახლავს:  
„თეატრმცოდნეობითი ძიებანი“. ეს  
სავსებით კანონზომიერია; რამეთუ  
ნაშრომი იმის სანიმუშო მაგალითაა,  
თუ როგორ უნდა წარმოვადგეს ლი-  
ტერატურული ქმნილების დამუშავე-  
ბა თეატრმცოდნეობითი თვალთანედ-  
ვით, როგორ უნდა იქნეს გამოყენე-  
ბული მწერლობის ძეგლი თეატრის  
ისტორიისათვის. მიგრამ ეს არაა გა-  
მონაკლისი შემთხვევა დ. ჯანელიძისა-  
თვის. როგორც დავინახეთ, ასეთი  
ქვესათაური ზემოთ განხილულ დავით  
აღმაშენებლის ნაწარმოებისადმი მი-  
ძღვნილ ნაშრომსაც აქვს წამდლვარე-  
ბული. თუმცა, არის ამგვარი ქვესათა-  
ური, თუ არა, ფაქტიურად მისი მრა-  
ვალი პუბლიკაცია იმა თუ იმ მხატვა-  
რული ქმნილების თეატრმცოდნეო-  
ბითს გამოკვლევას წარმოადგენს. ეს  
არის მისი ნაცადი მეთოდი, რომე-

ლიც განსაკუთრებით დომინაციურმასი  
მის ბოლოდროინდელ სამეცნიერო  
მოღვაწეობაში. ქართული თეატრის  
ხალხური საწყისების შესწავლიდან  
ლიტერატურული პროდუქციის თე-  
ატრმცოდნეობითს ტრანსფორმაციამ-  
დე — ასე გვესახება მკვლევარის მეც-  
ნიერული საქმიანობის ძირითადი მა-  
გისტრალური გეზი.

საინტერესოა კვლევა-ძიების ის  
გზა, რომლის საშუალებითაც დ. ჯანე-  
ლიძე დაიღმინა გამოვლინოს ლრამა  
X საუკუნის საქართველოში. ამ ძიე-  
ბის საწყისი წერტილია X საუკუნის ქა-  
რთველი მწერლისა და კომპოზიტორის  
იოანე მინჩხის პოეზია, რომელიც გა-  
მოსცა ლ. ხაჩიძემ 1987 წელს<sup>19</sup>. ამ  
გამოცემას პირველი გამოქმაურა  
სწორედ დ. ჯანელიძე.

იოანე მინჩხის პოეზია არის ის შე-  
მაგროთებელი ხიდი, რომელმაც მკვლე-  
ვარი მიიყვანა ქართული დრამატული  
ნაწარმოების არსებობამდე X ასწლე-  
ულში.

დ. ჯანელიძის შრომა „მეათე საუ-  
კუნის ქართული დრამის საკითხისა-  
თვის“ პირობითად შეიძლება ორ ნა-  
წილად გაიყოს. პირველ ნაწილში შე-  
სწავლილია იოანე მინჩხის შემოქმე-  
დება, ხოლო მეორე ნაწილი ეთმობა  
თვით დრამასთან დაკავშირებულ საკი-  
თხებს.

სკრუპულობზე ანალიზის შედეგად  
დ. ჯანელიძე იოანე მინჩხის ლექსიბ-  
ში გამოვლინა მთელი რიგი მოვლე-  
ნები, რომელთაც გარკვეული მნიშვნე-  
ლობა აქვთ შუა საუკუნეების ქარ-  
თული თეატრის ისტორიისათვის. მა-  
თვან მთავარია შემდეგი:

1. იოანე მინჩხის პოეზიაში მიკვ-  
ლეულია საკრალური, ადათ-წესებისა  
და სანახობრივი, ანუ ვეტორისაც  
სიტყვებით რომ ვთქვათ, „მითოლო-  
გიურ-რიტუალურ-სახიობითი“ დანაშ-  
რევები. მინჩხის ლექსიბში გვექვს ისე-  
თი მითოლოგები, როგორიცა „იქა“,  
„აქა“, „ჭირი“, „ლხინი“ და სხვ. ერთ  
შეხედგით, თითქოსდა ამ უძრავო  
მოვლენაში დ. ჯანელიძე ამინითხავს  
მნიშვნელოვან ფაქტს: „იოანე მინჩხის



საგალობელით, — წერს დ. ჯანელიძე, — ფიქსირებულია, ღოვემენტირებულია უძველესი ქართველური ზღაბრულ-მითოლოგიური ფორმულა. ეს არის ერთ-ერთი ძირის ული ხანის ფოლებრულ-მითოლოგიურის; დამოწმება ქრისტიანულ საგალობელში და იგი ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ასასწლულის ბოლო მეტყველით თარიღდება". მათ მითოლოგიურის მოდელით ავტორი გაიაზრებს კოსმოსურ წყობასაც კი.

ასევე მოძიებულია მითოლოგიური „ტალავერი“, „ვენახი (ვაზი)“ ანუ ზღვე „ხე ცხოვრებისა“, რომლებსაც იმანა მინჩენ არაერთგზის იყენებს ქრისტიანულ საგალობელებში. ასეთია, მაგალითად, სინელ მამათჲ მოსახსენებელი საგალობელი, საჭაც პოეტი ამბობს:

„გიხარღდენ ღმრთისმოყვარენ  
და საღმრთომთა მაღლით

განმტკიცებულნო  
ღრუბელნო,  
საცსენო სულისა წმიდისა  
ცუარითა

და მაგრილებელნო  
საყურძნესა მას  
ქრისტეს  
მოციქულთა დანერგულსა  
სოფელსა შინა,  
თქუენ ხართ სურანი  
სულიერნი ცად აღწევნულნი“.

(ლექსები ციტირებულია დ. ჯანელიძის დასახელებული შრომიდან).

განაზოგადებს რა მსგავს მოვლენებს, დ. ჯანელიძე აღნიშნავს: „შესაუკუნებში ქართული ქრისტიანული გალობათმწერლობა, მიუხედავდა ქქლესიური აქრძალვებისაც შემწყნარებლობას კი არადა, ერთგულებას იჩენდა მამაპაპათქან ჩაანდერძევ ქულტურულ-მხატვრული ტრადიციისადმი და შეჩრდევით მშობლიურ არქეტიცებს წარმოაჩენდა კიდეც სფულებრელთა სიტყვაკაზმულობისათვის, მაგრამ განა ამით ამოიწურებოდა ამის მნიშვნელობა? ყოველივე ამას ერთ-

ვნული თვითშეტეცნების განმტკიცებულებისა და თავისითავობის დამკვიდრებისათვის ჰქონდა უაღრესი მნიშვნელობა“ (იქვე, გვ. 40).

2. იოანე მინჩენის პოეზია, მიუხედავიდ მისი ქრისტიანული მსოფლებელისა და საეკლესიო დაწიშნულებისა, თამამად ეწაფებოდა თეატრალური ხელოვნების ატრიბუტებს. მათ ფაქტს განსაკუთრებულ ღრუბულებას ანიჭებს ავტორი იმ სასტიკი აქრძალვების ფონზე, რომელსაც ეკლესია მიმართავდა. მაგალითად, ცნობილია, რომ ექვთიმე მთაწმიდელის „გალმოქართულებული „მცირე სკულის კანონი“ მეაცად დევნიდა ხალხის დაწაფებას თეატრისადმი, ხელოვნებისადმი: „ყოვლითურთ უკუე უკერო არიან და უწესო ქრისტიანეთათვის სიმღერან და მგოსანი და სახიობანი და ესევითართა მათ ხმათა საეშმაკოთა სმენანი ბარბითებისა და ორალებისა, ევანთა და სტეირთა და წინწილათა და მროკვალთა და მომღერალთა ხედვნი — ესე ყოველივე ქრისტიანეთათვის უკერო არიან“ — განმეორებულია ძეგლში მეტი პრომაგანდისათვის<sup>21</sup>.

მიუხედავიდ ამისა, იოანე მინჩენის საგალობელებში უწვალ არის დასახელებული მუსიკალური ინტრუმენტები, ძნობა და მისთანანი. აქედან გამომდინარე, მეკლევარი დასაკვნის: „იმანე მინჩენის გალობათმწერლობაში ფართოდ არის წარმოჩენილი ძველი ქართველური მითოლოგიურ-ტრიულური არქეტიცები, მთოსური მინიშნებანი, სიმბოლოები, რაც, თავის მხრივ, შეა საუკუნეებში ქრისტიანულ-მისტერიელი თეატრის ასტებობის ვითარებაში, მემკვიდრეობით მონაცელების პრობლემებს წამოჭრიან და მიებას გარკვეული გეზით წარმართვენ“ (იქვე, გვ. 41).

3. მკვლევარის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იოანე მინჩენის ერთი ლექსი „გალობანი წმიდისა გეორგისი“; მასში ისეთი ელემენტებია შემონახული, რომ შეიძლება ის განვიხილოთ როგორც ძვირფასი ცნობა

თეატრის არსებობის შესახებ X საუკუნის საქროველში. ის ეს ადგილიც:

რომელნი ს მ ე ნ ად  
მოხველით სიმხნეთა მათ  
ახოვნისათა  
და გ ა ნ ი ც დ ა დ განსაცდელთა  
მათ,  
აწ ვიზილენთ ძვირ-ძვირად  
გუემანი მისინი  
და მშემუნვარენი ჭულითა,  
ვითარცა მას ყამსა შინა,  
პირთა და ლვაწლთა  
მისთა თ ა ნ ა ხ ა ტ ვექმნეთ".

საგალობელში მოცემული სიტყვები „შენად — განცდად — ვიზილენთ — თანახატ ვექმნეთ“ თავიანთ ერთობლიობაში განეკუთვნებინ თეატრალურ მოვლენას. ამის თაობაზე დ. ჯანელიძე წერს: „მთაგარი და არსებითი სახილელისეული ცნობაა „წმიდისა გეორგისინის“ მისტერიის „ცხალყოფისა“ (წარმოდგენისა) და ბაყურებელთაგან გიორგის „პირთა და ლვაწლთა“ თანაგანცდით, თანაღვომით „თანახატობისა“ (იქვე, გვ. 43).

მაშისადამე, „გალობანი წმიდისა გეორგიისი“ არის არა მხოლოდ პოეტური ნაწარმოები, არამედ ლექსი — მისტერია, რომელიც სცენაზე განხორციელებული, ბაყურებელი მიდის ამ „ცხადყოფის“, ანუ წარმოდგენის „მოსამენად“ და „განცდისათვის“ გიორგის „პირთა და ლვაწლთა“, რომლის „თანახატიც“ ხდება იგი, ბაყურებელი. ასე რომ, მევლევარის გართებული მოსახრებით, საქმე გვაქს „სახილუელის“ (ე. ი. სცენის, ანუ თეატრის), იგივე „ცხადყოფის“, ანუ წარმოდგენის არსებობასთან X საუკუნის საქართველოში.

ამ მიგნებით დ. ჯანელიძე კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომენ კომპეტენტურად, სილმისეულად სწევლობს საკვლევ მასილს, ამ შემთხვევაში პოეზის, და გამოივლენს შუა საუკუნეთა ქართული თეატრის ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენას. მართლაც რომ, მოპოვებულია „იშვიათი და უძირვა-

სესი“, უნიკალური ცნობა შეაცნობება ნეებში ქართული თეატრის არსებობის თაობაზე.

ამ ცნობას განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, ის მოულო ისტორულით წინ უსწრებს ზემოთ განხილულ დავით აღმაშენებლის ბოეტრი უკრებულის ტრაქტორით საგალობელში შემონაბულ მოწმობას, რომ დავითის ტრაქტორის XI საუკუნეში და საქართველოში არსებობდა „თეატრო მრჩობლთა სოფლისა“, ანუ ორი მასინობის საერთო თეატრი. ეს ორი ცნობა, ერთად აღებული, იმის უტავებისად დამატეცებელია, რომ X—XI საუკუნეებში ქართველებს ნამდვილდ ჰქონდათ თეატრი.

სწორედ ითანა ძინჩიშვილი პოეზიაში მიგნებულია ცნობამ შთავავნა მეცნიერი იმ მიმართულებით შეესტევდა წმიდა გიორგიზე შექმნილი პროზაული ნაწარმოებები. ამის შედეგები წარმოდგენილია და ჯანელიძის ნაშრომის მეორე ნაწილში. წმ. გიორგიზე დაწერილ ერთეული პროზაულ ნაწარმოებში მან ამოხსნა დრამატულ კომპოზიცია.

ეს თანხულება „წმიდისა გეორგისნი“ დარი ხანია ცნობილია ქართულ ლიტერატურაში, როგორც პროზაული ნაწარმოები. ის გამოაქვეყნა გ. საბონიშვილიმ თავის ცნობილ კრებულში „საქართველოს სამოთხეში“ გასულ საუკუნეში<sup>22</sup>. მას ცნობის აგრეთვე კ. კიკელიძე, რომელმაც მისი ნაწილი დაუკედა, მაგრამ ისევ პროზაულად<sup>23</sup>. 1989 წლამდე, ნაწარმოები არსებოდა პროზაული სახით და ყურადღებას არაფრით არ იმსახურებდა. და ჯანელიძე თეატრის — ისტორიასის დიდი გამოცდილებით მეცნიერული ინტუიციით, თეატრმცოდნის შინაგანი „ალორთო“, თეით თბილულებაში არსებული მონაცემების საჯუმებელზე გაშეიტა იგი, გააწყოლებს ფორმით და იგი წარმოგვიდგა სრულად ასლებურად — როგორც ტრაქტორის მანივაზი „ალორთო“.

ამის თაობაზე დ. ჯანელიძე აღნიშნავს: „ამ ქმნილების ტალანტობრივი დანართობაში, დარმატისტურ აღსავს მო-

ნოლოგებშია, მოქმედ პირთა შემოსვამ, მოქმედების აღგილის აღწერამ და სასცენო მორთულობის მინისტრების განსაკუთრებული ინტერესი აღძრეს და მისდამი გარევეული მიდგომა გვიკარჩხახს. საკმარისი იყო ამ პროზაულ ტექსტში სალექსო ფორმა ამოგვეცნ და ტექსტი დრამისათვის ჩვეულ ყალიბში მოვაეჭია, რომ ჩვენ მივიღეთ სრულიად სარწმუნო დრამატული კომპოზიცია“ (იქვე, გვ. 44).

ნაწარმოების სრული სათაურია: „აქ მოკვლი წმიდისა გიორგისაგან ბოროტისა ვეშაპისა და განთავისუფლება მეფის სულისა“.

დრამა წმიდა გიორგიზე შედგება საში „საქმისაგან“, ანუ საში მოქმედებისაგან. ტერმინი „საქმე“ ძელ ქართულ წერტლობაში იგივეა, რაც ტერმინი „მოქმედება“ ჩვენს ახალ ლიტერატურაში. პირველ საქმეში, პირველ მოქმედებაში გაღმოცემულია ის დიდი უბედურება, რაც თავს დაატყდა წარმართი მეფის სელინოსის პოლისს ლისის. ამ ქალაქ-სახელმწიფოს წყლით ამარავებდა ტბა, რომელსაც დაეპარტონა საშინელი ვეშაპი. იგი ყოველდღე თავს ესხმოდა ქალაქის მცხოვრებლებს, აწინებდა მათ და დღეში ერთ ახალგაზრდას, ვაჟს ან ქალს, სჭამდა. მოსახლეობა თავზარდაცმულია. ისინი მეფისაგან მოითხოვნ ქმედითს ლონისძიებებს, მეფე მხედრობით ვერაფერს გახდა შევინგარე ვეშაპთან. ამიტომ მან თავის მოქალაქეებს ხელშერილი დაუდო, რომ ისინი ყოველდღე გაიღებდნენ მსხვერპლად თავიათ შეილებს და როცა ჭერი მეფეზე მიდგებდა, ისიც ასევე მოიქცეოდა. ასეც მოხდა. მეფე იძულებულია თავისი ერთადერთი ასული გაგზავნოს ვეშაპის სამსახურებლოდ ტბასთან.

მეორე მოქმედებაში ნაჩვენებია ტბის ნაპირთან მჯდომარე მეფის ქალიშვილთან წმიდა გიორგის შეხვედრა. იგი გააცნობს ამ უკანასკენელს ქვეყანაში შექმნილ ტარგიკულ ვითარებას. წმ. გიორგი ღმერთს ლოცვით შეთხოვს, რომ მოუკლინოს გამარჯვება ვეშაპზე. იგი შეებრძოლება მას და

დამორჩილებს კიდეც. ასულის ტყელგამობმულ ვეშაპს ისინი ქალაქში შეიკვენენ, ყველანი ხედავენ წმ. გიორგის სასწაულს. იგი კლავს ურჩხულს და ქალიშვილს დაუბრუნებს მეფეს.

მესამე „საქმეში“ მოქმედი პირნი არიან წმ. გიორგი და ეშმაკი. გადმოცემულია მათი პავერობა, საოდანაც ჩანს, რომ ეშმაკი არის ბოროტი ძალა, ადამიანის მოდგმის დაუძინებელი მტრი, ხოლო წმ. გიორგი არის კეთილი საწყისი, რომელიც კაცთა დამცეველია, გიორგი ღვთის შეწევნით შეერტონება ეშმაკს და სხადის სასწაულს: გააპონს კლდეს და დამარცხებულ ეშმაკს მასში მოაწყვდეს სამუდამო ტანჯვისათვის.

ამგვარად, დრამა-მისტერიის მთავარი თემა არის წმ. გიორგის სასწაულები და საქმენი საგმირონი. წმ. გიორგი ღდითვანვე უაღრესად პოპულარული ყოფილი საქართველოში, მისი კულტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ძლიერი იყო. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ საქართველოში „არცერთ წმინდანის სახელზე არ არის იმდენი ეკლესია, რომენიც წმინდა გიორგის სახელბაზე“ (ივ. ჯავახიშვილი).

ვასტული ბაგრატიონი აღნიშვნას, რომ ჩვენი ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა: პირველიც საქართველო, მეორედ — იბერია, მესამედ — გეორგია... გეორგიაცა მნენდ მომჰირნებას, მუშაკობასა და ქართველთა ეწოდა (რამეთუ „გეორი“ მუშაკდ ითარგმნება)... ყოველსა იკერსა შინა, რამეთუ არ არის ბორცვი, ანუ მაღალნი კორანი, რომელსა ზედა არ იყოს შენი ეკლესიანი წმიდისა გეორგინია”.

მისტერიის ავტორის შთაგონების წყაროა წმ. გიორგის კულტი. მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველურ-რიტუალურ ტრადიციებთან და უძველეს ეპოსთან, სახელდობრ, ამირანიანთან. მისი ფესვები წარმართულ ხანას სწოდება. უფრო მეტიც. წმ. გიორგის კულტი, დ. ჯანელიძის მოსაზ-

ლოთაც „ადრევე შეუდგინეს საგალობლები სასულიერო მოღვაწეებს“ (მ. ჯანაშვილი, ქართველები და ქართული ენა. გვ. 282). გავისხვენთ, რომ საქართველოში „გალობით მოღვაწეები“ დრომატულ პოზიციას მიეკუთვნებოდა (ითანებ ბატონიშვილი, ხემარსწავლა (ქაღმასობა), ტ. I. 1936, გვ. 313), და ამდღანდ ნიკო დადიანის მიერ გალობათმწერლის არსებ ბუღამაისიმისძის მისტერიების ავტორად მოხსენიება ხრულიად გახაგდი და შესაწყნარებლია.

გალობათმწერლის არსებ ბუღამაისიმისძის ნაწარმოებები მოხსენებულია. ან გამოკვებებული და განხილულია: ანტონ პირველის, იოანე ბაგრატიონის, ნიკ. დადიანის, თ. ქორდანიას, პ. ინგორიშვილის, ს. კაგბაძის, ქ. მემელიძის, ს. უშაბენიშვილის, ლ. მენაბდის, ვ. ნოზაძის, ივ. ლოლაშვილის მიერ.

აყად. კორნელი კეკლიძიმებ თავის მთავარ შრომაში არსებ ბუღამაისიმისებრ მონოგრაფიული ნაკვეთის დირსად ცხონ. არსებ ბუღამაისიმისძე კათალიკონ XIII საუკუნის ოვალსახითი მოღვაწედ, ხაყოფიერ გალობათმწერლად (პიმინიგრაფად) არის წარმოდგენილი. გასქართველ წმინდათა და დღესასწაულთა საღიღებლად საგალობლები შეუთხავს, ასევე მსოფლიო ეკლესიის თემებზედაც. ეს არსებ გალობათმწერლად თამარ მეფის ასულის რუსუდანის მეფობის (1222-1245) თანამედროვეა. კათალიკონად 1220-1240 წლებში ივარიულება („საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1951 წლისათვის“). ეს ის დროა, როდესაც ჯალალ ედინის, მოხლოლების შემოსვები საქართველოს სამეფოს და საფრთხეს უქმნიდა. მის გმრც არის, რომ არსებ ბუღამაისიმისძის დრომატული გალობათმწერლობა მკვეთრად გამოხატული მამულიშვილიბით გამოიჩინა.

გალობათმწერლობა ხმიერ და საქართველო მუსიკასთან, პლასტიკურ გამომსახულობასთან (მიმიკა, უსტიკეულიცია, როკვა) არის დაგავშირებული და ამიტომაც უაღრესად დრომატულია. აკ. როგორც უკვე აღნიშნეთ, ძველ-

თავანე საქართველოში „გალობით მის დექსერობას“ დრამატულ პოეზიად მისმა ნერგების და ამითაც ისხსნება, რომ ნიკო დადიანმა თავის მსმენელებს გაღობათმწერლი არსებ ბუღამაისიმისძი მისტერიათმწერლად — მისტერიების ავტორად წარუდგინა.

ქ. მემელიძის გამოკვლევით, არსებ ბუღამაისიმისძეს შემდეგი საი-ა-კ-უბი შეუთხავს: ხელოუქმნელი ხატიას, წმინდანებისა: შიო მღვიმელის, ნინოსი, გობრონის, ესტატე მცხეთელის და იამბიკი ღვთისმშობლის და სვინაქსარი რამდენიმე თვის საგალობლებით. ქ. მემელიძე ამას კი ჩამოთვლის და იმასაც აღნიშნავს, რომ არსებ ბუღამაისიმისძე პანგირიტი, პიმხოვაფა იყო, მაგრაც არაფერი აქვს ნათებამი ამ გალობათმწერლის მისტერიათა ავტორობაზე (ქ. მემელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1951, ტ. II, გვ. 306-309) მიტომაც ეს საკითხი დაწერილებით, ძირფეხვიან განხილვას ითხოვს.

მისტერია წმიდანის შოთა, პავლე იგოროცვად 1913 წელს თავის წიგნში „სასულიერო მოეზია“ გამოიქვენა არსებ ბუღამაისიმისძის საგალობლელი წმინდას შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი. მოგვევას ერთი ნაკვეთი ამ საგალობლელიდან:

გიცნობ მონაწონა კრეჭული  
მამაო მამათაო,  
და დედა ხიდაბდებია,  
შირად ხიფვარულია  
და ნილად მოუკლებდად.  
ცუკმლა სიხარულია  
მოძღვრად და თავად,  
ჭოველია კეთილთა საუნჯად  
და მასწავლებლად მოგვიგო  
შიო ნეტარი,  
ქართველთა ღიღებათ.

ასეთი სადღესასწაული საგალობლები საჯაროდ, ეკლესიის გარეო, დია ციხ ქვეშ, ზოგჯერ ქალაქებარეთაც კი, ვეღმინდორ-მოედანზე სრულდებოდა. საგალობელი ხალხური სიმღერის ინტონაციებით (მამაო მამათაო... შიო ნეტარო... ქართველთა ღიღებათ) „ამ“ რითმით არის განვითარებული, ამ საგალობლის მისტერიულ განგბას გალობით გვაუწყებს ბასილ კათალიკისა:

დღესასწაულის მოვარეობა.

მოვარეობა. განვაწყოთ

ხორი თი ბრწყინვა და და და

ხური იღიათ და ხიხარებულით

და ვაშვებდეთ ქრებასა ამას

ერობამდე მღდელინი,

მოძღვარობ თანა.

და მორწმუნისა ერისა:

მონაზონთა კრებულით.

ზოგად შე გა მკო თ ჩ ს ე ნ ე ბ ა ი\*

მაშათა ნათლისა შიოთის,

და ვიზარებდეთ

გა დ თ ბ ი თ ა

და ვ ძ ნ თ ბ დ ვ თ,

მ ვ უ ხ ა ლ მ ვ ნ ი ხ ა

დ ა ვ ი თ ი ს თ ა ნ

შ ა ტ გ ვ დ ნ ი.

(გვ. 302,305)



ჭ. ნინო. ტაო-კლარჯეთის ოშეის კათედრალის  
სვეტის ბარელიეფი (X ს.)

წმინდა შიოს საგალობელი მისტერია, საჯაროდ მღვდელმსახუროთა, მღვდელმოძღვართა და „მორწმუნეთა ერის“ ერთაბამობით სრულდება. რასაკვირველია, ამ სახილველში „ხორის“ (მგალობელთა მწყობრის, ქოროს) როლი განსაკუთრებულია, იგი ბრწყინვალედ უნდა იყოს გაწყობილი – საზეიმოდ შემოსილი. მოვიგონოთ, რომ როდესაც გიორგი მთაწმინდელმა მგალობელთა კრებული „ქებისა“ და „ლოცვის“ შესასრულებლად, კონსტიტუციურობის ქალაქებრეთ, ველ-მინდორზე გაიგვანა საჯარო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად, მგალობლები მორთეს და მოკაზმეს წესისამებრ საბეჭურებით (დ. ჯანელიძე, მთაწმინდელები, ჯურ. „ხელოვნება“, 1991, № 1). მორწმუნეთა ერი სამღვდელოებათან ერთად წმინდა შიოს ხევნება-შემკიბით აზიობს, ხარობს. ლექსთექმა „გალობითა ვძნობდეთ მეფსალმუნის დავითის თანაო“ იმას გვაუწყებს, რომ მნობა (ფერხული) გალობით, ხმიერ და საკრავიერ მუსიკაზე აყოლებით, მგალობელ მნობარის (მრგვალის მომღვდელთა) როკვით სრულდებოდა მსგავსად ბიბლიოტერი დავით მეფსალმუნისა. ეს უკვე ნამღვილი მისტერიადა და ამდენად, ნიკო დადათანი სრულიად სანდო და ჭეშმარიტ ცნობას აწვდიდა თავის მსმენლებს, როდესაც არსენ ბულმაისიმისებს მისტერიათმწერლად, მისტერიების ავტორად მოიხსენიებდა.

\* ხაზი კველგან ჩემია. დ. ჯ.

4. „ხელოვნება“ № 3-4, 1992.

მისტერია-გალობა წმიდანისა ნინოანთი. თეატრმცოდნეობით მიღვიმით გამანვალებულ ფურადღებას იქცევს არსენ ბულმაისმისის „გალობა წმინდისა ნინოსი“, რაც სოლომონ ყუბანიშვილმა გამოაქვევნა „მველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის“ პირველ ტომში (1946). ეს საგალობელი გაწყობილია აკროსტიქით: „ქებით უგალობ სასოსა ჩემსა ნინოს არსენი“. ეს საგალობელი მისტერიულია, მისტერიას ნაწილია. ამდენად, მისი მიხედვით, შესაძლებელია რეკონსტრუქცია მისტერიისა და წარმოვადგინოთ შუა საუცნეთა ქართულ-რელიგიურ-ქრისტიანული მისტერია, „ქართლის მოქცევის“ თემაზე.

არსენ ბულმაისმისისეს ამ გალობის ძლისაბირში გალობათმწერალი ქრისტეს შესთხოვს, რომ მისი ბავენი აბიობდეს (ძნობდეს) ნინოს შესმას, წმინდანს მიუძღვნას „მისი ღირსნი სიტყუათა ყუავილი“. გალობის ერთ-ერთ სტროფში ნათქეამია:

„ვლიტანიობდეთ წევნ  
პრისა შენსა,  
ქალწელი  
ქრისტეს ქადაგო  
და ღიღო მოციქული“

ე. ი. მღვდელომსახურნი, მგალობელი, მორწმუნეთა კრებული მიმართავს წმინდა ნინოს: შენს წინაშე შენს საღიძებდა ლიტანიას ვყოფთ, ლიტანიას ვასრულებთ – „ვლიტანიობთ“-ო. ეს სი-



ნბოდილი წვენ თანა  
ქრისტეს ქადაგებასა,  
შევამკიბლეთ ჭაველას.

ტქია გვეხმარება, გვააღვიღებს მისტეკ-  
რიის შესრულების აღგიღის დადგენას,   
რასაც არა მცირედი მნიშვნელობა აქვს  
მისი რეკონსტრუქციისათვის. აქად-  
აკა მანიძის განმარტებით: „ლიტენია საყოველთაო ლოცვა ველესის გარეთ, იმართებოდა, დიდი დღესასწაულების დრის“ (აკ. შანიძე, გორგი მთაწმინდე-  
ლის ენა ოთვანესა და ეფთვიმებს ცხოვ-  
ნების მიხვდვით, 1946, გვ. 111). იდა აბულაძის ძველი ქართული ენის დექ-  
სიკონით: „ლიტენია — სავეღრებული ლოცვა, დამის თევა“. ეკლესიის გარეთ  
ლიტენიობა მისტერიის შესრულების დიდ  
თავისუფლების უქმნიდა, საჯარი დღე-  
ხახვაულობა, ხაბილხი საკლებით და  
საერთო ერობაში მხიარული აზიობა  
ხომ ამისხე იყო ხელშემწყობი. თავი-  
სუფლება გამომსახველ საშუალებათა  
შერჩევასა, დიალოგის შეუზღუდველ მი-  
მართვასა და სამღერელის (ხასცნო და-  
ნადგარის) მოსახერხებელი სახობის  
მოწყობაში მდგრადარეობდა. ამის თაობა-  
ზედაც არსენ ბულმაისიმისძის გაღობა-  
ში პროცესობრ საგულისხმო მინიშნებას:

მოციქული ნინო,  
გვეღლი კრი ქართველთა  
გაძხობა.

და დვითისმობედებაც ასე შეპლადე-  
ბენ: „გიძნობს ერი ქართველთამ, ღმრთი-  
სა დედაო“. აქ გაღობისმიერი მისტერია  
სრულიად საქართველოსთვის საყ-  
ოველთაო ქმედებად-აზიობა-ხაბილად,  
ქობად არის წარმოლგნილი. გა-  
მომსახველ საშუალებად შერჩეუ-  
ლია ძნობა (ფერხული). ეს კა გუ-  
ლიასხმობს გაღობათა დრამატულიასა,  
მთი ერთობლივი ძალისხმევით, ხმიერი  
და საქართვერი მუსიკით, როკვით, შემ-  
მართებელი გაბასება-გაშაირებით. ამ  
მხრივ უერხული შესაძლებლობათა გა-  
მოყენებას ფართო გზას უხსნის. არსენ  
ბულმაისიმისძის გაღობაში ხომ ესეც  
იგალიობება:

ნინოს სხეულია  
სიხარულისა ღირსა არს,  
ხორთო განგრძელო  
მორწმუნეო ქრისტესხმო...

წმინდის ხენ თანა  
ქრისტეს ქადაგებასა,  
შევამკიბლეთ ჭაველას.

წმინდის ხენება სიხარულია, „ხო-  
როსა“ განწყობით, მგაღიტელთა „ხმო-  
ბით“, მირწმუნეთ შებახებით — ერთ-  
დღიური ახალია-ხაბილაბა, ქრისტეს ქა-  
დაგების შემკიბა, ამიტომაც არის მის-  
ტერიია, რაც შეუძლებელი იქნებოდა ეპ-  
ლებიაში და დახამვება. ეკლესიის გა-  
რეთ, ქაღაქ გარეთ, ხაბისრო მინდორ-  
მოედანზე ლია ცის ქვეშ ლიტანიობით,  
დამის თევით. აქ თვით გაღობა შეიძ-  
ლებოდა შეწყობილი ყოფილიყო ხაქრა-  
ვიერ მუხიკასთან, აქი არსენი იხსენი-  
ებს ორლანთს, „ნებტუთ სიტყვისაბა“ (მესტევირებებს). „ხამეფორთ საყვირთა  
ხმობას“ და ბახილ კათალიკოსის საგა-  
ლობლის მიხედვითაც ხომ ძნობა (ფერ-  
ხული) სრულდება „ხაფუალმუნისა და-  
ვითის თანა“. ძველი ქართულით საფ-  
ხალმუნე მაღლებიანი (ხამებიანი) ხაკრა-  
ვია, უძრის ებრაულ „ნობელს“ ან „ნე-  
ბელს“, ბერძნულ „ფალტურიონს“, ლა-  
თინურ psalterium-ს ან organum-ს, ხომურ „ხოვგარიონს“ ან „ხამოსარი-  
ონს“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუ-  
სიკის ისტორიის საკითხები, 1938, გვ.  
138-139). მისტერიიგბი, ისევე როგორც  
დიდ რელიგიურ დღესასწაულებში მეტე  
მონაწილეობდა, ხალხთან ერთად, თავი-  
სი შემოსილი ჯვარმტკირთველით, დრო-  
შით და მეტესიკეთა მწყობრით. აკა XI  
საუკუნის ძეგლი გვაუწყებს დიდი დღე-  
ხახვაულის განცხადების (ნათლიღების)  
განგებას: „განცხადება ვთქვათ — დიდი  
დღესასწაული, და წესი არის რომე მე-  
უე სადაც იყოს, რაც ხულ კაცი ქრის-  
ტიანი, ყოველივე წავა და დიდი დროშა  
ააბან და მონაბათენი წინათ და დროშა  
განაბიძეცა წინა ამართული და მერქე  
ჯვარის მტკირთველი შემოსილი და ძე-  
ლი ცხოვრებისა ხელთა და წყალი აქ-  
ურთხონ ეგრძელ წამოლენ ეკლესიას  
მივა და მენობათენი აღარ სცემენ ნო-  
ბათს და დროშა ეკლესის კარსა დგას  
და მეცე ეკლესის გამოვიდეს და დრო-  
შით წაგა“ (ექვთ. თაყიაშვილი, ხელმწი-  
ფის ქარის გარიგება, 1920, გვ. 2).  
ხობათი (ნობა), ივ. ჯავახიშვილის გამო-

რკვევით, სიხარულის, ზეიძის ქორწილის მაუწყებელი საკრავი იყო. და მენობაოვნა მისტერიებსა და ღლებასწაულებში მუხიკოდიან. (ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის მიწითადი საკოთხები, გვ. 212-213).

არსებ. ბულგარიის მინისტრის ნინოსადმი მიძღვნილ გალობაში თითქოსდა გარდასახვის ისეთ საშუალებაზედაც არის ქარაგმელად მითითება, როგორიც ნიღაბია, იქ მოსხენებულია „უცნობელი... საბურეველი“. მხედველობაში ისიც უნდა იქნებ მიღებული, რაზედაც ჯ. ლაპიანას აქვს აღნიშვნელი, რელიგიურ დრამაში გარდასახვა შკრთლად, არამკეთრად გამოიხატება, უმეტეს წილად სიმბოლურია (ჯ. ლაპიანა, ბიზანტიის თეატრი, „სპექტაკლი“, კებბრიჯი, 1936, № 2; დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, 1965, გვ. 185).

რამდენიმე სიტყვაც სამისტერით  
(სასცენო) ფიცარხაგზე. რაკი მისტერიის  
წარმოდგენას გარს ეხვია დიდადალი  
ხალხი, სამღერელი (სცენა) საბილვე-  
ლად ყველასათვის თვალ-მისაწვდომი,  
ამაღლებული დანადგარი უნდა ყოფილი-  
ყო. ასეთი ამაღლებული სამღერელი  
(სცენა) შეიძლება ერთ აღგიღზე აღ-  
მართულიყო უძრავ ნაგებობად (როგო-  
რიც გამოხატულია ძვ. წ. მეორე ათას-  
წლეულის შუა ხანით დათარიღებულ  
თრიალეოს ვერცხლის სახმისზე), რა  
სახითაც ის დღემდე გამოიყენება სამე-  
გრელობის სახახოა „ნირჩის“ (ნიდლა-  
ვის) გამართვისას; მისტერიულ მხვდე-  
ლობაში მოძრავი სამღერელი შეიძლე-  
ბოდა გამოიყენებით (როგორც, მაგალი-  
თად, სოფელ საბუქის ბერიკაია-ყენო-  
ბაში ახლაც იყენებენ ცხენშებმულ სა-  
ზიდარს). ნინოსადმი მიძღვნილ მისტე-  
რიაში ორთავე ან ერთ-ერთი სახეობა  
იქნებოდა გამოიყენებული (იბ. დ. ჯანე-  
ლიძე, „სახიობა“, 1990, წ. IV, გვ. 40-  
45; მისივე „ქებად და დიდებად ქართუ-  
ლისა ენისა“, ფურნ. „საბჭოთა ხელოვ-  
ნება“, 1989, № 4, გვ. 52).

შისტერია-გალობის რეკონსტრუქ-  
ციის ცდა. ხელთა გვაქვს სავარაუდოე-  
ლი მისტერიას არსენ სელმანიძის ძალის  
საგალობრივნი სინომანი:



ଓଡ଼ିଆ ନିନ୍ଦା

პოეზია). საგალობელის მინიშნებით სავარაუდებელი, შემდეგობითი შემდგომად შეკვრებული და შემოწმებული უნდა იქნეს სახვითი ხელოვნების ძეგლთა მონაცემებთან.

მისტერიის საწყისისათვის პირველი სცენისათვის საგულისხმო მინიშნებას ვპოულობთ საგალობელის შემდეგ სტრუქტური:

აღვემართებით  
შეკ მიერ გამოსხილნი  
პო, ღმრთისმოძღვრო  
რა გამს ხათხო იჩინე  
დედაგაცხა მიერ  
განდანა ჩუნი  
და ემაზითა სრულ-ქმნა  
შეცნიერებად ძიხა შენისა  
ნითოს მიერ ღირსიხა!

ლეთისმშობლის მიერ შთაგონება წმ. ნინოს მიმართ, რომ იგი მოვლენილიყო ქართველთა მოსაქცევად, გალობის ამ სტრუქტურის მიხედვით, სავარაუდებელია რომ იყო მისტერიისათვის საწყისი, პირველი სცენა. პარალელისათვის მიმუშოთებთ, რომ ლეთისმშობლის მიერ შთაგონება ამაზე აღრეულ მისტერიაშიც „მარიამ შეგვიძლებელი“ შეინიშნება (დ. ჯანელიძე, დავით აღმაშენებლის „გალობრიანი სინაულისანი“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1987, № 12, გვ. 130).

არსენ ბულმაისიმისხის ვალობაში ერთად არიან მოსხენებული ნინო, რიფსიმე და გაიანე—ეს კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს გალობა შეთანაბარებული და თანხმობილია იქნებოდა იმ სცენასთან, ხადაც სამთავრი: ნინო, რიფსიმე და გაიანე წარმართო მეფის დილკლეტიანებაგან დევნას განიცდიან, სომხეთში გაიძევებიან და იქ მეფე რიფსიმეს და გაიანეს სიკვდილით დასჯის, ხოლო ნინო „განგვითა ღმერთისათა“ იღტვოდა საქართველოსაკენ. არსენ ბულმაისიმისხის საგალობელში ხათქამია: „გაიანე და რაფსიმე ძლვნად მიუპრენეს ქრისტესა“, ხოლო ქრისტემ „შენ ჩვენთვის დაგმარჩა“, ქარევლებისათვის შეგინახა, დაგიცა და დაგიფარა, დაგმარჩა, როგორც სულიერი განდი.

არსენ ბულმაისიმისხის საგალობელში ხმაშეწყობით ისმოდა:

განვთავისუფლდით  
შემოხველით შენიოთა,  
არძოში შედღა  
ძრწოლა შენისტებითა  
და ზაღენისნი  
უბმარ იქვეყო ხიცბილით.

ე. ი მისტერიიში საგალობლის „ყოველი ხმითა“ წარმოდგენილი იქნებოდა ნინოს მცხეთაში შემოხველა, წმინდანის ლოცვა, არმაზის მთასთან ნინოს ვედრების შეწყნარება, ღვთისაგან არმაზის და ზაღენის კურპთა მეტტეხით დამსხერევა და განაღვეურება.

გალობა ნინოსი სახელებით მიანიშნებს წმინდანის მეურნალობით ხელოვნებასა და სახწაულმოქმედებაზე:

ბნელსა განყარე  
ბნელსა მოხუცეოთა,  
ბრძნესა მუქება  
ბეგახსა კოსტანტინესა,  
პო, ხელვახო შეურნალო  
და მოძღვარო,  
კლიტანობდეთ ჩექნ  
პირსა შენსა ქალწულო  
და ქადაგო  
და დილო მოციქულო.

მისტერიის მთავარი სცენა უნდა ყოვლილიყო „ქართველთა ერნის“ მოქადაგანათლობა და მაშინ „ძლისპირისა კილიასა“ მიხედვით იგალობებოდა:

აწ აღმოხავლისხა  
ემბაზიონ იტვეიან  
ქრისტე,  
შეიმოიჟო ქრისტეს ნათელი  
ნათლის ლებისა.

მისტერია-გალობის დამამთავრებელი სცენა უნდა ყოფილიყო სვეტიაცხოვლის ტაბრის აეგბა და ალბათ, მაშინ იგალობებოდა:

და აღმართებ  
ქრისტეს გალეხიანი,  
კარითხა თანა  
და ხევეტი  
ნაცვლად არმაზ ბილწისა.

ჩევულებისამებრ მისტერია უსადამთავრებულიყო სახწაულის გამოჩენებით. ეს სახწაულის სცენა „ნინოს ცხოვრების“ მიხედვით ასეთ სახილვე-

დად წარმოადგიდგება: გაქრისტიანული ძეგის მირიანის ბრძანებით კვიპარიზი, რომელიც აღმოიერებული იყო „კართხა ზედა უფლისხა“ მოქმედობს და ორა იმ აღიაროს ხადაც მოქმედოთ, არამედ სხვამა ერთკვერძოს ტაძარსა შეამზადეს სულტან და იწყებს აღმართვა, მაგრამ ვერ შეუძლება „... მაშინ დამთ ლოცა ნინოს, ... სახწაულით გამოჩნდა ნათლით მოსილი ჭაბუკი, რომელმაც აღმართა სულტან მეორე დღეს მოვიდა მეულე და ერთ და „ხილა ხილვა საშინელი და ელვარებამ პრეფინგალუ და სეტი ნათლით შემოსილი მცირე-მცირე მივიღოდა და ძირსავე მისსა ზედა დაემყარა“. მეულე და ერთ „ერთობლივად აღიდებდა ღმერთისა ნინოსა და ამიერთაგან იქნებოდა ძალნა და სახწაულნი“ (ს. ყვაბანეშვილი, ძველი ქართული ლატერატურის ქრესტომათია, ტ. I, გვ. 237). ამ სახწაულს ახახეს სხვა საგალობლებიც, რაც იმის ნიშანია, რომ მისტერიაში სხვადასხვა ღრიას გალობათმწერალ-კომპოზიტორების საგალობლები სრულდებოდა ერთი და იმავე სცენის შესატყვისად. ას, ფრაგმენტი ნიკოლოზ გულაბერიძის (XII ს.) გალობისა:

„ხვეტისა წმიდისა  
და ღვთივ ბრწყინვადლისა...  
რომელი ნათლის სულტანია  
და ზეგარებო ქსოილისა  
კვართხა ზედა  
და ელვარე აქრონის  
ცათა მობაძვასა საყდარნა  
და მგალო თე კლო თა  
და მე და და ხან უ და თა  
თვითა განაშვენებს  
და ცისქონის  
და სისარულთა მრნობლისა  
მიანიჭებს  
რომენი კ ე ბ ა ხ ა თ ა ს ე ნ,  
გ ი ხ ა რ თ დ ე ნ  
ს კ ა ტ ი ბ რ გ ი ნ კ ა ლ დ ე რ.

(ა. ნატროშვილი, მცხეთა და მისი ტაბა-  
რი სევტიცხოველი, თბილისი, 1900; გვ.  
103, ს. ყვაბანეშვილის დასახ. წიგნი,  
გვ. 387). ეს საგალობელი იმითაც გამო-  
იჩევა, რომ დაბეჯითებით და უეჭვო  
დამარწმუნებლიბის მთელი ძალით გვა-  
დასტურებს, ნინოს მისტერიის ქარ-  
თულ სახილველში არსებობას; აკი ეს



მცხეთის კათედრალის „სვეტიცხოველი“,  
შემკული გრიგოლ გრეგორიანშვილის  
ფრესკებით (XVII ს.)

გალობათმწერალი მისტერიის „მგალო-  
ბელთა და მედლესასწაულეთა განამშვე-  
ნებს“, მბნობარს, მახიოლებს „რომელ-  
ნი „ებას შეასხამენ სევტიცხოველსა“. ნინოს მისტერიის დამთავრებისას სახწაულის გამოჩენება მართალც როც

„ცისქონისა“ და საარაკო უნდა ყოფი-  
ლიყო. ამგვარი სცენის ასაწყობად ხოუ  
საგანგებოდ განსწავლული ოსტატები ქმედობდნენ, რომელთაც ლათინურად conducteurs secrets (საიდუმლოთა ხელმძღვანელს) უწოდებდნენ. და ალ-  
ბათ, ხწორედ ახეთმა ოსტატმა „განამ-  
შვენა ხილვა საშინელი და ბრწყინვა-  
ლე“. შესაძლებელია იმის წარმოადგენაც.

თუ როგორი უნდა ყოფილიყო წმ. ნინოს მისტერიის პროზაული სიტყვაკანზელო-  
ბა, სიტყვა-მიგბითი ტექსტი, მიემარ-  
თავ ისევ მეთერთმეტე საუკუნით დათა-  
ღებულ „ნინოს ცხოვრებას“ და იქიდან  
მოვიზმობ ერთ-ერთ გაბაასებას.

მოგვიწოდს  
და ტატეპითა წმიდათა  
გასტუმრობს ჩვენ.



წ. ნინოს სასწაულთ-მოქმედება (სვეტო-  
ცხოველის კედლის მხატვრობა)

### ნანა დედოფალი (ნინოს კველება მიმ- კრინალეთ).

ნინო. პო დედოფალი! შეი დედოკაცი ვა  
უშოთ... და არა ძლიშიძე კურნებად, განა თა-  
ვანი ვექ და კქადგებ, რომელი იგი არ და-  
ბადებელი და ვოკერთა და შეურნალი ხელისა  
და ხორცითა და უკეთ თავაზი ხცე მას  
და ღმერთის აღიარო უჟეველად მიემთვით კუ-  
რნებას.

ნანა დედოფალი. უკეთ განვიურნო  
ყოველი იგი დაუტოვო ცორმა და კითარცა  
მძევა შე ვა ვარეთ.

ნინო (იღოცად). უფალი იესო ქრისტე  
ღმერთო ჩენი, რომელმან შეხებითა სახო-  
ლისა შენისაგან განკურნე წილოვნ იგო დედაკა-  
ცი, ვარეთვა მოველინ წელიდა შენი და მაღლი  
შეწევნისა შენისა გარდაგეველინ ჩენ ზედა.

ნანა დედოფალი (კოველითა განკურნე-  
ბული წარავლისა ხახე თვისძლი).

(ს. კუბანენიშვილის დასახ. ქრესტო-  
მათია, გვ. 223).

შეფე რესუდანის მფარველობა მიხ-  
ტერთა-გალობაშე. არსენ ბულმაისიმის-  
ძის საგალობელში ასეთი გალობაც იგა-  
ლობება:

თი,  
მეფობათ ქრისტელთა,  
იხარებლ,  
რამეთუ ნინო დაგადგა შენ  
გვირგვინი ქრისტეს მიერი,  
ზოგადი კრებაი  
ჰყავ ღდეს,  
ნამეთუ მოციქული ჩენი

ამ გალობით ვტყობილობთ, რომ რესუ-  
დან მეფე მფარველობს (მეცნატობს)  
არსენ ბულმაისიმისძის მიხტერთა-გალო-  
ბას, აյმ გალობათმწერალი მეფეს მიმა-  
რთავს: „ზოგად კრებამ ჰყავ ღდეს“. ტტ-  
ყობა რესუდან მეფე თავისი მამილით, დი-  
დი დროშის აბით, შემოსილი ჯვარის-  
მტვირთველის და ხახილის კარის მე-  
ნობათოთა მწყობრით ეხწრებოდა კიდევ  
მისტერიის წარმოდგენას, რაფი მგალი-  
ბლები პირადად მას მიმართავნ. ეს  
არც არის ხაკვირველი, რამდენადაც,  
აღმწერლის ხიტყვით: „მეფეცა რესუდან  
ჩულებათ წესსა ძმისა თვისისა ვიდო-  
და განცხორით და ხილერითა“ (ქარ-  
თლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გა-  
მოც, ტ. II, გვ. 168). ისტორიკოსი ამის  
თქმისას თავისივე ნათქვამს ეყმარება,  
მეფე გიორგი-ლაშა, რესუდან მეფის  
ძმა „იყო ხახილის მოყვარე“ (იქვე გვ.  
156).

უნდა ესეც ითქვას, რომ თუ ამაზე  
ადრე არა. XI საუკუნიდან მაინც სახა-  
ლხო გამომჩენება, სახითა, რელიგიუ-  
რი მისტერია-გალობანი საქართველოში  
სამეფო სახლის მფარველობასა და გამ-  
გებლობაში იმყოფებოდა. XII საუკუნე-  
ში ქართულ სახახილრივ ქულტურას სა-  
თავეში ედგა ვეზირი, ერთ-ერთი დიდე-  
ბულთაგანი ჩუხჩარბის სახელწოდებით  
1189 წელს თამარ მეფის ქორწილი  
არაჩვეულებრივი ზარ-ზეიმურობით გა-  
მოირჩიოდა: „ვინაიდან დედოფალი რე-  
სუდან (თამარ მეფის მამიდა — დ. ჯ.)  
ყოველთა სიბრძნითა ხახე მოქმედე-  
ბდა აქეთ ბაგრატიონი ბაგრატიონთა  
გუარ-ზებითია აწყიბდა რიგთა სახლი-  
სათა და შეუშოთ სუარასნისა და ერაყი-  
ხა სულტანთა სტლობითა გამეცნიერე-  
ბული მუნებურითა სახილითა და შუე-  
ბითა მოქმედებდა... იყო ზმა მგოხან-  
თა და მუშათითა, სახილითა მჭერე-  
ტელნი იყო რაზმთა სიმრავლე და სრულ-  
ქმნა მასა შინა“ („ქართლის ცხოვრე-  
ბა“, ტ. I, გვ. 47; დ ჯანელიძე, სახი-  
ლისა და თეატრი თბილისში XI-XII სა-  
უკუნეებში, „თბილისის ისტორია“, 1990,

ტ. 1, გვ. 154-155). თამარ მეფის ასული რუსედან მეფე რომ თავისი დროის სახითიას და მისტერიას მფარველობდა ეს ბავრატიონთა სამეფო სახლის კედლურულ ტრადიციათა განგრძობად უნდა მივიჩნიოთ.

მისტერიების გამართვაში მოქალაქეთა მხურვალე მონაწილეობდა. დიდი დღესასწაულების, მისტერიების სახალხო გამორჩევნება-სახითიათა გამართვაში ჩაბმული იყვნენ, ზოგჯერ მეთაურობდნენ კიდეც მოქალაქენი, ვაჭარ-ხელოსნები, მაგალითად 1205 წელს, როდესაც თბილისში ქართველთა ძლევამოსილი ლაშქარი დარწნდა „შეეგება მოქალაქენი დიდითა მოქაზმულობითა ქალაქი ტყიდისი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. 11, გვ. 140). მეფე ბაგრატ მეოთხე (1027-1072) ყოველი ღონით ცდილობდა საქართველოს მთლიანობის აღდგენს, ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას. თბილისის მოქალაქეებმა, ვაჭარ-ხელოსნებმა, მათმა თავებიცემა ისარგვბლეს ამირა ჯაფარის გარდაცვალებით და გადაწყვიტეს თბილისი ბაგრატ მეფისათვის ჩაებარებინათ. დიდებული შეხვერდი მოუწვევს თბილისელმა მოქალაქეებმა, ვაჭარ-ხელოსნებმა მეფე ბაგრატ მეოთხეს. „მატიანე ქართლისას“ თხრობით: „ბაგრატ მეფე „წარემართა ტყილისად და მოეგბნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანი დიღმის კელსა და ყოველი ერთ ქვეითი დაკაზული უბმედეულსა და დედათა და მამათა სიმრავლე იყო მოედანს და იყო ხმა ბუკთ და დემბულთა ორერმოვე საშინელი, რომლის ხმითა იძრეოდა ქვეყანა და იყო ხიხარული როკერმოვე განსაკვირვებელი, შეიყვანეს და მოვლეს ქალაქი, ასხმიდენ დრამასა და დრაპენსა და მოართ კლიტენ ქალაქისანი და შეიყვანეს სამიროსა დარბაზსა, დაჯდა მეფე ბაგრატ საურავდა“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, გვ. 299: დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია უმველესი დროიდან XVIII საუკუნემდე, 1965, გვ. 282). მოქალაქეთა მიერ გამართული ასეთი დიდი სადღესასწაულო სასახაობა წარმოდგენის გვიქმის, თუ რა დიდებული ზარ-ზეიმურობით უნდა ჩა-

ტარებულიყო მოქალაქეთა მხურვალე მონაწილეობით განლიდებული „მისტერიებითი რია-გაღლობამ ნინოსას“. იქნებ არსენი, რომ თავის თავს „ქართლის სამეფოს მოქალაქედ“ აცხადებდა (ლ. მენაბედე, ძველი ქართული მწერლობის კერძი, ტ. 1, ნაკვ. 2, ვგ. 537-538) იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ დიდ-ვაჭარ-მოქალაქენა გაღლობამიშერლის იყვნენ მეცენატები, მისი მსხლერიების განხორციელებაში მხურვალე მონაწილეობით.

მტროთ „ძლევაა“-ს ხცენები მისტერია-გაღლობაში, როგორც აღინიშნა, არსენ ბუღმაისიმის წმ. ნინოს მისტერია იმ დროის სან-ზაობრივი ქმნილებაა, როდესაც საქართველო დიდ საფრთხეში იყო მოქადაული ჯაღალ-ედინის და მონცლოლთა ურდების შემოსვევებით. ამის გამო გასაგებია, რომ ზალხის მამულიშვილური აღგზებისათვის მიმართეს ერთვნულ ქრისტიანულ სახიერებას – წმ. ნინოს ცხოვრებას. მისტერიის წარმოდგენას ხელი უნდა შეეწყო ქრისტიანობის დროშის ქვეშ ქართველთა ერთობის განმტკიცებისათვის.

პირველი ქართველი მეფე მირიანი. დეტალი გრ. ცულას ერთს შეიღლის ფრესკიდან



მისტერიაში იგალობებოდა: „ყოველი კრისტენებით გამოიხატა გამოიხატა და ვეღრებით ვემობთ... დასცენ ეშმაკნა მაჭევრებელნი ჩუქენი“. მოციქულთა სწორის წმ. ნინოს მისტერია-გალობის გამულიშვილური დედააზრი სრული სიცხადით გამოხატულია კანონის დამამთავრებელი გალობით:

ისმინჯ ჩვენი ღოცეანი  
ღმრთისშობელი,  
მეოქებითა ღირსიხა  
ნინოსითა  
თანა წარგუხაბერე  
გველნი განხაცელნი  
და მოშადლე ჩვენ  
წვალობამ შენიერი  
და ძღვება მტკრო  
მეტება მცხვერი

ერთ-ერთ მისტერიულ გალობაში მტერი უფრო მეტი დაზუსტებით არის წარმოლენილი:

ვეღრებითა  
ნინო წერარიხათა  
და ბარბაროზი  
დაუშორისილენ  
მორწმუნესა მეუეხა.

მტერთა „ძლევად“, ბარბაროზთა დამარცხება-დამორჩილება მისტერიებასა და დიდ დღესასწაულებში საღამერო-ბატალიური სცენები წარმოლენილი იყო ხოლმე ჭიდაობით ან ცხენისანთა სახაბობით. რომ წარმოვადგინოთ, თუ როგორ წარმოადგენდნენ წმ. ნინოს მისტერია-გალობაში ბატალურ (საღამერო) სცენას, როგორ ხორციელდებოდა ბარბაროზთა ქართველობაგან „ძლევად“ მოვიხმობ უშავის სახალხო გამოჩევებას: „წელიწადს ხატში ხევისბერს მორთავდნენ ხელმწიფელ, გამართავდნენ ჯოხზე სახუმაროდ აღამს, როცა სოფელი სოფელს დაღაშერავდა. ხელმწიფელ გამოეცებოდა აღმით და თავის ამაღლით. სოფელში მისული ვინმე ხნიერი დედაკაცი იქნებოდა. დედაკაცი გამოვიდოდა ფალავანად და ეტყოდა, ჩვენ ყველამ რად უნდა ვიომოთ, გამოიყენეთ თქვენი ხელმწიფე, მე შევებმი, თუ დავამარცხე, ჩვენია გამარჯვება. და თუ ის დამამარცხებოთ, თქვენა ხართ გამარჯვებულიოთ. ხელმწიფე დათანხმდებო-

და და გამოვიდოდა საბრძოლვებულებითაც მაგრამ ყოველთვის დამარცხებდა ტერაზ-კაცი, წააქცევდა. სხვები მივარდებოდნენ, მერე ზოგს ტყვედ დაიჭირდნენ და აღარ უშვებდნენ, სანამ სამფასურს არ მოატანინებდნენ“ (ც. ბარდაველიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მოიანეთის წარმართული სახოგადოებრივ-საქართველო ძეგლები. ტ. 1, უავი, 1974, გვ. 22).

მთიანეთში, რომელმაც თამარის და ლაშას ქულტი წარმართულის სანაცვლოდ შემოიხახა რუსულან შეფის დროს წარმოდგენილი მისტერიისათვის სრულიად შესაფერისი იქნებოდა ამის მსგავსი სცენა: პარალელისათვის შეიძლება მივუთითოთ „ორლეანელი ქალწულას“ ფრანგულ მისტერიაზე.

სახვითი ხელოვნება გვიაღვილებს მისტერიის უფრო ნაოლად წარმოსახვას. ოშეის დიდებული ტაძრის (X ს.) ორნამეტირებულ ხევტზე ხელაყრობილი წმ. ნინო გამოქანდაკებული. ხელმეტველებში „ხელ-აპყრობა“ შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობისა იყოს, მაგრამ ტაძარში გამოხატულნი წმინდანის ხელთ-აპყრობა ღოცვა, ვეღრება ღმრთისადმი. (საბას ღებსიკონი ქართული; ვ. ნიხაძე, ღვთასმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 246). ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოში წმ. ნინოს გამოხატულებით ეს ერთადერთი ბარელიეფია (ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსაქდიცია სამხრეთ საქართველოში (რუსულ უნაზე), 1952, გვ. 52, ტბ. 78, 1). ეს ნაწანდაკევი შევთრად გამოსახული მღლიულის პლასტიკური ქმედებით წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მისტერიი წმ. ნინოს როლის შემსრულებელი არმაზის მთაზე მღლიული, ან სხეულის სასწაულად განკურნების მავეღრებელი, ან სვეტიცხოველის აღმართვისათვის ღვთისა შემწედ მომწოდებელი. აյი ახილდნენ მგალობელნი წმ. ნინოს მიმართ: „აპყრობითა ხელთამათა დაეცნეს ძალნა ეშმაკისანი“.

სახვითი ხელოვნების ძეგლებიდან, რომელიც წარმოდგენას გვიქმნიან მისტერიულ გამოჩევებაზე (ცალკეულ მო-

ქმედთა პლასტიკურ გამოშვანებულბასა, ჩატვირტობასა, ურთიერთ მიმართუბასა, ხაზილველობის კოლორიტსა და ფერთა აქცენტირებაზე) ჩენეს კურადღებას იძყრობს მეჩვიდმეტე საუკუნის ქართველი მხატვრის „გრიგოლ გულჯავარას შვილის ფერწერა, რითაც მცხეთის კათედრალის ტაძრის შინა ნაგებობის „სვეტიცხოველის“ კედლებია შემქული. გრიგოლ გულჯავარასა შვილის მხატვრობა აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მიერ არის შესწავლილი ხელოვნებათმცოდნეობითი ღრმა ანალიზით, სანიმუშო საუკელიანობით. გრიგოლ გულჯავარასა შვილი მიჩნეულია გამოცდილ და დახელოვნებულ ოსტატად, რომელიც მეთაურობდა და ხელმძღვანელობდა მხატვართა გაერთიანებას. გრიგოლ გულჯავარასა შვილი, ვახტანგ ბერიძის სიტყვით, ამჟღავნებს ამბის სურათოვნად მოყოლის სიყვარულს, ამბავს სახანტერესოდ მოვითხრობს, მისი სურათები ცოცხალი მოთხრობის შთაბეჭდილებას ჰქმნიან, მხატვრის მიერ ფიგურების შესრულება აღვლებს ადამიანს თავისი სიფაქიზით. სუფაქიზესი ხაზით ახერხებს მთელი მოძრაობის გადმოცემას,

მის მხატვრობაში, გულმოდგინედ, დაწერილი შესრულების სიყვარული ჩანს, განხორცილების ნაცვლად — ლეტალიზაცია... ამ თავის მანერას მხატვარი მართლაც ოსტატურადა დაუფლებული, წმინდა ტექნიკურ დახელოვნებასთან ერთად მას კარგი გემოვნება და კოლორიტის გარკვეული გრძნობა აქვს (ვახტანგ ბერიძე, მცხეთის კათედრალის „სვეტიცხოველის“ და ქართლის მოქცევის სიუშეტები მის ფრესკებში, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, 1948, ტ. XV-B, გვ. გვ. 149-150, 156-159). გრიგოლ გულჯავარას შვილის მიერ შექმნილი ან მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული კედლის მხატვრობა მნიშვნელოვანწილად გვეხმარება ცხოველსახულად წარმოვიდგინოთ თუ როგორი პლასტიკური გამოშვანელობის იერით ახარებდა მაყურებელს არსენ ბულმაისიმისძის მისტერია — „გაღობა წმ. ნინოსი“ ქართლის მოქცევის სიუშეტერ სცენებში. ეს კედლის მხატვრობა ჩენეს წინაშე აცოცხლებს მისტერიულად გამოშვანელ წმიდა ნინოს, ხელაპყრობით რომ ლოცულობს არმაზის მთაზე, ან სასწაულმოქმედი ხე-

სვეტიცხოველი (XVIII ს. პედურობა). წმ. ნინო, მეცე მირიანი, ანგელოზები, სვეტი და სადონის ცხედარი





მცხეთის „ვარულალის“ სამხრეთი კედლის ფრესკა „ძრობა“ —  
„საღმრთო სასიონით გეადგებთ“

ლის შეხებით რომ განტერნავს სხეულს\*, ან მისი ლოცით. ანგელოზები რომ ამაღლებენ „ხვეტიცხველს“ (იქვე, გვ. 160). შემდგომ სურ 4, 5, 9). სურათები ურთიად მოძავალი ცხენოსნები, ნანა დედოვალი ამაღით და „ნადირობიდან დაბრუნებული ცხენოსანთა ჩვეული — მეფე მირიანი ამაღით“ (იქვე, 160 გვ. შემდგომ სურ. 6, 7) იმის შესაძლებლობაზე ძიგვითებებს, რომ მისტერიაში შედითად მონაწილეობენ ცხენოსანთა აგუშებიც. ურსექველი მშატერიბით წარმოდგენილი სურათი „მირიან მეფე და ქარველთა მონაცემელი ხამლველოვანი“ ვა იმის წარმოდგნას აცოცხლებს, თუ როგორ უნდა ყოფილიყო მისტერიაში ხაერთო და ხაჯდებით იერარქიის წარმოშახველი სცხნა.

მცხეთის კათედრალის კედლის მხატვრიბიდან, რასაკურველია, უნდა მოკისხნათ ტაძრის სამხრეთი კედლის მხატვრიბა, რასაც 50 წლის მანძილზე კავარლები, რომ მისი მინარეთი და დანაშეულება ამოციენთ. ადრე ვფიქრობდა, რომ იგი 148, 149, 150-ე ფსალმების დასურათების წირმოადგენდა (იბ. ჩემი „ქართული ოთატრის ხალხური სა- ისები“, 1948, გვ. 182); ახლა როდე-

\* ასახ განმარტებთ ხელის დაღება მურნალის მიერ სხველის წარენას დაწებას ნაშნებს („ლექსიკონი ქართული“).

საც ეს ფრესკა არსენ ბულმაისიძის მისტერია-გაღლობას შეეუკერქო, არაფერს ხელს არ უნდა უმღიღეს, რომ იგი წმ. ნინოს მისტერიის დასურათებად განვმარტოთ. არსენის მისტერიაში იგაღმობოდა: „ნინოს სადიღებლად „გიძნობ სახოსა ჩემსა, გიძმობს ერთ ქართველთაა“, ან „კლიტანიობო ჩვენ „პირსა შენსა ქალწულო“, ან „ხოროლ განვაწყოთ მორწმუნენო“—და ფრესკაზე ხომ ქალთა ფერხულია გამოხატული ძალებიან, საცემელ და ჩახადერ ხაკრავებზე დამკრელთა დასხებით, ეს მგაღლებელ-მროკველი ფეხული წმ. ნინოს სადიღებელი შესხმა ქება-ლიღებაც შეიძლება იყოს, ფსალმების, სამიას და ძველ ბერძეს დრამატურგთა კომედიების და ტრაგედიების ოქროს-ხმად ძნობის (ქოროების), დასურათებადაც. ამაზე მეტველებს მხატვრიბის ქართული კალო, გამოხატული მგაღლებელ-მროკვალ მფერხულეთა ჩატულობაც და ცვეკის იერიც.

ხახვითი ხეღლვნების ძეგლებიდან ჭედურიბაც უნდა მოვახმოთ. „ხვეტიცხველს“ ჩრდილოეთ მხრიდან მიმაგრებული აქვს ნიგვზის ხის კარელი, რომელიც შემული ვერცხლის ჭედურობით, მასზე გამოკეთილია კვიპაროსის ხევტი და ხუთი ფიგურა, ქვემოთ მართლმორწმუნე სიღრინიას გვამი საფლავში, მასზე აღმართულია კვიპარო-

სის სკოლი, რომელის წევერი ანგელოზებს უჰირავს. სკოლის აქეთ-იქეთ, მარჯვნივ წმ. ნინოა, მარცხნივ ქართველი პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი, ორთვე შარავანდედიანია, ასომთავრული წარწერით „წმ. ნინო“, „მეფე მირიანი“, სულ ქვევით ასომთავრული წარწერა გვამცნობს, რომ ეს ჰქელურობა შექმნილია პატრიარქის, მეფის ძის ანტონის დაქვეთით (ა. ნატროშვილი, მცხეთა და მისი ტაძარი სკელიცხოველი, თბ. 1900, გვ. 103-104). ეს ჰქელურობაც გაშველის და გვეხმარება, რათა ცოცხლად წარმოვიდგინოთ წმ. ნინო და მეფე მირიანი სკელიცხოვლის აღმართვის სცენაში სკელისაკენ ხელებმიპყრობით მღლცველთა პოზაში.

რაც შეეხება ამ მისტერიის ფუძესა-ხილველისეულს, მითოლოგიურ-რიტუალურ ასპექტს, ეს ცალკე თემაა და ივი შემდგომით შემდგომად არის გახარ-ცვევა.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ არსენ ბულმაისიძის „გალობაც წმ. ნინომას“ არის XIII საუკუნის მისტერიის გალობანი და მისი მიხედვით, დამწერლობით და სახვით ძეგლებთან შეკერებით, შესაძლებელი შეიქმნა წარმოგვედინა შუა საუკუნეთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული ქრისტიანული მისტერიის რეკონსტრუქცია.

დასასრულ მინდა ვთქვა, რომ ეს ნარკევი იხეთ დღებსა და ვითარებაში იწერებოდა, რომ უპრიანი იქნება იგი დავამთავრო ნიკო მარის მიერ სინა მთის მონასტრის X საუკუნის ქართული ხელნაწერიდან ამოწერილი ლოცვით (ნ. მარი, სინას მთის მონასტრის ქართულ წარწერათა აღწერილობა, ი. მეგრულის გამოც. გვ. 85):

ქართლის შშვილობისა,  
ხალგარისა გრჩებისა,  
შევეთა და მთავართა დაწვნარებისა,  
მტერთა გარემიქვევისა,  
ტევეთა მოქცევისა,  
გამთა დაწვნარებისა  
ქრისტიანობის დაქვიდრებისათვის  
უფლის მიძართ ვილოცოთ.

1991 წლის დეკემბერი  
1992 წლის იანვარი

## „რასმუს, პონტუს

### „ვდე კომპანი!“

ციცრია ცუცილაშვილი

08 ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა საქართველოში, თბილისშიც გვარიანად ჩამობარდნა. ასე ლამაზი ზამთარი: ფანჯრის შეჭირულულ მინები, ბამბის-ქულიანი სახურავები, თეთრად დაპენ-ტილი, თოვლის სიმძიმით დატრილი ხის ტოტები, შემცირნული გულწითელა ბელურები ჩემს ქალაქში მხოლოდ ბავშვებისდროინდელი წიგნებიდან მან-სოვდა, და თითქოს წამით დამიბრუნდა ბავშვობა. მხოლოდ ერთი ამ გაბ-ლდათ გულდასაწყვეტის: ნანგრევა თო-ვლმა თბილისში უბავშვებოდ ჩაიარა და გაქრა. ველარ ნახვდით პარებსა და ეზოებში დადგმულ სასაცილო მუ-ცელგამბერილ სტაფილცხვირა და ვეღრო-ქუდა თოვლის ბაბუებს, ვერც ციგებით მოსრიალე ყინვისაგნ ლო-უებდასუსტულ გოგობიჭებს და საგულ-დაგულლ ჩამალულ „სნაიპერებს“ გუნდების მოზრდილი გროვით... —



მომეჩვენა თითქოს ბავშვები წაგიდნენ  
თბილისიდა... ჩემი თოვლიანი თბილისი,  
დაცარიელებულ ქვეყნიერებას  
დაემსაგასა და შეძენიდა, რაღან წარმოვიდგინე,  
რა საშინელება იქნება,  
რომ ერთ შვენიერ დღეს დედამიწაზე  
მხოლოდ უფროსები დავტჩები.  
ჩენ კი ათას საფიქრალა და საზრუნავში ჩა-  
ფლულნი შეუსვენებლივ მივაჭინებოთ  
წუთისოფლის ერთს და სულ უფრო  
იშვიათად გვახსნდებიან წითელქუდა,  
წიქარა, კონკია, ნაცარქევია. არადა  
ასეთ რთულსა და დაბაბულ დროში,  
როცა აგრერიტად აირია ცოდვა-მაღლის  
საწყაო, როცა „მხოლოდ სიკვდილია მგოსანთ სითამაზე“ (გ. ტაბიძე),  
ბავშვობა ის „შორეული ცისფერი ნა-  
პირია“, რომლისკენაც დღეს, როგორც  
არასდროს, უნდა მიიღოვოდეს „აქოთ-  
ქოთებული ქვეყნიერება“.

ქართულ თეატრშიც დავივიწყეთ  
(თუმცა საერთოდ ქართული თეატრი  
დავივიწყეთ!) პატარები და დიდი ხა-  
ნია ისტორიას ჩაბარდა საბავშვი სპექ-  
ტაკლებისა და მოზარდთათვის განკუთ-  
ვნილი დილის წარმოდგენების შესანი-  
შნავი ტრადიცია. არადა ბავშვზე უფ-  
რო მინწობი, ერთგული, გულწრფელი  
და ემოციური მაყურებელი ნამდვილად  
ძნელად მოიპოვება დედამიწის ზურგზე.  
იქნებ მაღალფარდოვნად უღრს, მაგ-  
რამ თეატრს რომ უდიდესი მისია აკი-  
რია პატარების სულის, მათ პიროვნე-  
ბის ჩამოყალიბების საქმეში, ვფიქრობ,  
დავის არ უნდა იწვევდეს. და კიდევ,—  
თეატრმა დღეს უნდა აზიარდოს თა-  
ვისი ხვალინდელი მაყურებელი, თე-  
ატრში სიარული და მშვენიერებასთან  
შეხვედრა მოზარდს მოთხოვნილებად  
უნდა ექცეს და თუ თეატრიც კეშა-  
რიტ ხელოვნებას აზიარებს მაყურე-  
ბელს, საზოგადოება ბევრად უფრო კე-  
თილშობილი, სათხო და მიმტევებელი  
გათდება.

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის  
სახელმწიფო დრამატულ თეატრს მა-  
ყურებელი არასოდეს კლებია, მაგრამ  
გულწრფელად უნდა ვაითაროთ, რომ  
ასე ამაღლებელი ანშლაგი კარგა ხა-  
ნია დედაქალქის თეატრებშიც არ მე-

ნახა: სპექტაკლის მრავალრიცხვოვან  
ყურებელთა შორის, განსაკუთრებულ  
პატარა თელაველების გაძრწყინებულ  
თვალებს რომ ვუკრებდი, მეც ბავშ-  
ვური აღტაცება და სიანცე მიძყობ-  
და; მინდობდა, რომ იმ წუთებში უვე-  
ლა უფროსს მონატრებოდა ბავშვობა  
და განეცადა მისი დაკარგვით მოგვრი-  
ლი სევდა და ტეკილი.

თელავის თეატრში ნამდვილი დღე-  
სასწაული სუფერდა — მის აუცერტუ-  
არში საბავშვო სპექტაკლი — შესანიშ-  
ნავი შევდი მეზღაპრის ასტრიდ ლინდ-  
გრენის ორმოქმედებიანი კომედია-  
დეტექტივი „რასმუს, პონტუს და ტუ-  
კერი“ განხდა.

ა. ლინდგრენის ზღაპრები გამორჩეუ-  
ლად უყვართ პატარებს და სწორედ  
ამიტომ პეპი გრძელწინდა, ტომი და  
ანკა, კარლსონი და ბიჭუნა, ფრეკენ  
ბოკი და მაწანერალა რასმუსი მათი  
ცხოვრების განუყოფელ პერსონაჟე-  
ბად იქნენ. ქართველი ბავშვებიც სი-  
ამოვნებით კითხულობენ ლინდგრენის  
წიგნებს და თან არაერთხელ ამდენად  
რეაქსირ კ. მირიანშვილის არჩევანი  
ფაქტიურად წინასწარმეტყველებდა  
სპექტაკლის უდავო წარმატებასა და  
დაინტერესებას ნორი მაყურებელთა  
შორის, მით უფრო, რომ „რასმუს, პონ-  
ტუს და ტუკერი“ ნაკლებადაა ცნობი-  
ლი ქართველი პითხველისათვის და  
ას დაბეჭდილა ჩენებში. ა. ლინდგრენის  
ავტორიტეტი (როგორც მწერალ-მეზ-  
ღაპრისა) და კომედია-დეტექტივის  
ენრული პოპულარობა უკვე საგულის-  
ხმო კოზირია სპექტაკლის ავტორთა  
ხელში. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყი-  
სია, რაღანაც თუ სპექტაკლის პროგ-  
რამაში მოტანილ ა. ლინდგრენის სი-  
ტყვებს დავემოწმებით, „სასწაულებს  
ბავშვები ახდენენ, როდესაც ისინი  
წიგნებს კითხულობენ“. ასე რომ, თე-  
ატრიც ცოტა-ცოტა უნდა ფლობდეს  
ჯადოქარ-მეზღაპრის ნიჭა და უნარს,  
რომ ამ „სასწაულის“ ტოლფასი სანა-  
ხაობა შეთბზას და ბავშვებს — უვე-  
ლაზე უაგარო, მიუკრძოებელ და ობ-  
იექტურ მსაჭულებს — წარმოუდგი-  
ნოს. სპექტაკლის ავტორთა ჯგუფმა

თელავის თეატრში შეძლო „თეატრალური ჯაღურებობა“ მოქნდინა სცენაზე და პატარა მაყურებლები მისი მონაწილენი გაეხადა.

სპექტაკლის წარმატების ერთ-ერთ წინაპირობად პიესის ჩინებული თარგმანი იქცა, — ავტორები: ც. ესიტაშვილი და ნ. ლორთქიფანიძე. სასცენო ლიტერატურის თარგმნის სკიმთხი ურთულესია პროცესი კი — შრომატევადი. დრამატურგის მთარგმნელი უნდა იცნობდეს თეატრალური ხელოვნების სპეციფიკას. როგორც ნ. ურუშაძე აღნიშნავს: „იდეალურ შემთხვევაში მაღალმხატვრული პიესა საკითხავიც უნდა იყოს და პოტენციური სახილველიც. დრამატურგია სცენური სანახაობის შექმნის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს“ (ნ. ურუშაძე „წავიდეთ თეატრში“, გამ-ბა „განათლება“, ობ., 1986 წ. გვ. 49). მაშინადამე, პიესის მთარგმნელის წინაშე ორმაგი პრობლემა წამოიქცება — მან უნდა თარგმნოს არა უბრალოდ ლიტერატურა, არამედ სცენისთვის განკუთვნილი, სათეატრო ლიტერატურა — „პოტენციური სახილველი“, რაც შეუძლებელია სცენის სპეციფიკის ცოდნის გარეშე. აღნიშნულ შემთხვევაში თეატრის ხელოვანობის მთარგმნელი თარგმანი, რომელიც სწორედ „პოტენციური სახილველის“ ჩანგში უნდა განვიხილოთ. აქ თითოეულმა სცენურმა რეპლიკამ და სიტყვამ შეიძინა ქმედით უზნებია და ქართული ლექსიკისთვის დამახასიათებელი, ორგანული და ბუნებრივი მელოდიკა. იუმორმა, ა. ლინდგრენის მწერლური ნიჭის ერთ-ერთმა ყველაზე უფრო თვალსაჩინო ღირსებამ (შემთხვევითი არა, რომ ავტორები სპექტაკლის სანოტაციაში შეიუთიობენ, რომ „ასტრიდ ლინდგრენი მჩავალი ნაცონალური თუ საერთაშორისო პრემიების ლაურეატია, მათ შორის ყველაზე მხიარული პრემიაა — ლიმილის ორდენი, რომელიც მას პოლონელმა ბაჟშევებმა მიაიწეს“) საკუსებით ადეკვატური გამოხატულება პოვა ქართულ თარგმანში და სპექტაკლის კურატორი, გონიერაშიხვილური, მხიარულა-

ლიტერატურული ქსოვილის განმსაზღვრებული ვრცელად იქცა. სპექტაკლის მნახველს გექმნება აბსოლუტური შთაბეჭდილება იმისა, რომ საქმე გაქვს არა თარგმნილ, არამედ ქართულ ორგანიალურ სცენურ ლიტერატურასთან.

ა. ლინდგრენის პიესა მრავალმხრივად სინტერესობა და საგულისხმო პატარა მაყურებლისათვის: ერთი მხრივ, დეტექტური მმბავი და მასთან დაკავშირებული მიება, საიდუმლო ამბები — დეტექტივი, ამა რის დეტექტივია უათერაკისა და საიდუმლოებების გარეშე! პატარა ბიქებსაც რასმუს — პონტუსს უცნაური თავგადასავალი გადახდებათ თავს რასმუსის უსაყვარლესი ძალის ტუეტის გამო, მეორე მხრივ — მხიარული საცირკო ტრაქციონი და კიდევ ფრიენდისა და იოკიმის სასიყვარულო ისტორია. და ასც მთავარია, საიდუმლო თავგადასავალი „პარლიის“ გარეშე წარმოუდგენელია და იმაცცეს პატარა მაყურებლებმა რასმუს—პონტუსს მხიარული მისალმება „რასმუს, პონტუს, „ენდ კომპანი!“ რომელიც დარწმუნებული ვარ, სპექტაკლის შე-

პონტუს ... რინო ბერებელავრი





ურიკენი — მია ლობდანიძე, იმავემ უონ .  
ჩენენი — ვალერი ბაზიერაშვილი

მდეგ ელვის უსწრაფესად მოედებოდა  
სრულიად თელავის სკოლებს, ბაღებსა  
და იზორში.

სპექტაკლში რეჟისორმა კ. მირიან-  
შვილმა დახვეწილი ანსამბლურობით  
შეუთავსა ერთმანეთს დადგმის მხატვ-  
რული (მხატვარი ლ. როსტომაშვილი)  
და მუსიკალური გაფორმება (ვეტორი  
ნ. გაგნიძე), ამდენი მხიარული ფერი,  
რიტმი დღეს მხოლოდ ზრაპარში, შეთ-  
ბიულ აბივში და სურანი თუ არსე-  
ბობს, და კიდევ აუცილებლად ბავშვის  
წარმოსახვაში. სპექტაკლის მხატვრუ-  
ლი სამყარო — ეს ბავშვის თვალით  
დანახული სამყაროა, დისამიური, ფე-  
რიადი და მხიარული, ზრაპარული სიქ-  
რელითა და გარდასახვებით აღსაგე-  
რილი და კუნძულების ტერიტორიად საღა, მხია-  
რული და სცენური ქმედებისთვის ტე-  
ქნიკურად უაღრესად მოსახერხებელი  
კონსტრუქტორი, რომელიც არა მარტო  
შესაბამება შვედი მწერლის ნაწარ-  
მოების ბუნებასა და კოლონიტს, არა-  
მედ სწრაფად და ოსტატურად ცვლის  
მოქმედების გარემოს და ბავშვური

უანტაზითა და გამომგონებლობით გა-  
მოირჩევა. სცენაზე უველაფერი მარტინი  
ურის ფანტაზიის ნაყოფია, ისევე რო-  
გორც ბავშვის წარმოსახვაში ასებუ-  
ლი საგნები და მოვლენები, და სწო-  
რედ მიტომაც ასე ჰგავს რეიალურ  
ცხოვრებას — იმ ცხოვრებას, რომ-  
ლის შესახებ თოთოეულ პატარას საკუ-  
თარი აზრი და დამოკიდებულება გააჩ-  
ნია.

სპექტაკლში ელერს მელოდიური და  
ასლისანი ზესაკა, რომელიც ასევე ბა-  
ვშვური სიანცითა და ეშმაკობითა ალ-  
საცავე და საცავებით ზუსტ ფუნქციონა-  
ლურ დატვირთვას ასრულებს აღჭრის  
პროცესში — ის არა იძღვნად სიუსე-  
ტური აუცილებლობითა ნაკარნაჩევი,  
ასდღენადაც ემოციური მურტის მუდ-  
მიერი მოთხოვნილებით. სპექტაკლის ად-  
რესატი ბავშვია, რომლის სმენა აუცი-  
ლებლიად უნდა გავიტაციოთ, მოვიძე-  
ლოთ ნათელი, მელერი მელოდიით, სი-  
მღერით (თან ამავე დროს სასურვე-  
ლია მუსიკა ბავშვის ჩერ უშვრთხელი  
ცნობიერებისა და სმენისათვის მარტი-  
ვი და ადვილიად დასამახსოვრებელი  
იცავს), რასესაც რასეს-პარტუს-ტუ-  
კერის კომიტურ-დეტექტური თავგადა-  
სავალი მორომებაზე სიკეთის გამარჯ-  
ვებით დასრულდება, პატარა მაყურე-  
ბელმა ბედნიერი ლიმილით უნდა და-  
ტოვოს დარბაზი, რაშიც უზიდეს როლს  
თამაშობს გ. გაგნიძის მუსიკალური გა-  
ფორმება. სპექტაკლის მუსიკა თავისი  
„ჯადოქრული“ ზემოქმედების უნარით  
უნილავ სიმებს შეარხევს პატარების  
სულებში და სპექტაკლიდან წამოსულ  
მაყურებელს დიდხანს გაჰყება მხიარუ-  
ლი რიტმები, რომლებიც სიკეთის ქმნი-  
სა და სათხოებისაც მიიღორევენ ბავშ-  
ვის ურადღებასა და სურვილებს.

„ატრიუს ერიკუნ-ლინდგრენის პიე-  
სის, „რასესა, პონტუს და ტუკერის“  
გმირები მოუთმენლად ელიან შეხვედ-  
რას თელაველ ბავშვებთან და მათ  
მშობლებთანაც, რადგანაც „უველა  
მშობლებიც ხომ იყო ბავშვი, თუმც ეს  
კოტას ახსოებს“ (ანტუან დე სენტ-  
ეზიუსერერი) — ვერთხულობთ პრო-  
გრაძაში. და მართლაც, სპექტაკლში


რეჟისორი შეუმნიკევლად, მაგრამ მანც გამიგნავს ორ სამყაროს: ბავშვებისა და უფროსებისას. მშობლებისთვის ცხოვრება უინტერესო ყოფაა, უფრული ყოველდღიურობა, მაშინ როცა ბიჭები ყოველდღე ახალ-ახალ „აღმოჩენება“ აგნებენ და სამყაროც ნაირფერად წარმოუდგებათ. მსახიობ ზ. ანთელავას გმირი პატრიკ ბერსონი — მამა უფრო ახლოსაა იმ სამყაროსთვის და პერსონთა ოჯახური ურთიერთობები ესაა მამაშვილის „შეთქმულება“ დედის მიმართ (გულან პერსონი — მ. ბიჲლაშვილი), თუმც სპექტაკლის ფინალში ყველანი ერთად მიიღებენ მონაწილეობას ბანდიტების დაქერასა და ტუკერის გათავისუფლებაში (სხვათა შორის, ახლა ყველ დედა გაქტიურდება). ყველა ბედნიერია და კმაყოფილი, ბავშვებზე მეტად კი მარინი უფროსები, თითქოს დაკარგული ბავშვობა დაბრუნებოდეთ.

პატრიტები კი როგორ აღიქვამენ სამყაროს? — აქ ცხოვრობენ ბოროტი და კეთილი ძალები, ისინა იბრძვიან და ბოლოს აუცილებლიდ სიკეთე იმარჯვებს. სპექტაკლშიც ორი სამყარო — კეთილი და ბოროტი უპირისპირდება ერთმანეთს, ერთი მხრივ, რასმუს-პონტუსი, მათი მშობლები და თანატოლები და მეორე მხრივ, — ბოროტმოქმედნი: ცირკის მოხეტიალე მსახიობები — ალფრედო, ბერტა და ერნესტო. მაგრამ ყველაფერი არც ასე მარტივია. შოთა ბერძნშვილის დაშინიულაბია ალფრედო, ელინო ტუხაშვილის აქობატი ბერტა და ბოროტი ბანდიტი ერნესტო (ავთანდილ გულიაშვილი) არანაკლებ მოეწყნათ პატრია მაყურებლებს და წარმოდგენის შემდეგ, როდესაც ბავშვებს აზრი კვითხე სპექტაკლისა და მასში მონაწილე მსახიობების შესახებ, ბეკრძა, თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ ბანდიტები დამისახელა. მთ ასაკში ხომ ასე პოპულარულია ცირკის მსახიობთა სტატობა, ფაქტურავები. მსახიობთა შეშმარიტი ლირსებად უნდა მიეკინოთ, რომ ბავშვები სოცირად უნდნენ მათი გარდასახვის ნიშაა და უნარს და დაიჭერეს, რომ ნამდვილ ცირკის მოხეტიალე

მსახიობებს უცქეროდნენ. ბავშვებს გ. ვ. გორგაშვილის სასაცილო პოლიციელიც მოეწონათ, მძაფრი გროტესკული ფერებით რომ გაათამაში შემსრულებლმა, მაგრამ სპექტაკლის კვეშმარიტი გმირებად მათი თანატოლები ფრიკენი (მ. ლობდანიძე), იოაკიმი (ვ. ბაზიერაშვილი) და, რაც მთავარია, რასმუსი (ნონა ხუმარაშვილი) და პონტუსი (ნონა ხელხელაური) იქცნენ; კინაღამ მთავარი დაგვავიწყდა — თეთრი ფაფუქბეჭვიანი ტრკერი — რასმუსის უსაყარელები ძაღლი.

თელაველთა სპექტაკლში შესანიშნავად გამოჩნდა თეატრის ახალგაზრდობა, ნ. ხუმარაშვილის რასმუსისა და ნ. ხელხელაურის პონტუსის საშსახიობო დუეტი კი სპექტაკლის ნამდვილ გამარჯვებად მიმართია. ქართული თეატრის გულმავიწყობამ ტრავესტის ამპლუაც გადავიწყა მაყურებელს, ამპლუა, რომელიც სამსახიობო ნიჭის გამოვლი-

ოლფრედო — მოთა ბეკრძაშვილი






ნების ერთ-ერთი ურთულესი და ძალა-ზე საინტერესო გამოხატულებაა. ახალ-გაზრდა მსახიობი გოგონების ნ. ხუმა-რაშვალისა და ნ. ხელხელაურის ბიჭე-ბი შევდეთის პატარა ქალაქ ვესტან-ვიკიდან საოცრად ნაცრობი და ახ-ლობელი ხასიათებით. ახალგაზრდა შემსრულებლებმა ზუსტად მიაგნეს სა-კუთარ გმირთა პლასტიკასა და მეტ-ყველების მანერას. მკითხველი უთურდ შენიშნავს, რომ მათზე ერთად მიხდება წერა, რაც შემთხვევითი როდის: რას-მუს-პონტუსი იმდენად ანსამბლური, პარმონიული თეატრალური დუეტია, რომ სხვაგვარად შეუძლებელიცაა მათ-ზე საუბარი. მსახიობები ზუსტად გრძნობენ პარტნიორს და გემოვნებითა და გამომსახველ საშუალებათა მრავალ-ფეროვნებით ანსაშიერებენ საკუთარ პერსონაჟებს.

ტრავესტის ამპლუა რთულია მსახი-ობისათვის: ძალზე ძნელია გაეჭცეს გა-რჩეველ ხელოვნურობას. აქ თამაშის პრინციპი საფუძველშივე გულისხმობს თეატრალურ პირობითობას. ფაქტიუ-რად, მსახიობს „ორმაგად სხვადჭცე-ვის“ პროცესთან აქვს საქმე (ქალი

ანსაბიერებს მხატვრულ სახეს საჭიროა საჭიროა მაშის ფერების შერჩევისას კიდევ უფ-რო რთულია ზომიერების დაცვა. მსა-ხიობი თხზავს საკუთარი გმირის პლას-ტრიკს, მანერებს, ხსიათის თავისებუ-რებას, ინტონაციას, რაც აბსოლუტუ-რად განსხვავდება მისი საკუთარი ში-ნაგანი ბუნებისაგან, ამავე ღროს სახე უნდა იყოს მაქსიმალურად დამაჯერე-ბელი და თამაშის პირობით დაშვებუ-ლი, „ნებადართული“ ხელოვნურობა მინიმალურად შესამჩნევი. ნ. ხუმარაშ-ვილია და ნ. ხელხელაურს არც ერთ ეპიზოდში არ ღილატობთ გემოვნება, მათი შევდი ბიჭები სიოცრად გვანან რასმუსია და პონტუსის ქართველ თა-ნატოლებს სიცელქითაც, ცნობისმოყ-ვარეობითაც, სიმამაცითაც, ფათრა-კების სიყვარულითაც და ეს სავსებით სწორია. ყველა ბავშვი ხომ მეტნაკლე-ბალ ერთმანეთს ჰგავს: ქართველიც, ინ-გლისელიც, ფრანგიც, შევდიუა და ამე-რიკელიც და, რაც მთავარია, სეექტაკლის აღრესატი ქართველი მაყურებელია და მსახიობთათვის გმირთა განსახიერები-სას გამომსახველ ფერთა წყაროდ ქარ-

რასმუსი — ნონა ხუმარაშვილი, პატრიკ პერსონი — ზურაბ ანთელავა,  
გულან პერსონი — მარა ბირელაშვილი






ବ୍ୟାକ୍ରମନାରତ୍ନରଥ.

ମେଲେବ୍ସି — ମିଳିନାନ ଶ୍ରେଣୀ

୧. ପ୍ରସରଣମାଳା



ଶାନ୍ତିକାନ୍ତିରେ  
ପ୍ରସରଣମାଳା

ციფრული  
ციფრული



მანქანი დავით ბატოშვილი  
და „უკანის ქალი“ რო-  
მი




ଶ୍ରୀଶିଳ୍ପୀ ଲ୍ରେଣ ଗ୍ରେଟରିଂଡାର୍କିଲିଙ୍କ ପାରିପାରିପାରି ନିର୍ମିତରଙ୍ଗରେ



მხახიობ კახი გევგაძის ნილბები

(ქვემოთ — შამუქა კიქალევიშვილი — საჩიო)



„արտ. արև. հայը ար լոնդա զանձիթյունոն մելոնուրըմա, ծշնչեամո թյալլու ահալուրո վրեցա“

(Շըշիսոնրո. „մըլը լորո“)



კომპოზიტორი გია ყანჩელი



ଶ୍ରୀକଳିମନ୍ଦିରରେ ଥିଲା — କୁରିଲେଖାର ଶାଲାରିନ୍ଦନଙ୍କ ଓ ହୃଦୟ ଓତାରାପ୍ରିୟଙ୍କଙ୍କରେ „ନିର୍ମଳ ଶିରରେ”



ჩამუშავი — ნონა ხუმარშვილი, ფრიკენი — მაია ლომბარძიძე

თული გარემო, ყოფა და ხასიათი იქცევა. მაყურებელსაც საოცრად მოსწონს მისთვის ნაცნობი რასმუს-პონტუსი, მათთან ერთად განიცდის ტუკრის დაკარგებასა და სპექტაკლის დასასრულს ამბის კეთილი ფინალით გახარებული მხიარული ლიმილითა და ტაშით აჯოლდოვებს სპექტაკლის ავტორებსა და შემსრულებლებს.

დღეს თელაველ ბავშვებს თავისი სპექტაკლი აქვთ თეატრში და იციან, უამ მოუთმენლად ელიან ასამუსი, პონტუსი და ტუკრი და კიდევ მრავალი საყარაული შერსონავი, რომელიც მხოლოდ მათთვის ცოცხლობენ თეატრში; იცან, რომ თეატრში მოსთომ მათ ელოდებათ ხელოვნები! შეკრისება, მხიარული და ხალისიანი ფერები, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, მხოლოდ გამოგონილ საჟყარაოს — თეატრს შემორჩი, ცხოვრებაში მხოლოდ ერთსახოვანი რტხი გამა გვევდება, სმენაც საუბედუროდ შევაჩვიერ მოთქმა-გოდების ინტონაციებს. უფროსებმა შევაჩვიერ ჩვენი გულები ამდენ „დიდ სევდას“, მაგრამ ჩვენმა შვილებმა რა ვნან? თელაველთა ერთერთ სპექტაკლში მთავარი გმირი პატარებზე ამბობს: „იცით, რამოდენა გულები ექნებათ მაგათა? აი ჩვემი

ცერო როა რა, დიდი-დიდი წითელი მამლის გულის ტოლა, და ის პატარა გულები ამ აქოთქოთებულ ქვეყნიერებაში ა ეს, აი, — ძაგ-ძუგ-ძაგ-ძუგ! ჭერ მარტო რამდენი ათასობით ბომბის აფეთქებას უყურებენ ამ კინოებშია. ჭერ, აი, პატარა ნემსის წვერი რომ მიუტან აბლოს, როგორც რო ზღარბი ა ეგრე იკუმშება და პატარავდება გული და მერე ესენი, კაცო, ამოდენა გლეტები და ყელების დაჭრა! სუშეშინებული იქნება გული, აბა რა იქნება, ერთი პატარა რამე და შეხტება და შეფართქალდება. პატარების გულებსა ა ეს, აი, ხელებით უნდა მოუმყუდოვთ“...

თელაველთა ახალი სპექტაკლი „რასმუს, პონტუს და ტუკრები“ სწორედ პატარების გულებს უმყუდროვებს, მათ სულებს ალამზებს და ყეთილშობილებს, უფროსებს კი დაკარგულ ბავშვობას მოგვანატრებს, რაღან, მართლაც, ღმერთმა ნუ ვნას, რომ ბავშვობა დიდი ხნით წავიდეს ჩვენი ცხოვრებან...

# ბიზანტიის იურიდიკული ისტორია

გარე ღილი

IV

## იუსტიციას შინა მართველობა

საშინაო მმართველობამ არანაკლებ შეაჭირვა იუსტიციანები, ვიღრე ტერიტორიის დაცვამ, მისი კურადღება მიმყრობილი იყო ადმინისტრაციული რეფორმის მიმართ, მწევავე რელიგიური კრიზისი დაფინანსით მოიხსოვდა მის ჩარევას.

საქანონმდებლო და ადმინისტრაციული რეფორმა. — იმპერიაში არ ცხრებოდა არეულობა, ადმინისტრაცია მექრთამე და სინდისტარეცხილი იყო; პროვინციებში სიღატაკე და უწესრიგობა სუფევდა; სამართლწარმოება, კანონთა უპარვასობის გამო, თავიდან კერ იცილებდა თვითნებობასა და მიკერძოებას. ამნაირა მდგომარეობის ერთ-ერთი უმძიმესი შედეგი ის იყო, რომ გადასაბადები ძალზე არათანაბრად შემოლიოდა ხაზინაში. იუსტიციანების მეტისმეტად უყვარდა წესრიგი, ხარბად ესწრაფოდა მმართველობის ცენტრალიზაციას და დაუცხრომლად ზრუნავდა საზოგადო სიკეთისათვის; ამიტომ, ცხადია, კერ შეურიგდებოდა საქმის ამნაირ კითარებას. ეგვიც არ იყოს, თავისი დაადი მიზანდასახულობისათვის მას კამულმებით სჭირდებოდა ფული.

ამრიგად, იმპერიატორმა ორმაგ რეფორმას მიმართა, იმპერიისათვის „მტკიცე და უწყვევ კანონების“ შესაქმნელად მან თავის მინისტრს ტრიბონიანებს დიდი საქანონმდებლო შრომა მიანდო. 528 წელს კოდექსის რეფორმისათვის შექმნილმა კომისიამ შეკრიბა და კედასიფიკაციის მიხედვით დაჯგუფა უმთავრე-

სი საიმპერიო დადგენილებანი, რაც გამოექვეყნებინათ ჰადრიანეს შემდეგ. ეს გახლდათ „იუსტიციანების კოდექსი“, რომელიც პირველად 529 წელს, ხოლო შემდეგ 534 წელს გამოიცა „დაგესტები“ თუ „პანდექტები“, რომელებმისაც 530 წელს შექმნილმა ახალმა კომისიამ თავი მოუფარა II-III საუკუნეების დიდ იურისტთა შრომებიდან ამკრეფილ ფრაგმენტების. ასე შეიქმნა „ინსტიტუცია“ (533 წ.), უზარმაზარი შრომა, სტუდენტთათვის განკუთვნილ სახელმძღვანელო, რომელშიაც შეჯამებული იყო ახალი სამართლის საფუძვლები, დაბოლოს, იუსტიციანების მიერ 534-565 წლებში გამოქვეყნებული განკარგულების კრებულმა შევსო Corpus juris civilis სახელწოდებით ცნობილი დადაც ძეგლი.

იუსტიციანები ისე ამაყობდა ამ დიდი საქანონმდებლო ქმნილებით, რომ ერთხელ და სამუდამოდ აუკრძალა ყველას, ხელი ეხლოთ, ან რაიმე კომენტარები დაერთოთ და, ამრიგად, შეეცალათ იგი, ხოლო კონსტანტინებოლის, ბეირუთისა და რომის ახლად რეორგანიზებულ სამართლის სკოლებში იურიდიული განათლების ურევე საფუძვლად აქცია თავისი კოდექსი. და მართლაც, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა და ნაჩქარებისა, რაც გამოირჩებისა და შინაგანი წინააღმდეგობების მიზეზი გახდა, მთხელად რომაული სამართლის უმშევირესი ძეგლების კოდექსში უზეიროდ დამოწმებული ფრაგმენტებისა, — ეს იყო ჭეშმარიტად დიადი ქმნილება, რომელმაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების როლი შეასრულა კაცობრიობის წანსელის საქმეში. თუ იუსტიციანები სამართალმა

დააფუძნა იმპერატორის აბსოლუტური ძალაუფლება, მანვე შემოინახა და, უფრო კვიან, შუა საუკუნეების სამყაროში ააღმომართა სახელმწიფოს იდეა და სოციალური ორგანიზაციის საწყისები. ეპეც არ იყოს, იუსტინიანეს კოდექსმა ახალი ქრისტიანული სული შთაბერა წარმართული რომის მკაცრ სამართლის და, ამრიგად, კანონში ჩართო საყოველთაო სამართლიანობის, ზენობრიობისა და აღმინაურობისათვის ზრუნვა, რაც უცნობი იყო მანამდე.

აღმინისტრაციისა და სასამართლოს გარდაქმნის მიზნით, იუსტინიანემ 535 წელს გამოაქვეყნა ორი მნიშვნელოვანი განკარგულება, ახალ მოვალეობებს რომ აკისრებდნენ მოხელეებს და უმწიველო პატიოსნებას მოითხოვდნენ მათგან ქვეშნის მართვისას. იმავდროულად, იმპერატორმა გააუქმა თანამდებობების გაყიდვა, გაზარდა ხელფასი, დახურა უსარგებლო დაწესებულებები და წესრიგის განსამტკიცებლად ზოგიერთ პროვინციაში გაერთიანა სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლება. ეს იყო რეფორმის დასწყისი, რომელსაც თავისი შედეგების მიხედვით დიდმინიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა იმპერიის აღმინისტრაციულ ისტორიაში. იუსტინიანემ გარდაქმნა დედაქალაქის სასამართლო აღმინისტრაცია და პოლიცია; მთელ იმპერიაში ის აბორციელებდა ფართო შასტაბის საზოგადოებრივ სამუშაოებს; მისი ბრძანებით გადაყვადათ გზები, აგებდნენ ხიდებს, აკვედუკებს, აბანოებს, თეატრებს, ჰელესიებს და არნაული უფანებით ამკიბრდნენ და აღადგენდნენ 532 წლის ამბოხებით ნაწილობრივ დანგრეულ კონსტანტინებოლს. დასსერულ, სწორი ეპონიმი გურია პოლიტიკის წყალობით, იუსტინიანემ მიაღწია იმას, რომ იმპერიაში უკართო გასაქანი მიეცა მრეწველობას და ვაჭრობას;<sup>1</sup> იმპერატორი, თავისი ჩვე-

ულებისამებრ, იკვენიდა, „ჩემი დიდებულობითი ული დვაწლით ბელაბლა ავაყვავე საჯერებელო“ მაგრამ სინამდვიღები, იმპერატორის კოთილი ზრახვის მიუხედავად, აღმინისტრაციული რეფორმა ჩაფლავდა. უზარმაზარმა ხარჯებმა და, აქედან გამომდინარე, ფულის მუდმივმა ნაკლებობამ განაპირობა უსასტიკები სახაზინო ტირანიის დამყარება, რამაც გამოიფიტა იმპერია და სიღატაკის პირას მიიყვანა იგი. დიდმა რეფორმატორულმა ძალისხმევამ საბოლოოდ მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ 541 წელს, ეკინიმიური მოსაზრებით, გაუქმდებულ იქნა კონსულატი.

**რელიგიური პოლიტიკა.** — დანარჩენი იმპერატორებისა არ იყოს, რომელიც კონსტანტინეს შემდეგ ავიდნენ ტახტზე, იუსტინიანეც აქტიურად ერეოდა საეკლესიო საქმეებში, როგორც სახელმწიფო ინტერესების გულისხმის, ისე საღვთისმეტყველო პატიობისადმი თავისი სიყვარულის გამო. უკეთ რომ წარმოებინა თავისი საღვთისმოსაო გულმოღვინება, იმპერატორი დაუნდობლად სდევნიდა მწვალებლებს. 529 წელს მან ბრძანა დაეხურათ ათენის უნივერსიტეტი, სადაც ფარულად ჯერ კიდევ რჩებოდა რამდენიმე წარმართო მასწავლებელი, და ლვითი რისხვად მოევლინა განდგომილებს. ეგვიპტი იყოს, ის მარჯვედ მართვდა ეკლესიას, როგორც მმრანებელი, და მფარველობისა და წყალობის სანაცვლოდ, რასაც არასოდეს აკლებდა მას, საკუთარ ნებას დესპოტურის სიტლანქით ახვედა თავზე და თავის თავსაც აშეარად უწოდებდა „იმპერატორსა და მღვდელს“. მიუხედავად ამისა, არაერთხელ ჩავარდნილა გასაჭირში და არც ის სცოდნა, თუ რა გზას დასდგომოდა. იმისათვის, რომ დასავლეთში წარმატებისათვის მიეღწია, აუცილებლად უნდა შეენარჩუნებინა უკვე ჩამოყალიბებული კავშირი პაპიშმთან, ხოლო აღმისავლეთში პოლიტიკური და მორალური ერთიანობის აღსაღებნად უნდა დაენდო მრავალრიცხოვანი მონიუტიზმი, რომელთა გავლენაც ძალზე დიდი იყო ეგვიპტები, სირიაში, მესოპოტამიაში და სომხეთში. იმპერატორმა ზშირად არც კი იცოდა, რა გადაწყვეტა-

<sup>1</sup> სწორედ იუსტინიანეს შმარეულობისის, უახლ. 557 წელს ორმა ბერმა ჩინეთიდნ ჩამოიტარა აპრეშემის ჭიის გამრავლების საიდუმლო, რამაც აპრეშემის წარმოების საჭრალება მისცა სირიას და ნაწილობრივ გაათავისულა ბიზანტია სასლეარგებრეფული იმპორტისად.



ლება მიეღო, ან ვისთვის დაეჭირა მხარი: რომისთვის, რომელიც განდგომილთა დასჯას მოითხოვდა, თუ თოლორასათვის, რომელიც ურჩევდა, კვლავ დაბრუნებოდა ერთიანობის ზენონისა და ანასტასისეულ პილიტიკას, და მისი მერყევი ნება ცდილობდა, ყოველგვარ წინააღმდეგობათა მიუხედავად, მყარი ნიადაგი მოეპივებინა ურთიერთობაგებისათვის და ამ წინააღმდეგობათა შერიგების საშუალებისთვისაც მიეკვლია. თანდათანობით, რიმის საამებლად, მან ნება დართო კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებას (536 წ.), შეერქვებინა განდგომილნი, დევნა დაუწყო მათ (537-538 წ.) და თავს დასხა ეგვიპტეს, განდგომილთა ამ ძძლავრ ციტადელს; თოლორას საამებლად კი თავიანთი ეკლესიის აღდგენის საშუალება მისცა მონოფიზიტებს (543 წ.) და შეეცადა, კონსტანტინეპოლის ხეელებით კრებაზე (553 წ.) არაპირდაპირ მაინც დაეგმობინებინა პაპისათვის ქალქედონის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებანი. ოც წელზე მეტი წნის მანძილზე (543-565 წ.), მთელ იმპერიას აღელვებდა და დასავლეთის ეკლესიაში განხეთქილებას უწყობდა ხელს ეგრეთწოდებულ „სამი თავის საქმე“,<sup>2</sup> თუმცა მას არც აღმოსავლეთისათვის მოუტანია სიშვიდე. იუსტინიანეს სიშმაგემ და მძვინვარებამ, რაც მისი მტრების წინააღმდეგ იყო მიმართული (იმპერატორის უკელაზე სახელგანთქმული მსხვერპლი ვახლდათ პაპი ვივილიუსი), არავითარი სასარგებლო შედეგი არ გამოიღო. ერთიანობისა და სჯულშემწყნარებლობის პოლიტიკა, რასაც იმპერატორს ურჩევდა თეოდორა, უეჭველად წინდახელული და გონივრული იყო. იუსტინიანეს უმტკიცობამ და მოდავე მხარეთა შორის გამუდმებულმა რყევამ, მისი კეთილი ზრავის

მიუხედავად, მხოლოდ ეგვიპტისა და საკარიაში მიუხედავად, ტენდენციების ზრდა და იმპერიის მიმართ მათი ნაციონალური მძულვარების გამძაფრება გამოიწვია.

## V

### ბიზანტიური ცივილიზაცია

#### VI საუკუნეები

ბიზანტიური ხელოვნების ისტორიაში იუსტინიანეს მმართველობა მთელი ეპოქის აღმიშენებით. ნიჭიერი მწერლები და ისტორიკოსები, როგორც მაგალითად, პროკოფი და აგათია, იოანე ეფუსელი თუ ევაგრე, პავლე სილენციარიუსისნარი პოეტები და ლეონტი ბიზანტიელის სადარი ღვთისმეტყველები ბრწყინვალედ აგრძელებდნენ კლასიკური ბერძნული ლიტერატურის ტრადიციებს, და სწორედ VI საუკუნის გარიერაზე რომანზე ტკბილმომლერალმა — „მელოდიების მეუემ“ შექმნა რელიგიური პოეზია, ბიზანტიური სულის კულტურული მშვენიერი და, შესაძლოა, კველაზე ორიგინალური გამოვლინება. კიდევ უფრო ღირშესანიშნავი გახლდათ სახვით ხელოვნებათა ბრწყინვალება. ამ ღროს კონსტანტინეპოლიში დასრულდა თანდათანობითი ევოლუცია, ორი საუკუნის მანძილზე რიმ მზადდებოდა. აღმოსავლეთის აღილობრივი სკოლებში. და რაკი იუსტინიანეს უკერძა აღმშენებლობითი საქმიანობა და აჩერნებდა კიდეც სახელგანთქმული ისტატები მოექმნა თავის მზანდასახულობათა განსახორციელებლად, ისტატები, რომლებსაც ამოუწურავ სახსრებს სთავაზობდა და არც საჭირო-მასალას ასულებდა, ამიზანობაც VI საუკუნის მეგლები — განსწავლულობის, სითამამის და დიდებულების ეს ჭეშმარიტი სასწავლინი — თავიანთი სრულყოფილებით ბიზანტიური ხელოვნების მწვერვალებად გვევლინებიან.

ხელოვნება არასოდეს არ ყოფილა უფრო მრავალფეროვნო, უფრო ნაყოფიერი და უფრო თავისუფალი; VI საუკუნეში ჩევნ ეხედავთ ყველა არქიტექტურულ სტილსა თუ პრიციპს, ნაგებობათა ყოველნარი ტიპს — რავენის წმა

<sup>2</sup> სახელწოდება წარმოსდგება იქიდან, რომ პატრიარქი სამი თეოდორეს — თეოდორე მოსუსტელის, თეოდორიტე კორელისა და იბას ედესელის შრომებისტების ამოკრეფილ ფრაგმენტებში იყო დაფუძნებული. მათი მოძღვრება მიწონა ქალებითის საეკლესიო კრებაში, მაგრამ იუსტინიანეს მონიფიზიტების გულის მოსაფებად დაგმობინა ეკლესიას.

## იუსტიციას საქმის იავარებოფა (565-610 წ.)

და პილონიარიუსისა თუ საღონიკის წმიდა დიმიტრის ბაზილიკებს; წმიდა სერგიის, კონსტანტინებოლის ბაქტერისა თუ რავენის წმინდა ვატალიუსის ეკლესიებს, რომელთა გეგმაც მრავალგუთხედა აქნის; ჯვრის ფორმის მქონე ნაგებობებს, რომელიც ხუთი გუმბათთი გვირგვინდება, როგორიცაა, მაგალითად, წმიდა მოციქულთა ეკლესია; წმიდა სოფიის ტაძრის ტიპის არქიტექტურულ ნაგებობებს, ტაძრისა, რომელიც 532-537 წლებში იქნა აგებული და რომლის ავტორებადაც ანთიოქის ტრალელი და ისიდორე მილეტული გვევლინებან; თავისი ირაგინალური გეგმის, მსუბუქი, თამამი და ზუსტად გათვლილი სტრუქტურის, წონასწორობის მახვილგონივრულად მიკვეული კომბინაციებისა და ნაწილთა ჰარმონიული ურთიერთშერწყმის წყალობით ეს ტაძარი დღემდე ბიზანტიური ხელოვნების სწორუპოვარ შედევრად ჩნდება. მარჯვედ შერჩეული მრავალფეროვანი მარმარილო, ნატოფად ნაძერწი სკულპტურები, ცისფერისა თუ ოქროსფერ ფონზე მოცააგვ მოზაიკური სამკაულები თვით დღესაც კი უბძორ ბრწყინვალებით წარმოვიჩნეს ამ ნაგებობათა ინტერიერს; მიუხედავად იმისა, რომ წმიდა მოციქულთ ეკლესიაში მოზაიკა ჩამოშლილია, ხოლო წმიდა სოფიის ტაძარში იღნავ თუდა შეიმჩნევა თურქული მოხატულობის ქვეშ, — პარნეცოსა თუ რავენის ეკლესიების, ისევე როგორც საღონიკის წმიდა დიმიტრის ეკლესიის განსაცილებელ სამკაულთა დღემდე შემორჩენილ ნაშთთა მიხედვით ჩვენ შეიძლება გარკვეული წარმოდგენა მანიც შეგვექნას მათ ოდინდელ სინატრიუზე. კველაფერი — საიუველირო ნაწარმი, ქსოვილები, საილოს ძვლის ნაკეთობანი, ხელნაწერები — ჩვენ გვივლების იმნაირ სიუხეებს და უფლებებას, თვალისმოშტრელ ბრწყინვალებას თუ საზეიმო სიღიადეს, რითაც აღბეჭდილია ახალი სტილის დაბადება. აღმოსავლეთისა და ანტიკური ტრადიციების ერთობლივი ზემოქმედებით, იუსტინიანეს ეპოქის ბიზანტიურმა ხელოვნებამ თავის ოქროს ხანაში შედგა ფეხი.

თუ მთლიანად განვიხილავთ იუსტიციანების მმართველობას, შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ მან შესძლო მოკლე ხანში დაეპრუნებინა იმპერიისათვის მისი ოდინდელი სიღიადე. და მანიც, იძალება კითხვა: ხომ არ იყო ეს სიღიადე უფრო მოჩევნებითი, ვიდრე რეალური, და იმპერიატორის დიდმა დატყრისითმა ომებმაც, რომლებმაც შეაჩერეს აღმოსავლეთ იმპერიის ბუნებრივი განვითარება და ერთი კაცის უსაშვრო ჰატივმოყვარეობის დასაქმაყოფილებლად დაწრიტეს მისი ძლიერება, მეტი ბოროტება ხომ არ მოუტანა ქვეყანას, ვიდრე სიკეთე? იუსტიციანების კველა წამოწყებაში გამუდმებით შეინიშნებოდა განსაციიფრებელი არათანაზომაღობა დასახულ მიზანსა და მისი მიღწევის საშუალებებს შორის, ფულის ნაკლებობა ის უკურნებელი სენი გახლდათ, რომელიც ერთავად ღრღნიდა და განუხორციელებელს ხდიდა კველაზე ბრწყინვალე მიზანდსახულობებსა და თავისითავად სანაქებო ზრახებს. ამიტომაც იყო, რომ სულ უფრო მეტად მძაფრდებოდა სახაზინო ტირანია, რამაც ბოლოს თავის უკიდურეს ზღვარს მიაღწია, და რავი ხანში შესული იუსტიციანი თავისი მმართველობის უკანასკნელ წლებში სულ უფრო და უფრო ხშირად ანდობდა ბერისწერის ეინიან თამაშს ქვეყნის საქეშა თუ სადაცეს, ამიტომ, როცა ოთხმოცდაშვიდი წლის იმპერიატორი გარდაიცავალა (565 წელს), მონარქიის მდგრადებობა ძართლაც რომ სავალალო იყო როგორც ფინანსური, ისე სამხედრო თავალიაზრის სითაც. იმპერიის კველა საშვეროს საშინელი საფრთხე ემუქრებოდა; ქვეყნის შიგნით სახელმწიფო ძალაუფლება აშკარად უმწეო და უილაჯო იყო: პროვინციებში — ფეოდალური საკუთრების უჩეველო ზრდის შედეგად, დედაქალაქი კი — მწვანებისა და ლურჯების გაუთვებელი ქიშპობის გამო. კველგან არნახული სიღატაკე სუვერენიდა და თანამედროვენი გაოგნებული ეკითხებოდნენ თავიანთ თავს, სად გაქრა რომაელთა სიმდიდრეო



პოლიტიკის შეცვლა გარდუვალი გახდა, მაგრამ ეს ძალზე როთული და სახიფათო ხაშემ იყო. მისი აღსრულება ბედნა იუსტიციის მემკვიდრეობს – განსვენებული იმპერატორის მისიწულს იუსტინე II-ს (565-578 წ.), ტიბერიუსსა (578-582 წ.) და მარიკიონს (582-602 წ.) არგუნა წილად.

მათ მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ახალ პოლიტიკას. იუსტინიანეს მემკვიდრეობმა ზურგი აქციეს დასავლეთს, სადაც ლანგობარების შემოსევამ (568 წ.) იტალიის ნახევარი დააკარგვინა იმპერიას. და, აფრიკასა და რავენის ეკარქატების დაარსების გზით, საკმაოდ მტკიცე დაცვის ორგანიზების დასჯერდნენ, რამაც საშუალება მისცა სამიევს, აღმოსავლეთისათვის მიეცყროთ ფურადლება და უფრო შეურიგებელი პოზიცია დაეკავებინათ იმპერიის მტრების მიმართ. მათ მიერ განხორციელებული არმიის სარეორგანიზაციის ღონისძიების შედეგად, სპარსეთთან ომი, რომელიც 572 წელს განახლდა და 591 წლამდე გაგრძელდა, იმპერიისათვის ხელსაყრელი ზავით დასრულდა, რომლის ძალითაც სპარსეთმა ბიზანტიას დაუთმო მისი კუთხილი სომხეთი.

ეკრიასაში კი, მოუხედავად იმისა, რომ ხუნძებმა და სლავებმა საშინალად დაარაინ ბალკანის ნახევარკუნძული, ხელს ივდეს დუნაის პირას აღმართული ციხე-სიმაგრეები, გარს შემორტყმენ თესალონიკეს, კონსტანტინეპოლის დამუქრნეს (591 წ.) და დიდი ხნითაც კი დამკვიდრდნენ ნახევარკუნძულზე, – რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად ბრძოლის ველი საზღვარს მიღმა იქნა გადატანილი და ბიზანტიის ლაშქარმა თვით ტისას მიაღწია (601 წ.).

საუბრულოდ, შინაგანგა კრიზისმა კველაფერი წყალში ჩაყარა. იუსტინიანე უკიდურესი სიმაცრით ახორციელებდა აბსოლუტური ძალაუფლების პოლიტიკას; მისი სიკედილის შემდეგ არისტოკრატიამ ხელახლა წამოყო თავი, პოვანციებში გაძლიერდა სკარატისტული ტენდენციები, გამწვავდა ცირკის პარტიების შედლი, და რაგი ხელისუფლებას არ შეეძლო ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება, უკმაყოფლება სულ უფ-

რო და უფრო იზრდებოდა, რასაც მოწინა უწყიბდა აღმინისტრაციული ქართველი და სამხედრო ამბობებანი. რელიგიურმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გაამძაფურ საყველთა მდეღვარება. ხანძოკლე მცდელობის შემდეგ, რაც მიზნად ისახავდა სჯულშეწყნარგბლობითი პოლიტიკას განხორციელებას, კვლავ დაიწყო მწვალებლების სასტიკი დევნა. მართლია, მავრიკიოსმა ბოლო მოუღო მათ დევნას და შევიწროებას, მაგრამ კონფლიქტმა, რომელმაც თავი იჩინა მსოფლიო მღვდელმთავრის ტიტულზე მეოცნებე კონსტანტინეპოლის პატრიარქსა და პაპ გრიგოლ ვიდე შორის, უკიდურესად გამწვავა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ოდინდელი მტრობა. თავისი უდავო ღირსებების მიუხედავად, მავრიკიოსი, მისი მკაცრი კონომიკური პოლიტიკას გამო, ძალზე არაპოტულარებილი იყო ხალხში, პოლიტიკური ძალაუფლების შესუსტებამ ხელი შეუწყო სამხედრო გადატრიალების წარმატებით დაგვირგვინებას, რამაც ტახტზე აიყვანა ფოკა (602 წ.).

ახალ მბრძანებელს, ტლუსა და უბირ ჯარისკაცს, მხოლოდ ტერორის მეშვეობით თუ შეეძლო ძალაუფლების შენარჩუნება (602-610 წ.), რითაც საბოლოოდ გააპარტახა მონარქია. ხოსრო II-მ, რომელმაც გადაწყვიტა შური ეძია მავრიკიოსის გამო, ომი განახლა; სპარსელებმა დაიპყრეს მესოპოტამია, სირია და მცირე აზია. 608 წელს ისინი უკვე ქალკედონი, კონსტანტინეპოლის კარიბჭესთან იყვნენ, ჯეკინის შიგნით ერთმანეთს ენაცვლებრდნენ ამსახუბები, შეთქმულებები და შინაამღლილობანი. მთელი იმპერია მოუთმნებად მოელოდა შესხელს. ის აფრიკიდან მოვიდა, 610 წელს კართაგენის ეკზარქოსის ვაჟმა ირაკლიმ დაამხო ფოკა და ახალი დინასტია დაარსა. თითქმის ნახევარსაუკუნოვანი არეულობის შემდეგ ბიზანტიას კვლავ მოევლინა ლიდერი, რომელსაც შეეძლო მტკიცე ხელით წარმეტართა მისი ბედილბალი. მაგრამ ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე ბიზანტია მაინც თანდათან უბრუნდებოდა აღმოსავლეთს. იმპერიის აღმოსავლურ ყაიდაზე გარდაქმნა, რაც დროებით შეწყვი-



ტა იუსტინიანეს ბანგრძლივმა მმართველობამ, ახლა უკვე სასწავლოდ უნდა დამთავრებულიყო.

### თავი III

ირაკლის დინასტია. არაბთა შემოსევის საფრთხე და იმპერიის გარდაქმნა VII საუკუნეზე (610-717)

- I. იმპერიის აღდგენა ირაკლის მიერ.
- II. არაბთა შემოსევის საფრთხე.
- III. რელიგიური პოლიტიკა და დასაცლეთი.
- IV. იმპერიის გარდაქმნა VII საუკუნეზე.
- V. ირაკლის დინასტიის დასასრული და იმპერიის დეკადანის (685 -717 წ.).

ბიზანტიის ისტორიაში VII საუკუნე ერთ-ერთი ყველაზე პირეული პერიოდია, ესაა მძიმე კრიზისის ეპოქა, ის გადამწყვეტი მომენტი, როცა თვით იმპერიის არსებობა სათუთ ხდება. გამოიყიტულსა და ძალადაწრეტილ იმპერიას გარედან საშინელი საფრთხე ემუქრება, ჯერ – სპარსელების, ხოლო შემდეგ – კიდევ უფრო საშინელია – არაბების მხრივ. შეიგნიოთ სრულდება ძირეული გარდაქმნა, რომელიც ახალ იერს ანიჭებს ბიზანტიის საზოგადოებას და სახელმწიფოს. მანამდე, ყველაურის მიუხედვად, მონარქია კვლავ ჩრიბოდა რომის მსოფლიო იმპერიად. ლათინური სახელმწიფოს ოფიციალური ენა იყო და რომაული ტრადიცია უცვლელად ინარჩუნებდა ჯერ კიდევ რომში უორმინებულ წოდებებსა თუ თანამდებობებს. VIII საუკუნის დამდეგს კა, პირიქით, ყალიბდება. პირწმინდად ბიზანტიური იმპერია, რომლის მთელი ძალობისილება კონსტანტინეპოლის ირგვლივა კონცენტრირებული, ხოლო შისი არსი სულ უფრო და უფრო აღმოსაფლური ხდება.

### I

იმპერიის აღდგენა ირაკლის მიერ

იმ დროისათვის, როცა ირაკლი (610-641 წ.) ტახტზე ავიდა, იმპერიის მდგო-

მარეობა თითქმის უიმედო ჩანდა, სპარსელი სამართლებების აღწევდნენ; 612 წელს მათ აიღეს ანტიოქია, აპამეა და კესარია; 614 წელს – დამასკე; 615 წელს ისინი იერუსალიმში შეიჭრნენ, საიდანაც კტესიფონი გადაიტანენ წმიდა ჯვარი და კველაზე უფრო სახელგანთქმული ქრისტიანული რელიგიები; 617 წელს მათ დაიძყრეს ეგვიპტე და აზიაში ქალკედონის მიაღწიეს. იმავდროულად, კონსტანტინეპოლის კარიბჭესთან გამოჩნდნენ ხუნძები (619 წ.). ლანგობარებმა დაიძყრეს იტალიის ზოგიერთი ოლქი და იმპერიამ საბოლოოდ დაკარგა თავისი სამფლობელოები ესპანეთში. ამდენი უბედურებით დათრგუნვილი და სასომიხდილი ირაკლი ერთხანს იმასაც კი ფიქრდება, რომ კონსტანტინეპოლი მიეტოვებინა და აფრიკაში გადაეტანა სახელმწიფოს დედაქალაქი. მაგრამ პატრიარქმა სერგიუსმა, ამ მტკაცე და ენერგიულმა კაცმა, ვისი გავლენაც აშკარად ატყვევა ირაკლის მთელ პოლიტიკურ მოღვაწეობას, ბოლოს მაინც შესძლო იმპერატორის გამხნევება; ასერომ, მეტისმეტად მგრძნობიარე და ნერვიულმა ირაკლიმ, ვის სულშიაც ბობოქარ აღტყინებას ანაზღაულად ენაცვლებოდა სასოწარკეთა, კულმენურვალე რწმენით აღსაცხემ და დაუოპებელი სურვილით ანთებულმა, შეურიებია სპარსელებზე მათ მიერ შებღალული და შეგინებული ქრისტიანობის გამო, ამასთანავე, მხნე მეომარმა და გამჭრიახმა მხედაროსმთავარმა, კვლავინდებურად მოიცა ძალი. პატრიარქმა საეკლესიო საგანძურო გადასცა მას. ირაკლიმ განსაციფრებელი გულმოლგინებით ხელახლა შექმნა არმია. 622 წელს ის უკვე მზად იყო სალაშქროდ.

ექვს წლის მანძილზე იმპერატორს აღიარ ასპარეზი და აღარაუერი; არც იმ მრისხანე იერიშისთვის მიუქცევია დიდი ყურადღება, კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ ერთობლივად რომ წამოიწყველ სპარსელებმა და ხუნძებმა (626 წ.); ის მტრის ტერიტორიაზე, აზერბაიჯანში (623 წ.) და ხარავეთის სომხეთში (625 წ.) გამოიდა „დიდი მეფის“ ლაშქარს; გაიმარჯვა ნინევიასთან (627 წ.), კტესიფონის გა-

ლავანთან (628 წ.) და ლეგენდის გმირად იქცა, როგორც პირველი ჯვაროსანი. ხოსრო II-ის სიკვდილმა (628 წ.) და ამის შემდეგ დაწყებულმა აჯანყებამ აიძულა სპარსელები მათვის დამატირებელ ზავს დათანხმებოდნენ, რომლის ძალითაც ისინი ხელს იღებდნენ მათ მიერ დაპრობილ მოულ ტერიტორიაზე და უწინარეს ყოვლისა, უკანვე აბრუნებდნენ წიმიდა ჯვარს, რომელიც ირაკლი დადი ზარ-ზეიმით ჩაიტანა იერუსალიმს (629).

ამ შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ ირაკლიმ სცად თავისი რელიგიური პოლიტიკის მეშევრიბით შინაგანი ერთიანობა დაებრუნებინა იმპერიისათვის. სირიელი და ეგვამტელი მონოფიზტების მოსამსრობად, ის პატრიარქ სერგიუსსა და კვიროს ალექსანდრიის ერთად შეუდგა შემრიგებლური ფორმულის შემუშვებას, რასაც მართლმადიდებლობის წიაღში უნდა დაებრუნებინა განდღომილი. აქედან იღებს დასაბამს მონოფიზტური მოძღვრება, რომელსაც იმპერატორი განსაზღვრავს სარწმუნოების გადმოცემისას, რაც ცნობილია „ეკონისის“ (638 წ.) სახელწოდებით. ამ გზით ის ცდილობდა რომის ეკლესიასთან შეურიგებინა მონოფიზტები.

ამ ძალისხმევის შედეგად იმპერიის ერთობა კვლავ აღდგენილი ჩანდა: მისი პრესტიჟი ხელახლა განიტკიცდა აღმოსავლეთში და, ქრისტეს ხჯულზე სერგებისა და ხორვატების მოქცევის შედეგად, მისი გავლენაც კვლავინდებურად გავრცელდა ბალკანთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთით.

მაგრამ ეს გარეგნული ბრწყინვალება ცუდად მაღავდა შინაგან სიმწირეს. ფინანსური მდგომარეობა სავალალი იყო; სეპარატისტული ტენდენციები, რამაც ასე შეუწყო ხელი სპარსელთა წარმატებას, კვლავინდებურად მძღვრობდა პროვინციებში.

არაბების შემოსვევამ რამდენიმე წელიწადში გააქარწყლა იმპერატორის გამარჯვებათა კველა შედეგი, ხოლო მისი რელიგიური პოლიტიკა, იმავდროულად, ხანგრძლივი უთანხმოებისა და მწვავე კონფლიქტების სათავედ იქცა.

## არაბთა შემოსვევის საშრომა

VII საუკუნის დასაწყისი დიდი მოვლენით – ისლამის დაბადებით აღინიშნა, ოცი წლის განმავლობაში, უჩვეულო ექსპანსიის შედეგად. ახალმა რელიგიამ აღმოსავლეური სამყაროს უზარმაზარი ნაწილი მოიცვა და სპარსეთისა და ბიზანტიის ხარჯზე იქცესის ნაპირებიდან დიდი სირტისის სანაპირომდე გავრცელდა.

634 წელს ხალიფა ომარის ლაშქარი სირიაში შეიჭრა. ბიზანტიელთა არმამ მარცხი იწვინა აგნადაინთან (634 წ.); დამასკე არაბებმა იგდეს ხელო (635 წ.); იამბუკის დანგრევამ (636 წ.) აიძულა ირაკლი სამუდამოდ გამოსთხოვებიდა სირიას. ეგვი არ იყოს, ბერძნების მოძულე მოსახლეობა სასწავლოდ გადაითოდა გამარჯვებულის მხარეზე. იერუსალიმი 637 წელს დანებდა არაბებს, ანტიოქია – 638 წელს. შემდეგ მესოპოტამიისა (639 წ.) და ეგვიპტის ჯერი დადგა, რომელიც ამორმა თრ წელიწადში (640-642 წ.) დაიყრიო ისე, რომ დიდ წინააღმდეგობას არ შეხვედრია. ხანდაზმული და დასხეულებული ირაკლი სახელწარკეთადი გარდაიცვალა, მისი შემკვიდრის კონსტანტი II-ის მართველობისას (642-668 წ.) ბედი კვლავ არაბებს უდიშოდა, კირენაიკა და ტრიპოლიტანია მათ ხელში გადაიიდა (642-643 წ.); 647 წელს არაბებმა პირველად დალაშქრეს ჩრდილო აურიკა; მათ დაარბიუს მცირე აზია (651 წ.) და დაიყრის სომხეთი (653 წ.) ბოლოს, სამხედრო ფლოტი შექმნეს და აღმოსავლეთის ჩდევებზე ბიზანტიელთა პეგემონიას დაემუშავნება. არაბებმა დაიმორჩილეს კირისი (649 წ.), დაარბიეს როდესი (654 წ.) და ლიკიის ნაბირებთან ხასტიგად დამარცხეს ბიზანტიელთა ესკადრები, რომლებსაც თავად იმპერატორი სარდლობდა (655 წ.) საფრთხე თვით კონსტანტინებოლს დამუშარა და კონსტანტი II, რომელიც აღმოსავლეთს ჰავე დაკარგულად თვლიდა, იძულებული იყო დასავლეთში გაეტარებინა სიცოცხლის ჟანანსენელი წლები (663-668 წ.).

ამან საქმე შეუმსუბუქა მოეიად ხალ-



იფებს, რომლებიც 660 წლიდან განაგებდნენ დამასკოს. აქედან მოყოლებული, არახედა ყოველწლიურად თავს ესმოდნენ და აოზრიდნენ მცირე აზიას. 669 წელს მუსულმანებმა ქალკედონს მიაღწიეს. იმავდროულად, მათ განაახლეს დასავლეთშე თავდასხმა, ჩრდილო აფრიკაში გამაგრდნენ, სადაც დაარსეს კაირუკანი (669 წ.) და სიცილიას დაემუქრნენ. პიროვს, მთელი ძალების დაძაბვით შეეცადნენ იერიში მიეტანათ კინსტანტინეპოლის მაგრამ ახალი იმპერატორი კონსტანტინე IV (668-685 წ.) ენერგიული მართანებელი იყო. მთელი ზუთი წლის განმავლობაში (673-678 წ.) არაბები ჰლოს მხრიდანაც და ზელეთიდანაც გარს ადვინენ კონსტანტინეპოლის, მაგრამ აღებით კა ვერ აიღეს.

ბიზანტიულთა ფლოოტმა, რომელსაც ახლად გამოიხინებულმა ბერძნულმა ცეცხლმა გადამწყვეტი უპირატესობა მოუპოვა. სკაუტცია მუსულმანთა ესკადრები და სილეუმის ტალღებში გამანაგურებელი დარტყმა აგემა მათ. ხმელეთშე კახალიფის დაშქარმა ასეთივე მარცხი იწყნია აზიაში, მოავია იმულებული შეიქნა ზავი ეთხოვა (678 წ.). ისლამის პირველი შემოტევა მოგერიებულ იქნა. კონსტანტინე IV-ი შეეძლო ეამაყა თავისი საქმით. იმპერიის პრესტიუზი კვლავ ისეთნაირად ამაღლდა, რომ ბიზანტიის ყველა მეტოქე იმულებული გახდა ქედი მოეხადა მის წინაშე, „და დიდმა სიმშვიდემ – ამბობს ქრისისტი თეოფანე, – დაისადგურა აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც“.

### III

#### რელიგიური კოლიტიკა და დასაცვლელი

იმპერატორმა იმავდროულად აღადგინა მშვიდობა ეკლესიაშიც.

ირაელის რელიგიურ პოლიტიკას მმიე შედეგი მოჰყვა. მოხოთელიზმმა აფრიკასა და იტალიაში დიდი უძმაყოფილება გამოიწვა, რასაც მოწმობდა კრითიკებისა (646 წ.) და რავენის (650 წ.) ექზარქების ამბობება იმპერატორის წინააღმდეგ, იტალიის მოსახლეობის მტრუ-

ლი განწყობილება, რაც დღითი-დღე სულ უფრო მეტად მძაფრდებოდა, და რომელ პაპების შეურიგებელი ოპიზიცია. მდევრულების დასაშოშმინებლად კონსტანტია II-მ ამაღლ გამოაქვეყნა ედიქტი, ეგრეთ წოდებული „ტიპოსი“ (648 წ.); ამაღლ ბრძანა, დაეპატიმრებინათ და მსჯავრი დაედოთ პაპ ვარტანუს I-სათვის (635 წ.), ამაღლ ეწვა დასავლეოს. მართალია რომი იმულებული შეიქნა ქედი მოუდრია, მაგრამ ყოველივე ამან საშუალება მისცა დანგობარდებს, რამდენიმე ოლქი კიდევ ჩაეგდოთ ხელში. კონსტანტინე IV მიხვდა, რომ აუცილებელი იყო ახალი პრილიტიკა. ეგვიპტისა და სირიის დაკარგვა ამიერიდან სრულიად ფუჭს ხდიდა მინოფიზიტების შემორიგების მცდელობას; რელიგიური თანხმობის აღდგენა და რომთან კავშირი კი იმპერატორს იმედს აძლევდა, რომ დაუყოვნებლივ შემოურთებდა იმპერიას იმსა, რაც კერძევ რჩებოდა იტალიაში, და საიმისერაც მოიცლიდა, რომ სამხედრო საქმისა და პოლიტიკისათვის მიეძღვნა თავი.

ამიტომაც კონსტანტინეპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებამ (680-681 წ.), რომელიც მიზნად ისახავდა რელიგიური ერთობის აღდგენას, პაპიზმთან თანხმობით დაგმო მონოთელიტური ერესი და დაამკვიდრა მართლმადიდებლობა.

ეს დადი წარმატება იყო. 685 წლისათვის, როცა გარდაიცალა კონსტანტინე IV, კაცს შეიძლებოდა ეფიძრა, რომ იმპერიამ თავი დააღწია კრიზისს. რა თქმაუნდა, ამ კრიზისიდან ის ძალზე დაპატარებებული და დაკინებული გამოვიდა, ხოლო მის ეკონომიკურ ძლიერებას ძირი ჰქონდა გამოთხრილი ეგვიპტის დაკარგვის შედეგად, რომლის მარცვლეულიც იმპერიისათვის ერთ-ერთ საარსებო საშუალებას წარმოადგენდა. არანაკლებ სავალდო იყო სირიის დაკარგვა, რომლის მრავალდარგოვანი მეწარმეობა იმპერიის სიმდიდრის ერთ-ერთი ძირითადი წყარო გახლდათ, ისევე როგორც ალექსანდრიის, დაზის, ბეირუტისა და ანტიოქიის ნავაზადგურების, გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობათა ამ უმნიშვნელოვანების ცენტრების გარეშე დარჩენა. ეგვიპტი არ იყოს, პორიზონტი ახალმა



სავდორო ლურჯელმა ჩამოაბნელა: 679  
წელს ბულგარელებმა დუნაი გადმოლახეს და მდინარის სანაბირო ზოლსა და ბალანეთს შორის დახახლდნენ. მაგრამ ხასროოდ, იმპერიამ შეხძლო წინ აღდგომოდ ისლამის გაფორმულებულ იერიში; ტერიტორიის დაცა შესაძლო გახდა დიდი აღმანისტრობიული რეფორმის წყალით, და იმპერია, უცრო მჭიდროდ შექრული, უფრო ერთგვაროვნი, აღმოსაფლური სეპარატიზმის საფრთხისაგან თავდასხნილი და დახავლეთის მკვდარი ტვირთისაგან თავისუფადი (698 წელს მან დაკარგა აფრიკა, ისევე როგორც უფრო ადრე – ესპანეთი და ოტალიის ხახვარი) ჯერ კიდევ მძლავრ და სიცოცხლისუნარიან ორგანიზმად ჩანდა, რომელსაც შეეძლო ერახება ახალი, პირწმინდად აღმოსაფლური ხახით, რაც მან VII საუკუნის განმავლობაში შეიძინა.

#### IV

### იმპერიის გარდამნა VII ს.

და მართლაც, იმპერიაში ძირეული ცვლილებები მოხდა.

უწინარეს კოვლისა, უნდა ადინიშნოს, ეთნოგრაფიული სახეცვლილებანი. გაპარტაქებულსა და გაუკაცერებულ ბალკნეთის ხახევარებულზე თანდათანობით მკვდრდებოდნენ ახალი ტომები. ირაკლი იმპერებული იყო საცხოვრისი მიეცა სერბებისა და ხირვატებისაკვის, იმ პირობით, რომ მათ ქრისტიანობა მიეღოთ და იმპერიის ვასალები გამხდარიყვნენ. სლავებმა სხვა მხარეებშიაც შეაღწიეს. მიზიაში, მაკვდონიაში და თეთოთებალონიების საზღვრებამდე შექმნა სლავებით დახახლებული მთელი ოლქები, რომელიც მათ თავიანთი დამარტიველი თარეშის შედეგად დაიმკვიდრეს. სლავები სახლობდნენ თესალიაში, ცენტრალურ საბერძნეთში – თვით პელოპონესიაში და არქიპელაგის კუნძულებზე. მართლია, გადაჭარბებული იქნებოდა, ფალმერიარივით გველაპარაკა ამ ოლქების სრულ სლავიზაციაზე, მაგრამ ის კი უკვევლია, რომ მრავალრიცხოვანი უცხო ტომები შეერივნენ ბერძნულ მოსახლეო-

ბას, და ამ დამპყრობლებმა არაერთი მოსახლე გვამტვრევი გაუჩინეს VII საუკუნის უკანონობრივ პერიოდებს, რომლებიც დიდი გაჭირვებით ახერხებდნენ მათ დამორჩილებას და ასიმილირებას. გარდა ამისა, ხახვარებულის ჩრდილო-დამტაველები ნაწალში მასიურიდ დასახლდნენ ბულგარელები, რომლებიც იქ მათზე ადრე დამკვიდრებულ ხლავებთან მეზობლობის წყალიბით თვითონაც გასლავდნენ და საქმაოდ მძლავრი სახელმწიფო შექმნეს. ზოველივე ეს, რაღა თქმა უნდა, სერიოზულ საყროთხეს უქმნიდა იმპერიას, მაგრამ რასების ამ შერევას ერთი უპირატესობაც ქვიდვა: ახალი სისხლის მოზღვავებამ გააახლოგაზრდავა იმპერია.

დაახლოებით ამავე დროს დახრულდა უაღრესად მნიშვნელოვანი აღმინისტრაციული გარდაქმნებიც:

იუსტინიანეს მეფობიდან მოყოლებული, ჯერ კიდევ ძველი რომიდან მომდინარე მმართველობის სისტემა ზოგიერთ პროვინციაში საცრინელი ცვლილება განიცადა იმის შედეგად, რომ ერთ ხელში გაერთიანდა სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლება. იუსტინიანეს შემდეგ, საზღვრების უკეთ დაცვის მიზნით, ამნარი პრაქტიკა საყოველოთ გახდა. VI საუკუნის დამლევს მავრიკიოსმა სწორედ ამიტომ შექმნა აფრიკასა და რავნი ექზარქატები: პროველი – ბერბერების, ხოლო მეორე – ლანგობარების წინააღმდეგ საბრძოლველდად. დაბოლოს, VII საუკუნეში ასეთსავე ზომებს მიმართეს აღმოსაფლებოშიც, რათა თავიდან უცილებინათ არაბებისა და ბულგარების შემოხვევა. ირაკლიმ და მისმა მემკვიდრეებმა დაადგინეს ოლქები, რომლებსაც „თემები“ ეწოდებოდათ. თავდაპირებულ ეს სიტევა სამხედრო შენაერთს აღნიშნავდა, შემდეგ კი იმ ტერიტორიას მიესალავა, სადაც ეს შენაერთი იდგა. ამ ოლქებში სამხედრო ძალაუფლება მინდობილი ჰქონდა მხედარომთავარს. „სტრატეგს“, ვის ხელშიაც იყო სამოქალაქო ძალაუფლება, მაგრამ ეს უძანისენელი დაკვემდებარებულად ითვლებოდა სამხედრო ძალაუფლების მიმართ. ასე შეიქმნა თემები: აზიაში – არმენიაკოსთა, ანატოლიიკოსთა და ოსმიკოსთა,

ევროპაში კი — თორავითსა. ზუსტად ასე-  
ვი იყო ორგანიზებული ზღვისპირა რელ-  
ები და კუნძულები; ისინი „საზღვაო  
თემებას“ ქმნიდნენ. რომაული ეპოქისა-  
გან განსხვავებით, როცა ქვეფანა „ეპარ-  
ქიებად“ იყო დაყოფილი. VII საუკუნის  
დამლიას ის შვიდი თუ რა საქმაოდ  
ვრცელი „თემისაგან“ შედგებოდა. VIII  
საუკუნის იმპერატორების მიერ გავრცე-  
ბილმა და გასრულებულმა თომების სის-  
ტემამ თვითი იმპერიის დასასრულამდე  
იარსება. სამხედრო თვალსაზრისით ის  
აღნიშნავს ევროლუციას, რაც ნიშნეულია  
შეა საუკუნეების ყველა სახელმწიფოს  
ავფის.

მაგრამ VII საუკუნის ყველაზე არსე-  
ბითი ნიშანი იმპერიის ელინიზაცია გახ-  
ლდათ. სწორედ ირაკლის მმართველობი-  
სას, 627 წელს, საიმპერიო ოქტომბერი  
რომაული ტიტულის ნაცვლად პირველად  
გვხვდება ბერძნული სახელწოლება —  
„დათივგარწმუნო ბასილევსი“ (პისტოს  
ენ აუთ ბასილევს), რომელიც ამიერიდან  
მიეკუთვნება ბიზანტიის ყველა იმპერატ-  
ორს. ბერძნული ენა სახელმწიფოს ოფი-  
ციალური ენა ხდება. ჯერ კიდევ იუსტი-  
ნიანემ, რომელიც დათინურს იმპერიის  
„ნაციონალურ ენად“ თვლიდა, ეპაილ ინ-  
ება და, ხალხისთვის გასაგები რომ გაეხა-  
და, „ყველასათვის მისაწვდომ ბერძნულ  
ენაზე“ გამოაქვეყნა თავისი უწყებების მე-  
ტი ნაწილი. VII საუკუნეში ყველა საიმ-  
პერიონ განკარგულება, ისევე როგორც  
მთავრობის დადგენილებანი, ბერძნულ ენ-  
აზე ქვეწყდება. ადმინისტრაციულ დევესი-  
კონში ძეველი ლათინური ტიტულები ქრე-  
ბა, ან ელინიზირდება და მათ ახალი სახე-  
ლწოლებები ცვლის — „ლოგოთეტები“,  
„ეპარქები“, „სტრატეგები“, „დრუნგარი-  
ები“. არმიაში, სადაც აზიური და სომ-  
ხური ელემენტები ჭარბობენ, ბრძანებე-  
ბის გაცემა ბერძნულ ენაზე ხდება. მარ-  
თლია, ბიზანტიის იმპერია თავისი არ-  
სებობის უკანასკნელ დღემდე „რომის იმ-  
პერიად“ იწოდება, მაგრამ სიტყვა „რომ-  
იომ“ „ბერძნების“ აღმნიშვნელად იხმა-  
რება. დაბოლოს, V-VI საუკუნეების მწერ-  
ლობის დახვეწილი და, ცოტა არ იყოს,  
ხელოვნური ენის ნაცვლად, რომელიც  
კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს

აგრძელებს, თანდათანობით მკვიდრდებულობისა  
ბერძნული ხალხური ენა, რომელიც იმპერიუმის  
რის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის  
სამეტყველო ენად იქცევა.

იმპერიის ელინიზაციის კალდაკვალ,  
სულ უფრო მკაფიო ხდება რელიგიური  
ტვიფარი, რომლითაც, საზოგადოებრივ  
ცხოვრებაზე ეკლესიის დღითიდლე მზა-  
რდი გავლენის შედეგად; ყოველფრის აღ-  
ბეჭდილი იყო იგი. რელიგიური საკითხე-  
ბი არსებით როლს თამაშობენ სახელმ-  
წიფოში. ირაკლის ომები, იმავდროულად,  
ჯვაროსნელ ლაშერობებად გვევლინები-  
ან; საღვთისმეტყველო პრობლემები თე-  
ოლოვებზე ნაკლებ როდი აღელვებს იმ-  
პერატორებს, ამიერიდან მართლმადიდე-  
ბლობა ბიზანტიაში უშეაღლოდ ერწყმის  
ხალხურობას. ეგვიპ არ იყოს, კონსტან-  
ტინეპოლის პატრიარქი, რომელიც არა-  
ბების მიერ აღექსანდრიის, ანტიოქიი-  
სა და ერუსლანიშის საპატრიარქების  
დაყრობის შემდევ ბიზანტიის ყელესის  
ერთადერთი მეთაური ხდება, უდიდეს  
ავტორიტეტს იძენს და ხშირად გაღამწ-  
ყვეტ ჟერომედებას ახდენს მთავრობაზე.  
მონაზვნობის განვითარება, მონსატრების  
სიმრავლე და სიმდიდრე, მონაზვნების  
გავლენა მორწმუნეობა სულებზე, საყვე-  
ლოთ პატივისცემა, რომლითაც ისინა  
არიან გარემოსილი და მონასტრების  
კუთვნილი წმიდა ხატების თაყვანისცემა  
არანაკლები მნიშვნელობის ფუტებად  
გვევლინებიან.

VII საუკუნის დამლევს წარმართობა  
და მასთან ერთად ანტიკური სულიც ქრე-  
ბა. VII საუკუნის დამდეგიდან ბიზანტი-  
ური ლიტერატურა პირწმინდად რელი-  
გიურსა და ხალხურ ხასიათს იძენს. ინ-  
ტელეგრაფულური და მხატვრული თვალ-  
საზრისით ეს ბერძნილი ერთ-ერთი ყვე-  
ლაზე მწირი პერიოდია ბიზანტიის ის-  
ტორიაში. მაგრამ სწორედ ამის წყალო-  
ბით, ბერძნული ენა, რომელიც ყოველ-  
თვის საეკლესიო ენა იყო აღმოსავლეთ-  
ში, საბოლოოდ იყრინობს იმპერიას. კო-  
ნსტანტინეპოლის პატრიარქების პატივ-  
მოყვარეობა, რაც ასე აღაზიანებდა თა-  
ვითომწიონე რომაელებს, იმპერატორების  
რელიგიური პოლიტიკა, რომელიც პა-  
პების წინააღმდევ იყო მიმართული და

შეურაცხოვდა მათ ღირსებას, აღმოსავლეთისა და დასავლეთის თანადათან მზარდი უთანმოება და ურთიერთმტრობა, — ყოველივე ეს აღმავებდა ორ სამყაროს აღმოსავლობას თა აღმოსავლეთისაკენ უძიძებდებ ბიზანტიის იმპერიას. ამ დროიდან მონარქია იძენს ორ მძღვრ საყრდეს, რომელებიც განაპირობებენ მის არსებობას და განსაზღვრავენ მის სპეციფიკურ ხასიათს: ეს ორ საყრდენია ელინიზმი და მართლმადიდებლობა.

#### V

### ირაკლის დინასტიის დასასრული და იმპერიის დმპადანი (685-717 წ.)

საკმარისი იყო მტკიცე და ძლიერა ხელი, რომ უზრუნველეყო ამნაირად გარდაქმნილი იმპერიის კეთილდღეობა, საუბედუროდ, იუსტინიანე II-ის (685-695 წ.) წინდაუხედაობამ და თავქარიანობამ მამამისის მოღვაწეობის ყველა შედეგი წყალს მისცა და ქარს გაატანა. კვლავ დაიწყო ომი ბულგარელებსა (689 წ.) და სლავებთან; განახლდა იმპერიისათვის საბედისწერო ბრძოლა არაბებთანაც (692 წ.). შეორეს მხრივ, რელიგიური პოლიტიკა რომთან განხევჭილებისა და იტალიის აჯანყების მიზეზი გახდა. 695 წელს სახელმწიფო გადატრიალების შედაგად ირაკლის დინასტია დამხო და დაიწყო ოცწლიანი ანარქიის პერიოდი (695-717 წ.), რომლის განმავლობაშიაც ექვსმა იმპერატორმა შეცვალა ერთმანეთი იმპერიის ტახტზე, ამ შინააშლილობების შედეგად ბიზანტიის აფრიკა სამუდამოდ გადავიდა მუსულმანების ხელში (693-698 წ.). აღმოსავლეთში, ტიბერიუს III-ის (698-705 წ.) მცდელობისა და დროებითი წარმატების მოუხედავად, არაბებმა დაარბიეს მცირე აზია და ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებულ სომხეთსა (703 წ.) და კილიკიაში (711 წ.) შეიჭრენ, ხელო იგდეს ამასია (712 წ.) და პისიდიის ანტიოქია (713 წ.), მოაოხრეს გალატია (714 წ.), გარს შემოწყვენ ამორეას (716 წ.) და პერგამოსა აიღეს, იმავდროულად, ბულგარელები, რომელთა ხანმა — ტრეველმა 705 წელს ხელახლა აიყვანა ტახტზე იუსტინიანე II, იმპერი-

აში შეიჭრენ (708 წ.) და კონსტანტიინე პოლის კარიბჭეს მიაღწიეს (712 წ.) პერიის მდგომარეობა კრიტიკული განდა.

საქმე არც ქვეყნის შიგნით იყო უკეთ. იმდროინდელ საზოგადოებაში შეინიშნება საშინელი ინტელექტუალური და მორალური დეგრადაცია. სამოქალაქო ომის პერიოდში კველაფერი ველურობის, გულმხეცობის, გამცემლობის სულმა მოიცვა. გამუდმებული შინააშლილობანი, აღვიახსნილი პატივმოყვარეობა, ამბოხებების აღში გახვეული ქვეყანა იტალიიდან ხერსონესამდე, — ყოველივე ეს მოწმობდა, რომ აღარც ერთგულება დარჩეს სადმე და აღარც ლიოალობა. ფართო გასაქანი ეძლევა ცრუმორწმუნებობას: წმიდა ნაწილების თაყვანისცემა, ხატების სასწაულთმოქმედი ძალის, ყოველივე უჩვეულოსა და ზებუნებრივის მიამიტური რწმენა; საკმარისია გავიხსნოთ, რა როლი მიეწერებოდა დათისმშობელს კონსტანტიინელის გარემოცვისას (626 წ.), ან წმიდა დიმიტრის — თესალონიკის დაცვისას, ამ ღროს ყველა სულმა უფლება ფატალისტური განწყობილება. ყველაფერი, რაც საერთო თუ სასულიერო პირთა ზნებობაზე ვიცით, გამაონგებელ დემორალიზაციას მოწმობს. საყოველთაო აშლილობის კიდევ ერთი მიზეზი იყო ბერ-მონაზონთა ზეგავლენა და ის უწვევული ვნებათაღელელვა, რასაც ისინი აღვივებდნენ ხალხში. ყოველივე ეს სახესძიო სამართლიან აღშევოთებას იწვევდა ქვეყნის მოჭირნახულეთა სულში. იმპერია მხსნელსა და მეოხს ელოდა. ეს როლი დევონ ისავრიელს ხედა წილად. 717 წელს, როცა ანატოლიაკოსთა და არმენიაკოსთა სტრატეგები ერთობლივად აღიძრენ თეოდოსი III-ის წინააღმდეგ, რომელიც იმპერატორად გამოაცხადეს ოპსიიონის მოლაშერებმა, და კონსტანტიინეპოლისაკენ დაიძრენ, ყველამ — სენატმა და ხალხმა, პატრიარქმა და ჯარისგაცებმა — მხარი დაუჭირა დეონს. ისავრიელთა დინასტიას, რომელმაც ხელო იგდო ძალაუფლება, სასწრაფოდ უნდა აღედგინა წესრიგი, უზრუნველეყო იმპერიის უსაფრთხოება და წარმატებით დაეგვირგვინებინა მისი რეორგანიზაცია.

# მირიან შველიძის იმპროვიზაციები

ნოდარ გურაბანიძე

შალოესად საინტერესო ფერმწერია მირიან შველიძე, მაგრამ მან სახელი გაითქვა როგორც სცენოგრაფია. აგრე შემ იც წელზე მეტია, რაც რუსთაველის სახელობის თეატრში მუშაობს და ამ ხნის მანძილზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაყურებელმა იზილა მისი ბრწყინვალე დეკორაციები „რიჩარდ III“-ში და „მეცე ლიონში“.

კარგად მახსოვეს, თუ რა დიდის ინტერესით ათვალიერებდნენ მხატვრები და დეკორატორები ღონილობი, „რაუნდ ჰაუზის“ ვესტიბიულში გამოფენილ „რიჩარდ III“-ის მაკატს. ამ საექტაკლებისადმი მიძღვნილ ყველა რეცენზიაში, ავტორები აუცილებლად, საგანგაბოდ განიხილავენ ხოლმე მის ნამუშევარს, რაღაც ამის გარეშე ხნელი წარმოსადგენია არა მხოლოდ დადგმის საერთო განწყობილება, ვარემოს ატმოსფერო, არამედ მიზანსცენები, მოქმედების რიტმი, ადამიანისა და გარესამყაროს კავშირი.

სხვადასხვა რეჟისორთან უმუშავნია, მაგრამ ჩემს აზრით, მხოლოდ რ. სტურუასთან თანამშრომლობაში გამოვლინდა მისი ნიჭის მთელი თავისებურებანი.

„...სუდ სხვანაირი მხატვარია მირიან შველიძე, მოღაუშელი, მიუკარებული, რაღაც ნაირად მისტიური, განმარტოებული და ეს არა მხოლოდ და არა იმდენად მისი ხასიათის თვისებაა, რაძენადაც მისი მხატვრული მსოფლადქმა. იგი „საგანია თავის თავში“ და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წინასწარ არ იცი თუ რა სახით წარიმართება ჩემი მუშაობა“ — წერდა რ. სტურუა (შურ. „ტეორიუსტური“, № 4, 1998).

„გვარევარეს“ გაფორმებამ (ქოსტუმები უ. იმერლიშვილს მეუთვნოდა) ერთაშად დააყენა იგი ქართველი სცენოგრაფიისტების პირველ რიგებში. უკვე ამ საექტაკლები გამოწინდა მისი სცენოგრაფიისათვის დამახასიათებელი ყველა ის ნიშანი, რომელთაც შემდგომი განვითარება პპროექტებს უკვე კლასიკურ ნიმუშებად ქცეულ საექტაკლებში („რიჩარდ III“, „მეცე ლიონი“). მოქმედება მის საექტაკლებში უმთავრესად „გარეთ“ ხდება, ინტერიერითა თუ რამებ ნაგებობის კედლებით შეუზღუდავ სივრცეში. სამყარო, სადაც საექტაკლი თამშედება ყოველმხრივ გაშლილია, გახსნილია, თავისუფალია, პირობითია, მაგრამ ამავ დროს ინდივიდუალიზირებულია, ანუ იგი მშოლოდ ამ, კონკრეტულად აღებულ პიესის ორგანული გარემოა, პიესის გმირის სასიცოცხლო არეა. რასაკვირველია, აქ ბევრი რამ (თუ უმთავრესი არა) განსაზღვრულია თვით რ. სტურუას თეატრალური ესთეტიკით, მისი რეჟისორული ხედვის თავისებურებით, გარემოს „გაუცხოებათ“, სიმულტანური და პოლისტილისტური „აღრევათ“, მაგრამ ეს არის მისი პრინციპი, ამოსავალი პოზიცია, რომელსაც გააზრება, მხატვრულ-საგნობრივ სამყაროდ ქცევა სჭირდება. მხატვარმა უნდა მოახდინოს სივრცის ორგანიზება, მსახიობისა და რეჟისორისათვის ამ სამყაროს გასულიერება, ზესტი ფაქტურის შერჩევა და ეს მით უფრო რთულია, რომ რ. სტურუა უაღრესად სიტყვაძუნწი კაცია, მას უნდა მიუხედო, შენით უნდა გაიგო მისი თეატრის ესთეტიკა. ყური მივუგდოთ გოვი მესნიშვილს, კაცს, რომელსაც ქართველ სცენოგრაფთაგან ყველაზე



მ. შველიძე და რ. სტურუა

ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებს რ. სტურუასთან: „იგი (რ. სტურუა, 6. გ.) ჩვეულებრივ, ერთი-ორი, უაღრესად ზოგადი შტრიხით შემოსაზაქს ხოლმე ესკაზს და მოკლე განმარტებას მოგვცემს, მაგალითად, ახეთს, „აი, აქ, რაღაც დადგი, რომელზედაც შეიძლება კაცი რომ ავიდეს“. მაგრამ მე უკვე დაახლოებით წარმოვიდგნ თუ რა სჭირდება მას. უპირველესად მას დიდი სივრცე სჭირდება. რობერტს უყვარს და შეუძლია მისი გამოიყენდა“ („საბჭოთა ხელოვნება“, № 8, 1987).

მ. შველიძე სპექტაკლს სივრცეში ხედავს, როგორც მოქანდაკე ნატურის სხეულს, ამიტომ მიმართავს იგი მაკრტს. იგი სპექტაკლის დეკორაციას აგებს, ძერწავს მაკეტი. მაკეტის არე განსაზღვრავს მასშტაბს, სხვადასხვა პლანს, მიზანსცენარების შესაძლებლობებს. მისი სცენოგრაფია სიღრმისულია, საგნებმი განსხვეულებული. თვით ეს საგნები, მოცულობები არა მარტო საქუთარი კომპოზიციის კანონებს უმორჩილება, არამედ „საგანთა მიზანსცენარებას“. მთელი ეს გარემო ნაკლებად ემთხვევა (ან სულაც არ ემთხვევა) პირის სიუჟეტს, თავისი არსით ის არის რეჟისორის ჩანაფიქრის სივრცითი გადაწყვეტა. ამდენად, თუ პირო-

ბითად ვიტცვით, იგი სპექტაკლის თანარეშისორია, ერთ-ერთი ავტორთაგანი.

სამწუხაროა, რომ საქუთარი ხელით აშენებულ მაკეტებს მ. შველიძე დაუდევრად ექცევა — მათ ან ნაწილებად შლის ან, სულაც, ანადგურებს. ამიტომ, სპექტაკლის სცენიდან ჩამოსკლის შემდეგ „გაფორმებიდან“ ფოტოსურათებისა და ჩვენა მეხსიერების ფრაგმენტების გარდა არაფერი რჩება. ხოლო ის, რაც დარჩა თეატრში, მის სახელისხმი, ბოლოს ისიც უმოწყალოდ განადგურდა დეკრიალებული ტრაგიკული ამბების შემდეგ „ყვარევარში“ პირველად გამოჩნდა სცენოგრაფიის ის „პრინციპული ეპლეკტიზმი“ (რ. სტურუას გამოთქმა), სიმულტანური გაფორმების ის ხერხები, რომლებიც „რიჩარდში“ და „მეუე ლიორში“ კიდევ უფრო განვითარდნენ. ნაცვლად პ. კაკაბაძის წისქვილისა (ხადაც პირსის პირველი მოქმედება მიმდინარეობს) სცენაზე იდგა ნახევრად დანგრეული ეპლებია, რომლის კედლებიდან შემოგვცერდა ყინწვისის ანგელოზი და დაისრული წმინდა სებასტიანე, აქვე იყო, თითქოს გადიდებული ძველი ფოტოსურათები — თანამედროვე მოქალაქეთა პორტრეტები. ერთმანეთის გეგმდით იყო წმინდანთა და ცოდვილთა გმირსახულებანი. ერთმანეთში არუშლი იყო სხვადასხვა ეპოქის ნიშნები. ეკლესიის უკანა

კალებუ კარის ნაცვლად ჯვალოს ფარდა ექიდა (საიდანაც შემოღოოდა ხოლმე კვარყვარი), სცენაზე დაშვიბული იყო კება ბაღი და შემაღლებულ ფიცარნაგზე მოჩანადა სახრიცებულია (რომელიც შეორე მოქმედებაში უზარმაზარ ჯვრად გარდა კვერცხიდა). ექლების უკანა კედელს მისდევდა იაბე, რომელიც პლატფორმით („კვარყვარეს ამბოონი“ — საქადაგოდ) მოაკრიებოდა. შორეულ კუთხეში მიგდებული იყო ოქროს გვირგვინი (რ. სტურუას და მ. შველიძის მოძღვნო სპექტაკლების აუცილებელი აქსესუარი) და ხელჯორი, რომელიც კვარყვარეს ხელში თითქმის კვერთხად გარდაისახებოდა. მბრუნავ სცენას, საჭიროების შემთხვევაში შემოქმნდა უზარმაზარი, გვერდებზე გაზეთებაქული კუთი (სადაც, ბოლოს, კვარყვარეს ჩაუშვებენ). სცენის დიდი ნაწილი თავისუფალი იყო და აღიქმებოდა როგორც სათამაშო მოედანი, რაც სავსებით შეესაბამებოდა რ. სტურუას ჩანაფიქრს, რომლის მიხედვით სპექტაკლი თამაშებითა მნიშვნელი შეა საუკუნეების ტრადიციისა — როგორც მისტერია ეკლესიის წინ. მისტერია, რომელიც გროტესკულ ფარსად გადაიცემდა.

ამ გარემოში შემოღოოდა კვარყვარე. სწორედ ამგვარ მიტოვებულ, დანგრუელ კლებისაში (რომელიც აღიქმებოდა როგორც დასაღუპავად განწირული ქვეყნის მეტაფორა) შესაძლებელი იყო „ქრისტეს ვნებების“ ნაცვლად გათამაშებულიყო კვარყვარეს ვნებაზი“ მოყოლებული მისი „გამოცხადებიდან“ დამთავრებული „ჯვარცმამდე“ (როგორც ცნობილია, რ. სტურუამ „კვარყვარე“ წარმოადგინა, როგორც ანტიქრისტეს, ცრუ-მესიის მოვლინება). კველა საგანი ჩართული იყო კვარყვარეს სანახაობით ქცეულ ისტორიაში, მოქმედება, „მეორე უზუნქციას“ იძენდა, ანუ გარკვეული მოვლენის მეტაფორად იქცეოდა. მაგ. თეთრი სავარძლელი, რომელიც კვარყვარეს პირველი დანართის დაშვიბული და დაშვიბული იყო კვარყვარეს „მოწერაში“ სიმბოლოს მიხედვით („კვარყვარეს მოწერა“ — „ამაზე უკეთესი მე აქ კერაფერი ვნახე, არცა აქ დასატოვებელიო“ — ჯურ მისი, შექლებ, ჩართულ სცენა-

ში, არტური უა-პიტლერის ძალაუფლების სიმბოლოდ იცცეოდა, „შეტეჭებულების“ სცენაში კვარყვარეს „მოწერებინი“ სწორედ ამ სავარძლის დაუფლებისათვის, იძროდნენ.

ასევე ამიტებებოდნენ სხვადასხვა სიტუაციაში — გვარგვინი, ხელჯორი, გრძელი მაგიდა, სახრჩობელიდან ჩამოხსნილი თოკი. ამის შემდეგ ხამები, სავარძლები, სახრჩობელები, კიბეები, (კვირგვინთან ერთად, რიგორც ვოქვი) რ. სტურუას და მ. შველიძის „საგანთა სამყაროს“ აუცილებელ ატრიბუტებად იქცევიან.

### „რიჩარდ III“!

„რატომ შევთავაზე სწორედ მას „რიჩარდ III“-ის გაუორმება? — კითხულიბდა შემდგომ რ. სტურუა — იმიტომ, რომ ეს გადაწყვეტილება თავიდანვე აღორიკერი ჩანდა... მისგან კველაფერი მოსალობენდა იყო ბანალობის გარდა და გამოვიდა ის, რაც გამოვიდა. მაკეტი გარებრული უფერული იყო, არაეფერტური, რაღაცნაირად გადღაბნილ-წაშლილიც კი, მაგრამ სცენაზე, განათების შემდეგ, შეიძინა თავისი ჰეშმარიტი მრავალიშნაღობა და წარმოუდგენილი მოცულობა. გამოიკვეთა ფაქტურა — ხე, თუნექი, თათქოს ჩამუქებულ სისხლში ამოსვრილი, ნახევრად გახრწინილი სხეული (მირიანისათვის ფაქტურა ყოველ-თვის ძალზე მინშენელოვანია). „ათამაშენენ“ მსახიობთა კოსტუმები და აქსესუარები, ფანტასტიკურად დიდი, აგებდეთად მთრთოლვარე ინგლისის რუკა, რომლის შუაგულში (ფინალური სცენა) ერთმანეთს ერკინებოდნენ რიჩარდი და რიჩმონდი. და უცებ, ხიგისემდე მოგვინდა ამ დეკორაციაში თამაში — შეუძლებელი იყო არ გვეთამაშა“ (უსრ. „ტვორჩესტვო“ № 4, 1988). გართლაც, სრულიად მოუღობენდა, ერთის შეხედით გაუგებარიც იყო, სცენაზე აღმართული დეკორაცია. რა კაეშირი პქონდა შექმნილთან (რომლის პირების „ისტორიული სიზუსტით“ დეკორებას, კოსტუმირებულ რომანტიზმს მინვეულია ჩვენი მაყურებელი) ამ გაშირებულ, მწირ გარემოს, შუაზე გაკვეთილ ხარის ფიტულს, რომლის თავი



გაკვირვებული იმზირებოდა მაყურებელთა დარბაზისაგენ? ან რა შეაში იყო ეს, თითქოსდა, ოორუნიმ ბოსხის სურათებიდან გაღმოსული ფიწლები, ორთითები, ურმის თვლები, რომლებიც სამურნეო იარაღს კი არა, ინკვიზიტორის საწამებელ არსენალს ჰგავდა. სცენის სიღრმეში ვერცხლისფრად ბზინავდა ლითონის კასრი, ბორბლებზე იყო შემდგარი ჩაღაცი საგარმლის გროტესკული ვარიანტი. სცენის შეაში კი ხარიხებზე შევენებული პლატფორმისათვის სათვალთვალო კოშკის მსგავსი დანადგარი (ყოველი მხრიდან რომ უდგებოდა ხის კიბე) აღმართულიყო. ყო-

ველივე ამას ზედ გადაპფარვოდა ვეება მოთეთრო მონაცრისფრო ტილოს კარვის კალთები, რომლის ბოლოები სისხლით იყო მოსვრილი. კარავს აგვირგვინებდა გაფხრეწილი გუმბათი, რომელზედაც ყვავები შემომსხდარიყვნენ (სიკვდილისა და მძორის სუნი თუ იკრება?). ეს პირქუში, ერთგვარად მიხტიკური გარემო მხოლოდ გაშიშვლებული ვნებების ასპარეზად თუ გამოდგება, სადაც კაცთა კვლა, დალატი, ცილასწამება ჩვეულებრივ ამბად ქცეულა. მაგრამ ეს „ციკე“ გარემო უაღრესად თეატრალური და აბსოლუტურად ადექვატური აღმოჩნდა რ. სტურუას ჩანაფიქრისათვის.


რომელიც ძალიან შორს იყო ერთგვაროვნებისაგან. სწორად შენიშვნა 6. კაზმა-ნამ შველიძის ამ სცენოგრაფიის გამო:

«Все может быть так, а может быть иначе: перетекающие, непостоянны метафоры Швейцарии не подаются прямой расшифровке, конкретному объяснению. В каждой сцене, в каждой иной совокупности с костюмом и гримом, пластикой актеров они создают иное эмоциональное ощущение, иллюстрируют иную интеллектуальную игру, как разные сочетания цветов в свето-музыке отзываются на разные звуки» («Театр» № 11, 1980).

ამგვარ საგანთა სამყაროში, სადაც ითქოს ყველაფერი უტილიტარულია და ამავ დროს განვენებულია, შეჩალიც, როგორც სიმბოლო, შეუძლებელია, რომ შექსპირის პერსონაჟები ეპოქის შესატყვისი კოსტუმებით გამოსულიყვნენ. აქ ყველაფერი სწორედ ამ ეპოქის კონკრეტულ საზღვრებს არღვევდა და „უდროო“, მარადიულ საგანთა სამყაროში გადადიოდა. ამიტომაც მოგვევლინების ტრაგედიის გმირები ეკლექტიკური, სხვა-

დასხვა ეპოქის ნარევი კოსტუმების ურთიერთობის გამოყენების (თუმცა ამ დროს მხატვრისთვის არ უღალატია ერთიანი სტილის გრძნობას). რომელიც ზუსტად შეესაბამებოდა არა მხოლოდ ვთქვათ, ლანდშაფტებს, არა ამედ თვით მსახიობთა პლასტიკის, ხოლო უფრო ფართო მნიშვნელობით. სტურუას თეატრალურ კონცეულიას, ამ სპექტაკლის შიდა სამყაროს (საოცარი აქ ის არის, რომ კოსტუმების ამგვარი კარნავალური სილუეტები იმპულსური გადაწყვეტილების შედეგი იყო). სუმც დეკორაცია მთელი სპექტაკლის მანძილზე არ იცვლებოდა, იგი იმდენად ჰლასტიკური ზდებოდა მსახიობთა მოქმედების კვალად, რომ მე პირადად, სრული შთაბეჭდილება მრჩებოდა თითქოს მათ სხვადასხვა რაკურსიდან ეუფრებდი. შეგვეძლო ამის ასხნა უბრალოდ — ჩაბნელებით, სხვადასხვა ძალის განათებით, შექჩრდილებით (ასე იცვლიდა გარეგნულ სახეს და შთაბეჭდილებაც არ იყო ამიტომაც მყარი). მაგრამ მთელი მხატვრული ეფექტი იქ-

3. შველიძი „რიჩარდ III“-ის დეკორაცია



მნებოდა დეკორაციის, საგნების და მსახიობთა ფიგურების ურთიერთობების ქმედების შედეგად. მსახიობის სხეული აცოცხლებდა, უფრო პლასტიურს ხდიდა დეკორაციას. თითქოს მხატვარი წინასწარ კულისხმობდა მსახიობის სხეულს, როგორც სცენოგრაფიის, კომპოზიციის უცილებელ ელემენტს. აქ განსაკუთრებულ აზრს იძენდა უერი და ფაქტურა. კარვის სისხლიანი კალთები, რომელიც მოყელ სივრცეს გარს შემოძევროდა, რაღაც არნახული, მაგრამ მხატვრის ფანტაზიისგან შეძილი გრანდიოზული სასაკლაოს შთაბეჭდილებას სტრებდა. ვერცხლისფრად მშინვარე პოლირებული თითბერის უერცელები ადამიანთა და საგანთა კონტურებს გროტესკული კონფიგურაციებით აირეკლავდა, რაც ამ სამყაროს უფრო მისტიურს ხდიდა. ამ ცივ ფონზე მკეთრად გამოიჩინდა მოყავისფრო-მოშავო საგნები, პატარა ბორბლებზე შეენებული კუბი, რომელზედაც ვითომ შემთხვევით ჩამოჯდებოდა რიჩარდი (და რომელსაც

უდიერად ჰქოვდა ბოლოს ვებს). როგორც იმ პლატფორმის სიბრტყეზე მომარ იძოდნ რიჩარდი ოუ რიჩმონდი, მოკვეთი ხის, სახელდახელო ხარაბიებით აწევდი ხუსელა — რაღაც განსაკუთრებულ საქართველო შინაარს იძენდა და თავების სისალდებული მატულობდა. საქმარისი იყო მასზე მიყუდებულ კიბეზე მასხარა ჩამომჯდარიყო, და ეს პლატფორმა თეატრში აღმართულ ხახვრად დაუმთავრებელ დეკორაციას ემგვარებოდა, რომლის სიმაღლიდან მასხარა ჭრეტრდა რიჩარდის რეჟისორიბით გათამაშებულ ტრაგიფარსს.

სივრცებივ-მოცულობითი გადაწყვეტის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სბექტაკლია „მეუე ლირი“. სცენაზე დაგდებული დეკორაცია სარკისებურად იმეორებს რუსთაველის თეატრის ლოუებსა და იარუსებს. აქ პირდაპირ არის მითითებული „ლირის თეატრის“ ანალოგი: ჩვენს წინ თამაშება უდიდესი ტრაგედია ცხოვრების თეატრის თუ თეატრ-ცხოვრებისა. მაგრამ თუ რუსთაველის თეატრის ლოუები და იარუსები თავისი ელვარებით, ბაროკოლური სიმძიდრით და მრავალუროვნებით საზიომო განწყობილებას აღმრავს ჩვენში, სცენაზე გამეორებული დეკორციები რაღაც გაუცნობიერებელ, მისტიურ შიშასა და შემაშეორებელი მოლოდინის გრძნობას იწვევს. ეს ხდება არა მარტო იმის გამო, რომ „ლირის თეატრის“ მთელი ინტერიერი გაძარცულია სამკაულებისაგან, ფერებისაგან, ნაძერწი ფიგურებისა თუ ჩუქურმებისაგან. არა! ჩვემი, იარუსებში გამომავალი ყოველი კარი საკნის კარის შთაბეჭდილებას აღმრავდა, რომელსაც აძლიერებდა ობლად მოკიაფე ელვეტიონსათვეს. ამ გრანდიოზული ფასადის მიღმა თითქოს რაღაც საშინელი აბები ისახებოდა და ტრაგედიის გმორები სცენაზე მხოლოდ იმისათვის გამოითხნებ, რომ იქ დაწყებული საქმე აქ, ჩვენს წინ გაეგრძელებინათ და დაემთავრებინათ. მიუსაფრობის, უსაზღვრობის შთაბეჭდილებას ბადებდა სადღაც, უსასრულობაში მიმავალი ვიწრო რკინიგზის ლიანდაგი ზედ შემდგა-





რი რეინის კარგასით. ამ უცნაური თე-  
ატრალური მოღანდების იღუშალებას  
კიდევ უფრო აძლიერებდა ჰემი ია-  
რუსზე შემოსკოტებული ად-  
ტული, რომელიც ისე გადმომხმილა,  
ითქოს აკეირდებოდა დაბლა. მიწაზე  
მხოხავთა ამაოცას. ასევე მილიანობი  
(ამოუცნობი იმ აზრით, რომ მრავალ-  
გვარ ინტერპრეტაცია იწვევდა) იღუშა-  
ლებით იყო სავსე სახრინდებლაზე შემო-  
ჯდარი გრძელებულიანი მაიმუნი და სა-  
ხრინდებლაზევე ჩამოკონტიალებული  
წყლის ვარცლი. სცენაზე აღმართული  
იარუსების ღონისძიები ძალზე მნიშვნე-  
ლოვან ფუნქციას ასრულებდა. აქე-  
დან გადმოხტებოდნენ ხოლმე ლირის  
რაინდები თუ რეგანასა და გონერილას  
მომხრენი. აქვე ფუხზე მდგარნი გარინ-  
დელი შესცემრიდნენ დაბლა, სცენა-  
ზე გამართულ ბრძოლებს შეურიგებელ  
მოწინააღმდეგებთა შორის (შერწყმა  
ასოციაციით მაგონდებოდა კორიდის ის  
მონაწილენი, რომელიც მღელვარების-  
გან სუნთქვაშეკრულნი ეღლოდებან უმ-  
იავრესი ორთაბრძოლის დამთავრებას).

მ. შევლიძის დეკორაციები, როგორც  
ვთქვა, უცვლელა მთელი სპექტაკლის  
მახსილზე. ერთინი, მოღარ და და-  
რი „იცვლება“ ხოლმე სცენიდან მიღე-  
ბული ჩვენი შთაბეჭდილების კარნა-  
ბით. სხვა სპექტაკლებში ასევე უცვლე-  
ლია მოქმედ პირთა კოსტუმები. გამო-  
ნაკლიისა „მეფე ლირი“. აქ შევრთი,  
გამოფიცი ზაზი გადის კოსტუმთ ცვლა-  
ში. თუ ლირის ზეობის ზანაში სამეფო  
კარზე ყველას ერთნაირად აცვია (უტ-  
ილიტარულ, დესპოტურ სახელმწიფო-  
ში უნიფორმა დომინირებს), ყველა ნა-  
ცრისფერია — სახითაც და ტანსაცმლი-  
თაც (გამონაკლიისა შოლოდ კენტისა  
და კორდელიას კოსტუმები. ისინი თა-  
ვისუფალი სტილით გმირიჩევან. იუმცა  
დრამატურგიული პერიპეტიების  
გამო ისინიც იცვლებიან), ლირის მი-  
ერ ტახტის ნებაყოფლობით დათმო-  
ბის შემდეგ ითქოს ერთბაშად იფეთ-  
ქებს ნაირუერ კოსტუმთა თვალისმომ-  
ჭრული პალიტრა. ყველაფერი ნებადარ-  
თულია: უზნეობა ზეომბს, შიშველი  
ვწებები ბობოქრობენ, სერსუალური

ლტოლევანი ურცხვად ავლენენ თავიანი მართვები  
თავს. ვისაც რა მოსწონს ისე იცვამს და  
ვისაც როგორ მოსწონს ისე იქცევა. წწ-  
ება საყოველოათ ქაოსი, ანლოვდება  
აპოკალიფის და აპა, სპექტაკლის უი-  
ნალში ლირის ეს უზარმაზარი თეატ-  
რი-სასახლე, ანუ ლირის სამყარო,  
მძლავრი, ულკანური ბიძგებით შეირ-  
ყევა, შეტორტმანდება და მტკერში და  
ბუღში განვეული თავს დაემხობა ამ  
შემაძრუნებელად უზნეო ქვეყნის შემ-  
ქმნელთ.

სამწუხარიდ ჩვენ ვერ ვაქვეყნებთ  
მ. შევლიძის სპექტაკლების მაკეტებს.  
სამაგიეროდ მკითხველებს ვთავაზობთ  
მის მიერ შექმნილ კოლაჟებს.

ამ კოლაჟებმა, პირადად მე, ეს მხა-  
ტვარი სულ სხვა კუთხით დამანახვა:  
ერთის შეხედვით თითქოს მელანქოლი-  
ით შეპრობილი კაცი, თურმე სავსე ყო-  
ფილა მზაკვრული ირონიით. ეს კოლა-  
ჟები თუ მინ პიპ-არტები ძალიან ლა-  
მაზია, სავსე მოუღოდებული შეთავეს-  
ბებით (მსგავსად რ. სტურას სპექ-  
ტაკლებისა), კომპოზიცია სხარტი და  
დასრულებულია. მაგრამ იუმორს წარ-  
მოშობს არა შეუთავსებლის შეთავესბა,  
უცნაურ რაკურსების თუ სხვადასხვა სა-  
გნის პარადოქსალური მეზობლობა, არა  
მედ კომპოზიციის ცენტრში მოქცეული  
ადამიანის (ჩვენს შემთხვევაში თეატ-  
რის ადამიანის) იმგვარ კონტექსტში „ჩა-  
ხატეა“, როცა მისი ზასიათის ესა თუ ის  
თვისება (ვუზოდოთ ამას ადამიანური  
სისუსტე) მთლიანად საცნაური ხდება,  
კომიკური რაკურსით შემოტრიალდება  
ჩვენსკენ. ამ ადამიანის ოცნება, ლტოლ-  
ვა, ამქვეყნიური ვნება სხვადასხვა სიბ-  
რტეებში დაბაზერბული, დაშლილი  
და შემდეგ ერთ კომპოზიციაში გაერთი-  
ანებულ. კოლაჟების ამ სერიაში ივა  
არა მარტო ირონიულად იღიმება, არა  
მედ ფილოსოფიის სერიოზულიბით  
სპერეტს თავისი მეგობრების (ამდენად,  
თავისი თანამედროვეების) სუსტ და  
ძლიერ მხარეებს. სუსტ მხარეებს მიუ-  
ტევებს მათ, ხოლო ძლიერ თვისებებზე  
შემწყნარებლურად იცინის...

# ქრისტიანობა და მხატვრული აზროვნების ფერმანილობის

მარტინ დოლიძე

სეზეს ახალ ხურათში „შიშის კონცენი“,  
მიუხედავად იმისა, რომ ხურათის გადა-  
ლებაზე 34 მილიონი დოლარი დაიხარ-

კადრი ფილმიდან „ზამთრის ზღაპარი“






ჯა, მიუხედავად იმისა, რომ ფილმში მონაწილეობენ რობერტ დე ნარო და ჯესიკა ლანჯი, მიუხედავად იმ რეგლამისა, რომელიც წინ უძღვიდა სკორსექს სურათს, შეიძლება ითქვას, რომ „შიშის კონცხი“ ბერლინის კინოდათვალიერების ფელაზე უხეირო სურათი აღმოჩნდა. ამავი ვანმე მაქს კედისა (რობერტ დე ნირო), რომელიც ამ თხუთმეტი წლის წინათ, თავისი ადვოკატის სექ ბოლვენის წყალობით, უსამართლოდ ჩასვეს ციხეში, მოწოდებულია როგორც ტრილერი. მაქს კედი გამოიდის საპატიმორდან და მიზნად ისახავს შერი იძიოს თავის ადვოკატზე. იგი მხეცურად კლავს ბოლვენის მდივან ქალს, შემდეგ კი ადვოკატის ოჯახზე იწყებს შეტევას. იწყება ხაშინელი თამაში ბოლვენის უდანაშაულო ცოლთან და ქალიშვილთან. მაგრამ, რამდენადაც ეშინიათ გმირებს, იმდენად გულგრილია მაყურებელი. სკორსექს კათოლიკიზმი, რომელიც თავის დოროზე მისი ფილმების ღირსებად ითვლებოდა, აյ მენტორულ ტოსს იძენს. „ცოდვებისათვის აუცილებლად დაისჯებით!“ — გვეცნება რეჟისორი, მაგრამ ამით მხოლოდ უკუცხექტს ქმის. მაყურებელია არ სჯერა ამ ნაბალადევად გათამაშებული ხანახაობისა, არ სჯერა არც რობერტ დე ნიროსი, რომელსაც, ჩემი აზრით (თუმცა მისი თაყვანის სცენების კონცხვილი), „სკანდალი, რომელიც ბერლინის დიდაბანს გაყვება“ — წერდა ბერლინის პრესა სკორსექს სურათის შესახებ. ასეთივე გალიზიანება გამოიწვია ამერიკული პროგრამის კიდევ ერთმა სურათმა, კენეტ ბრანგის ფილმმა „ქველავ მყვდარი“. აქაც წარუმატებლად დამთავრდა ტრადიციული „უანრული კინოს“ გარღმავებისა და მისი ფილოსოფიური პროგრამის დატვირთვის ცდა.

პოლივული წლევანდელ უესტივალზე ცვლაზე უხვად იყო წარმოდგენილი. ბერლინის უესტივალს ყოველთვის არაერთგვარვანი დამოკიდებულება პქონდა ამერიკული კინოსადმი. პირველი

ბის დაცვის“ იღეა, რომელსაც უესტი-ერთგვარვალი ემსახურება, ხშირად წინააღმდეგობაში უცცლები პოლივულისთვის დაძახასიათებელ „ძლიერისა“ და „ჯანმრთელას“ ტრადიციულ კულტობრ. ამიტომაც ამერიკულების ბერლინის უესტივალზე ხშირად უტქასილერებად გამოიცურებოდნენ. შარშიანდელ უესტივალზე ამერიკული კინო მთავარი პრიზბის გარეშე დარჩა, რასაც შეიძლებოდა გაენაწერებინა პოლივული და ამერიკული ფილმები, რომლებიც ებმარებან ბერლინის უესტივალის ორგანიზატორებს. ვფიქრობ, ამანაც განაპირობა წელს ამერიკული ფილმების მოზღვავება. მაგრამ ამერიკული ფილმების სიმრავლემ მხოლოდ და მხოლოდ უკუცხექტ გამოიწვია. ამერიკული პროგრამისადმი ირონიული დღიულებულება ძირითადი თემა იყო კინოკრიტიკოსებისა და უერნალისტების ურთიერთობაში. ბერლინის უესტივალის დღების დაუმთხვევა ამერიკული კინოკრიტიკოსებისა და უერნალისტების ურთიერთობაში. კინოკრიტიკოსების დაუმთხვევა ამერიკული კინოკრიტიკოსების მიერ „ოსკარის“ ნომინაციებზე წარმოდგენილი ფილმების დასახელებაც. კინოკრიტიკოსების გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო მეტად გაამხიარულებ ევროპელი კინემატოგრაფისტები. ამერიკული კინოკრიტიკოს მიართ ირონიული დამოკიდებულება განსაკუთრებით განსახლერა ბერი ლევინსონის ფილმის „ბაქსის“ წარმოდგენაშე ერთდროულად ათი ამერიკული „ოსკარის“ მოსაპოვებლად. საქმე ისაა, რომ უესტივალის ღირებულის ბოლო მომენტში მოხსნა ეს სურათი კონკურსიდან და მხოლოდ და მხოლოდ „პანორამის“ პროგრამით უჩენება — იმდენად უხეირო და მეორადი აღმოჩნდა ეს განგსტერულ ფარში გადაღებული სურათი, სახელგანთქმული უორენ ბიტის მონაწილეობით. უფრო აღრე, უესტივალის პირველ დღებში კი ბერლინის ერთგვარვანის კარგად „მოხვდათ“ საკონკურსო პროგრამაში ანდრე მიხალკოვკონალოვსკის ფილმის „შიდა წრის“ ჩართვის გამო.

მიხალკოვკონალოვსკი, შესანიშნავი ფილმების „პირველი მასწავლებლისა“ და „ასა კლიასინას ისტორიის“ აქტორი უკვე რვა წელია რაც ცდილობს



კარი ფილმიდან „ძერფასი ემა, საუკირელი ბობი“

როგორმე გააკვირვოს ამერიკელი მაყურებელი, მოერგოს პოლივუდის მკაცრ სისტემას. მაგრამ ამერიკული კინო, როგორიც არ უნდა იყოს ეკრობელთა ირონიული დამოკიდებულება მის მიმართ, ვერასოდეს იტანდა მათ, ვისაც ზედამირულად, ხელოვნურად შემოჰქონდა თავის ფილმებში პოლივუდის სტანდარტები. თავის დროშე, ამერიკაში ვერასუერი გააკეთა ღუსის ბუნებრივი და იძულებული იყო მექანიკაში გამგზავრებულიყო. ამერიკაში მუშაობა ვერ გარისეს აკრია კუროსავამ და ინგრამ ბერგმანმაც. კონჩალოვსკი კი ძალშე აღვილად მოუკიდა ამ პრობლემას. თუმცა შედგას ჯერჯერობით ვერ მიაღწია. მისი ამერიკული სურათები ფაქტოურად ჩავარდა ამერიკულ გაქირავებაში, ვეროპაში კი კრიტიკოსთ ფელეტონების საგანი გახდა. ვფიქრობ, კრიტიკოსს, რომელიც „შიდა წრის“ შესახებ გადაწყვეტს დაწეროს, უკვე იუმორიც კი არ ეყოფა, იმდენად აშკარა სპეციალისტთან გვაქვს აქ საქმე. სტალინის პირადი მექანიკოსის ისტორია (ამ როლს ასრულებს ცნობილი ამერიკული მსახიობი ტომ პულსი) ნაამბობია დაახლოებით ისე, როგორც დავიდ ლინის სურათი „დოქტორი უიგავო“. მაგრამ თუ ლინის სურათი, როგორც ზედაპირულიც არ უნდა იყოს იქ პასტერნაკის რომანის გაზრება, მაინც გვზიბლავდა ერთგვარი ნამ-

ვურობით (ალარაფერს ვამბობ შესანიშნავ მსახიობებზე), კონჩალოვსკისთან აშკარაა ტრაგიკული ეპოქის ნაძალადევიად გაუბრალოების ტენდენცია, რაც – თავად რეფისორის აზრით – გაუაღვილებდა სურათის ალქმას ამერიკელ დიასახლისებს. არა მგონია „ამერიკელმა დიასახლისებმა“ კონჩალოვსკის ასეთი ცინიკური განცხადება აპატიონ, არც იმის მჯერა, რომ სურათს რაღაც განსაკუთრებული წარმატება ექნება ამერიკაში. სმენა ხომ „ამერიკელ დიასახლისებსაც“ აქვთ და ისანი უთუოლ აღიქვამენ ფილმისთვის დამახასიათებელ ყალბ ინტონაციებს:

ფილმის გმირისთვის, გულუბრყვილი ივნებასთვის სტალინი ღმერთია და ღმერთად რჩება ბოლომდე ეს მაშინ, როცა სტალინის ეპოქა იმსხვერებლებს ჯერ მის კეთილ, ებრაულ ძეზობლებს (რა თქმა უნდა, მარკის ანუცისათვის კონჩალოვსკიმ შემოიტანა „ებრაული თება“), შეძლევ კა მის ერთადერთ სიყვარულს – ანასტასიას (ამ როლს ასრულებს იუგოსლავები მსახიობი ლითონიტა დავიდოვიჩი), რომელიც ვერ უძლებს დამცირებას და თვითმკველეობით აპატერებს ხიცოცხლებს. ანასტასიას... ბერია შეაცდეს. ივანა კა ამაზეც თვალს უჭავს. მხოლოდ ფინალში, სტალინის დასახლავების დღეს აუზილება რატომ-დაც თვალი კონჩალოვსკის გმირს.



პროკომუნისტური, პომპეზური სურა-  
თის „სიბირიადის“ ავტორი ამჯერად ხტა-  
ლინიშმის კრიტიკით გაერთო და ამრი-  
კელებს მორიგიდ კანფეტი შესთავაზა.

ვფიქრობ, „შიდა წრის“ ჩავარდნის  
მიზეზი ის კი არ არის, რომ ხალხის  
ტრაგედია „კიჩის“ ფორმით არის ასა-  
ხული, არც ის, რომ ინგლისურად მო-  
საუბრე სტალინი და ბერია ხასცილოდ  
გამოიყერებიან ერანზე, არც ტომ  
ჰულის თამაშის ერთფერონება უნდა  
იყოს მარცხის მიზეზი (ჩემი აზრით, ეს  
მსახიობის ერთფერონები იყო ამაღლე-  
სის როლშიც მიღომ ფორმანის ამავე  
სახელწოდების ფილმში). ანდრეი მი-  
ხალიკ-კონჩალოვსკიმ, უბრალოდ, ძა-  
ლიან დაიგვიანა. ის, რაც მან ეკრანზე  
ასახა, ათასჯერ ჰქონდათ უკვე ნანახი  
ამერიკულებაც და ევროპელებაც  
სტალინიშმის სიძლვალით კი დღეს  
უკვე ერავის გააკირვებდა.

„უმცირესობის ფესტივალი“ ხომ  
მხარს უჭერს უპირველეს კოვლისა ახალ  
პრობლემებს, ტიტალიტარიზმის ახა-  
ლი ფორმების კრიტიკას, მხარს უჭერს  
პატიოსან ხელოვანს, რომელიც უარს  
ამბობს კონიუნქტურაზე.

კონჩალოვსკისგან განსხვავებით, უნ-  
გრელმა რეჟისორმა იშტვან საბომ სტა-  
ლინიშმისადმი თავისი დამოკიდებულე-  
ბა ჯერ კიდევ 01-იან წლებში გამოხატა  
თავისი შესანიშავი ფილმით „მამა“.  
გარდა ამისა, ამ სურათში მან ერთ-ერთ-  
მა პირველმა აღმოსავლეთ-ევროპულ კო-  
ნოში, ამხილა უნგრეთში მომძლავრე-  
ბული ანტისემიტიზმი და დაუპირის-  
პირდა ბოლშევიკურ ტენდენციებს, რო-  
მელსაც ადგილი ჰქონდა როგორც კო-  
მუნისტების, ასევე ანტიკომუნისტების  
მოძრაობაში.

დღეს უნგრეთში კომუნისტები დამარ-  
ცხდნენ. მაგრამ ხელისუფლებაში მოსუ-  
ლი ყოფილი დაისიღენტები და ანტიკო-  
მუნისტები ჯერ კიდევ ვერ იცილებენ  
ბოლშევიკურ აზროვნების სტილს. იქ-  
ნებ ამიტომა, რომ უნგრეთის ერთ-ერ-  
თი ყველაზე პროგრესული პოლიტიკუ-  
რი ირგანზაცია, რომელიც ძირითა-  
დად ინტელიგენციას აერთიანებს —  
თავისუფალ დემოკრატთა კავშირი —

კვლავ ოპოზიციაში რჩება. აშკარა მისამართით ბერლინის  
ოპოზიციური ხასიათისა ბერლინის  
კონფერენციაში ნაჩვენები იშტვან საბოს  
ახალი ფილმიც „ძვირფასი ემა, ხაყვა-  
რელი ბობი“, რომელიც მიუხედავად  
დრამატურგიული დაქსაქსულობისა, ერ-  
თგვარი პლაკტურობისა და სწორხაზო-  
ვნებისა, ბერლინის ფესტივალის ერთ-  
ერთი მთავარი პრიზით, „კვრცხლის და-  
ოვით“ დაჯილდოვდა.

სურათის გმირი — ემა, რომლის  
როლს ასრულებს თანამედროვე ევრო-  
პული კინოს მომავალი ვარსკვლავი,  
პოლანდიელი მსახიობი იოჰანა ტერ  
სტევი, რუსულის მასწავლებელია თა-  
ნამედროვე, „განთავისუფლებულ“ უნგ-  
რეთში. თავდაპირველად ის გულდა-  
წვეტილი უყურებს იმას, თუ როგორ  
წვავენ ღოსტორესკის წიგნებს მისი მო-  
სწავლეები, რადგანაც მიღებულია რე-  
ფორმა სკოლებში რუსული ენის სწა-  
ვლების გაუქმების შესახებ. სულ მაღა-  
ებას აიმულებენ მიატოვოს სამსახური  
და ინგლისური ისწავლოს, კვალიტიკა-  
ციის შეცვლის მიზნით. ემა გველასგან  
დაუცველი ხდება, მას უყურებენ, რო-  
გორც „საბჭოთა აგენტის“, აშორებენ  
საყვარელ საქმეს, საყვარელ ადამიანებს.

უნგრელ კინოს დღეს ძალიან უჭირს  
(ისევე როგორც მთელ აღმოსავლეთე-  
როპულ კინემატოგრაფს, რომელიც  
წელს, ბერლინში მხოლოდ და მხო-  
ლოდ საბოს სურათით იყო წარდგენი-  
ლი). რეჟისორების დიდი ნაწილი უსა-  
მსახურო ზის, ან პროფესიას იცვლის.  
ანდა ერთ-ერთ კულტურულ სურათების გადაღებას  
იწყებს. იშტვან საბომ მიზრული სახ-  
სერებით გადაიღო თავისი სურათი. ამან,  
ერთის მხრივ, დადი დახსევა ფილმის  
მხატვრულ მხარეს, მაგრამ, მეორეს  
მხრივ, უჩვეულო კამერულობა, უბრა-  
ლიება მიანიჭა ფილმს და ამითაც გა-  
მოარჩია იგი ფესტივალზე წარდგენი-  
ლი ამერიკული პროდუქციისგან.

საერთოდ, ფესტივალის კონფერენცია  
ჩართული ერთოპული სურათები პროვინ-  
ციულად გამოიყერებოდნენ „ძლიერი“  
ამერიკული ფილმების გვერდით. კვე-  
ლაზე ცუდ ეპროექტულ სურათშიც კი იყო  
ის, რაც ასე აკლდა პოლივედის პროგ-



რამას, ავტორის ფიქტი კინოშე, არა როგორც პამბურგერზე, რომელიც სიამოვნებით უნდა დაღვჭიოს ამერიკელმა დაისახლისმა, არამედ, როგორც ხელოვნებაზე, რომელსაც თავისი კანონები აქვს.

ასეთი ესთოტიზმი | ევროპული პროგრამის ფილმებში ნშირად ნაძალდადევი და ხელოვნური იყო, როგორც, მაგალითად, ალან კარნის სურათში „კოველ დილით“ — ფერარ დეპარტინება და მისი ვაჟის მონაწილეობით, ან ფრანგი რეჟისორი ქალის პოლ მურეს სურათში „არაფერი სიცრუის გარეშე“ (ფანი არდანისა და უაგ პერნის მონაწილეობით), ესპანელი რეჟისორი ქალის პილარ მიროს „ბელტენებრისმი“ და პრიტიკოსთა სამართლიანი შეფასებით ევროპული პროგრამის კველაზე სუსტ ფრანგულ ფილმში „სელინი“, მისთვის დამახასიათებელი დაშავრული პლასტიკითა და მანერულობით.

და მაინც, ევროპელი რეჟისორების პროგრამა აშკარად გამოიჩინებოდა ამერიკული და აზიური სურათებისგან (ფესტივალის კონკურსში ჩართული იყო იამონური სურათი „მიკარი“, რომლის ჩვენებასაც არ დაკლებია ფურნალისტების სიცილ-ხარხარი და ტაიკანური „სცენის ცენტრი“, რომელიც კონკურსში ალბათ მხოლოდ ეგზოტიკის მოყვარულთა დასაქმარიულებლად მოზღვა)... და თუ ფიურიმ სამართლიანად დააფასა პრიზით საუკუთხესო რეჟისურისათვის ცნობილი შევდი რეჟისორის ან ტრიელის სურათი „გაბიტანი“. (გამძაფრებული მარტოობის, გარიფულობისა და უკონტაქტობის სკანდინაველებისთვის ტრადიციული პრობლემატიკით), სპეციალური პრიზით დააჯილდოვა მარლენ ხუკეივის ძალიან გულწრფელი, ემოციური, მაგრამ ძალიან გრძელი (რომ საათამადე გრძელდება) ფილმი „სახსრულობა“, მან რატომდაც სურული იგნორირება გაუკეთა, ჩემი აზრით, კონკურსის საკუთხესო სურათს, შესანიშნავი ფრანგი რეჟისორის ერიკ რომერის ახალ ფილმს — „ზამთრის ზღაპარი“.

შარგან თბილისის კინოს მუზეუმმა თავის მაყურებელს უჩვენა „ახალი

ტალღის“ ამ კლასიკობის რეჰისტრის ფილმი. ამ ფილმების აღმა ძალიან საინტერესო იყო. მაყურებელმა რომერის სტილი შეიგრძნილ მხოლოდ მისი რამდენიმე ფილმის ნახვის შემდეგ რაც ბუნებრივია — რომერის სამყაროს შეჩვევას და მაქსიმალურ გათავსებას მოითხოვს, ერთგვარ მოთმინებას და მისი ფილმების თავისებური რიტმის მიღებას. ერიკ რომერის ალბათ ყველაზე მეტად შეუძლია თანამედროვე კინოში ფაქტურულ არაფრისგან დადი ხელოვნების შექმნა. ყოფილი სიტუაციები მასთან ყოველგვარი პედალირების გარეშე არის მოწოდებული, ამბავი დუნედ ვითარდება. კაცმა რომ თქვას, „ამბავი“, როგორც ასეთი, საერთოდ არ არის მის ფილმებში. აქც, „ზამთრის ზღაპარში“, სურათის გმირი, რომერის ფილმებისთვის დამახასიათებელი, თითქოს არაფრით გამორჩეული ახალგაზრდა ქალი — ფელისი, ზანტად ემებს თავის შეფვარებულს საშობაო დღესასწაულის დღეებში. მაგრამ ფილმის მსვლელობის პრიცესში ნათელი ხდება, რომ რომერი ქმნის უბრალოების, სისადავის, განტვირთულობის ჭეშმარიტ დღესასწაულს. ცხოვრების დინება, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, აქ თავად იქცევა უმაღლეს პოეზიად, რომელიც ბოლოს და ბოლოს კეთილდად მოთავრებს რომერის ზამთრის ზღაპარს — ფელისი პოულობს თავის სიცვარულს.

ფრანგებმა, ფესტივალის პროგრამით თუ ვისჯელებთ, გადაწყვიტეს ხელახლა აღლორისით 30-იანი წლების „პიეტრუ რეალიზმის“ ტრადიციები. ევროპაში ფრანგული კინო ერთადერთია, რომელსაც ჯერ კიდევ არ ეშინია პოლივუდის შემოტევებისა და ჯიუტად ცდილობის შეინარჩუნოს ეროვნული ხელოვნების მიღწევები. ეს განსაკუთრებით გამოჩხდა „ფირუჟმის“ პროგრამით ნაჩვენებ ლეო კარაქის მელოდრამაში „შეფვარებულები პინტ-ნოფზე“ და „პანორამაზე“ წარმოდგენილ ოლივიე ასაის სურათში „პარიზი გათენებისას“. ინტერესი ადამიანისადმი, ინტერესი პიროვნებსადმი აქ ჭარბობს რაღაც განსაკუთ-



რებული კინოსანახაობის შექმნის სურვილს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ევროპელებს ბოლო ხანებში აშკარად გაუჩნდათ „პროვინციალური კინოს“ კომპლექსი, რაც ზშირად ამერიკული კინოს მიმართ გადაჭარბებული აგრძესით ვლინდება ხოლმე. ბერლინის ფესტივალის კულტურულში მე გამაკვირვა ევროპელი კინოკრიტიკოსების ერთანხობამ ამერიკული კინოს მიმართ ასეთმა კრიტიკულმა დამოკიდებულებამ. საოცარია, მაგრამ ამერიკული კინემატოგრაფისტები გრძნობენ რა ამ ირობის მათ მიმართ, გასაოცარი სიმშევიდთ და ოუმორით უყვრებენ იმ უსამართლობას, რაც აშკარად ვლინდებოდა ზოგჯერ ბერლინში ევროპელი ურნალისტების მხრიდან.

როგორც წესი, ევროპელებს აღიზიანებთ თანამდეროვე ამერიკული კინოს მორალიზმი, რელიგიურობა და თავისებური მენტორული ტრიზი, რასაც განსაკუთრებით ბევრი მოწინააღმდეგე სწორედ ბერლინის „მემარცხენ“ ფესტივალზე ჰყავს — წესრიგის მოყვარულმა გერმანულებმა ხომ კარგად იციან სადამდე შეიძლება მიიყვანოს წესრიგის კულტურა. ამის გამოცდილება მათ უკვე აქვთ. ამიტომ, გასაგებია, რომ ბერლინში ყურადღების მიღმა დარჩიათ ამერიკული რეჟისორის პოლ შრადერის ჩემი აზრით ძალიან საინტერესო სურათი „ფიზილი ძილი“, შესანიშნავი მსახიობის უილამ დაფორის მონაწილეობით (იგი ჩენ ვნახეთ ქრისტეს როლში მარტინ სკორსეზეს სურათში „ქრისტეს ბოლო ცდუნება“). ისტორია ყოფილი ნაკრომანისა, რომელიც ახლა მშოლოდ ვაჭრობს ნარკოტიკებით, მაგრამ ამ სენისგანაც ცდილობს განთავისუფლდეს, ბერლინში ადგივეს, როგორც მორიგი „აგიტა“ ნარკოტიკების მავნებლობის შესახებ. სინამდვილეში სურათი ვვაიმბობს ადამიანის უუნარობაზე გაწყვიტოს კავშირი წარსულთან, საზოგადოებს გულგრილობასა და დაუინტერესებლობაზე „დაცუმულის“ ბედით. კათოლიკური ინტონაციები ცოდვისა და მონანიების თემაზე პოლ მრადერის აღრისდელ ფილ-

მებშიც წარმოჩინდებოდა ხოლმე, მაგრამ გრამ „უხიზელ ძილში“ რეჟისორი პირველად განთავისუფლდა პრიბლების მოწოდების სწორაზორებისაგან. ფილმის ჩაფიქრებული ინტონაცია, კამერულიობა, უთურე აახლოვებს სურათს ევროპული კინოს ნიმუშებთან.

საერთოდ, ევროპაზე ირინტაციის ნიშნები ბოლო დროს ამერიკულ კინოშიც შეიმჩნევა. კუდი აღენი არც არას-დროს მაღავდა, უძვათ, ბერგმანისა და ფელინის შემოქმედებით თავის აღვროვანებას. მაგრამ არხად დახლოვებულად იგი ასე თავისი ევროპელი კურპების კინემატოგრაფს, როგორც თავის ბოლო ფილმში „ჩრდილები და ნისლი“, რომელიც კონკურსგარეშე უჩენებს ბერლინში. ეს სურათი არის თავისებური ვარიაცია ინგმარ ბერგმანის „მასხარათა სადამოს“ თვემაზე. გარდა ამისა ამერიკული კინოს პოპულარული ფარის — „საშინელებათა კინოს“ პაროდიებასთან ერთად, კუდი აღენს მოაქვს ამერიკულ კინოში ფელინის ცნობილი თემა კლოუნადის, თამაშის, ცირკის, და საბოლოო ჯამში — ხელოვნების, როგორც ადამიანთა გაერთიანების, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების ერთადერთი საშუალების შესახებ.

კუდი აღენის ფილმის პრემიერა სწორედ ბერლინში შედგა. მაგრამ, ვუიქრობ, სურათს ამერიკაშიც ექნება წარმატება და „საშუალო ამერიკული დიასახლისც“ კარგად აღიქვამს კუდი აღენის ამ „ფელინისულ პასაკებს“. პრინციპში, ზომ ევროპელებისგან განსხვავებით, პოლივუდიც ყოველთვის კინოხელოვნების ამ მხარეზე აკეთებდა აქცენტს. ამერიკულებისათვის კინო სწორედ აღამიანთა გაერთიანების, დღესასწაულის სანახაობის შექმნას ემსახურებოდა და როგორც არ უნდა აღიზიანებულ ეს ევროპელ ინდივიდუალისტებს, დღემდე ამერიკულებამა სწორედ ასეთი კინეშატოგრაფიათ მოიცოდეს ავტორიტეტი.

როცა ფიურის თავმჯდომარემ, ან ფირარდომ, ერთიტკოსებისა და უურნალისტებს გამოუცხადა უიურის გადაწყვეტილება მთავარი პრიზის დათვის „მინიჭების შესახებ, ფესტივა-



კარი ფილმიდან „დადი კანიონი“ (აშშ)

ლის საკონფერენციო დაწბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. არა, არ ყოფილა სტკენა და ხმაური, როგორც შარშან, როცა ფორმული ულევნორფმა მთავარი პრიზის ლაურეატად იტაღიერდი რეჟისორის მარკო ფერერის „დიმილი სახლი“ და ასახელა, მაგრამ არც ტაში დაუკრია ვინძეს. ზოგს საერთოდ აღარც ასრულდა ასეთი სურათი — ლორანს ქასდანის ჯილდი „დიდი კანიონი“.

სინამდვილეში, ფიურის ეს გადაწყვეტილება პირადად მე, აბსოლუტურად სამართლიანი მცონია. ბატონმა ელდარ შენგელაიძმ, რომელიც ფიურის წევრი იყო, ვერ დამაღარი თავისი გაკვირვება ამ ფილმის გამარჯვების გამო. მას მერიკული სურათი ძალიან გულუბრყვილოდა ბავშვური პერიოდი. ამ მხრივ, იგი „კლასიკური ევროპელია“, რადგანაც „ბავშვურობა“ ის ძირითადი ბრალდება, რასაც უფენებენ ხოლმე ამერიკულ ფილმებს.

ჩემი აზრით, კასდანის ფილმმა ცოტათი მაინც შესძლო გადაეჩინა ამერიკული პროგრამა, რომელიც ბერლინში იყო წარმოდგენილი, სკორსეზესა და ლევინსონის „ტექნიკური“ სურათებისგან განსხვავდით, კასდანმა მთლიანად შენიდა ის გამომწვევი აგრესიულობა და ტექნიციზმი, რაც ასე ხშირია ამერიკულ სურათებში. „დადი კანიონი“ ერთ-ერთი იშვიათი ფილმია თანამედ-

როვე ამერიკულ კინოში, სადაც პოლიტეკინის გველა ტრადიციის შენარჩუნებასთან ერთად (პრობლემის გააზრებული გამარტივება, ინფანტილიზმი, ქადაგებისა და ჭეშის დარიგების სტილი, ბენიერ დასასრული და სხვა), შეიმჩნევა ამ ტრადიციებისამდი ირონიული დამოკიდებულება, უფრო სწორად, თვითირონია, რაც ესოდენ აკლდათ კომოლასა და სკორსეზეს, ბოგდანივიჩსა და ზოგჯერ თვით კუდი ალექსაც კი.

პირადად მე კასდანის სურათმა ლუის ბენებელის ბოლო ფილმების თავისუფალი დრამატურგია გამახსენა, როცა მოვლენები კალეიდოსკოპურად იცვლება, კერანზე ჩნდებიან ახალი გმირები, როცა ყველაფერი თითქოს შემთხვევითობაზეა აგებული და მხოლოდ თანაბათან, ფილმის მსვლელობის პროცესში ჩნდება კანონზომიერება ამ ქაისში და მხოლოდ თანაბათან ირკვევა, რომ ამ სამყაროში ყველაფერი გადაჯაჭვულია.

სურათის გმირს, მაგს, შეძლებულ ადვოკატსა და ძალზე წესიერ კაცს (უკვარს თავისი ოჯახი, არ ღალატობს ცოლს, მთელ თავისუფალ დროს შვილის აღზრდას ანდომებს — მოკლედ, „ამერიკული იდეალია“) ფილმის დასაწყისში შეაკანიანთ თავდასხმისგან გადაარჩენს ასევე ზანგი — სიმონი, რომელიც აკტორმობილების სახელოსნოში



შუშაობს და განსხვავებით მაკისგან არა მარტო „დაბალ ფენებს“ მიეკუთვნება, არამედ პირად ცხოვრებაშიც არ წყალობს ბედი. მაკი მიზნად ისახავს როგორმე დაეხმაროს სიმონს, რომელმაც იგი ფაქტურად სიკვდილისგან იხსნა. შემდეგ ეკრანზე ჩინდებიან სხვა გმირებიც – მაკის მეუღლე, რომელიც თავის ხახლის ეზოში მიტოვებულ თოთო ბავშვს აღმოჩენს და მიზნად ისახავს, როგორმე დაეხმაროს მას (ბოლოს იშვილებს კიდეც), მაკის მეგობარი – კინორეჟისორი, რომელიც ასევე ბანდიტების თავდასხმის შემდეგ, გადაწყვეტს უარი თქვას „საშინელებათა კინოზე“ და გადაიღოს „ფილმები ცხოვრებაზე“, მაკის მდივანი ქალი, რომელიც ეძებს სიყვარულს... და კიდევ ბევრი სხვა. სურათში მიუქმედებას იწყებს რაღაც მისტიკური ძალა, რომელიც ფილმის გმირებს განუშველულივ აიძულებს გააკეთონ არჩევანი. ხატმარისისა მათ გულგრილობა გამოიჩინონ ვინძეს მიმართ, ეს ძალა ახალ წინააღმდეგობებს უქმნის, ხოლო მაშინ, როცა ისინი „ეგონგან“ იავისუფლდებიან, ეს ძალა მათი ოცნებების რეალიზაციის საშუალებას იძლევა.

ფილმის ცენტრალური ეპიზოდია მკას სიზმარი, როცა „დიდი კანიონის“ მთავარი გმირი სიზმარში ხედავს თავის ფრენას დამის ნიუ-იორკის თავზე. ხანდახან, როცა შეეშინდება და როცა საკუთარ თავზე იწყებს ფიქრს, მაკი ძირს ეცემა, მაგრამ საგმარისია ფრენის პროცესში სიმონა ან საბაკშო სახლში ჩაბარებული მიტოვებული თოთო ბავშვი გაახსენდება, ის კვლავ აღმაურენას განიცდის და ზემოდან დასცერას გაჩირალდებულ ნიუ-იორკს.

ეს ეპიზოდი თითქოს გვამზადებს სურათის ფინალისათვის, როცა სიმონი საბარეო შანქანაში სკამს ფილმის გმირებს და მიტყვას ისინი „დიდი კანიონის“ სანახავად – მიჰყავს სამოთხეში ისინი, ვინც დამსახურა იქ ყოფნა იმიტომ, რომ საკუთარი თავისგან განთავისუფლდა.

რაღა თქმა უნდა, ლორანს კასდანის

ფილმი ზღაპარია, რომელიც კაცმა შეიძლება მთელი ოჯახით ნახოს. მაგრამ იმავე არის ერთი პარადოქსიც – „დიდი კანიონი“ ისევე როგორც უშემცირების ფეხსტივალისათვის“. როგორც „ამორალური“ ფილმი დერიკ ჯარმენისა, რადგანაც კასდანის ფილმიც სხვათა მიმართ თანაგრძებისას და დახმარებისათვის მცველი გვიწოდებს. იგი „მემარცხენეა“ თავისი სულის კვეთებით არ იმიტომ, რომ თეორეკანიანისა და შავკანიანის დამეგორებაზე გვიამბობს (როგორც ეს გაიგეს სხვ-ს დელეგაციის წევრებმა), არამედ უპირველესად იმიტომ, რომ სამყაროს მრავალფეროვნებისა და სამყაროს ერთონობის იდეას ნერგავს. რაც მთავარია, იგი ფაქტურად ერთადერთი ფილმია ბერლინის კინოფესტივალზე, რომლის ავტორი პირდაპირ, ძალიან ბავშვურალ მაგრამ ძალზე გულწრფელად ამბობს – ღმერთი არსებობს!

თავისთავად ის ფაქტი, რომ „დიდმა კანიონმა“ ფესტივალის მთავარი პრიზი მოიპოვა, ძალზე ნიშანდობლივია და სიმბოლური: ლორანს კასდანი, შემოაქვს რა თავის ფილმში, განსხვავებულთა გაერთიანებისა და სოლიდარობის რდეა, ბოლოს და ბოლოს ამერიკული კნოს საზღვრებსაც ხსნის და ანთავსუფლებს მას ტრადიციული კონსერვატიზმისაგან. პრეს-კონფერენციაზე მან აღნიშნა: „მზე ყველას ერთი გვაქვს – უკვენც და ჩვენც. ამიტომ მოდით, დავანებოთ თავი ერთმანეთთან დაპირისპირებასონ“.

ასეთ ნოტაზე დასრულდა ბერლინის ფესტივალი.

„ტიბი დომში“ კი საბჭოური პარანიია კვლავ მოქმედებდა – მტრებსა და საიდუმლო შეთქმულებას ამხელდა.

# ვენა XX სეულის გარიერაჟევი

მირაბ მაჩარდაშვილი

ზინასარარ გოხოვთ მოტევებას, თუკი ჩემს მიერ არჩეული ტრინი არ დაუმთხვევა თქვენს შეგრძნებებს, რადგან ეს უაღრესად პირადი რამეა; ფილოსოფია პროფესია კი არა, ტექნიკამენტი და ცხოვრების ხერხია, და მე არ ძალის თქვენ გაუწყოთ ცოდნათა რამე ჯმი, შემიძლია მხოლოდ გადმოგცეთ სავებით ინტიმური და გაგების აზრით სარისკო რამ.

ასებობს კაცობრიობის რალაც გამოცდილებები, რომლებიც მსჭალავენ დიდ პიროვნებებს, პიროვნებებს, რომლებიც გვხილავენ, გვიზიდავენ თვეიანთი აშკარა მნიშვნელოვნებით, იღუმალებითა და რალაცნაირი მაგნეტიზმით.

ვენური ანუ აესტრიული გამოცდილება, უდაოდ, ამგვარ გამოცდილებათა რიგს მიეკუთვნება, და ჩვენი ცხოვრებისეული ანალოგები სულაც არაა დამკიდებული ჩვენი სწავლულობისგან, იმისგან, თუ რამდენად ვიცით მთელი მსოფლიო ლიტერატურა, რამდენად მიგვიწვდება ხელი მასზე (ჩვენ კი, რომდენადაც ვიცით, მასზე ხელი არ მიგვიწვდებოდა — ყოველ შემთხვევაში, ჩემს თაობას არ შორწვდებოდა), მე ვიღიძებდი შევი გვრჩაბის ერთ-ერთ უბნელეს ადგილს და არავითარი იმედის ნაპერწეალი არ ჩანდა.

მაგრამ ასებობს ჩვენთა გამოცდათა საიდუმლო გზები, საიდუმლო გზები ჩვენი ყოფისა, გზები, რომლებიც ჩვენვის მოულოდნელად, ეთანხმიერებიან იმას, რასაც ჩემულებრივ ვიღებთ სწავლულობის, წოდებათა, ურთიერთობათა, სამყაროში მოძრაობათა და ა. შ. გზით.

გამოცდილება, რომელიც დაემთხვა,

ის გამოცდილებაა, რომლის წყალობითაც კაცობრიობის ცივილიზაცია, წარმოგვესახება, როგორც განსაკუთრებით ნაზი და ფაქიზი, უხილავი ძალებით მოქსოვილი უმსუბუქესი საფარველის მსგავსი რამ და იმ უხილავ ძალებში, ასაკვირევლია, ვონაწილეობთ ჩვენც, ვონაწილეობთ ჩვენი გულმოდგინებისა და ძალისხმევის შესაბამისად, იმის შესაბამისად, თუ რამდენად გაიღვიძა ახალგაზრდობის უას ჩვენს არსებაში სიამაყემ და ლიტებამ, განსაკუთრებულმა, ნებისმიერ ცხოვრებისეულ გამოვლენაში უნიკალურმა არსებობის ლიტებებმა, რამდენად გაიღვიძა ამ ლიტების არსებობის შეგრძნებისა და ჩვენი არსებობის უცვლელობაში კვლავ და კვლავ დარწმუნების უინამა.

თქვენ, ალბათ, იმთავითვე იცით, რომ არსებობს მთელი რიგი ჩვენივე ცხოვრებისეული გამოვლინებებისა, რომელთა განხორციელებისა ჩვენს თავს ცოცხლებად და არსებულებად არ ვგრძნობთ.

მანდელშტამსა აქვს ჩინებული ფრაზა... სიტყვამ მოიტანა და ზოგიერთ რეს პოეტს, რომლებსაც მეტაფიზიკური გრძნობა აქვთ მომადლებული, საუკუნის დასაწყისის ამ გამოცდილებასთან აქვთ კავშირი და აქვთ ძალაც ღრმა და ფართო ისტორიისოფური სუნთქვა, ანუ ესაა არა უბრალო მონაწილეობა ისტორიაში — სხვათა შორის. უნგბლიერ მონაწილეობა — არამედ იმის შეგრძნება, რომ ეკუთხნი რალაც სილრმისეულ ძალებსა და ისტორიის აზრს და განაგრძობა ამ აზრს. ვგულისხმობ პატრიარქას და, ყოვლის უწინარესს, მანდელშტამს, რომელსაც აქვს შესანიშნავი — არა შენიშვნა, რასაკვირ-

ველია, მაგრამ ის ტექსტში შესანიშნავად გამოიყურება — ფრაზა იმაზე, რომ მხატვრის უმაღლესი პატივმოყვარეობა არსებობა, ყოვნა.

საუკუნის ძალაში ცენტრის ვენა სწორედ ამას აკეთებდა. და იქ იხლართებოდა ძაფები, რომლებიც საინტერესოა ჩვენთვის, იმიტომ, რომ ისინი ასახება, მეორება დღეს ჩვენს გამოცდილებაში, წარმოადგენ ჩვენს შემაღებელ ნაწილებს იმ ზომით, რა ზომითაც გეგ-დავთ ჩვენ არსებობას ან ყოფნას მათ შორის, — ცხოვრებას საკუთარი და არა სხვისი ცხოვრებით, სიკვდილს საკუთარი და არა სხვისი სიკვდილით. და ჩვენთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მილიონობით ადამიანები უბრალოდ კი იმ დაიხოცნენ, არამედ დაიხოცნენ არა თავიანთი სიკვდილით, ანუ ისეთი სიკვდილით, რომლიდანაც რამეც ცხოვრების სული აზრის გამოტანა შეუძლებელია და რომლითაც შეუძლებელია რამეს დასწავლა.

ეს XX საუკუნის ძირითადი გამოცდილებაა და ჭოჭოხეთიდან არავინ ბრუნდება ხელსავს, ჭოჭოხეთიდან ყველა ხელუარიელი ბრუნდება.

შეალამოვთ ძალიან კარგად აგვისნა ეს, თვლიდა ას, რომ რუსული ქლასიკური, ჰუმანისტური ლიტერატურა გვატუნებდა ჩვენ. მან არაფერი გაგვაფრთხილია ადამიანის შესახებ.

მაგრამ, როგორც ჩანს, გაფრთხილება ძალიან ძნელი საქმეა. ხომ გვაფრთხილებდა ვენა, მაგრამ ეს გაფრთხილება არ გვესმოდა, რომ ყველაფერი ეს ძალიან ახლოს იყო: სინამდვილეში ისტორიული დრო არ ემთხვევა ქრონოლოგიურ დროს. ის, რაც ქრონოლოგიურ დროში ათწლეულებადა განუენილი და ჩვენ დღეს დიდი ხნის გარდასულად გვეჩვენება, სინამდვილეში ხომ ამჟამად ხდება და ჩვენ ვიმოცევებით, გარკვეული აზრით, ისტორიული დროის იმავე წერტილში, რომელშიც იმყოფებოდნენ ვენის მხატვრები, მოაზროვნები, ჰუბლიცისტები და მუსიკოსები.

მაგრამ, ვიმეორებ, ამ წერტილში ჩვენ გავიარეთ ჭოჭოხეთი, ჭოჭოხეთიდან კი რამეს ცოდნა არ შეიძლება. და შემთხვევით როდი არსებობს ძველი ანტიკური სიმბოლო, სიმბოლო — აქ-რძალვა უკან დარჩენილი სამყაროს-კენ, ესე იგი, ჭოჭოხეთისკენ მიხედვისა ქიდან გამოსვლისას, თუკი მოკვდავთაგან ვინმეს გაუღიმებს ბედი და, იმ სამყაროში მოხვედრილს, ცხოვრებაში დაბრუნება მოუწევს.

ინ, ეს გამოცდილების გადატემითობა, ჭოჭოხეთიდან ხელსავსედ გამოსვლის შეუძლებლობა გამოხატული აქ-რძალვაში: გამოსვლისას მიხედვა არ შეიძლება. და ეს მილიონები, რომლებისკენ მიხედვაც კი არ შევგიძლია, იმიტომ, რომ ეს არის უაზრო და გაუზარებელი გამოცდილება, ყველაფერი ის, რისი არც დავიწყება შეიძლება, არც პატივია (ამ სიტყვის არა უბრალოდ იურიდიული, არამედ ღრმად რელიგიური ან სულიერი აზრით) — ეს მილიონები გვიხმობენ ჩვენივე თავის და თვით ჩვენი არსებობის გადასხვაფარების შემწეობით რაღაც ძალა შეცენბისავნენ, რომლებსაც ბერძნები ეძახდნენ „კაიროს“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშემწყობ შემთხვევას, რადგან გულისხმობდნენ, რომ ადამიანური ძალებით ყველაფერი როდი მიიღწევა, რომ სადღაც ადამიანურ ძალათა უკიდურესი დაძაბვით, სულ სხვა ძალები მონაწილეობენ მოვლენებში და ხდება ის, რასაც ადამიანი თავად ვერ მოახდენდა.

ის, რაც მე ვთქვი, დღევანდელი დღის გამოცდილებაა, მაგრამ ეს უმთავრესად საუკუნის დასაწყისში ეპროპის სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა — ფრანგების, გერმანელების, ავსტრიელების სისხლითა და ხორცით მოპოვებული გამოცდილებაა.

ავსტრიელებში ჩვენ შეგიძლია ვიგრძნოთ უცნაური რამ — რასაკვირველია, იმ პირობით, რომ თავად ჩავხედავთ ჩვენსავე თავში და გავიცნობიერებთ იმ ვამეორებას, რომელსაც



რუსულ სიცრცეში ჩვენთვის გვერდი არ აღლია.

მე ვოქვი, რომ ადამიანური კულტურა და ცივილიზაცია ფაქტი, უნატიური ქსოვილია. თოთქოს კულტურებშე იქსოვება უხილავი ხელებით ისე, რომ რაღაც უფსკრულებს ფარაოს. ამ უფსკრულების თავზე დაფურილი თხელი ფენა შეიძლება იოლად გაიხსეს და გამოცილება, რომელზეც ვსაუბრობთ, სწორედ ესაა: თუ როგორ იოლად იჩღვევა ეს ქსოვილი, რომელსაც არაფერი აყავებს: არც გარეგნი ძალები, არც გარე ძალებისადმი ადამიანის მორჩილება. კაცმა რომ თქვას, ბუნებრივი იქნებოდა ადამიანური კულტურის ამგვარად გაგება: ადამიანი სწყვეტის ცხოველობას და ხდება ადამიანი იმისდა მიხედვით, თუ როგორ იწყებს ის გრძვლული კულტურული ნორმებისადმი მორჩილებას. მაგრამ არა, ეს საკმარისი არაა, ეს არც ნორმებით მიიღწევა და არც ტრადიციის მიყოლით.

რაზე ყველაფერი ეს დამოკიდებული? ნიცშე აფრთხილებდა ევროპას: თუ თქვენ იმიტომ ხართ კეთილი, რომ ნორმირებული საზოგადოებისა და კულტურის ძალით უნდა იყოთ კეთილი, მაშინ ეს ძალზე მერყევი საფუძველია — ამ საფუძვლის ქვეშ ფურიები, როკები იბრძვიან. თუ თქვენ ფუტრიბთ, რომ ისე ბუნებრივად შეიძლება ტრადიციის განგრძნობა, თითქოს ის თავად ცხოვრება იყოს და თქვენ შეგიძლიათ მისი ცხოვრებასავით განგრძობა, მაშინ ეს შეცდომაა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტრადიცია შენს სუნთქვასავითაა: შენ სუნთქვა და ცოცხლობ, რალიცს მისყვები და ამით ტრადიცია გრძელდება. ამითბაში ადამიანური გამოცილება ხმიანობს, რომ ეს არ არსებობს, რომ ქსოვილი, რომელიც ამ უფსკრულის თავზე იქსოვება, სხვაგვარია: და მქსოველებიც სხვაგვარი არიან და თავიანთ ნასკვებასაც ისინი სხვაგვარ სახელს ეძახიან, რომ ყოფიერება, ყოფა — ადამიანის ანუ არსებობის უმაღლესი ქველობა — არაფრითაა გარანტირებული, არ არსებობს რაიმე შე-

ქანიზმი, რომელიც ერთსახოვნა არადაგენდა არსებობისა და ყოფის ეფექტს.

მაგრამ კაცობრიობას არ შორიდება ფიქრი ადამიანის ბედნიერებისა და კეთილდღეობის მარადი ძრავის გამოგონებაზე. მარქსიზმი აშკარად იყო ამგვარი გამოგონების ცდა. მაგრამ შეუძლებელია იმგვარი შექანიზმის გამოგონება, რომელიც, ერთხელ გამართული და დაყენებული, თავისი მოქმედებით უზრუნველყოფდა ადამიანის სამეცნიერებელობას და ადამიანურ ბედნიერებას.

ყოფიერებაში ჩვენ იმისთვისადაც ვეშვებით, რომ მაშინვე ამოვარდეთ უქიდან, ისევე, როგორც ჩვენ იმისთვის ვინთქმებით აზრში, რომ ამოვარდეთ იქიდან, რაკი არ შეგვიძლია ის ჩავიდოთ ჯიბეში, რათა შემდეგ, საჭიროებისდა მიხედვით, ამოვარდეთ და გამოვიყენოთ. ჩვენ ძალგვის მხოლოდ ხელაზლა დავინთქათ გონიერებაში, ფიქრში, ან ყოფიერებაში.

იo, ამას გვასწავლის საუკუნის დასწყისის ვენა, იo, რა გამოსცადა მან საყუთარ თავზე.

მე ვიტყოდი, რომ დიდმა ავსტრიელებმა ვიტებნშტაინმა, ჰუსკრლიმ, ფროიდმა, მუზილმა, კაფკამ, შონბერგმა — მათი სახელების ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება — დაგვიბრუნეს ჩვენ ყოფიერების, ყოფის ამაყილისება, რომელიც ულისია, თუკი ის თავისთვად იგულისხმება, თუკი შას შეუძლია მექანიკურად გაიმართოს, და ლირისულია, შეუძლია ნაყოფიერ სიამყედ იქცეს მყოფიერ ადამიანში, თუკი ეს ლირსება არ შეიძლება მთლიანად და სამუდამოდ გარანტირებული იყოს.

შეა საუკუნების პოეტმა და მისტიკოსმა ანგელიუს სილეზელმა როგორილაც თქვა (და მასში, ასც მან თქვა, თავს იჩენს სილმისეული წყობა, ანუ, როგორც ფილოსოფისები იტყვიან, ყოფიერების, ყოფის სტრუქტურა): არსებობს ყოფიერების, ყოფის რაღაც ულმობელი კანონები, რომელთა უგულებელყოფა არ შეიძლება და რომელთა უცოდინარობას ამ კანონთა კმედე-

ფილოსოფუაშიც ასევძობს რიგი  
კეშმარიტებისა, რომლებიც ჰეგეს თერ-  
მოდინაშიერის ამ კანონს, რომლიდანაც  
გამოისდინა არეობს ჩალიან ბევრი სან-  
ტერესო აზრობრივი შედეგი, რომლებ-  
საც აქ არ გადმოვცემ, იმიტომ, რომ  
ისინი ფილოსოფიის ტერნიკულ ენასა და  
პარატს მოითხოვენ. მხოლოდ თქვენს  
ცხოვრებისეულ ინტუიციებს მივმარ-  
თოთ.

ესაა ყოფის, ოოგორც მთელის, განუხტელი, ურყვევი სტრუქტურა, ოომების კი კმნის რაღაცნაირ შებოჭილობებს, რომლებიც ჩვენს აზროვნებას, ჩვენს მოქმედებებს, ჩვენს არსებობას, ან ამ კავშირებში ჩვენი ყოფნის შესაძლებლობას ბორივეს.

• ଏନ୍ଦ୍ରପ୍ରଦୀପ ସିଲ୍ପିଶ୍ଚାଳୀ, ହରମେଲିପ ପାଇଁ କ୍ଷେତ୍ରରେ, ଅଧିକାରୀ, ହରମ ଯେତୁ କ୍ଷେତ୍ରରେ ଶ୍ରେଣୀକାରୀ ଅତ୍ସାଙ୍ଗୀର ଫାର୍ମାଲେଟ୍‌ରୁଲ୍ୟୁମ ଦେଖିଲେଇଥିବା, ମାଗରାର ତ୍ରୈ ବେଳେ ଏବଂ ଏହି ଫାର୍ମାଲେଟ୍ ଦେଖିଲେ ଶ୍ରେଣୀ ଉପରେ, ଉପରେତୋ, ଶ୍ରେଣୀ ମାନିକ୍ ଦେଖିଲେ ପାଇଁ।

ყოფილებითი ჭარსული, — ვთქვათ.  
ქრისტეს შობა, — არ შეიძლება იყოს  
საფეხური, რომელზეც შეიძლება შე-  
დგე იმისთვის, რომ უფრო შობს ჭაბ-  
ვიდე. თუკი ამამ მოხდა გუშინ, ეს არაა  
გარანტია იმისა, რომ ეს რჩება დღეს,  
და რომ ეს შენ შეგიძლია გააკეთო-  
სვალ, იმიტომ, რომ გუშინ მოხდა. ერ-  
თის შეხედვით, იმიტომ, რომ ქრისტე  
დაბადა ბეთლემში, შესაძლებელია  
ესა და ეს, მოპოვებულია ესა და ეს და  
ესა და ეს... არა, არა მოპოვებული.  
შენ მაინც დაიკარგე. არა, არა გარან-  
ტირებული შენ გადარჩენა, თუ ქრის-  
ტი ხელახლა არ დაიბარა შინ სოლში

զգովրհոծ, հռմ Տեղացարած Տուուրե-  
լուս արց շինեօնօճ անհո, ճա արց  
շըլորշեօնօճ ոմքարո Տուուրեթլոտ Տո-  
ւուրեթլոյս, Իռմելնիւր պայլայցիրո  
Շիք գանցիլուեծուլո ճա գարնենիրե-  
ծուլուս. Ցամոն պէտո Տուուրեթլուս, ցըց  
ոցո, Ցոնդամենիւ-լուր Մհրոյրտոնձաժա  
Տայշտարո գանցունս, Վահնո ճա լսար-  
ցիկլո, Նշելմէրո ոյնեօնօճ, Իռմցնա-  
ճապ հիցնամք մոլոնոնձուտ Ազամոնցիքն  
՛սցարածտ ճա Տուուրեթլուս ծննեծա,  
տուշուս գարկցելուս. Իս Տաշուրո հիմո  
գանցուեծո, Իս աջուլո պէտ Տամցա-  
Իռմո?

ବାଘରାଥ ଶତକରୀର ଦ୍ୱାରା ଉଣିବା — ଯମତଙ୍କା  
ନିମିତ୍ତମ, ହନ୍ତ ଘେରନ୍ତରୁକେ ଅର୍ଦ୍ଧବର୍ଷାବେଳୀରେ କା-  
ର୍ତ୍ତିବ୍ୟା — ଏହି ନିଶ୍ଚାର୍ଗେ ଶେଣି ସାକ୍ଷୀତାରି  
ଗାନ୍ଧିପ୍ରଦେଶି ହାରିତାବେ ପୁଣ୍ୟଲିଙ୍ଗରେ ନିମିତ୍ତ  
ଶ୍ରୀକୃତ୍ସନ୍ଧାରୁ ଗାନ୍ଧିପ୍ରଦେଶି, ରାଜ୍ଯ, ତନକ୍ଷେତ୍ର,  
ଶ୍ରୀକୃତ୍ସନ୍ଧାରୁ କାନ୍ତାରୀ ନାନାକ ସାମ୍ବନ୍ଧୀୟଲିଂତାନାମା ବନ୍ଦ-  
ଦୀଲୀ ଓ ଗାନ୍ଧିପ୍ରଦେଶିଲ୍-ମନ୍ଦ୍ରେଶ୍ଵରୀପୁରୁଷୀ —  
ନିଶ୍ଚାର୍ଗେ ଶେଣି ସାକ୍ଷୀତାରି ଗାନ୍ଧିପ୍ରଦେଶି ମନ୍ଦ୍ର-  
କ୍ରାନ୍ତିକାରୀ ଶାପିକାରିଶି, ଏହା ହନ୍ତକର୍ତ୍ତା ମାତ୍ରା  
ଶ୍ରୀଦମ୍ଭେରୀ ରାଜିକାରୀ, ଏହାମ୍ଭେଦ ନିମିତ୍ତ, ରାଜ୍ୟ  
ଶାପିକାରୀଙ୍କ ଶ୍ରୀପିଲ୍ଲଦେବ ନିମିତ୍ତକୁ, ହନ୍ତ  
ଅଭିବା ଦୈତ୍ୟାତ୍ମି ନିର୍ମାଣକାରୀଙ୍କ, ଓ ତୁ ଶାମ୍ବା-  
ରାଜୀଙ୍କ ମତ୍ତେଲ୍ ନାଗବର୍ଣ୍ଣାବେ, ଶ୍ରୀପଦାଶ ଅମ୍ବାକ୍-  
ଲ୍ଲଦେବ ଏହି କାର୍ତ୍ତାରୀ ଅଶ୍ଵରୁଷ, ମତ୍ତେଲ୍ ଏହି ଶା-  
ମ୍ବାରାଜ ଡାନ୍ଦାର୍ଜିର୍ରାଜୀ.

ჩევენ ვიცნობთ დასავლეთისა და აღმოსავლეთის პრობლემას. საუკუნის დასწყისის ასტრიკია ამ პრობლემის პირველი გათამაშება ან წაგებაა. მე ვიტყოდი, რომ რსუსთმა თავის თავზე აიღო (ჩემის აზრით, ფრიად ჭარუმატებლად აიღო) ეს როლი. — როლი დასავლეთისა და აღმოსავლეთის შუაგულისა — ძალიან უბრალო აზრით ახლავე ევტენი ამ აზრს, რომელიც შესაძლოა თქვენ არ გაიზიაროთ, მაგრამ თუ განვსჭით, სხვაგვარად მოაზრება შეუძლებელია, რადგანაც, როგორც ყოფაში, ისე აზრშიც ულმობელი კანონები არსებობს.

დასავლეთი და აღმოსავლეთი კაცობრიობის მდგომარეობის ორი მარადიული მხარეება; ეს გეოგრაფია არაა, ეს ორი მარადიული მომენტია. თუ ეს აქვთ მაშინ მიზანი დაწასულობის უნარმართვის



არ ძალუქმთ ერთმანეთის გადაკვეთა და არ შეუძლიათ ერთმანეთთან კონფლიქტი იჩება; არ შეიძლება მუდმივი კონფლიქტი არსებობდეს დახახვლეთსა და აღმოსავლეთს, როგორც იდამიანურ ურთიერთობათა მარადიულ მომენტებს შორის — ჩვენ ან ერთ მდგომარეობაში ვართ, ან მეორეში. მაგრამ შესაძლებელია არსებობდეს რაღაც სივრცე, რომელშიც ეს მხარეები შეიძლება მოვიდნენ თანაფარდობაში — სივრცე, რომელშიც მათ შეუძლიათ შეხვდნენ ერთმანეთს და კონფლიქტში ჩებან.

საუკუნის დასაწყისში ასეთი სივრცე ავსტრია იყო. ავსტრიაში ევროპულ დახახვლეთს მის საკუთარ აღმოსავლეთთან ჰქონდა საქმე.

რუსეთში იგივე მოხდა XX საუკუნეში და ამიტომ შემიძლია ვამტკიცო, რომ დღეს ჩვენ ვიმყოფებით და ვცხოვობთ იმ წერტილში, რომელიც შეიძლება 1895 ან 1885 წლით იღვნიშნოთ. სხვადასხვაგარად შეიძლება ამ თარიღის აჩჩევა, რათა მასში ერთდღოულად მოვაკიოთ, ვთქვათ, ბოდლერი, ან რომელიღაც ავსტრიელები, 1895 ან 1913 წელი — საუკუნეთა ნგრევის ან პირველი მსოფლიო ომის მიერ ნგრევის უმი.

პირველი მსოფლიო ომი ორჯერ გათმაშდა: მეორე მსოფლიო ომშიც ხომ ის ომი იომეს, ანუ ეს იყო თითქოს ერთი მოვლენა, რომელშიც ევროპის მთელი ტექტონიკის ფუნდამენტურმა ბიძგებმა თვითანთ თავი გამოავლინეს ზედაპირზე, თავიანთი თავი გამოავლინეს მოვლენებად, რომლებიც დღეს ჩვენთვის გამოცანაა, რომლებითაც მობილულ-მოქადოებული ვართ და რომლებსაც ჩვენთან ფუნდამენტური შეხება აქვს. ჩვენ ვწყვეტით იმავე პრობლემებს, რომლებსაც წყვეტილენ ადამიანები იმ უცნაური ამბების პირის პირ, რომლებმაც თავი იჩინა ავსტრიული აღმოსავლეთის ჩხევა-მოძრაობებში, შემდეგ კი პირველი მსოფლიო ომის ფუნდმენტი.

აქვე გამოვლინდა კიდევ ერთი ოპო-

ზიცია — კულტურის, ისტორიის გონიერის (ყველაფერი ეს ერთ სიტუაცით აღვნიშნოთ) თანაფარდობა სტიკიასთან; ანუ არაორგანულის, არაბუნებრივი და ორგანულის თანაფარდობა, ისტორია, კულტურა, პრიზრების მიერ წარმონაგებებია, რამეთუ ისინი ეფუნდება ერთ არაბუნებრივ ანუ „ხელოვნურ“ მოვლენას. რომელსაც ბუნებრივი თავისუფლება ჰქვია, ბუნებრივმა მოვლენებმა არ უწყიან თავისუფლება და ამ აზრით თავისუფლება არაბუნებრივია, არაბუნების მიერ თავისუფლება, აქედან ის გამომდინარეობს, რომ არ შეიძლება არსებობდეს თავისუფლების ბუნებრივი მექანიზმები. თუ არსებობს მექანიზმები, არ არსებობს თავისუფლება, მაგრამ თავისუფლების არსებობა რაღაც არაბუნებრივ ელემენტს არ აღნიშვნას.

რას აეთებს საუკუნის დასაწყისის ვენა? ფსიქოანალიზის ძირითადი პროცესია ორგანულისა და კულტურულის ანუ თავისუფალის ურთიერთობა. ამგვარად, არსებობს პროცესები გონებისა და სტიქიისა და, ბუნებრივია, რომ ადამიანი, როგორც თავისუფალი წარმოშობის არსება, თავისი ფსიქიზმით, თავისი სხეულით ანუ მასობრიობით — საზოგადოებრივ კოლექტივთა სახით ჩაწნულია ბუნებრივ პროცესებში, განაგრძობს მათ ნაწილად ყოფნას — ის თითქოს კერტავრია (ცხენ-კაცია), რომელიც ერთდღოულად თავისუფლების სამყაროშიც ცხოვრობს და ბუნების სამყაროშიც.

ავსტრიელებს ჰქონდათ გონება, რომელმაც შეძლო შეემჩნია და გულისუყრით ეკვლია ის ნაძრალები, რომლებიც გადის ადამიანური არსებობის ორი მხარის ამ რთულ და დინამიურ თანაფარდობაშე — იგულისხმება, ერთის მხრივ, ის მხარე, რომელიც თავისუფლების სამყაროში და თავისუფლების კანონებით ცხოვრობს და, მეორე მხარე, რომელიც ბუნებრივ სამყაროში ბუნების კანონებით, სტიქიის კანონებით ცხოვრობს.

არსებითი და კიდევ უფრო მნიშვნელი



ლოვანი იყო ძაფი, რომელიც გაბმული ტკი კინოსა და იშას შორის, ჩასუს პირი ბითად შევერიძია ენის ძალა ვუ-ჭრული, წილის ბრიტანიული უკვე ღვნისწინე — ჩვეული ჭურჭა ისტორიას ჩასი მც შე-იძლება ზამე შემცირებულ გარებინ ნორმის მიყრული და დარის ჩემი გარების კურტურულ ნორმას დამიანის დაქვემდება-რებით, დამორჩილებით, კოქვათ „მე — ბუნებრივი არსება“ კემორჩილები ჩემს თვის დაკისრებულ კულტურულ შე-ლელდებს, კუროვრობ თიქოს ბუნებ-რივი ცხოვრებით, რომელშიც კულტუ-რა თითქმის დამთხვა ჩემს ცხოვრები-სეულ პროცესს და ისევე ხორციელდება, როგორც ხორციელდება ჩემი სუნ-თქვა. მე ისევე კურცხლობ, კუროვრობ, როგორც ცუნათქვა.

ესაა წერილი ადამიანური ტრაგე-ონისა, ეს იგი ადამიანის ტრაგიკული ყოფერებისა, „დამიანისა, როგორც საკრულო პრისებისა,“ რომელიც, ამას-თანავე, უსასრულო ამოცანას წყვეტს.

ყოფა დრამა, ისტორია — ამ დრა-მის სცენა. ამ, ადამიანური ყოფის ეს ტრაგიზმი შეიძლება გამოვლინდეს კა-ნონსა და ენის ძალას შორის ევანგე-ლიკრ პონშიციში, როგორც მოცი-კულო პავლე იტყოდა.

კაფეის ყველა სიტუაცია ძალზე ით-ლად იშიფრება, თუკი მათ ამ ტერმი-ნებით გავიგებთ, კაფეის ყველა „ციხე“ ან ყველა გარეგნული შეპირობებულო-ბა კანონია. და, ის, იმას, რაც ხდება ამ კანონში, თუკი არ შექმედებს რაღაც სხვა ძალა, კერძავთ კაფეს გვიჩრბის თავისუფლების შესტიქს „აა სხვაძლა? ეს კრისტალური თავისუფლად გადასახლა.“

კვლავ უვანგელიკურ პირს დაუტა-რულდები და ვიტყენი, რომ ქანისტრებმდე რყო კანონი ფა იყვნენ წინასწარმეტ-ველი, შემდეგ კი იყო ორშაბათი, სამ-შაბათი და საკი შედღება და, კეირის შეი-ღი ტრის გარდა, შრის კრისე ურთი-ლე — დღევანდული ლო, რომელსაც სხვაგვარად შარადი აწრია ჰქვია. მან-დელშემამი შას „დინამიკურ უკადაგე-ბას“ უწოდებდა...

კუბრუნდები ევანგელიკურ ტრაზას:

ქრისტემდე — კანონი და წინასწარმეტვე გვიცავთ კანონი — ესაა ჩვენთვის ნა-ანდერძევი აღთქმები და ნორმები და ჩვენ გათ ვიტყეთ, წინასწარმეტველი წამოიძიხებენ საკმის კეშმარიტ მდგო-მარებას, თუკი კანონმა არ იმუშავა, ის კი რომელიღაც მომენტში ფორმა-ლური ხდება, მა აზრით, — ადამიანური აზრით — არ მოქმედებს. და, ის, სა-ლოსებს ისლო ჩემიათ, რომ წამოიძა-ხონ კეშმარიტება, შეგვასენონ აზრი კანონისა, რომელიც იხშობა და რომე-ლიც ფორმალური გახდა.

დღეს კი, ქრისტეს შემდეგ, დღეს, ვიმეორებ, მარადი აწმყოა, „დინამიკუ-რი უკადაგება“, დღეს ღვთის საუფლო ძალით მოპოვება.

სწორედ ძალვა ენა ანუ ხმა ყოფნი-სა, ხმა, ანუ რომელიც არის გამოვლინება შენი ძალვისა, ანუ შენს თავზე მოქმე-დებისა, განუწყვეტელი განცდისა — მათ შორის უკვე არსებულ კეშმარი-ტებათა განცდისაც.

ის, თავისუფალი ძალვის ეს დაძაბუ-ლობაა ის, ამას პევია ენის ძალა, რო-მელიც ვარაუდობს შინაგან ზემოქმე-დებას თავის თავზე. მაგრამ, ამას გარ-და, უცილებელია ამდენადე არსები-თი საჯარობა, სხვებისოდის უწყება იმისა, რომ მონაწილეობ კაცობრიობის საიდუმლო მკედვი.

კაცობრიობა კი, როგორც კანტი ამ-ბობდა; სხვა არაფერია, თუ ისა კამუნი-კაცებურობა, ნაკადი, დენი, რომელიც, თუ გადას, ყველა პირვენებაში გადის, — მაგრამ ხომ შეიძლება, რომ არ გადი-დეს — მაგრამ, ამ, ის გადის და კაც-ობითა სწორედ ესაა.

აფთარად, ეს გამცელელი დენი არსე-ბობს, ეს იგი, ასებობს კაცობრიობა, მიგრამ მა პირობით, თუ ამ ნაკადებით შექმნილ კანქებში (ჩვენ კი — თვი-ოცეული ჩვენთაგანი ცალკეულად ვდგა-ვართ ამ კვანძებში) ძალვას გემნით. და მა საერთო ძალვით წარმოქმნილ ტალ-ლზე ლოვლივებს ძაფი ანუ ანთია ცეც-ხლი ყოფისა, რომელიც გადაცემა... მე მინდოდა მეთქვა, ხელიდან ხელში, და ასეც უნდა გვითქვა, მაგრამ, ამასთან, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ყოფა ერ-



თხელ და სამუდამოდ არ შეიძლება გვერდეს, ცეცხლს ხომ სინამდვილეში ვერ დაქერ ხელში; ცეცხლი ფორმას წავის, თვითონ კი მიდის, უჩინარდება.

ჩვენი აქტრიულები სწორედ ამ ცეცხლს ათვისუფლებდნენ, ეს იყო პრობლემა ახალი დროისა, მოდერნისა ანუ მოდერნიზმისა. ამჯობილ მოდაშია სიტუაცია მოდერნიზმის ხმარება; ცხადია, რასაკვირველია, არავითარი პოსტმოდერნიზმი არ ასტებობს და შეუძლებელიყაა არსებობდეს, იმიტომ, რომ მე თუ ვმუშოვები წერტილში ახალი აბრიალებული ცეცხლისა, რომელიც ახლა გამოწვევს ფორმას, ამ წერტილში არ არის არავითარი მომავალი, არავითარი შემდეგ. ესაა მარადიულობა ანუ დინამიური მარადიულობა, ანუ რაღაც საგანი, რომელიც იმყოფება დროში, თითქოს დროის ტალღაზე მიცურავს და არ იცვლება — ამ აზრით ის მარადიულია.

„მარადიულობა დროში არ არსებობს“, — ამბობდა მანდელშტამი, რადვან მიიჩნევდა, რომ ქრისტიანობამ კაცობრიობაში პირველმა მოიტანა ვერტიკალური კვეთი. ჩვენ ხომ თითქოს ჰორიზონტალურია ვაზროვნებთ და, აქედან გამომდინარე, ყველაფერს ჰორიზონტალში წარმოვიდგენთ, და ჰორიზონტალში განვიხილავთ ცვლადისა და არაცვლადის, გარდამივალისა თუ მარადიულის საკითხებს, ეს კი ისე არაა, ესაა ვერტიკალი, რომელიც კვეთს ჩვენს ჰორიზონტალს და რომელიც შეიგრძნობა საიდანლაც და ის დროსთან მხოლოდ ძალვის წერტილში გადაიკვეთება.

ამ აზრით, ადამიანი ალსახევა დროით, ესე იგი, ძალვით, თავად ცხოვრება შეიძლება განისაზღოროს როგორც ძალვა დროში: ანუ ძალაც ცოცხლად და ჩრდინისთვის. და, ამ აზრით, ადამიანის სიცოცხლე არის რღვევა-დაშლის უფრატულით გარშემორტყმული რაღაც ისტორიული წერტილი, და ეს ქოსი და რღვევა-დაშლა ეხვევა გარს ყოველ წერტილს და სადაც, ბოლოში კი ას ელოდება, რათა ცხოვრების სიბრტყის წარმოშობის შემდეგ მოვლინდეს ქოსი მომავალში, იმის შემდეგ კი არაა, როცა წესრიგი უკვე გამჭრალია, არამედ ის

ამჯამად არტყია შიგნიდან წესრიგით ყოველ წერტილს. სიცოცხლე კი არის რაღაც, რაც იკვებება წესრიგით და არა წესრიგის მატერიალური ელემენტებით. ეს წესრიგი მოცემულია ისტორიულ წერტილში და, მე ვიტყოდი, ისეა მოცემული, რომ ეს ისტორიული წერტილი თითქოს ჩვენა ვართ უგუნურად და გრეხილ მრუდზე, ჩვენ, რომლებიც ცედილობ მასზე თვალის დამაგრებას და ცოცხლად დარჩენას.

ავილოთ ეს მეტაფორა. მოდით, ვისარგებლოთ ყველა ადამიანური გამოცდილებით, ვისარგებლოთ უბრალოდ მისი პატივისცემის გამო, ისე, რომ მისი აზრი გადმოვდინოს ჩვენში, რათა ჩვენ სწორედ მისით განვაგრძოთ კაცობრიობა — მე ხომ ვთქვი, რომ კაცობრიობა ესაა დენი, რომელიც გადის ან არ გადის. კაცობრიობა სწორედ ეს გადაცემა.

ასე რომ, თუ ჩვენ გავითავისებთ სხვა ადამიანების ცოცხალ ხმას, სხვა ადამიანებისა, რომლებმაც გამოვლენ, გადაიტანეს დრო, მაშინ თვითონ ჩვენც ცოცხალი ვართ და ძალგვის ვაკეთოთ, გავიგოთ ის, მივალწიოთ იმას, რის მიღწევასაც მხოლოდ ჩვენი ძალებით ვერ შევძლებდით. და კვედაზოთ გაცოცხლების მეტაფორა მხოლოდ ამას ნიშანები, განსხვავებით რუსული კოსმოკარიული ურობიერისგან, სადაც პირდაპირ ხორციელდება მკვდრეთით აღღომის სიმბოლო — მაშინ, როცა ამისი სულიერ-სიბრტყის აზრი გაცილებით უფრო ნაყოფიერია კაცობრიობისთვის და მისი აღმოჩენებისთვის, უფრო სწორად, მისთვის ერთადერთი ნაყოფიერი არა ესაა.

შეგახსენებთ, რომ მანდელშტამის მეუღლეს, ნადეჯდა მანდელშტამს, ჩვეულებრივ, როგორც ნებისმიერ ჩვეულებრივ ადამიანსავით არც მეტისმეტად პეპინ ვინძეს, იმდენად უყვარდა თვისი ქმარი და მეგობარი და იმდენად „ინახევდა“ მას ცოცხლად, — სწორედ მას, როგორც ასეთ პიროვნებას და არა თავის წარმოდგენებს მასზე (რის გამოც დაბეჭითებით ესმოდა, რომ



ის მოკვდა). — რომ საგნებს თითქოს არა საკუთარი, არამედ ოსიძ მანდელ-შტამის ძალებით სწოდებოდა. ის თითქოს ამპლიცირებული იყო, მისი ძალები გაძლიერებული იყო მანდელ-შტამით, რომელიც ცრცხალი ჩინებოდა.

ამგვარ აღორძინებებს სხვა ადამიანთა გიტარისა და ძალისხმევის უბრალო პატივისცემა გვკარნახობს.

ამ აზრით ღრმუსულად უნდა დავაფასოთ ავსტრიელები, და თუ ისინი ჩვენს გაგებაში ცრცხალი დარჩებიან, ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ ჩვენ მოვცემატება მათი სიცოცხლეც, რომ ჩვენ მათ სიცოცხლეს ვითავისებთ და ვიზრდებით.

ისტორიული წერტილი საკმიოდ დრამატული რამა და საკუთარ თავზე შეიძლება ამის გამოცდა, ანუ შეიძლება ამის გამოცდა ჩვენს სხეულზე, ფსიქიაზე. ესაა რაღაც პირველადი ძალმომრეობა თავისუფლებისა, რომელიც ხორციელდება თავისუფლებით და ჩვენს ბუნებაზე თავისუფლების გაძლიერებული ზემოქმედებით.

შეხედეთ, რა ხდება მუზიკის „უთვისებები ადამიანში“ (იგივეს შემჩრევა შეიძლება ვენაში ჩასახულ ექსპრესიონიზმის). თქვენ გაიგონებთ ადამიანის სხეულის ხმიანობას თავისუფლების აქტის შესრულების აუცილებლობის გამო (აქტისა, ურომლისოდაც, იგულისხმება, წარმოუდგენელია კულტურის შენობა), ის მტანჯველია ადამიანის ბუნებისა, ისევე. როგორც ფიზიკურად აუტანელია ისევე, როგორც დანაყრებისას ჩანაცვლით მანერიზება იმის ნაცვლად. რომ გარკვეული როღაც ხელით გაგლიჭო, გასული საუკუნის დასასრულს და ამ საუკუნის დასწყისში დედამიწის სხვადასხვა ადგილებში ტარდებოდა ვადები ეგრეთწოდებულ პირველად ადამიანზე, ესე იგი, ისეთ ადამიანზე, რომელიც ბედის განგებით ან გარემოებათ გამო ნორმალურ ადამიანურ საზოგადოებაში იზრდებოდა, ჩვილობისას კი სადღაც იყო მიგდებული (ვთქვათ, როგორც მაუგლი; გერმანელები ამას სხვაგვარად აკეთებდნენ) და

შემდეგ ის უცებ შემოკუავდათ ადამიანთა ცხოვრების ნიშნების სიცრუცეშიადგმული ან ხელოვნურ სიცრუცეში, სადაც ადამიანები ერთმანეთში ურთიერთობდნენ და სრულდებოდა უუბრალოესი ცხოვრებისეული აქტები, ისეთნი, როგორიცაა ჩანგლით ჭამა და არა ხელებით, არა გამოქვაბულში შეხვება, არამედ სახლში შესვლა და ასე შემდეგ.

მუზიკობა მაღალი საზოგადოების განაზრითა და კველანაირი კულტურული პროექტისა და ისტორიის აღორძინების მზაკვრობებს ახლავს ასახვა მოვლენებისა, რომლებიც მოორსბრუგერის სხეულზე ხდება.

ეს კულტურით დაჭრილი სხეულია. სადღაც, ოდესაც, რატომლაც, ადამიანთა ურთიერთობებიდან ამოვარდნის გამო ხელიდანა გაშვებული კულტურის ხელოვნურობაში ჩართვის მომენტი და ამის შემდეგ სხეულს მხოლოდ ტანკვა-წმინდით, კბილების ღრეუნით, ნაცნობი მოქმედებებით, სიმბოლოებით და ა. შ. გარშემორტყმულს ძალუძს არსებობა.

სწორედ ეს ბუნებრივი ცხოვრება, თითქოს ორგანული, ამ მოცემულ შემთხვევაში თავისუფალი ცხოვრების ცდით დამახინჯებული რამ, — სწორედ ესაა აღმოსავლეთის მეტაფორა, ანუ ავსტრიული კულტურის მთლიანობის ამოწურულობა, მისი რიტმისა და მაჯისცმის საბოლოო წერტილი, სადაც აუცილებელი იყო უკვე ახალი ძალა, რომელშიც უნდა შემუშვებულიყო მისი არსებობის რეალიზაციის უკვე ახალი ფორმები...

ადამიანი თავის თავში უოველოვის უნდა ხედავდეს თავის სახეს და პარივს უნდა სცენდეს თავის თავს, ის ისე უნდა აქტივოს, რომ თავისი თავის პატივისცმის შესაძლებლობა ჰქონდეს, რომ თავისი თავი პატივისცმის ინსტანციის სახით ცნოს — უამისოდ ადამიანური არსება გამორიცხულია.

სამწუხაროდ, თავისი თავის ეს ცნობა ხშირად მიიღწევა ფრიად უცნაური გზებით, მათ შორის რეალობის რეალუქციის, იგნორირებით, სისაძგლეების,



მკვლელობების და ა. შ. შეუგრძნობლობით, იმიტომ, რომ მა ინფორმაცია, ადამიანში დაუფარვად არადამიანურია, შეიძლება დაარღიოს მისი დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, შეიძლება მას წარართვას ჭავისი თავის პარვის ცემის უფლება.

ზოგჯერ, მხოლოდ იმისთვის, რომ განავრძოს თავისი თავისი პატივისუება, რათა ოპტიმისტი ეს თვეთშესატყვისობა ანუ თვითოდენტიუფაცია, ადამიანი მზადა მილიონობით ადამიანს მოუსწრავოს სიცოცხლე:

აპოზიცია მძლავრი ფსიქიკური ძალაა. მე ვამბობდი — გონება და სტიქია, — მაგრამ ეს თავად გონება იქცა სტიქიის ნაწილად, და სტიქიური იმპულსების შესრულება იწყო ფსივდოგონების მექანიზმებმა. ეს იგი, მე განვაგრძოს საკუთარ თავთან წონასწორობის დამყარებას ჩემი სამჯელო საშუალებებით, მაგრამ ამით მხოლოდ ვარეალიზებ სტიქიას, ბუნებრივ სტიქიას, რომელიც იმით გამოიჩინა, რომ არ იცნობს ფორმებსა და ინდივიდს.

ქარი სტიქიაა, ჰაერის სტიქია: ბერძნები შემთხვევით როდი ცდილობდნენ სტიქია წარმოედგინათ ადამიანის წარმოსახვისა და შეგნებისთვის ისეთი მისაწვდომი ელემენტების სახით, როგორიცაა წყალი, ჰაერი, ცეცხლი, მიწა. ის, ვთქვათ, ქარი პრინციპში უხილავია, და თავადაც ბრჩა, მას არ ძალუს აღბეჭდეთ სახის, ადამიანის, კვალისა, რომელიც აზრის მატარებელია. ადამიანს ბოძებული აქვს კაცობრიობის მაქავშირებელი ძაფის გამთლიანების, იმის გამოფერის უნარი, რასაც შეტკველებს ეს კვალი, როგორც აღმიანის ისტორიის ნაწილი. ქარი კი შლის მა ნაკალევებს — ის ვერ ხედავს ფორმას, არ ინდობს მას ისევე, როგორც ნებისმიერ ნადაგის უსწორობას — ისინი ქარის-თვის ყველა თანაბარმნი შენერლოვანია. ზუსტად ასევე ფორმა, სახე შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელობას მოკლებული, თანაბრად უნტერესო, განურჩევილი ადამიანური მატერიის სტიქიის-თვის — ჩვენი ფსიქიზმის სტიქიისთვის,

განსაკუთრებით იქ, სადაც ის უსწორებელი ფსიქიზმთა შეერთების წერტილში და გადაიქცევა ეგრეთშოდებულ მასად, ბრბოლ, მასის ეფექტად:

ამას უწოდება სტიქიურ ძალა, განჩაღება და ავსტრიულება პირველებმა (მე ამ ვლაპარაკობ ნიცხვშე, რომელიც წინასწარ, გვაფრთხილებდა ამის გამო) სცადეს სტიქიის ასეთი სახის პირისპირ დამდგარიყვნენ. ჩაკვირვებოდნენ მათ მოქმედებას რაღაც გაშეშებული მარადიული სილამაზისა და ლირსების ფონზე, აქედან მოდის ვენის X საუკუნის დასაწყისის ანტიკური მოტავები მოდერნული ფერწერისა. არქიტექტურისა, პრიზისა:

ასეთი ცივი, განყენებული სილამაზითა შემსჭვალული ერთ-ერთი საუკეთესო ფილისოფიური ტექსტი — ვიტგენშტაინის „ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი“, ის წარმოადგენს ერთდროულად ადამიანის ლირსების ნიშანსაც და ადამიანური სინაზის ნიშანსაც. მაღალა, ეს იგი, კეშმარიტი სილამაზის, სტეკეთის, ადამიანურა ლირსების ეს წარუგალი, გაცივებული სახეებია ის, რაზეც ლაპარაკი შეუძლებელია, რაზეც უნდა დუმდე, ესაა ის, რასაც ვიტგენშტაინი მისტიკურს უწოდებს, გეჩვენება, თითქოს მას დაესიზრა სამყარო და მთელ მომდევნო ცხოვრებაში მათიც ცდილობდა გაეაზრებინა ის, რაც ძილში ეზმია — და ესაა კიდევ ერთი დადასტურება ადამიანში მთელი მაღალის, მათ შორის აზრისაც, სინაზისა, აზრიც არ შეიძლება გქონდეს, ის შეიძლება მხოლოდ კვლავ და კვლავ მოიაზრო, არ შეიძლება ის გადასდო, არ შეიძლება მისი მოპოვება და შემდეგ მიმართო მას საკიროებისამებრ — მისი დაუფლება შეუძლებელია.

და, ამ, ეს წუთიერ სამფლობელოთა სამყარო — სამყარო, რომელსაც მართავს ჰერაკლიტს ცემა, ან პითაგორეს წამი, სამყარო, რომელშიც რაიმეს დაკვება შეიძლება მხოლოდ განახლებადი ძალვის ტალღის კონტრაზე, სამყარო, რომელშიც ისტორიული წამი



თვით ამ წერტილში გარემოცულია ქაოსითა და რღვევით, სამყარო, რომელშიც განკითხვის დღე ის კი არაა, რაც მოხდება იმის შემდეგ, როცა ცხოვრება უკვე გავლილია, არამედ ისაა, რაც ჩიტენის განვითარების კოვენტი კოვენტის ყოველ მომენტში. ეს კარგად ირეკლება რილექსთან „საათების საათში“, „ზამნში“, სულაც არაშემთხვევით მეტაფორაში. რილექს ესმის ყოფიერების ინტიმური, შინაგანი წყობა, რომელშიც განკითხვის დღე ჩიტენი არსებობის ყოველი წუთის ჩვენებაა და არა რაღაცისა, რაც მოგვივა რომელიმაც მომავალში, რომელიც იქნებოდა ჩვენი შეხედულების პორიზონტალის გაგრძელება. მე ხომ უკვე შემოვიტანე ვერტიკალის, შეტაციზიური, რელიგიური ვერტიკალის ცნება, — ჰოდა, ის, განკითხვის დღე ამ კვეთში ალნიშნავს უბრალო რამეს: აქ და ახლა უნდა ამოცვეს სკოლო გამოცდილებიდან, რათა ის შემდეგ უკეთერად არ განმეორდეს, სიცოცხლე უნდა დახრულდეს და აღორძინდეს ანუ უნდა აღორძინდეს წარსულის ნანგრევებიდან და უკრულდება, ჩვენ კი, მისი მსხვერპლი ვართ, თუკი განკითხვის დღის ეს გონგია ან საყირის ხმა არ გვესწის და არ ვაბოლოვებთ მას, თუ არ ვამთავრებთ ჩვენს გამოცდილებას აქ, აღილებე. გამოცდილების დაუსრულებლობა — აქედან კი მოდის გაუთავებელ ჯოგოხეთურ ტანგვათა უკეთერი გამორჩებების ჭაპანწყვეტა, როცა არ შეიძლება სიკედილი და ერთი და იგივე ნაკერი უნდა ღვევო — ესაა XX საუკუნის რუსეთი. განმეორებათა გენია თითქოს დანავარდობს რუსეთის სივრცეებზე და მეორედება აზრებიც, შეტაცულობანიც, დრამებიც, რომლებიც 190 წლის წინათაც იყო, მეორედება თითქოს ავ სიზმარში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ, თავის ადგილზე და თავის დროზე დამთავრდა, გასრულდა გამოცდილება, ანუ ისინი არ კვდებოდნენ იმისთვის, რომ აღმდგარიყვნენ, და ამიტომ მარადიულად კვდებიან და არაერთ არ ძალუდა

მოკვდნენ და მხოლოდ სიკედილის გელერებით თხოვნა შეუძლიათ. და რილექს იბბობს: აქ იბრუნება ხა-ათი, შენკერ ბრუნდება ხაათი — სწორედ ესაა ყოფის წყობა, რომელსაც ასაბოლურებს განკითხვის დღე, რომელშიც, მომიტევეთ პროზაზმი, თითქოს შეჯამება ხდება, „გულიანდება შეცდომები“, მაგრამ კოჟი ალჩუზე ჯდება არა სიკედილის შემდეგ, არამედ შენი სიცოცხლის ყოველ წუთს და ესაა თვისება ყოველი არსებითი გმირცდილებისა, საღაც მნიშვნელოვანია ის, რომ ხაათი არ გამოტოვო. შენსკერ ბრუნდება სხათი. იმ გაგებით, რომ შენ აქ, ახლა უნდა ამოცეხო აზრი გამოცდილებიდან, უნდა გაასრულო, დააბოლოვო გამოცდილება. არ გაასრულე? რას იზამ, მაშინ ყველაფერი კლევ შეეციდება ერთმანეთს და ისე იტრიალებს დაუსრულებლად, როგორც განმეორებად კაშმარში.

და ეს, სიტყვას მოპყვა და, შესანიშნავად იგრძნონ ევგენი ტრუბეცკოიმ. ბევრ რუს შოაზროვნეს მოუხდა წიგნების დაწერა სიკედილის პირისპირ, ისე, როგორც ხატვა, მუზიცირება, ფილოსოფოსობა მოუხდათ ასტრიელებს სიკედილის საშიშროებით ობეგვიდილ ატმოსფეროში. რუსებს ეს მოუხდათ, მაგალითად, 1918 წელს, როცა ისინი, შიმშილითა და სიცივით რომ იხოცებოდნენ, ხელნაწერებით ახურებდნენ ღუმელებს, რათა მათ სუსტ შეუწევე და სითბოში ეწერათ თავიათთა უკანასკელი წიგნები: მე ვაულისხმობ ტრუბეცკოის წიგნს უცხოვების აზრი“, სადაც ის ჯოგოხეთის მეტაფორას — რომელიც ხომ უკვე თავისთვავად მთლიანად წარმოადგენს მეტაფორას, ჩვენი სულიერი ცხოვრების სტრუქტურის, მისი უკიდურესი შესაძლებლობების ნიშანს — შიფრაეს როგორც შარადიულ სიკედილს. წმენებაა ის, რომ შენ ერთა და იმავეს ძმეორებ და არაერთ არ ძალების ყველაფერის ბოლომდე მიყვანა: ერთსა და იმავე ნაკერს ღვევად, გარბიძარ — ჩვენ ხომ იმისთვის ვცოცლობთ, რომ საღაც მივიჩნიოთ — ეს



კი ჭოჭოხეთში მარადიული სირბილია; ჭოჭოხეთის სასჯელია ცველა ჭოჭოხე-თური დასჭა და ამგარი გაწმაწიები. სინამდვილეში დასჯის აზრსა და არსს წარმოადგენს არა ფიზიკური სისასტა-კე, არამედ, აი, ეს, — ცველაზე საში-ნელი რამ, — გამეორება, როგორც ბლანტ მწებვარე საშინელ სიზმარში: სულ ერთი და იგივე ამბები თამაშდება დაუსრულებლად, ესე იგი, არ არსებობს სიკედილი, რომელიც შუქს მო-ჰავენდა დასრულებულ აზრს იმაზე, რაც ხდება.

რილექს კითხვისას („ეამნი“ მაქვს მხედველობაში) გრძნობ, რომ ეს შენა ხარ, შენზეა, ეს ამჟამად ხდება, საერთოდ, ესაა თვისება ცველა ღრმა გამოცდილებისა, რომელიც ოდესმე ვინმეს ჩაუტარებია: ის შენ გადმოგეცემა, და გრძნობ, რომ ეს შენზეა, შენ გემართება ამჟამად.

ახალი ენა აღსავსეა ყოველგვარი სტანდარტებით, ვთქვათ, ჩვენ ვამბობთ: „რუსული კულტურა“, „ქართული კულტურა“ და საკუთარ გამოცდილებაზე არ ძალგვიძს რაიმეს თქმა, თუ არა უკვე სტანდარტიზებული სიტყვებით. და მაშინ გამოიდის, რომ მე ვლაპარაკობ რუსული კულტურის სახელით და ქართული კულტურის სახელით, თითქოს ასეთი რამები არსებობენ.

ფილოსოფიაში არანარი კულტურები არ არსებობს. ფილოსოფია, ისევე როგორც ხელოვნება, აეულტურული საქმიანობაა. და ესეც ერთ-ერთი გაკვეთილია საუკუნის დასაწყისის ვენისა. აი, ვთქვათ, უნებლიერ როცა ამაზე ვლაპარაკობ, მე უნდა ვახსენო სიტყვა „ქართული“, და ეს იმთავითე გადაადგილებს იმას, რისი თქმაც მინდა.

იმას, რომ ვეკუთვნი კომუნიკაციას, რომელიც დაიწყო მრავალი ათასი წლის წინათ იქ, თავისთან, თავის ადგილზე, ქართულს დავიტქმევ. მე მქონდა შეგრძნება ერთი ნიშისა, რომელიც დამახასიათებელია სიკრისთვის, რომელშიც დავიბადე და გაფიზარდე. მე მას დავარქმევდი სიცოცხლის ნიჭს ან

უკანონო სიხარულის ნიჭს. მე კუთხით ვგრძნობდი ადამიანებში, რომელებიც ირგვლივ მეცვივენ. და ჰემს თავშიც, თუმცა, ჩემს თავს ვსაყვედურობდი ჩემს თანამემამულებთან შედარებით რაღაცნაირი მძიმეწონისნობის გამო. ჩვენი სიხარული კი სწორედ მსუბუქი და კეშმარიტად უკანონო იყო: აი, არ არსებობს არავითარი მიზეზები სიხარულისთვის, ჩვენ კი არარომატისან სიხარულით იღსავს ლხინს ვაწყობთ, სწორედ ეს უკანონო სიხარული ნოტა იმ სიკრციას, რომელშიც იშვა ის, ესაა განასაკუთრებული ტრაგიზმი, რომელიც თავის თავში შეიცავს აბსოლუტურ ფორმალურ აქრძალვას იმისას, რომ ტვირთად დააწვეს სხვებს, გარშემო მყოფთ, თავისი ტრაგელით. ისინი დამაზავენი არ არიან მასში, რომ შენ ტრაგედია გაქვს. არსებობს აბსოლუტური აქრძალვა იმისა, რომ ჩმიალუ იმსჯელო ამაზე, ურთიერთგასამართლებად გადააქციო ურთიერთობათა რკევა, ყოველ შემთხვევაში, კატეგორიულად აქრძალული შენი ტრაგიკული ვითარების სხვის ზურგზე გადატანა. სხვების წინაშე შენ მხიარული, ლალი უნდა იყო. აი, ამ კანონიერი სიხარულით განათებული უნდა წარგდე. სიხარულის მჟღერი ნოტა ბედის გამოწვევისავითაა: ამგვარი სიხარულის წარმევა შეუძლებელია. არსებობს ერთი ასეთი, ქართული გამოცდილება.

კიდევ ერთი გამოცდილება და კიდევ ერთიც, წარმოიდგინეთ, ავსტრიული გადაჭვარებინება, თუმცა ავსტრიელები ხელს მერავდნენ, მიცილებდნენ მე — ქართველს, მიცილებდნენ ნაღვლიანი, ცოტათი მტკიცნეული ნაღმით, რომელიც მთელი დროის მანძილზე ახლდა ყოფიერების, ანუ უკანონო სიხარულის მათს გამოცდილებას.

გესმით თუ არა, რომ ყოფიერება იგივეა, რომ ყოფიერება იგივე უკანონო სიხარულია? არ არსებობს არავითარი მიზეზი იმისთვის, რომ ჩვენ ვიყოთ და მით უფრო სასიხარულო ყოფინა; და მით უფრო ნაყოფიერი სი-



ერთადერთ ხსოვნას, ანუ ჩვენი მეორედ გამოცხადა დაბადების ხერხისა და ადგილის ნაწილის ჩარჩენის კავალს წარმოადგენს ცნობიერება. ამტრომ ცნობიერებაზე შეიძლება არსებობდეს მითი მოგონებისა, ვთქვათ, პლატონის მითი, და მეორე მითიც — საწინააღმდეგო — არაცნობიერის მითი ფრთიდთან, რომელიც არის მხოლოდ მითოთება ყოფიერების ცდის იარისა, ჩვენს ბუნებრივ წყობაში, ჩვენს ფიქიქიში დარჩენილი იარისა და მოქმედი ხსოვნა არის მხოლოდ ამ იარათა ხსოვნა. ამ აზრით, რასაკირველია, არაცნობიერი, ძალის ბუნებრივ წყობაში, რაღაც უკიდურესი წერტილია ცნობიერებისა და საუბარია არა იმაზე, როგორ იგება ფილოსოფიური კეშმარიტებები!), რომ შთამომაცლობას, სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით, სული არა აქვს. ის, რასაკირველია, გულისხმობს, რომ სული არ გადაეცემა დაბადების აქტთან ერთად და ამიტომ არ არის, ამ აზრით მემკვიდრეობითი არისტოკრატია, მაგრამ სულის სიმაგრე კი იმის პროპორციულია, თუ რამდენად მოხდა მეორედ დაბადება ფიზიკურად უკვე დაბადებულ ადგიანის არსებაში.

აი, ეს სულებია მარადიული, აი, ისინი დაბადენენ მეორე დაბადებით. შესაძლოა, მეორედ დაბადებები წარუმატებელი იყოს; ვთქვათ, ფრთიდა აღწერს მკვნესარე სსეულის ღრმატულ ამბავს თავისუფლების აუტანელ ტვირთვები. ამ აზრით, რასაკირველია, არ არსებობს არავითარი არაცნობიერი, თუმცა ფრთიდი, როგორც XIX საუკუნის პოზიტივური ცნეციერების წარმოადგენელი, განაგრძობდა აზროვნებას პოზიტივური ცნებებით, ანუ რაღაც ემპირიულ მოცემულობათა ცნებებით, რომელთა რიცხვში არაცნობიერი, აი, ასეთი მოცემულობა იყო.

ეს, ჩემის აზრით, ისევე, როგორც ბევრი სხვა ფილოსოფობის აზრითაც, არ არსებობს. კაცმა რომ ოქვეს, ჩვენი, როგორც სულის წარმოშობა — სხვა სიტყვებით, მეორე დაბადებაში — მთლიანად წაშლილია, წარმოშობის აღგილი ცარიელია, და წარმოშობის

სინამდვილეში ფიქონალიზის გამოცდილება, როგორც ფრთიდი იტყოდა, — ესტრიული შავი კირი — ისეთი თეორიული ნამუშევარი იყო, რომელიც ახალი ცნობიერი გამოცდილების პირობათა რედუქციას წარმოადგენდა, ისეთი ნამუშევარი იყო, რომლის შედეგადაც პაციენტის სულში (ან საკუთრივ შენს სულში) შეიძლებოდა წარმოშობილიყო ახალი და უწინდელისგან განსხვავებული ცნობიერი გამოცდილება, რომელიც წინ უსწრებს მათს წამრეცხავ შეკიდებულობებს, მაგრამ მაშინ ხომ იმ საგნისან, რომელზეც უნდა შეიქმნას თეორია, უკვე აღარაცერი რჩება — უაზრობა ძიება ასეთი საგნისა, იმიტომ, რომ ამ მოცემულ შემთხვევაში მთელი თეორიული აზრობრივი მუშაობის დანიშნულება იყო სახელდობრ შექმნა ახალი ცნობიერი გამოცდილების მაინდუცირებელ პირობათა წარმოქმნა. აი, სწორედ ეს

იყო რადიკალური სიახლე XX საუკუნის თეორიული აზროვნების მთელ სტრილში.

XX საუკუნეში წარმოშობას იწყებენ განსაკუთრებული თეორიები, რომლებსაც არა აქვთ საგნი, თეორიები თითქოს მხოლოდ ერთი შემთხვევისთვის (სამაგიეროდ, თეორიები და არა ემპირია, არა უბრალოდ აღწერა). მაგვარი თეორიული ნამუშევარი შეგიძლიათ ნახოთ ქვანტურ მექანიკშიც. სადაც, თუ ახალი ცნობიერი გამოცდილება შეიქმნა, უკვე აღარა აქვს, აზრი შენარჩუნებას არასებული საგნების რესტრისა, საგნებისა, რომელთა შესახებ რაღაც ირაციონალური ცნებები ხელს შეგვიწყობდნენ ამ ახალი ცნობიერი გამოცდილების მოხდენაში და არსებობის რაღაც ეგზისტენციალური, ან ყოფითი პრობლემის გადაწყვეტაში.

ესაა თეორიული ანუ ინტელექტუალური წვლილი არა მხოლოდ ფსიქო-ანალიზისა, არამედ იმ მხატვრული ფურმებისაც, რომლებიც პარალელურად მუშავდებოდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში და, რომლებსაც, ერთი შეხედვით, საერთო არაჟური ჰქონდათ ფსიქოანალიზთან, და მე ამ საერთოს ვხედავ სრულიადაც არა ლიტერატურასა და ხელოვნებაში ფურმალურ-ფსიქოანალიტიკური თემების არსებობაში, არა, მე ვგულისხმობ რაღაც უფრო ღრმა სტილისტურ მსგავსება-ნათე-საობას, რომელიც, ჩვეულებრივ, ყურადღების გარეთ ჩეხება და შემდეგში მდგომარეობას: ვთქვაო, მუზიკის რომანი აშეაბად არ წარმოადგენს ტექსტს ამ სიტყვის ქლასიკური გაებით, ის არ წარმოადგენს დასრულებულ მთელს იმიტომ, რომ მუზიკმა ის თითქოს არ დაამთავრა: მას ჰქონდა საესპერიტო საქმარისი დრო საამისოდ და მრავალი ვარიანტი, რომელთაგან ჩანს, რომ მისი დაუსრულებლობა პრინციპული განსაკუთრებულობაა. სეთი ფრაგმენტული ვარიანტულობა ასევითო ნიშანია ახალი რომანტიკული ფურმისა, რომელშიც რა ხდება? ხდება კი ყველაზე მნიშვნელოვანი რა — რაღაც მხატვრული

რომანტიკული წუნდის მეშვეობით, რამდენ ნება რაღაც გამოცდილება თავის მაფებისა ში, ინდუცირდება გაეგების, განცდის გამოცდილება და, აქედან გამომდინარე, თვით ამ რომანტიკულ საშუალებებს — სიუჟეტს, თხრითის ერთიანობას და მთლიანობას — არა აქვთ თვითმარი მნიშვნელობა და ამ აზრით არაა ტექსტი, არამედ ტექსტი წარმოადგენს ის გამოცდილება, რომელიც ინდუცირებულადა შემოილი მხატვრული ფორმით.

სიტყვას მოჰყვა და, მუზიკის გამოცდილება აბსოლუტურად ექვივალენტურია ან ენათესავება პრესტის გამოცდილებას, ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრივ, რა პარადოქსულიც არ უნდა იყოს ეს. — პასტერნაკის გამოცდილებას.

მუზიკის მთელი ცხოვრება ერთ რომანს წერდა და იმიტომ წერდა, რომ რომანის მეოხებით ჰქმნიდა ცხოვრების აქტებს თავში თვითისას, როგორც გამგები, მგრძნობელი, მხედველი არსებისას; მას რომანის საშუალებით უყვარდა რეალური ადამიანები. მისი მეოხებით ესმოდა რეალური სამყარო, ურომანოდ ის ვერ გაიგებდა სიმყაროს და, ამიტომ, ვიმეორებ, რომანს — როგორც ჩანაწერს — არა აქვს თვითმარი მნიშვნელობა, პირიქით. ის შეიძლება იყოს ფრაგმენტული, შეიძლება ვარიებდეს. ვთქვაო, მანდელშტამთან არსებობს ერთი და იმავე პოემის ან ლექსის რამდენიმე ვარიანტი, ისინი არ შეიძლება. შავიდან ნაწერებად ჩაეთვალით — ისინი დამოუკიდებელი ნაწარმოებებია.

და, ამ, პასტერნაკიც მთელი ცხოვრება ერთ რომანს წერდა, ფორმალურად მის ნაწილებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელები ერქვათ, სინმდვილეში კი ეს იყო ერთი რომანი, ესე იგი, გამოსახულებითა ერთი სივრცე, რომელშიც პასტერნაკი ცდილობდა მოექცია და ალეფინა თავისი ცხოვრება, როგორც მთლიანობა, და რაღაც გადაეტანა, გაეგო, — ესე იგი, ყოფილი და თავის ცხოვრების, როგორც



# „თბილისელი მომღვალი— ამომავალი ვარსკვლავია“

გარიბა ჩიჯავაძე

ახალგაზრდა ქართველ მომღვალებს მაია ტაბატაძეს ბელველერის კონკურსზე სპეციალური, ორფევსის პრიზი მიაკუთვნეს. ეს სასიძარულო ინურომაცია ზაფხულში მივიღეთ და გადავწევიტეთ ფართო საზოგადოებას უქმეთ გავაცნოთ ეს მომღვრალი. მაია ამას ნაბეჭილად იმსახურება. თუმცა მუსიკალური წრეები მის შემოქმედებას უქმეთ კარგა ხანია აღვენებენ თვალყურს.

თითქმის ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი სოლო კონცერტით წარსდგა მსმენელის წინაშე, მაშინ ჯერ კიდევ კონცერტობრივის სტუდენტი მაია ტაბატაძე. მომღვრალმა იმთავითევ მოზიბლა მსმენელი ტემპის სი-

ლომაზით, ზუსტი, ფილიგრანული ინტონირებით თვით ურთელესი პასაუნდის შესრულების დროსაც, ფრაზირების სინაზიფით, გასოცარი მუსიკალობით. შემთხვევით არ იყო შერჩეული პროგრამაც, ჰონკცერტი მთლიანად მოცარტის შემოქმედებას დაეთმო. მაშინ ახალგაზრდა მომღვრალს პარტნიორობას უწევდნენ ტენორი თენგიზ ჩაჩავა და კონცერტმაისტერი ცირა ქამუშაძე.

ერთი წლის შემდეგ მ. ტაბატაძემ კიდევ ერთი სოლო კონცერტი გამართა. ამჯერად მომღვრალმა და კონცერტმაისტერმა ცირა ქამუშაძემ უფრო ფართო პროგრამა წარმოადგინეს. მოცარტის

გამგები, ეთიკური ან მოაზროვნე პრასება, აგროვებდა და ორგანიზებდა, ესე იგი, რომანის საშუალებით ისრულებდა ან ცდილობდა აესრულებინა რაღაც ცხოვრებისეული აქტები. აი, სწორედ ესაა მისი ტექსტი. და არა ის, რომელიც, შესაძლოა, გამოცემის ყდაში მოქცეული და უკვე ცველასთვის ხელმისაწვდომია. ჩვენ ზოგჯერ მხრებს ვიჩერებთ: აგრერ რომელიმაც მოუქნელი, მოუხეშავი, ახუხულავებული რომანი, რომელსაც არა აქვს ტოლსტოის ან კიდევ რომელიმე სხვა რუსი კლასიკოსის პროზის კლასიკური სტანდარტული ლირსებები; ადა, აი, ჩვენს წინაშეა ცოცხალი ვენა. თვითონ პასტერნაკი კი, მე ვიტყოდი, მოწაფეა

მარბურგის ფილოსოფიური სკოლისა, ვიტყოდი, რომ გერმანული ფილოსოფიის დაულექივი ნაშრები მასში რჩებოდა და მოქმედებდა მის ცხოვრებაში, მაგრამ სინაზიფილეში ცველაფერი ეს გაცილებით შელოსა აგსტრიულ კულტურისთან, კოდრე ვანმე სხვა.

აეტრიული კულტურა — ესაა კანონის ცივილიზატორული როლის საეკვობის გაცნობიერება, ამ როლის, როგორც ადამიანის სტიქიის ანუ ორგანიკის, ანუ ადამიანური ბუნების გამაკულტურებელი, მაცივილიზებელი, ანუ გარდამქნელი. როლის გაცნობიერებაა.

თარგმანი საზოგადო თემის რიაზ

# Liederabend von Maja Tabatadze am 15. Juni 1991, 19.30 Uhr

veranstaltet von der deutsch-sowjetischen Gesellschaft Oldenburg



Maja Tabatadze, in Georgien geborene Sopranistin, die zur Zeit als Gast am Oldenburgischen Staatstheater in Mozarts «Zauberflöte» die Partie der Königin der Nacht singt, gibt am Samstag, dem 15. Juni, 19.30 Uhr einen Liederabend im Schloß. Auf dem Programm stehen Liedkompositionen georgischer Musiker sowie Opernarien aus Werken von Mozart, Rossini, Verdi, Bellini, Offenbach u. a. Sie wird am Flügel begleitet von Jürgen Weisser.

ქმნილებების გვერდით აუდერდა ბელინის, როსინის, მედებერის, ვერდის, ოფენბახის მუსიკა.

ამ კონცერტებმა და კადევ საოპერო სტუდიის სცენაზე შესრულებულმა პარტიებმა ცხადყვეს ახალგაზრდა მომღერლის პროფესიული ოსტატობა. აქ ხახ-

მოცარტის „ფაფოსნური ფლეიტა“. დამის დელფილი — მარი ტაბაძე



გასმით გვინდა აღვინიშნოთ ის წვლილი, რომელიც მიუძღვის მაარ ტაბატაძის შემოქმედებით ჩამოყალიბებაში მის პედაგოგს, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტს გორა ბეჭუაშვილს. ბატონ გოჩასთან მაარმ მეცადინეობა ჯერ კადევ 14 წლისამ დაიწყო კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სკოლაში, ხოლო შემდეგ მასთანვე გაიარა კონსერვატორიის კურსი. ეს იყო აღბათ ის ბედნიერი თანხვედრა, როდესაც აღმშრდელი და აღსაზრდელი ბოლომდე უგებენ ერთანხოს, როდესაც პედაგოგი საოცარი სიფრთხილით უდგება ისეთ უნაზეს ინსტრუმენტს, როგორც ახალგაზრდა მოძლეობის სახმო აპარატია და უნარჩუნებს მას ინდივიდუალობას, ხოლო სტუდენტი მაქსიმუმს იღებს მეცადინებიდნ. მ. ტაბატაძის მომზადებას მაღალი დონე და შესანიშნავი ვოკალური სკოლა არაერთხელ აღიშნეს უცხოეთშიც კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მაარ მონაწილეობდა თბილისის საოპერო თეატრში მოსმენაზე, მაგრამ სამწუხაროდ... უშედეგოვდა.

და აა, ამ როინედე წლის წინ მაარ გერმანიაში მიიწვია პიანისტმა მარია ლაფაურმა, რომელიც იქ თავის მეუღლებთან ერთად ცხოვობდა. მათ რამდენიმე საინტერესო კონცერტი გამართეს და მოწონებაც დაიმსახურეს. რამდენიმე ფრაგმენტი იმ პერიოდის პრეს-



დან: „იყო არაჩვეულებრივი პროგრამა, მაგრამ მთავარი მანც ფანტასტიკური ხმაა, რომელმაც ყველა გააიცა, ეფექტურად დასძლია მ. ტაბატაძემ ყველაზე როგორი პასაუები. ამავე დროს არ დაკარგა ელვარება და მთელი საღამო განუშეორებელ სიამოენადა აქცა“... „ქართველ მხატვართა გამოფენასთან ერთად კილის გაღერებში, ფოიეში ჩატარდა მუსიკალური საღამო... ჩვენ გავეცანით საქართველოს დედაქალაქიდან, თბილისიდან ჩამოსულ მომღერალს, რომელიც ამომავალი ვარსკვლავაა... ორივე მსახიობი (მომღერალი და პიანისტი) — იდეალური წყვილი, შესანიშნავი დუეტია. კონცერტის მწვერვალად იქცა საპერო არიების შესრულება. მ. ტაბატაძემ ყველა მოხიბდა. გამომუდავნდა, კოლორატურული სოპრანოს როგორც ლირიკული, ისე დრამატულ მხარეები. მას აქვს შესანიშნავი მაღალი ბერები, თავისი კოლორორატურით და არტიკულაციით იგი ავლენს გრძნობების უნატიფეს ნიუანსებს, რომელიც გაჯაღოებთ ინტინკაციური სიმკვეთრით და სიზუსტით“...

მ. ტაბატაძე მონაწილეობდა სხვადასხვა მოსმენებში, ხოლო კონცერტით გამოვიდა ჰოლშტაინის ფესტივალზე. მაგრამ მთავარ მოვლენად მომღერლის ბიოგრაფიაში მაინც იქცა ოლდენბურგის თეატრში მიწვევა და პრიზი მიღებული ბერებების კონკურსზე.

როგორც მოგეხსენებათ, 1991 წელი იუნის კონცერტის მიერ „მოცარტის წლადაა“ გამოცხადებული. ბუნებრივია გერმანიაშიც ამ მოვლენას არაერთი კონცერტი, თუ სპექტაკლი მიეძღვა. ერთ-ერთი ასეთი წარმოდგენა გახლდათ მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტას“ დადგმა ოლდენბურგის თეატრში. გამოცხადდა კონკურსი. დამის დედოფლის პარტიის შესრულებაზე პრეტენზიას აცხადებდა რვა მომღერალი, მათ შორის არჩევანი შეაჩერეს მათა ტაბატაძეზე. მან სეზონის ბოლომდე 29 სპექტაკლი იმღერა. საერთოდ მაიასათვის ძალზედ ახლობელია მოცარტის მუსიკა (მის პირველ კონცერტზეც ხომ მოცარტის

ნაწარმოებები აუღერდა). ალბათ, ამის გამოცხადების მიზანი მომღერლის „მოცარტის მომღერლს“ ეძახიან. თუმცა ეს სრულებით არ უშლის მაიას ხელს სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებებსაც დაუუფლოს. ამის დამადასტურებელია მინი მიწვევა ამავე თეატრის საპრემიერო დადგმაში ვერდის „დონ კარლოსში“, პაუის პარტიაზე. მომღერლის აღიარების მანიშნებლია კონტრაქტის გაგრძელება კადევ ორი წლით. ამ სეზონში მან უკვე იმღერა ისეთ რეპრემიში, როგორიცაა რ. შტრაუსის „გაპრიჩო“, მასნეს „ვერთერი“, წელსევ გამოვა ვებერის „ჯადოსნურ მსროლებში“, მოცარტის „ცრუ მებაღე ქალში“. პარალელურად მ. ტაბატაძემ მიწვევა მიიღო პენის თეატრიდან, საღაც მას 1993 წლიდან 1995 წლამდე დაუდსეს კონტრაქტი. აյ მან უნდა შესარულოს დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“, მოცარტის „დონ უუანი“ და რ. შტრაუსის „ადრიანა ნაქსისიდან“. მომავალ წელს კი კოლნში მოცარტის „ჯადოსნურ ფლიტაში“ რამდენიმე წარმოდგენაში გამოვა.

გარდა საპერო სპექტაკლებისა, ამ ხნის მანძილზე მაიამ არაერთი საინტერესო კონცერტი გამართა. მეოთხევლის ყურადღება მხოლოდ ორ მათგანზე შევაჩერებო. ეს გახლავთ დიდი კონცერტი ილდენბურგის „სასახლის თეატრში“ და საქველმოქმედო კონცერტი საკურორტო ქალაქ გრეტზილში.

ამ, როგორ გამოხმაურა პირველ კონცერტს გაზეთ NWZ-ს ფურცლებზე (1 ივნისი 1991 წელი) ავტორიტეტული გერმანელი მუსიკისმეცი ვერნერ მატერი: „ვისთვისაც არაა ცნობილი მაია ტაბატაძის დიდი წარმატება დამის დედოფლის პარტიაში მოცარტის „ჯადოსნურ ფლიტაში“, მისთვის 27 წლის სოპრანო დიდ აღმოჩენად იქცა. ამჟამად ის ილდენბურგის სახელმწიფო თეატრის სტუმარია და პირველად წარსდგა შერეული პროგრამით — არიებით და სიმღერებით... ის მღერის ინტელიგენტურად, ბუნებრივად და დიდი გრძენობით, ანიჭებს თი-

თოლეულ არიას იმ ფირმას და ფერს, რომ  
მელიც მხოლოდ მას ახასიათებს, პირ-  
ველივე ნიტიდან გრძნობ საფუძვლიან  
ვოკალურ სკოლას... მიაჲ ჭაბუტაშვი-  
ლერის ბრწყინვალე ტექნიკთ და  
კომილშობილი, თბილი, ღამძაზე მუ-  
ლულირებული ტრინით... მისი შესრუ-  
ლება გამოიჩინა სტილის უზადო  
სისუფლავით და აღქმის სითბოთია  
ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმო-  
ბებში იგრძნობა შინაგანი გასხვის-  
ნება და მოკრძალებული სითბო, მოკლე-  
ბული სანტიმეტრალობაა".

საერთოდ, მომღერალი დიდ ადგილს  
უმობის ქართული მუსიკის პროგანდას,  
გველა კონცერტში მას ჩართული  
აქვს ქართველ კომპოზიტორთა  
ნაწარმოებები. როგორც თავად ამ-  
ბობს, გერმანელები დიდ ინტერესს იჩე-  
ნენ და ხშირად არაპროფესიონალებიც  
კი სოხოვენ ნოტებს, რათა ოჯახური  
მუსიცირებისას შეასრულონ ვსა თუ  
ის ქართული სიმღერა.

მთლიანად ქართულ მუსიკას დაეთ-  
მო საქართველოში კონცერტი, რომელ-  
ზეც ზემოთ მოგახსენეთ. მისი თანხა  
მაიან საქართველოში მიწისძერით და-  
ზარალებულთა დახმარების ფონდში  
გადარიცხა.

დაბოლოს, წარმატება ბელვედერის  
კონკურსზე. ამ კონკურსში 350 კაცი  
მონაწილეობდა, მაგრამ ფინალამდე  
შხოლოდ თექვემძება მიაღწია. მათ შო-  
რის აყო მაად ჭაბატაძეც, ომედებაც  
ორფეუსის პრიზი მიერკოვნა. ასეთი

ასეთია ამ აზალეაზრდა მოძღვრლის  
მიერ განვლილი შემოქმედებითი კზა,  
რომელიც არც ისე მარტივი და იმუშა  
იყო. მაიამ, ნიჭიან ერთად, დაუდარაჯუ  
შრომით, შეუპოვრობით, რწმენით შედ-  
პოვა აღიარება და წარმატება დღეს  
ძალიან მნელია საკუთარი ადგილი  
იპოვო ხელოვნებაში, მით უფრო უცხო  
მიწაზე. იმედი გვაქვს მაღვ თავის აღ-  
გილს მაია ტაბატაძე სამშობლიშიც  
დაიმკვიდრებს და ქართველ მსმენლა-  
საც დაატებობს თავისი ხელოვნებით.

ფილმის „საკუთრლების“ (შარშაბ  
ბერლინის საერთაშორისო ფესტივალზე  
ჩართული იყო საკონკურსო ჩვენებაში) მსახიობ, ვიქტორია აბრილს მიენიჭა  
პრიზი ქალის როლის საკუთრებო შე-  
სრულებისათვის. მიუხვიტური სქემა მე-  
ტრად მარტივია, გარეკანულად მიგვაღო-  
ნებს 50-იანი წლების ესპანერი კინოს  
სევდიან მელიდრამებს. სწორედ ამ ეპო-  
ქის (50-იანი წლების) ფონზე რეგისირი  
მოვკითხოებს ქალისა და მამაკაცის ერ-  
თი შეხედვით მანტროიდებელ, წინააღ-  
მდეგობებით საკვე ურთიერთობებს.  
ფილმის გმირი, საკუთრები ქალის ლუ-  
შის გამო კლავს თავის საცოლე გოგო-  
ნას. ტრინიბს. მაგრამ ამ სიუჟეტური  
სქემის მიღმა რეექისორის ღრმა, მრა-  
ვალმხრივი უილოსოფიური მსოფლალ-  
ქმა არსებობს, რასც ხელოვანი სპეცი-  
ფიური ძლიდან ანიმატიურაზეუდი-  
ანზოუებით გადავიშლას, მუფტიობა;  
მეოთხველს დაინტერაქციას დასხელდ-  
არანდას საუბრო, რ საკუთარო ფილმის  
„საკუთრლების“ გარემო, რომელიც  
საციალურად ჩეხის ურნალისთვის  
მომზადდა. თავის რეჟისორი კი შევპირ-  
და, რომ აუცილებლად ეწვევა თბილის  
და მოაწყობს თავის უილმების რეტ-  
რისუეტულ ჩვენებას. იმედია ამით უფ-  
რო შექვება, გამზღვინებულება ჩეხის წა-  
რმატებენ შის შემოქმედებაზეც.

# ტრიპტიქის მესამე ფილმი

(ინტერვიუ დედობალურად ჩვენი შურნალისათვის)

## ოლიგო ჩლანები

ნულად მკაფიოდ არ ვლინდება. მოელი აქცენტი გადატანილია მხოლოდ პერსონაჟთა ინტიმურ გრძნობებზე, მათ კონფლიქტურ დრამაზე. ეს ურთიერთობანი შეიძლებოდა შესანიშნავად მორგვეოდა თანამედროვეობასაც, და მაინც, რატომ დაუბრუნდით ამ ეპოქას?

— ეს ფილმი თავისებური ტრიპტიქის მესამე ფილმია, რომელიც ფრანკოს რეჟისის ასახვს. მას წინ უძღვდა „გამიღებილისა“, სადაც 40-იანი წლების რეჟიმი მდვინარებს და „დაქ გითხრან, რომ იგი გაქრება, წავა...“ (ფრანკოს პიმინის ერთ-ერთი ტაქტი). ფილმი ასახავს იმ საშინელ სიტუაციას, ბარსელონაში რომ სუჟექტა. ასე რომ, როცა „საყვარლებს“ შევუდექი, ამისთვის გარკვეული წინაპირობა, გასაღები გამაჩნდა. ამ ფილმში 50-იანი წლების ბოლოა, სასტიკა დრო შედარებით შესუსტებული, მოდუნებულია ამიტომაც არ მსურდა აქცენტი მასზე გადამეტანა. ის შინაგანი კონფლიქტი, რომელიც ჩემს გმირებს შორის არსებობს, არ ეთანხმება იმ სიტუაციას, იმ ატმოსფეროს, რაც მათ გარშემო სუჟექტს. ისინი თითქმის საკუთარ თავში გამოიკეტნენ, საკუთარ „ნაჭერჭე“ მო-

ექცნენ, მაგრამ რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო მთლიანად „სარგმლების გამოკეტვა“. შევეცადე ოდნავ შეძელო ისინი, ისე, რომ დროის ფაქტორი მაინც შესაგრძნობი ყოფილიყო. როგორიც არ უნდა იყოს ადამიანთა სულიერი, პირადული კონფლიქტი, ის მაინც დაკავშირებულია იმ ეპოქასთან, სადაც ისინი ცხოვრობენ, ფიქრობენ. ყოველივე ეს შეიძლება ერთდროულად აჩვენო, თეატრისგან განსხვავებით, უწვრილმანესი დეტალებით. ეს დრამატული ამბავი, რაც ფილმის საუძრევლოს შეაღენს, რეალური ფაქტია. მე მგონა, ის აუცილებლად უნდა მომხდარიყო დროის მხოლოდ იმ მონაცემთში. ეს ფაქტი მიუღებელი, ანაქრონული იქნებოდა სხვა დროისთვის, შეუძლებელია მკვდელობის ეს ისტორია გადაიტან სხვა ეპოქაში, მოარგო მას ის საუბარი, ქცევა, რეაგირებანი, კონფლიქტი... ფილმის შექმნამდე ჩვენ კონკრეტული ინფორმაცია გაგვაჩნდა ამ დანაშაულის შესახებ, რადგანაც იმ პერიოდის ცენზურა ძლიერი იყო, პუბლიკაციები დანაშაულებათა შესახებ იზღუდებოდა, თითქმის აკრძალულ თემად ითვლებოდა. ჩვენს ხელთ იყო ორიოდე

შურცელი: რამდენიმე შენიშვნა საგაზე-  
თო ქრონიკიდან და დოკუმენტი იური-  
დიული განაჩენიდა.

— ყილმის ქრიგაში შეიძლება დაუ-  
სრულებლად ამონითხო, დაუსრულებ-  
ელ შერებად აღმოაჩინო საეციფიური ეს-  
პანური სელი, რაც ასე მძაფრად ჩქეფს  
კორიდის გრანადიზე სანახაობასა თუ  
„გარმენის“ პერსონაჟებში: უატალური  
გარდუალობის მოტივი, ადამიანის ცე-  
ცხლოვანი სტიქია, ბეღთან, ბუნებათან  
შეიძლიო. ადამიანისა და ცხოველის ურ-  
თიერთში გადახველის აქტი, როცა ერთ-  
მანეთს ერწყმის სიკვდილი და სიცოც-  
ხლე, არაადამიანურ, ვეღლურ გრძნობე-  
ბამდე დასული ინსტინქტი და ქვეცნო-  
ბირი ნაკადი, ემოცია და განსჯა, ერთ-  
გულება და ეჭვი, გრძნობათა კვდომა და  
ამ გრძნობათა ფახად სისხლიანი სანა-  
ხაობა. შევდევლობაში მაქვს უინალური  
ეპიზოდი: როცა ეკლესიის წინ, წვი-  
მაში სკამზე მჯდომი ტრინი დაფინებით  
ეხვეწება მოღალატე საქმროს, რომ  
მოკლას იგი. წვენ ვეგდავთ საოცარ  
„სისხლიან“ სანახაობას (რაც თავისი  
მაგიურობით გვიზიდავს კიდეც), ვხე-  
დავთ როგორ მოწყირიალებს სისხლი და  
თანდათან წვიმის ნიაღვრის უკრთხება.  
მსხვერპლი ამით შევბას გრძნობს თი-  
თქოს, თავისუფლდება იმ წინააღმდეგობ-  
რივი ექსტაზისაგან, რახაც პაკოს ში-  
მართ განიცდის, იხვევ როგორც თავად  
პაკო, რომელიც თავისუფლდება ფრან-  
კოს რეჟიმის სოციალური ფარგლები-  
დან და ისტორიულ წინააღმდეგობაში  
გადადის, ხადაც სისხლიანი ცნობირე-  
ბის ეს მისტიკა. უპირისინდება ლო-  
გიკურ განსჯას, ძლევს, ხსნის ყოველ-  
გვარ წინააღმდეგობას, რაც გმირის  
სულში და გონებაში ტრიალებს. იგი  
„თავისუფალი“, სისხლში გათხვრილი  
ხელებით უბრუნდება საყვარელს. სრუ-  
ლიად არ ფიქრობს იმაზე, რომ ციხე  
ეღის. ეს სისხლიანი მისტიკა გულ-  
გრილია პიროვნებაში ყოველგვარი ინ-  
დივიდუალური გამოვლინების მიმართ,  
ეს უფრო სულიერი პოტენციაა, ის და-  
ქსაქსული, დანაწევრებული სული, რაც  
ლოგიკურ განსჯას ემორჩილებოდა  
გმირში, ახლა გამოიმანდა, პაკო წა-

შიერმა ქმაყოფილებამ, შეებამ უმომავრე-  
ლაბადაგადაფარებული ტრინი, თასტერ  
ქანდაკებად გადაიქცევა, სტატისტიკაში  
გადადის, ესპანური წელვენებისათვის  
ტრადიციულია სიკვდილის თემის ეთი-  
კურ-რელიგიური გაგება. აյ უფრო ღრ-  
მა ფესვები, სწორედ ეს წინაისტრონი-  
ული პირობა ძევს, რაც ასე იხატება  
ესპანურ კორიდაში და ვფიქრობ, თქვე-  
ნი ფილმის ფინალური ეპიზოდიც ვერ  
აცდა მას.

— მე არა ვარ არც კორიდის და არც  
ბედისწერის მიმდევრი, მე მგონია, რომ  
ჩემი გმირები ზედმეტად უნდიანი, ვიტა-  
ლური არსებანი არიან. უკიდეგანა მა-  
თი სიცოცხლისადმი ლტოლვის წყურ-  
ვილი, თავანთი ცხოველმყენელი მეზ-  
ნებარე სიყვარულით. მაგრამ ფილმში,  
ჩემდაუნებურად შეიჭრა, „შემარა“ ისე-  
თი მოტივები, რაც სწორედ ამ ფატა-  
ლიზმის იდეას ატარებს. უატალურო-  
ბის ალფერი დაპერაც თავად მუსიკას,  
რომელიც ლაიტმოტივად გასდევს  
მთელ ფილმს. ესაა ესპანური ხალხუ-  
რი, რელიგიური სახალისო მუსიკის  
ერთ-ერთი ძველი სახეობა — ვილიანსი-  
კო, შესანიშნავი კომპოზიტორის მიერ  
თანამედროვედ არანჟირებული. ეს  
მუსიკა ავლენს პაკოს საყვარელის ლუი-  
ზას სულიერ სამყაროს, მის ხასიათს.  
მართალია, ამორალური, გამხრწელი  
გრძნობებით, მაგრამ როგორი ნათელი  
სხივით აშექებს იგი. თუნდაც ხასხას  
წითელი ფერის ხალათი, რომელიც მო-  
სავს, ის ნაცვისხე, რომელიც სახლში  
უდგას და წამდაუწეულ კაზახს მას, ნა-  
ძვისხე არ არის საშობაო ნიშანი  
ესპანელთათვის, იგი უფრო წარ-  
მართული სიმბოლოა, რაც ხაზს უხვაშს  
ღუიზას გმირში ქაოტურ სტიქიას. რა-  
ხაც ასე ემორჩილება, ნებდება პაკო,  
ავიწყებს მას საცოლეს. კაოტლიკი  
ზეიმისთვის უფრო იყენებენ პატარა სა-  
თამაშო სახლებს. თავად შობის დღესას-  
წაულიც ბედისწერის ნიშანს ატარებს,  
რაც ასევე თავისთავად, ჩემი სურვილი-  
საგან დამოუკიდებლად მოხდა — „შობა“  
ხომ გვახსენებს, რომ სიკვდილი გარდუ-  
ვალია. ფილმის მუსიკაც, თავისი ბედის-



წერის იდეით, კონტრასტშია. ჩემს საკუთარ იღებსთან.

— ხასივგარულო ღრამისთვის შეარჩიეთ სწორედ შობის დღესასწაული. ფილმის პროლოგია და ეპილოგი ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეპლესია „შემოღის“ და „გადაის“ გმირთა და შაყურებელთა ჩედვის არედან...

— რადგანაც მოქმედება მოკლე ღრიოს შეალებში „გათამაშებდა“, მსურდა კონტრეტულად აღმენიშნა ღრო — 8 დეკემბრიდან 5 იანვრამდე, ხაზი გამესვა მომზდარი ინციდენტისთვის, ხადაც უკელავერი გამოთვლილია უწვრილმანეს დეტალებდე. ღრიოს მხრივ მგავიოდ დამუშავებული ეს მოკლე ვადა მსურდა ფსიქოლოგიური ჩარჩოებით უფრო მაღალ ფაზაში, სხვა ასპექტში გადამეუყვანა. ამით შემეტმნა კონტრასტი პერსონაჟთა ღრამისა და ამ სახეობო ატმოსფეროს შორის. ეს ღრამა თავად იმ ატმოსფეროს სიღრმეში ძევს. 5 იანვრი სასრული, ბოლო დღეა შობის დღე სასწაულისა. ტრინის ჩაუვარდა ის გეგმები, ასე ხალისთა და მონდომებით რომ აწყობდა. იგი ეკლესიის წინ უსმენისათის ზარების ხმას, რაც თავის მხრივ წარმატების სიმბოლოა. გათვლილია წამება, ის დიდი შეალები ვიწროვდება, იძიებტივი იცვლება, უახლოვდება მას, წამებია გათვლილი, რათა აღვსრულოს სიკვდილის აქტი. მე ავირჩიე ბურგერის გოთური სტილის ტაძარი, რომელიც ძალიან მომწონს და უშვენიერეს ძეგლად მიმაჩნია მთელ მსოფლიოში.

აუცქას იდეის თანაბმად ღმერთი ყველთვისაა ტაძარში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ მას ვერ ვხედავთ და ვერც ვერასოდეს ვიზილავთ მას. შეიძლება ადამიანი მოკვდეს, აღესრულოს ტაძრის ზღვართან: დილიდან ხადამომდე იყოს აქ, მაგრამ ვერ დაინახოს იგი, თუმცა ღმერთი იქ არის. სწორედ ეს იდეა მსურდა გაღმომეცა თქვენს მიერ წარმოთქმული ფრაზით, როცა ეპლესია „შემოსკლის“ და „გაქრობის“ შთაბეჭდილებას ქმნის. ერთის მხრივ, მაყურებელზე ზემოქმედების თვალსაზრისით, მეორეს მხრივ ადამიანი — (პაკო) ლო-

ცულობს, თავადაც არ იცის რას, ლოცვანების რომ ღმერთი დაეხმაროს მასშემომავალის მკველელობაში, რაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოდ მომენტენა.

— თქვენს უილმში დაახლოებით ის ღროვა გაღმოცემული, როცა იკრძალებოდა მაჩაღო, უნამუნო, ღორია, ეხად საყველთაოდ ურწმუნოების, ცინიზმის, ყოველივეს უარყოფის ღრო, როცა უნამუნო აცხადებს „მე მტკიცა ესპანეთი“. ამ პერიოდისათვის ესპანეთში შეინიშნება ეკრომული ტალღის შემოჭრა. ყოველივეს ნგრევის წინასწარმეტყველება, — მორალის, სახელმწიფოს, რელიგიის, ოჯახის; ადამიანი თავისუფლება პასუხისმგებლობისაგან, ხიტევა კი აზრისგან, დაშვებულია მხოლოდ ინსტინქტი, ადამიანი — პაკო — თოჯინაა რადაც იღუმალი ძალების ხელში. იგი გაურბის თავის შევვარებულ საცოლეს, ტრინის, ამით გაურბის ოჯახს, მოვალეობას. აქ მოქმედებს, ალბათ, კაუკასიებიც. აბსურდულ ხდება ლუიზას შეტად დასამახსოვრებელი ფრაზა ფილმი... „მოკალი იგი (ტრინიშე) როგორც მე მოვალი ჩემი ქმარი და როგორც ხელავ, ციხეში არა ვარ“. გამოკეტილ, უსინათლო, შემოსაზღვრულ სამყაროში ეს გმირები ზუსტ უტყუარ ნიშანს ატარებენ.

— ესპანეთში, განსაკუთრებით მის სამხრეთ რაიონებში, ხალხში შენარჩუნებულია ტენდენცია თვითდამკვიდრებისკენ, ქცევის საკუთარი მოღელის შექმნისკენ, რაც ცხოვრების მთავარი ელემენტი გახდა. ხალხი აღარ არის იმდენად რელიგიური, საეკლესიო რიტუალებიც უფრო სპექტაკლის ხასიათს ატარებს. ჯერ კიდევ ფრანკოს ეპოქაში შეწყდა კათოლიკური ქვეყნის არსებობა, მეც ვეჭვობ რომ იგი იყო ოდესმე კათოლიკური. რელიგიია ზედამიწული გახდა, მე ვიტყოდი, არიან ადამიანები, რომლებიც შეგნებულად არ აქცევენ ყურადღებას რიტუალს. ჩემი გმირები ზოგჯერ ვუდგარულ ენაზე საუბრობენ, მიმართავენ ნაწყვეტებს საიყვარულო თუ რელიგიური სიმღერებიდან, მათ ენაზე რელიგიაცა და სიყვარულიც ვუდ-



გარელად ქლერს, თუმცა ესპანელები არ იღებენ ამას შეურაცხვიად, უხეშობად. ბილწისტყვაობას ამ რელიგიურ სიმღერებში დიდი იუმორით უყურებენ. ესპანელები არ არიან რელიგიური, მაგალითად, თუ განსხვავ, როცა ტრინი და პაკი სხვა პროვინციულ ქალაქში მიემგზავრებიან, ტრინის ხელჩანთასთან ერთად, რომელშიც თითქმის კველა ნივთია, რაც კი აბადია (ესეც თავისებური არონია), თან მიაქვს დიდი ზატი — ლათისტმობელი — „ამაღლებიდან“. პაკი კითხობება, რატომ მოგაქვით? „წარმატების მომტანია“, — პასუხობს ტრინი. აქ აბასურდული ქმედებაა ხაზგასმული. თუმცა ესეც ღრმული, რეალური ფაქტია, როცა საქმროსთან თაფლობის თვის გასატარებლად წასულმა გოგონამ თან წაიღო ზატი, რაც მეტად პოეტურად, უცნაურად მომექვნენ.

— როგორც ანტონიო მაჩალი იტყოდა, „მერეხელობა ზაღური რელიგიის კრიტიკი, ნუ ენდობით ზაღის კინც არ მერეხელობს. ახეთი ზაღის ათეიისტურადაა განწყობილი“. ესპანური ფოლკლორის ეს მოტივი, ტრადიციული რელიგიური ღოგმის, ტაბუს მიმრთ ამბობი, ანარქიული ხელი ძღიერად გამოსჭვივის თქვენს ფილმში...

— მე მაღვე დავიწყებ ფილმს, რომელიც სწორედ სამოქალაქო ოში მონაწილე ანარქისტ ქალებს ეძღვება. ეს თემა ძალიან მაინტერესებს, თუმცა მაშინ პატარა კიყავი, მაგრამ კველაფერი კარგად მახსოვრებია.

— თქვენ ქაფეა ახსენეთ...

— ქაფეას გავლენა განსაკუთრებით ჩემი შემოქმედების დასაწყისში, ჩემს პირველ ფილმშიც ძლიერ იგრძნობა, პირველად მაშინ მოვახდინე მისი ადაპტირება. ანალგაზრდობიდანვე ძლიერ მიტაცებდა, ჩემთვის დიდი ზანია გახსნილია იგი, და დღემდე მიჯაჭვული კარ მას. მაგრამ სრულიად სხვა შეხედულება გამიჩნდა მის შესახებ. დღეს იმდენადა იგი ინტერპრეტირებული, იმდენად „შეეხენ“ მას, რომ სამწუხაოოდ, სრულიად სხვა შთაბეჭდილებას ქმნის,

ვიდრე მაშინ, პირველად, როცა 18<sup>1</sup> წლის იაკციი აღმოვაჩინე.

— რომელი კინემატოგრაფიული ტრადიციები მოქმედებს თქვენს შემოქმედებაზე კველაზე მეტად? ალბათ ბუნიურის როლი ამ მხრივ დადგია?

— მე არ ვთვლი საკუთარ თავს ბუნიურის მიმღევრად და საერთოდ შორს ვდგავარ ყოველგვარი კინემატოგრაფიული გავლენებისგან. თუმცა ვაღიარებ რომ ჩემი შემოქმედების დასაწყისში იგი უდიდეს როლს თამაშობდა. დროის განმავლობაში განვთავისუფლდა მისი გავლენისგან. უფრო რეალისტური, ნატურალისტური გავხადე ჩემი ფილმები. როცა ფილმს კემი, კედილობ არ გავისხონ იგი. ბუნიურთან, ერთადერთი შეხების წერტილი ის მაქეს, რომ მის მსგავსად, უფრო მაინტერესებს ჩემი პერსონაჟების აზრები, ვიდრე ის, თუ რას აკეთებენ ისინი. ჩემს შემოქმედებაზე უფრო დასავლეთის ტრადიციები მოქმედებენ.

— ვის თანაუგრძნელობთ თქვენს ფილმი — ქალებს თუ მამაკაცებს?

— მე უფრო ქალების მხარეზე ვარ (სიცილით), რაღაც სიცოცხლისადმი სწრაფვაში ისინი უფრო ძლიერი არიან, მათ ხელში მამაკაცი თოვების ემსგავსება, მათთვის საგანი ხდება. ჩემს ფილმებში ქალები ყოველთვის განსახიერებენ კველაზე ბეჭრ, პირქუშ, სტიქიურ მხარეს. მე მჯერა, რომ მამაკაცს ბოლომდე არ ძალუს მიეცეს სიკვარულს, თავი გასწიროს საყვარელი ადგიანისათვის განსხვავებით ქალებისაგან, რომლებიც მაქსიმალისტები არიან ამ მხრივ, მამაკაცს ნებისმიერ მოქმედში შეუძლია გაახსნენდეს თავისი სამუშაო, უფრო მასზე იფიქროს. მე თხუთმეტიც ფილმი მაქეს შექმნილი და ეს მოტივი თითქმის კველგან მეორდება, თუ როგორ შეიძლება გამოხატო ქალური კენება, რადგან მათ უფრო შესწევთ უნარი ბოლომდე დაიხარჯონ. მართალია ამ „სუსტ“ არსებათა მხარეზე ვარ. მაგრამ ეს როლი ნიშნავს, რომ ჩამოვალოთ ფემინისტური მოძრაობის ლიდერად კინოში (სიცილით).



— როგორი იყო თქვენი მუშაობის შეთღლი მსახიობებთან „ხავარლებში?“

— ამ ფილმზე მეტად დაძაბული მუშაობა ჩავატარეთ. რაღაც ცოტა რეპეტიციებს გავლიობდით, ძირითადად ვსაუბრობდით და კამათობდით. ისინი ბევრს მირჩევდნენ, დილიდან გადასაღებ მოედანზე იწყებოდა განსჯა. როცა, უკვე კველაფერი მოლაპარაკებული გვქონდა, საღამის კენ შეგვეძლო კველაფერი ხელმეორედ შეგვეცალა. დაწვრილებით ვანილავდით თითოეულ დეტალს, საბოლოოდ ვამტკიცებდით და მერე რეპეტიციას შეკუდგებოდით, მსახიობი მთავარი ელგუმნტია ფილმში. ჩემის აზრით თემა და მსახიობი ერწყმის, ეთანხმება ურთიერთს. კველაფერი მათ რეაქციას, თამაშს ემორჩილება: დეკორაციები, შუქი, მაზანისცენა, ჩაცმულობაც კი იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენად მოხერხებულად იგრძნობს იგი თავს. როგორ ურჩევნია მას შუქისკენ წავიდეს თუ ჩრდილს შეაფაროს თავი — კველაფერს ვაკეთებ ისე, როგორც მას მოხერხება. იგი აბსოლუტურად თავისუფალია, წინასწარ კუთანხმდები მას თუ როგორ ეგუება იგი კამერის დაყენებას, მობრუნებას. კამერა მთლიანად ეკვემდებარება მას. თუ იგი მოხერხებულად გრძნობს თავს, თამაშიც, როლიც გამოვა. ჩემი მთავარი მიზანი იყო როგორმე შემეღწი. მათ აზროვნებაში, რაც, ბუნებრივია, მოქმედებდა ფილმის გამომსახველობით მსაჩრდებული. შეეცალე მეჩვენებინა მათი აზრთა, ფიქრთა მსვლელობა, რამდენად გამოიყიდა ეს, არ ვიცა. ტექნიკური თვალსაზრისით რაიმე ერთი მეთღლი არ გაძახია. ფილმიდან ფილმში გამუდებით პევლი მას. მსახიობზეა კველაფერი დამკიდებული. შეიძლება იგი იყოს ბრწყინვალე არტისტი, მაგრამ თუ კამერა ან შუქი არასწორადა დაყენებული, არ შეესაბამება სიტუაციას, ატმოსფეროს, ბუნებრივია, ეპიზოდიც ჩავარდება.

— როგორი იყო არაესპანელი მაყურებლის რეაქცია?

კარგი. კომერციული თვალსაზრისითაც, რციოლე ქვეყანამ ძალზედ კარგად მიიღო ფილმი. არ მასხოვს არცერ-

თი უარყოფითი რეცენზია მის შესახებ. ეს საქმე იმაშია, რომ ეს ფილმი პირდაპირ რა მომართული მაყურებლისკენ. კველა ჩვენთაგანი შეიძლება მოხვდეს ამგვარ სიტუაციაში, ანუ უკვე მოხვდა კიდეც უფრო ხშირად მამაკაცი, ყველაზე მეტად ისინი ხვდებიან იმგვარ მდგომარეობაში, როცა ორი ქალიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიონ. მათ ცნობიერებაში გაორების, დანაწევრების პროცესი მიღის. აյ ერთი სტერეოტიპიც მოქმედებს. მაყურებელი თავდაპირველად უყურებს ფილმს როგორც მსუბუქ, გასართობ თხრობას, კომედიასაც კი, მერმე გადადის ტრაგიკულ დრამაში, ამით იმსხვრევა სტერეოტიპული აღქმა.

— პირადად თქვენზე რამდენად იმოქმედა ფრანგოს რეჟისორის?

— 1952 წელს ვენესუელაში მოვხვდი ემიგრაციაში, საიდანაც 1959 წ. დავბრუნდი. თუმცა ოჯახი იქ დარჩა. მივხვდი, რომ სამყარო არ არის იმდენად მრავალფეროვანი, ერთი დიქტატურიდან მეორეში ამოვგავი თავი. დიქტატურა ყველგან თან მსდევდა. ვიღებდი ფილმებს, მიხედვობდა ბრძოლა ცენზურასთან მეტად მკაცრ პირობებში. საბოლოოდ შევძელი იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება ამ უნეში, ბნელი ძალის ქვეშ შეინარჩუნო იმის მინიმუმი მაინც, რისი თქმაც გსურს. მაგრამ ყოველთვის თან მსდევს იმის მარადიული განცდა, რომ ყოველთვის მართალი არ ვარ, ყველაფერში დამაშავედ ვთვლი სკუთარ თავს, დღესაც მვონია, რომ არ ვარ მართალი (სიცილი).

— ისევ ბუნიუელის ფრაზას თუ გავისენებთ, „არ გივვართ ადმინისტრი, რომლებიც ყოველთვის მართალი არიან“


# კულტურული მარტივების და ხელოვნების ფასიზის კაგრძნები

(თავი აგავი სახელმოდების შიგნილა)

026 სპეციალისტი

ბონაპარტეს) გადასცემს მის მიერ შერჩეულ ოც სურათს იმ ნაწარმოვებებიდან, რომლებიც ამჟამად პარმაშია დაცული". მოდენას პრინცს თავის მხრივ საკუთრივ გაღერიდან ან აღდილმაშულიდან უნდა გადაეცა საამისოდ დანიშნული „მოქალაქების" მიერ შერჩეული ოცი სურათი. გაასევია, რომ „მოქალაქეები" ფრანგები იყვნენ.

ნაპოლეონი არავის და არაფერს ინ-  
დობდა. ასე მოიქცა იგი ვატიკანის მი-  
მართაც, უფრო სწორად, აქ დაცულ ხე-  
ლოვნების ქმნილებათა მიმართ. საკა-  
რისია გავიხსენოთ, რომ იტალიაში ხე-  
ლოვნებას ქომაგობდნენ აღორძინების  
გამოქის ისეთი გამოჩენილი პიროვნებე-  
ბი, როგორებიც იყენენ პაპები იული-  
უ II, პავლე II, ლევ X. მათ ჩაუკარეს  
საფუძველი ტაძრებში თავმოყრილ ხე-  
ლოვნების ძვირფას ნიმუშებს ვატიკა-  
ნის კოლეგიები ნათელი დადასტურე-  
ბაა კვლავ დროის უდიდესი ეკროპული  
სასახლის სიძლიერისა და დიდებულე-  
ბისა. იგი იფურჩქნებოდა ისეთივე, და  
კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალებით ვი-  
დრე საერთ მფლობელობაზ, მაშინაც  
კი, როცა პილიტიკური ძალაუფლება  
მოთლიანად დაკარგა. სამოციქულო დედა-  
ქალაქის მუზეუმებისა და გალერეების



ეგვიპტეში ვიკან-დენონის მოგზაურობის ჩანახატი

ქეგლთა კომპლექსის უაჭველად უმნიშ-  
ვნელოვანებია მსოფლიოში არა მხო-  
ლოდ აյ დაცული ხელოვნების ნაწარ-  
მოებების, არამედ იმ სათავეოთა წყა-  
ლობითაც, რომლებმიც ისინი ინახება.  
მთელი რიგი ამ დარბაზებისა სპეციალუ-  
რად ამ მიზნით იყო აკებული, მაგალი-  
თად, ბორჯაას აპარატამენტები.

ვატიკანის განძუღლობებს თავს უკ-  
რიდნენ რომის პაპები, იმ იტალიური  
ოჯახების შთამომავალნი, რომლებმაც  
ისტორიაში სახელი გაითქვეს კოლექ-  
ციონებრიბით. უნდა აღინიშნოს, რომ  
პაპები სარგებლობდნენ განსაკუთრებუ-  
ლი პრივალეგიებით, — საკუთრებაში  
ჰქონდათ არა მხოლოდ ქრისტიანული  
ეპოქის ხელოვნების ნიმუშები, რომის  
მრავალრიცხოვან კატაკლიმბებში აღმო-  
ჩენილი და ვატიკანს დაქვემდებარებულ  
ტაძრებში დაცული საკედი, არამედ  
რომში არქეოლოგიური გათხრების  
დროს ნაპოვნი მრავალი ნივთიც. ამი-  
ტომ, შეიძლება გაბედულად ითქვას,  
რომ ვატიკანი თავმოყრილი ქმნილებე-  
ბი— ეს არის რამდენიმე ცალკეული,  
ავტონომიურად განვთავარებული იბიქე-  
ტი, რომლებიც ყალიბდებოდა ანტიკუ-  
რი და ახალი ხელოვნების დიდად ფა-  
სეული ნივთებისაგან. არ არის გასაკვი-  
რი, რომ ნაპოლეონი გულგრილი ვერ  
დარჩებოდა ამ ფაქტისადმი.

იმისათვის, რომ მითქმა-მოთქმა  
ნაპოლეონის ქმედებათა ირგვლივ გაზია-  
დებული არ მოგვჩენოს, მოვისმობთ  
სამოციქულო დედაქალაქთან დადგებული  
ხელშეკრულების ტექსტის ერთ-ერთ

პუნქტს კაპიტულაციის შესახებ. რომე-  
ლიც ხელმოწერილია ბოლონიაში 1796  
წლის 23 ივნისს. ფრაგმენტი მიეცუთ-  
ვნება ხელშეკრულებათა და ტრაქტატე-  
ბის დიდ კრებულს, რომლის გამოცემის  
ინიციატორია გერმანელი იურისტი და  
დიპლომატი, გეტინგენის უნივერსიტე-  
ტის პროფესიონი გეორგ ფრიდრიხ ფონ  
მარტენი (1756-1821). დაწყებული სა-  
ქმის გამგრძელებელთა მიერ ეს კრებუ-  
ლი გამოდიოდა 1944 წლამდე. ასე მაგა-  
ლითად, კრებულში ვპოულოთ არცუ-  
ჩვეულებრივ ამგარ ცნობებს:

„განაკვეთი VIII. რომის პაპი საფ-  
რანგეთის ოსპუბლიკას გადასცემს ას  
სურათს, ქანდაკებას, ჭურჭლეულს, იმ  
კომისართა მიერ შერჩეულს, რომლებიც  
რომში იქნებიან გამოგზავნილი. ამ ნივ-  
თებს შორის უაჭველად იქნება იუნი  
ბრუტუსის ბრინჯაოს ბიუსტი და მარ-  
კეს ბრუტუსის მარმარილის ბიუსტი,  
რომელიც ამჟამად კაპიტოლიუმშია და-  
ცული; ამას გარდა, ამავე კომისართ უნ-  
და შეარჩიონ ბუთასი ხელიანერი“.

როგორც იტყვიან, კომენტარები  
ზედმეტია. მსგავსი ვითარება იყო ვენე-  
ციაში, რომელთანაც ასეთივე ხელშე-  
კრულება გაფორმდა. საიდუმლო დანარ-  
თში (მოცემულ შემთხვევაში) განსაზ-  
ღვრული იყო კონტრიბუციის რაოდენო-  
ბაც. თუმცა კი ამჯერად იგი მოკრძალე-  
ბული იყო, მაგრამ იმპერატორმა მაღა-  
ნანა თავის თავისეკავებულობა და იმა-  
ზე მეტი მოინდომა, ვიდრე მიღანის  
ხელშეკრულება ითვალისწინებდა. თა-  
ვისი „მხატვრული ექსპერტების თან-

ხლებით” იგი პირადად არჩევდა საკონფისკაციის დათვალისწინებულ ხელოვნების ნიშუშებს. მათ შორის საქალაქო შედევრებს — ბრინჯაოს ცხენებს წმ. მარკეზის ბაზილიკიდან. სხვათ შორის, ეს ქმნილებები ვენეციიდან მოღები იყოთ თვითონვე ამგვარი ხერხით მოიძოვეს. ასე რომ, ბედი-მდევარი ზოგჯერ სამაგიეროსაც მიუხდავს ხოლმე აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვენეციაში (ეს, აღბათ, ერთადერთი შემთხვევა) ბარცვის აქციაში — ბრინჯაოს ცხენების ჩამოსახსნელად, პოლონეთის ლეგიონები გამოიყენეს.

განსაკუთრებით დაწვრილებით იყო დამუშავებული ბოლონიასთან ხელორწერილი ხელშეკრულება ხელოვნების ნაწარმოებთა კონტრიბუციის შესახებ. მასში ჩამოთვლილი იყო ოცდაორმოტრი სურათი, ორი ბრინჯაოს ქანდაკება, ერთი ანტიკური თეატრალური ნიღაბი, ორი თახი, ოთხი ეტრუსკული ლარნაკი, ხუთას ორმოცი ხელნაწერი და ასთუთმეტი უძველესი გამოცემა.

ხელშეკრულება ხელშეკრულებად, მაგრამ ფრანგები ყველაფერს კადრულობდნენ ხელოვნების ნაწარმოებთა მისახაკუთრებლად. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ფრანგ ჯარისკაცს თავს დაესხმოდა, ან სხვა რაიმე საპროტესტო ქმედებას გაბედავდა, რეპრესიული ღონისძიების სახით, იმპერატორის კომისრები კონფისკაციას უკეთებდნენ მის საკუთრებას,

თუკი საფრანგეთის ხელოვნების მუზეუმის შენაძენად მიიჩნევდნენ ტურონის ტურონიამ შემოინახა ერთადერთი შემთხვევა, როცა ნაპოლეონმა თავის მიზანს ვერ მიაღწია. დიდი გაბედულება გამოიჩინა ფლორენციის ცნობილი გალერეის უფიციის დირექტორმა ტომაზო პუჩინიმ. ნაპოლეონს მოახსენა, რომ ნაწარმოებები, რომელთა კონფისკაცია სურდა, პრინცის საკუთრება კი არა, ხალხის საკუთრებაა. ეს მართლაც ასე იყო: მედიჩის საგვარეულოს უკანასწერლმა წარმომადგენელმა მთელი ეს კოლექცია უფიციის გალერეას უანდერძა, რაც იმ დროის პოლიტიკურ სიტუაციას უკავშირდებოდა, — საქმე, ძირითადად, იმაში იყო, რომ მედიჩის კუთვნილებინი ჰაბსბურგებებს არ მიეტაცათ. სწორედ ამიტომაც ანდერძის ტექსტში საგანგებოდ იყო მითითებული განბეჭდის “ტოსკანის სახელმწიფოსათვის” გადაცემის თაობაზე, იმ პირობით, რომ „კოლექცია არასოდეს არ უნდა გასულიყო ფლორენციის საზღვრებს გარეთ და მომახურებოდა ყველა ხალხის საზოგადოებრივ კეთილდღეობას“. ნაპოლეონის ქმედების წინააღმდეგ გაიმარჯვა ფუნდამენტურმა არგუმენტმა: იმპერატორი, დამარცხდა თავისივე იარაღით. იმ დროს, როცა ნაპოლეონი გალერეით დაინტერესდა, ე.ი. XVIII საუკანის ბოლო მეოთხედში, ექსპოზიცია ლია იყო დამთვალიერებული სიმბოლი, საკურთხევლის ხედი XIX საუკუნეში.





ეგვიპტური სარკაფაგი ვატიკანის მუზეუმიდან

რებლებისათვის და, ცხადია, იმპერატორი ინფორმირებული იყო.

კუბრუნდებით რა საუბარს ვატიკანის გაძარცვის შესახებ, უნდა მივეთითოთ, რომ იმპერატორი მიღწეულს როდი დასჯერდა. კვლავაც არსებობდა ცდუნებანი და არც მათი გამოვიჩნების სურვილი იყო დაძლეული. ეს მან განახორციელა ქრონი წლის მოგვიანებით, როცა ტოლემეინოში მორიგი ხელშეკრულება დადო. მაშინ ვატიკანს ჩაძორთვა კიდევ ასი სურათი და სამოცდაოთხი ქანდაკება. მათ შორის იყო რაფაელის „ფერისცვალება“ და ქარავაჯის „სავულავად დადება“.

იბადება კითხვა: როგორ წარიმართა ვატიკანიდან გატანილ განხეულობათა შემდგომი ბედი?

ფრანგების დამარცხების შემდეგ პაპმა პიი VIII გატაცებული განხეულის დაბრუნების მიზნით პარიზში მიავლინა

ანტონიო კანოვა, რომელიც 1802 წლიდან კაზმულ ხელოვნებათა გენერალური ინსპექტორის მრვალეობას ასრულებდა ვატიკანში. კლასიცისტური ქანდაკების გამოჩენილება წარმომადგენელმა, სახელგანთქმულმა მოქანდაკემ მისა წარმატებით განახორციელდა. — ფრანგების მიერ მითვისებული სურათებისა და ქანდაკების ნახევარზე მეტი რომში იქნა დაბრუნებული. როგორც ეს ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, კველაფრის დაბრუნება ვერ მოხერხდა, ვინაიდან საომარ მოქმედებათა განუკითხაობა ხელს უწყობს ნივთების გაფანტვასა და გაქრობას.

ნაპოლეონის მრჩეველი, განხაფურებით ღირებული ნაწარმოცებების შეჩერებაში ევროპის კველა გალერეიდან, იყო ბარიონი დომინიკ ვიგნ-დენინა, 1797 წლიდან იმპერატორის მთავარი ექსპერტი, ფრანგული სამუზეუმო საქ-


მის შეფი და ლუკრის მომავალი დირექტორი. მან ძალზე თანმიმდევრულად გაატარა პრინციპი: საფრანგეთში უნდა აღმოჩნდეს ყოველივე განსაკუთრებით ფასეული ეკროპაში. კივან-დენონის მხურვალე თანამდგომი იყო ახალგაზრდა ოფიცერი მარი-ანრი ბეილი. რაციონალისტი და რომანტიკოსი, ფაქტიზი ფსიქოლოგიური ანალიზის ოსტატი. ის მონაწილეობდა როგორც იტალიურ კამპანიაში, ასევე ნაპოლეონის მოსკოვზე დაშქრობაშიც. ხანგრძლივად ცხოვრობდა იტალიაში, რომლის კულტურას ლიდად აუახებდა. ნაპოლეონის მრავალი სამსახურო ლაშქრობის მონაწილე, იგი არაფერს ერიდებოდა და იტაცებდა, რისი გატაცებაც კი შეეძლო. ანბორციელებდნენ რა საფრანგეთის უპირატესობის პრინციპს კულტურის სფეროში, ნაპოლეონმა და კივან-დენონმა არ დაინდეს არც პოლონეთი. თუმცა იგი დაპყრობილ ქვეყნებს არ მიეკუთვნებოდა, პირიქითაც, ბონაპარტის ერთგული მოკავშირე

იყო. მიუხედავად ამისა, ბარისტერი ნონმა ასრულებდა რა ნაპოლეონის თითებას, სახივედილო ლახვარი ჩას პოლონეთში დაუცა ხელოვნების უდექციებს. იმპერატორი, მაგალითო თხოვდა საჩუქრდ გადაეცა მისწფა ხუთი სურათი ვარშავის ციხედარბაზიდ დან. დენონმა კანალეტოს თახი სურათ და ბაჩარელის ერთი ტილო ამოარჩია ამას გარდა, საკუთარი ინიციატივით მთავარი ანტიკური ბიუსტები და მაღმა უმცროსის სურათი ვარშავის წმ. ასის ტაძრიდან. რამდენი ამგვარი „სუკენირი“ წარიტაცეს ნაპოლეონის ივა ცრებმა პოლონეთის სხვა ადგილებიდნ ცნობილია, იმპერატორის როგორი აღტაცება გამოიწვა ვილნის წმ. ანნის ეკლესიად. მაშინ განაცხადა, რომ „ცეცხლოვანი“ გოთიკის ამ დიდებულ ქმნლების დავშლილი და პარიზში წავიდებ დიო.

აქ გავიხსენოთ პანს მემლინგის სურათების ისტორია. მხატვრის ტრიპ-

ფარაონი ნაფიტობისას. კულტამის კედლის მობატულობა





დიდი სუნიქტი გიზში

ტიქი იმდენად ცნობილი იყო, რომ ქალაქის სტუმრებს განსაკუთრებით იზიდავდა. ამიტომაც არ არის გასაკვირი გდანსკში დენონის გამოჩენა, ცხადია, გარკვეული განხრახეთ. პეტრე პირველისაგან განსხვავებით იგი არავითარ მორიცებას არ იჩენდა, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, განკარგულება გასცა შეეფუთათ სურათი და პარიზში გაეგზავნათ. საფრანგეთის დამარცხებამდე, რამდენიმე წლის მანძილზე, ტილო პარიზში იყო გამოიყენილი.

იმპერიის მრჩეველის სიხარბე იმდენად წრეგადასული იყო, რომ თავისი მიზნის მისაღწევად ნაპოლეონის ნათესავებთან კონფლიქტსაც კი არ ეჭუბოდა. ესპანეთისაგან მან მოითხოვა (იმდროისათვის ეს ჰკვე ჩვეულ ამბად იქცა) ხელორენების ნაწარმოებთა კონტრიბუცია. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ოც სურათს. ამ ქვეყნის მეფე კი ნაპოლეონის შევიდრი მძა — უზუეფ ბონაპარტი გახლდათ. პაბსბურგთა და ბურბონთა კუთვნილი ნაწარმოები რომ არ გაეფანტა, მეუემ განკარგულება გასცა ამ რაოდენობის სურათები შეერჩიათ მონასტრებში, რომლებიც ესპანეთში მრავლად იყო. როცა გზავნილები ის არ აღმოჩნდა, რასაც ეღლოდა, დენონი თვითონ გაემგზავრა ესპანეთში და, ცხადია, კიდევ უფრო უხვი ნადავლი წამოილო —

ორას ორმოცდათი სურათი, რომელზეც განაცხადა — „ესპანეთის კამპანიის სამაგიეროა“.

მაგრამ ნაპოლეონის ქმედებანი ამით როდი ამოიწურება. ძარცვა შეეხო ყველა ქვეყანას, სადაც კი მისი არმია შევიდა. გერმანიიდან — დიუსელდორფისა და მიუნხენის გაღერებებიდან გამოიტანეს ოც სურათი. დრეზდენში დენონმა სცადა კონფისკაცია მოეხდინა კორექტოსა და ჰოლბეინის რიგი სურათებისა, მაგრამ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო ნაპოლეონი ამაზე არ დათანხმდა.

ალბათ ღირს იმის გახსენებაც, კარლოს დიდმა თავის დროზე რომიდან ორმოცი ანტიკური სკეტი და იმპერატორის სარკოფაგი, ნეშტითურთ რომ წამოილო. რუსეთშიც კი, სადაც სასტიკი დამარცხება იგემა. ნაპოლეონმა ძარცვისაგან ხელი როდი აიღო. მოსკოვის აღების დროს კრემლიდან გაიტაცა ივანე მრისხანეს შესანიშნავი ოქროს ჯვარი, ნიკოლოზის ჭიშკრიდან მოხსნა არწივის გამოსახულება. ამას გარდა, ფრანგები შეუდგნენ სენატის სასახლის გუმბათიდან წმ. გიორგის ქანდაკების ჩამოხსნას. დემონტაჟის არცოდნის გამო ქანდაკება დაიმსხვრა. მოსკოვში ფრანგების პარაბაში ხანმოკლე იყო, მაგრამ ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ერმიტა-



ლაოკონის

ფის ბედი, ნაპოლეონს რომ პეტერბურგის რკაბაცად მოეხდინა.

ნაპოლეონის ხელიდისზეა აგრეთვე ეგვიპტეში შეჭრა. რეიდი, როდესაც, 1798 წელს, ავანტურისტული ლაშქრობით გაემართა აფრიკაში, რათა შეძმოდა მის მუდმივ მოწინააღმდევეს – ინგლისის. იმგრატორმა თან წამოიყანა გამოჩენილ მეცნიერთა შტაბი, გამოიყენა რა „იტალიური მოდელი“. ამჯერად მას რაიმე ხელშეერულებისთვის არ მიუბართავს. უკვევლია, ამ ლაშქრობის შედეგს წარმოადგენდა ეგვიპტის არქეოლოგიას დაბადება. ნაპოლეონის თანმხედები მეცნიერთა ჯუფის მიერ ქვეყნის შესწავლა, უდიდეს სიძნელეთა მიუხედავად, ბრწყინვალედ შესრულდა. მაგრამ სამხედრო მოქმედებათა პარალელურად წარმართული ეს აქცია, უთუოდ ძარცვის აქციაც იყო. მოცემულ შემთხვევაშიც, მეცნიერთა ჯუფი ურანგული კულტურის უძირატებობის აღიარებით ხელმძღვანელობდა და თვითონვე წყვეტდა ძველი ეგვიპტის მიკვლეულ ძველთაგან რომელი იყო ღირსეული საფრანგეთის მუზეუმებისათვის. ქვეყნიდან გასახიდი ნივთების ტრანსპორტირებისას ფრანგებს მუდმივად ხელს უშლიდნენ ანგლისელები, ცხადია, არა მა-

ღალი იდეებისთვის, არამედ დამოუკინისათვის.

ნაპოლეონის მდარცველური ლამაზობების წყალობით საურანგებოში თავი მოიყარა ხელორენების აურაცხელში ნაწარმოებმა რომელიც ამშვენებდნენ როგორც ამბერატორის სახახლეებს, ისე კრიმულ კოლექციები პრივინციებში მხოლოდ მნიშვნელობის შედევრით დადი ხაწილი განთავსებული იქნა ლუქრემბი, რომელიც უკვე 1793 წლიდან გაიხსნა ხაყიველთა დაუკალიურებისათვის. 1810 წელს გამოცემულ ლუკრის ხამუშებრი კატალოგში შეტანილია იმდენ და ისეთი შედევრები, რომელთა ხილვა მანამდე მხელად წარმოსადგენი იყო. მათ შორისაა რაფაელის ოცდარვა სურათი, ტიციანისა – ოცდაოთხი, რუბენისა – ორმოცდაცამეტი, ვან დეიკისა – ოცდაოთხმეტი, რებრანდტისა მმდევნევე და სხვ.

ნაპოლეონი ხელორენების ნაწარმოებთა საფრანგებოში, პარიზში ჩამოტანა მუდმივად აღინიშნებოდა, და თუ ეს ქმნილებანი განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებებისა იყო, მაშინ ზემო ჭემარიტ დღესახწაულში გადაიზრდებოდა ხოლმე. შემთხაულია ამ დღესასწაულების ბერი აღწერა. ერთ-ერთი მათგანი გვაცნობს:

„1798 წლის 28 ოქტომბერი ქუჩებში გამოეფინენ. მიუხედავდ სიცხისა, კველა წევეულოდ გამოცემულებულიყო, მოუთმებლად აცეცებდნენ თვალებს და ცდილობდნენ მოხერხებული ადგილი დაეკავებინათ. ხაური, ბავშვების ჟივილ-ზივილი იმას მიუთითებდა, რომ ხალხი რაღაც განსაკუთრებით სახიამოვნო მოვლენის მოლოდინში იყო. და მართლაც, ქალაქში ხმა გავრდა, რომ ივლისის ამ დღეს კველას მეეძღვო მოწმე გამხდარიყო საფრანგეთის მორიგი ტრიუმფისა: ლუკრისკენ მოემართებოდა იტალიიდან გამოტაცებული ანტიკური ხელორენების დიდებული ქმნილებებით დატვირთული ტრანსპორტი. იზრდებოდა დაბატულობა, ადამიანები მოუთმებლად ელოდნენ სახახობის. უცებ, შორიდან მოისხა დოლების ხმა, რომელიც ყოველწამს ახ-



ენგრი. ნაპოლეონი საშეფო ტაბრზე

ლოვდებოდა. ხალხი მღელვარებამ მო-  
ცვა და გაირინდა. და, აი, შორს გამო-  
ჩნდა მხედართა დინჯაად მომავალი ეს-  
კადრონი, მათ უკან – ფეხოსანთა რაზ-  
მი, რომელთაც წინ მედოლები მოუ-  
ღოდნენ. სახელროები ამაყად უმშერ-  
ძნენ თავმოყრილ ხალხს.

ეს იყო ერთ-ერთი დიდებული დღე,  
სროლის, ბრძანებების, შეტაკებების ხმა-  
ურის გარეშე. მეომრებს ხალხის აღტა-  
ცება და აღიარება სწყუროდათ. ბოლოს  
გამოჩნდა მწერივი მდიდრულად მორთუ-  
ლი ოთხთვალებისა, რომელიც ძალო-  
ვანი რაშები იყვნენ შებმულნი. ორივე  
მხარეს მათ იცავდნენ შეარაღებული  
ფეხოსნები. ოთხთვალები დატვირთული  
იყო დიდებული ქნიდაკებებითა და სუ-  
რათებით. აღტაცებისაგან გაონგებული  
ხალხი სასოებით შესცემროდა „აპო-  
ლონ ბედევდერელს“, „ვენერა მილო-  
სელს“, „ლაოკონენს“, „დისკოს მტყორ-  
სელს“.

„მომაკედავ გლადიატორს“ და  
იტალიელ ოსტატთა სურათებს, რაფაელ-  
ლით დაწყებული, მომხიბლავ „მადონა  
ლორეტოდან“ და სხვა. გახარებული  
ხალხისთვის ყოველივე ეს საფრანგეთის  
გამარჯვებისა და დიდების დამადასტუ-  
რებელი იყო. დასასრული არ ჰქონდა  
შეძაბილებს: „გაუმარჯოს საფრანგეთს!“, „გაუმარჯოს იმპერატორს!“. მოზეიმეთა  
თავზე სმუჟეროვანი ღრმულების ურიალი  
ფერადოვანი მოხაივის შთაბეჭდილებას  
ქმნიდა. და განა არ იყო საზეიმო ის,  
რომ საფრანგეთი სამარადულმოდ ფლობ-  
და ჩამოტანილ განძს“.

მაგრამ მოვიდა სამაგიეროს გადახ-  
დის დროც. თავდაპირველად მოკავში-  
რებს არ სურდათ ლუდოვიკო XVIII  
ბერძონის კომპრიმეტიორება. ჯერჯერი-  
ბით პოლიტიკური მოსაზრებანი ელობე-  
ბოდა ნაბარცვი ხელოვნების ნაწარმოე-  
ბების უკანვე გამოთხოვას. როცა ვინვე,

ანტინაპოლეონური კოალიციიდან ამ საქმის დაწყებას განიზრახავდა (დაახლოებით 1814 წლიდან), ეს მაინც არ კეთდებოდა პირდაპირი გზით. ჯერ ერთი, თვით ძალის ფაქტი საიდუმლოდ ინახებოდა, მეორეც, ყოველივე ინდივიდუალურად იხილებოდა, ეხებოდნენ მხრიდან იმ ნაწარმოქადგას რომლებიც საჯაროდ არ ყოფილა გამოფენილი და მათი გაქრობა შეუმჩნეველი დარჩა. როგორც დუღოვეკო XVIII, ისე ტალევიანს მშვენიერად ეხმოდათ, რომ ადრეთუ გვიან საფრანგეთს უნდა დაბრუნებინა მიტაცებული, მაგრამ დაბრუნებაზე არ თანხმდებოდა ვივან-დენონი, რომელიც საფრანგეთის მუზეუმებს განაგებდა. იგი ყველაფერს აკეთებდა, რათა თუნდაც ცალკეულ დათმობდაზე არ წასულიყო. 1815 წლის კონგრესის შემდეგ მოკავშირეებმა უკვე ხელი აიღეს ცერემონიებზე და ნაპოლეონის მიერ დაყრიცხილმა ყველა ქვეყანამ მოითხოვა ნაძარცე კულტურის ძეგლების უკან დაბრუნება. მაგრამ თითოეული ქვეყანა წინააღმდეგობას წააწერდა, თანაც არა საფრანგეთის მთავრობის მხრიდან. არა-მედ დუვრის დირექციიდან. სამართლიანობა, ბოლოსდაბოლოს, დამარცხებულთა მხარეს აღმოჩნდა. 1815 წელს პრუსიის, ინგლისისა და ავსტრიის ჯარები თავიანთი კუთხილების დაბრუნებას შეუდგნენ.

ამრიგად, ფრანგების სიამაყიდან, — დუვრიდან იმულებით იქნა გამოზიდული განძეულობათა მნიშვნელოვანი ნაწილი. საარქივო დოკუმენტებისა და წიგნების გარდა ეს განძეული შეადგენდა ორიათასამდე მხატვრულ ნაწარმოებს. ზოგი რამ ადგილზე დარჩა. ექსპონატები უბრუნდებოდა ქვეყნებს, საიდანც ისინი წარიტაცეს.

რობორც ცნობილია, ხელოვნების უფერი ნაწარმოები ისეს ავტორისა და რეალური სამყაროს ურთიერთობის გამოვლენის ქროძ შემთხვევა. სინამდვილის შემეცნების შედეგად იქმნება ამ რეალობის მიკრომოდელი, რომელიც ხელოვანის ინდივიდუალურ მსოფლგანცდის პრიზაშია გარდატეხილი.

აღმიანის მისტრაფება დაუფიქსირებინა რეალობა. შეიმჩნეოდა ჯერ კიდევ პირველყოფილი საზოგადოებრივი ფორმაციის ჩანასახის პერიოდშიც. ჩევნამდე მოღწეული ძეველ პაპირუსთა თუ გამოქვაბულთა შესწავლით დადგინდა, რომ ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის წარმოჩენის პირველი ცდები რეალობის ასლის შექმნით გამოიჩინეოდა. საზოგადოებრივის ფორმაციისა და ხელოვნების შემდგომმა განვითარებამ, თავისთვის დამოიწვა ზემოხსენებულ ურთიერთობათა გამოსახვის უფრო მაღალი ფაზის წარმოქმნა და დიფერენციაცია. თუმცა უნდა ითქვას, რომ ხელოვნება ყოველთვის იყო ძროის დაფიქსირების საშუალება და მეორედ სიცოცხლეს ანიჭებდა ადამიანის აზრებს, განცდესა და შეგრძნებებს. იქმნებოდა „იდეალური სამყარო“, რომელიც რეალობის მსგავსი იყო, მაგრამ ავტონომიურად არსებობდა დროში. ცავილზაკის განვითარებამ არა მატრი ჩამოაყალიბა სამყაროს აღმა საგნობრივ სახეობრივ სტრუქტურაში, არამედ გამოიწვია მათ დიფერენციაცია.

ხელოვნების ყოველ დარგს, როგორც ცნობილია გააჩნია მხოლოდ მისოვების დამაასიათებელი, სპეციფიკური ნიშან-თვისებები. თავისებური სასაუბრო ენა, რომლითაც იგი რეალობას ასახავს. მხატვრობაში ეს ფერთა გამაა, გამოსახულება, ლიტერატურაში — სიტყვა, მუსიკაში — ბეგერები, თეატრში — ცოცხალი ქმედება, ხოლო კინომ დაბადებისთავე ხელოვნების

# ოპერატორ-თანაავტორი ანუ ოპერატორის ხალოვნების ზოგიერთი საკითხის გამო

მაია ლევანიძე

ყოველი დარგიდან შეითვისა არა მხოლოდ ესთეტიკური პრინციპები, არა-მედ გამომსახველობითი საშუალებებიც, ცივილიზაციისა და ხელოვნების ყოველი დარგის სინთეზის შედეგად კინოხელოვნებამ თავდაპირებულად წარმოაჩინა ინდივიდუალური, უნიკალური და უნივერსალური სამეტყველო ენა. როგორც ცნობილია, კინოს ძირითადი სამეტყველო ენა გახდა მოძრავი გამოსახულება. ტექნიკური პროგრესისა და წმინდა სპეციფიკური აზროვნების, შედეგად კინოხელოვნებამ განიმტკიცა თავისი გამორჩეული ადგილი, როგორც მოძრავი გამოსახულების მატერიელურებულმა ხელოვნებამ. კინომ გამოიყენა რა სიტყვა, ფერი, გამოსახულება მოქმედება, მისი ფირზე აღეჭვდეთ, შექმნა დროსა და სივრცეში ასესებული მიკროსამყარო, რომელიც აერთიანებს კიდეც ხელოვნების ყოველ დარგს ლიტერატურისთვის ერთად და ემიჭვება კიდეც თაოთვეულ მათგანს, ამოქმედებული, მოძრავი სანაბაობის ფქვესაცით, რომელიც მხოლოდ მისოვისაა დამახასიათებელი.

ძირითადია გამოსახულება, რაც იყონოგრაფიისთვის არის ნიშანობლივი, მაგრამ შინაგანი და გარეგნული მოძრაობები მოქცეულია გასაგების, წინასწარგანზრატებული წესრიგის მიხედვით, გარევეულ დაფიქსირებულ ფორმაში. გარესამყაროს თვისებები — ბუნებრიობა, სახიერება, ხმაუ-

რი, ბგერა, სიტყვა, მოქმედება და სხვა, აგ ქაოსურ მოძრაობათა ერთობლიობას ემიჭვება. ამ გარკვეული, შინაგანი წესრიგის მიკვლევა კინემატოგრაფიაში ხდება მონტაჟის მეშვეობით, მონტაჟი კი კინემატოგრაფიული გამომსახველობითი საშუალებაა.

როგორც ცნობილია, კინ სინთეზური ხელოვნება და ამ სინთეზის წარმოქმნისთვის თითქმის ერთნაირად იღვწიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: რეჟისორი, ოპერატორი, მხატვარი, მსახიობი და ა. შ. მაგრამ ძირითადად კინოხელოვნებაში მაინც უპირატესობა ენიჭება. რეჟისორის ისტორიას. სწორედ ის არის მამოძრავებელი ძალა, სტიმულატორი იმ პროცესისა, რომელსაც შემოქმედება ეჭოდება. მაგრამ ამებაც ჩემთვის საინტერესოა ოპერატორის პროფესია, ის, თუ რა როლს ასრულებს ოპერატორი ფილმის შექმნაში და რას წარმოადგენს ოპერატორის ხელოვნება.

კინემატოგრაფის დაბადება დაკავშირებული იყო ოპერატორის ხელოვნების წარმოშობასთან. ოპერატორის ხელოვნებამ კინემატოგრაფიის განვითარებასთან ერთად განვილო მრავალი საინტერესო ეტაპი. ხდებოდა ტექნიკის განვითარება და დახვეწა. ოპერატორის ხელოვნება იძენდა უფრო მნიშვნელოვან ფუნქციის ფილმის შექმნის პროცესში.

ოპერატორის ხელოვნება შეიძლება — 141



ბა შევაღაროთ მხატვრის ოსტატობას, თუ მხატვარი ფერწერული ტილოს შესაქმნელად იყენებს ფუნქს, ფერთა გამას, სალებას — ოპერატორი კამერის საშუალებით ქმნის ფილმს, მისთვის კამერა ფუნქსია, რომლის მეშვეობითაც ხატის ჩეალობას, ხორცს ასხამს ჩეისორულ ჩანაფიქრს. ოპერატორის ხელოვნების გარეშე წარმოუდგენელია კინემატოგრაფი. იგი ფილმში ასრულებს ემოციური ზემოქმედების ფუნქციას, კამერის მეშვეობით გვთავაზობს გარკვეულ მინიშნებებს, აქცენტებს ფილმში, ეხმარება ჩეკისორს სახეების, ხასიათების გამოკვეთაში. მის სამუშაო მასალას წარმოადგენს ფერი, სივრცობრივი კომპოზიცია, შუქ-ჩრდილი და ა. შ. ამგვარად, ოპერატორის ხელოვნების განხილვა შეიძლება არა მარტო როგორც ფოტოგრაფიის, გამოსხულების ტექნიკი, ასახვისა, არამედ იმის მიხედვითაც, თუ როგორ შეძლო გადმოეცა სახეები მხატვრული, ფერწერული გამომსახველობითი ფორმებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამავად თანამედროვე კინში გამოიკვეთა ორი ტენდენცია:

პირველი — კინო მისიწრაფის ასახოს არამარტო გარშემო არსებული სიმყარო, ბუნება, თანამედროვე ოპერატორული ხელოვნება დღამს ახალ ნაბიჯებს. ნატურა ტრანსფორმირდება. იცვლება მხატვრულად, ინარჩუნებს რა ჩეალურ ჩარჩოებს, გვთავაზობს მხატვრულ-ინდივიდუალური ხედვით აღბეჭდილ ახალ ჩეალობას. კინემატორაფი შეძლებისამებრ „ურვა“ ბუნებაში სინათლით, ფერით, პატივით, ტემპით, რომ შექმნას ეკრანზე ახალი „მგრძნობელობითი სამყარო“.

მეორე — კინში გამოიკვეთა ოპერატორის მისწრაფება მაქსიმალურად ასახოს სუბიექტური დამოკიდებულება სამყაროში მიმდინარე პროცესების მიმართ. კამერის მეშვეობით წარმოიშვება ე. შ. „გალუაბდილი კინემატოგრაფი“. კინოერანი მაყურებელს სთავაზობს არა მარტო მსახიობის, არამედ ჩეკისორის, ოპერატორის და მთელი გადამ-

ღები ჯგუფის ემოციურ მდგრადი კინემატოგრაფიული რა თქმა უნდა ის ური ტეხნიკურ აისახა ქართული ეროვნული ოპერატორული კინოსკოლის მუშაობაშიც.

თანამედროვე კინში, როგორც უკვე აღნიშნე, ტექნიკის განვითარებამ გარევაულწილად გააითლა თპერატორის ხელოვნება, ფარი გახდა უფრო „მგრძნობიარე“, რამაც დაბადდა შესაძლებლობა თვალშისაცმი, საინტერესო კინოეფეტის შექმნისა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ კინოტექნიკის საოცრად სწრაფმა, პროგრესულმა განვითარებამ, მისი შესაძლებლობების ასე ვთქვათ, შეუზრულებელი გაქანება მაც, შეუწყო ხელი ერთობ დიდი რაოდენობით დასავლეთის კინში სათვალდასავლო. ფანტასტიკური და საშინელებათა ფილმების შექმნის.

ქართულ კინემატოგრაფი, ტექნიკის ამ საოცრად სწრაფმა განვითარებამ, რა თქმა უნდა, გვერდი აუარა. ფაქტოურად დღესდღეობით ქართულ კინში მუშაობენ საქმითი დაბალი ბარისების, ტრანჯი კინოპარატებითა და კინოტექნიკით, რაც თავისთვის ზღუდების იმ კოლოსალურ შესაძლებლობებს, რომლებიც ყოველმხრივ ათვისებული აქცეს დასავლეთის კინემატოგრაფს

ტექნიკის იმ დაბალ ღონებზე დარჩნამ ქართველ ოპერატორთა მუშაობაში ერთის მხრივ მრავალი სირთულე წარმოშვა და მინც ქართველმა ოპერატორებმა ცველაფრის მიუხედივად შეძლეს შეენარჩუნებინათ ქართულ კინოსთვის დამახსინებელი კადრის პოეტურობა. მისი ფერწერულობა.

კინო ისტორიაში არაერთი მაგალითი გვაქვს ჩეკისორისა და ოპერატორის მშენებო კაშირის. შემოქმედებითი ურთიერთობების, ურთიერთშემოქმედების შედეგად სინტერესულყოფილი ნაწარმოებების შექმნისა. ჭერ კიდევ 20-იან წლებში ს. ერებულების და ე. ტისეს თანამშრომლობამ შექმნა ისეთ ფილმები, რომლიცაა: „გაფუცვა“, „ჯავშნოსანი პოტიომეტინი“, „ოქტომბერი“. მის შემოქმედებაში ფართო გამოყენება პორვა დოკუმენტური მეთოდით გადალებამ.

ე. ტისე იმ დროისთვის ნოვატორული საშეაღებებით გვთავაზობს ფილმის ერთიან, დინამიურ გამოსახულებას, რომელსაც ზუსტად ეთანხმება ყველა კომპონენტი. მისი კადრები გამოიჩინა მასტერალურობითა და მონუმენტურობით. გავიხსენოთ თუნდაც ს. ეწერნებულის ფილმი „ივანე მრისხანე“, სადაც რეალისტი იყენებს ფერის დრამატურგიულ ფუნქციას. გვთავაზობს ბოიარების ჯანყების ეპიზოდს, სადაც წითელი ფერი ეფინება ეკრანს. ამით რეალისტი მივგანიშებს ბოიარების აჯანყების სისტემაზე ჩატობის შემდგომ ამბავს. ამავე ფილმში ე. ტისე, ივანე მრისხანეს სასახლეში ღრეობის სურას საქმაოდ საინტერესოდ გვაჩვენებს. კატრში დაჭუთული, დამთრავნელი ტრმოსფერი სასახლის ჭერის ქვემოთ ჩამოტანით შეიგრძნობა. ამ დროს მასხარას მოძრაობით, რომელსაც აფიქსირებს ოპერატორი, იკვეთება ის სიკრცე, რომელიც დაგუშვით აწვება თავშეყრილ საზოგადოებას. აქ აშეარად გამოივეთა ივანე მრისხანეს ბუნება, მისი ეპოქისთვის დამახასიათებელი ტირანია. ე. ტისე წერდა: „ჩვენ არ ვიცით არანაირი რეალისტული დიტრატურა, ჩვენ ვმუშაობთ მეგობრულ, კოლეგიალურ საფუძველზე“.

როგორც უკვე აღნიშნავდით, ოპერატორის ხელოვნება პირებული კინემატოგრაფიული ხელოვნებაა, ისტორიის განვითარების გრაკვეულ მომენტში კი ოპერატორის პროფესია მეორე პლანზე გადადის, რადგან, მის შემოქმედებაში ძირითადად ტექნიკური სამუშაოები ჭრიბობს, ხოლო კინემატოგრაფი კი აუკნებს ახალ მოთხოვნებს, რომლებიც გულისხმობენ განსაკუთრებულ თვალთახედვას და შემოქმედებით გამოჩებას. სწორედ ამიტომ ჩვენისორი ხდება ის ადამიანი, რომელიც გარშემო იქრებს თანამოაზრებს და მათი დანმარებით განახორციელებს გარკვეულ მოდელს. ის გვევლინება ერთგვარ გენერატორად, რომელიც განსახლვავს შემოქმედებით

პროცესის თანმიმდევრულ, რატმულ დენალობას.

60-70-იანი წლების ქართული კინოს წარმომადგენლებმა ახალი მაისცემით, ახალი პრობლემებით, ფორმუბით შეიცხეს ქართული კინო და სწორედ ამ პერიოდში ეყრდნობა საფუძველი „საკროირ კინემატოგრაფს“.

60-70-იანი წლები ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების ე. წ. „უძრავის“ პერიოდი, როდესაც გარკვეული პოლიტიკური ფარსის ქვეშ იმაღლება საქმიან რთული პოლიტიკურ-სოციალური თუ ეროვნული პრობლემები, ეს არის ის პერიოდი საზოგადოების ცხოვრებაში, როდესაც ადამიანს, შემოქმედს აიძულებენ იაზროვნოს, იმუშაოს იმ შტამპების, საზღვრების ფარგლებში, რომლებიც ხელსაყრელია ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, მართველი ძალებისთვის. ამ პერიოდის ხელოვანი ცდილობს თავისი შემოქმედებით აუწყოს სინამდვილე, თავისი წუხილი მაყურებელს და იგი ახერხებს კიდევ ამას, ამა თუ იმ ხერხების, უანრების გამოყენებით. სწორედ ამ პერიოდში გვევლინება ქართული კინო იმ სუეროდ, რომელიც თამამად საუბრობს აკრძალულ პრობლემებზე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გამსჭვალულია ქართული ეროვნული ხასიათით.

რა თქმა უნდა „საავტორო კინო“ გულისხმობს რეალისტის, ოპერატორის და მახტერის ერთობლივ ნაშრომს, როდესაც ხდება თანმოაზრეთ შექრება, შეკავშირება ერთანი მიზნით, ერთი იდეით და როდესაც ყოველი მათგანი გადასაღებ მოედანზე ქმნის ხელოვნების ნიმუშს, გადმოგვცემს თავის დამოკიდებულებას მასალის მიმართ, თავიანთ ოსტატობას, ითვალისწინებს რა ერთმანეთის აჩვენობას ამ პროცესში. ამ ტიპის კინემატოგრაფის ნიმუშები საქმაოდ არსებობს ქართულ კინში, თუნდაც გავიხსენოთ ლ. პატარაშვილისა და რ. ესაძის დუეტი ფილმში „ნეილონის ნაძვის ხე“.

ფილმის მოქმედება ხდება ავტობუსში, სადაც ძალაუნებურად შეიკ-

ოპერატორი ლ. პატაშვილი ავტო-  
ბუსში მოძრაობის დროს, კამერის მე-  
შევობით ქმნის გზავრთა პორტრე-  
ტებს. გავიხსნოთ თუნდაც ორი პატა-  
რა ბავშვის პორტრეტი. მათ სუფთა,  
ჯალოსნურ, ჭერ კიდევ ოცნებებით  
სავსე სამყაროს, თბილი ფერების გა-  
მოყენებით გვიხატავს ოპერატორი. იგი  
ამ ბავშვებს, პატარა საახალწლო ჭუ-  
ჭებივით ავტობუსის აღმოსფეროსთან  
განსხვავებით, თბილ საზეიმო სამყარო-  
ში ათვასიბს.

კამერის სწრაფი მოძრაობით, თითქმის წამიერად იბადება და ქრება შეშინებული მგზავრის პორტრეტი. კამერა რაც შეიძლება უახლოვდება მის სახეს და შეშინებული, აწითლებული, დეფორმირებული სახე, უფრო ფორმა-შეცვლილი ისისახება ეკრანზე. მა პორტრეტთა რიგი, შემდგომ ქმნის საერთო სახეს, რეჟისორის საერთო სათქმეს.

რ. ესაძე „ნეილონის ნაძვის ხეში“ მოგვითხრობს ადამიანთა გულგრილობის, დაუდევრობის, ურთიერთობის შესახებ. მისი კველა გმრია თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. რეჟისორი და ოპერატორი, სწორედ მათ მიეროსამყაროს გვთავაზობენ: მოუწესრიგებელს, კონფლიქტებით და სიცრუით საგესეს, რომლითაც ერთმანეთის გატანა არ შეიძლოდა.

ବ୍ୟାକ୍ ପରିଚୟ ଓ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପରିମାଣ

მდგომარეობას, ადამიანების ბუნებას  
თან კონტრასტში გვიჩვენებს. სწოროფერო  
ადამიანების დაუდევრობით, გულო-  
ლობის შედეგად მივიღეთ ის მწირი,  
მოხრიოკებული ჰეიზაუ, რომელშიც  
შესვენების ქამს მოხვდებიან ფილმის  
გმირები. ფილმში მოხდა მწირი ჲეი-  
ზაუსა და ადამიანთა ცარიელი სულე-  
ბის ერთგვარი გაიგინდა.

აღსანიშვავია ის, რომ ფილმის გადა-  
ლება მიმდინარეობდა გაზაფხულზე,  
სწორედ ოპერატორის სტატობის მე-  
შევიპით შეიქმნა ფილმში ასოლუტუ-  
რი შეგრძნება სივრცისა, წინა საახალ-  
წლო დღეების სუსტისა. ეფექტის შექ-  
მნისთვის ოპერატორი იყენებს ნაცრის-  
ფერ ფერებს. შუქჩრდილის კონტრას-  
ტულობით იგი იწევებს ზამთრის ასო-  
ციას. მოუხდევად იმისა, რომ მოქმე-  
დება ხდება პავილიონში, კამერა თით-  
ქმის ყოველთვის მოძრაობს, ის ერთ-  
გვარი მგზავრია ამ ავტომატუსისა. ერთ-  
ერთ კადრში კამერა ვითომ შემთხვევით  
იქცეს თვით რეაქციონებს. თითქოს იგი  
შემთხვევით მოხდა ამ სამყაროში და  
ალბათ სწორედ ამიტომ მოუწოდებს  
თავის გმირებს დაიცვან უდინაშაულო,  
გაზიარონ ურთიერთსის ტკიდოლო.

ამ ფილმში საკმაოდ კარგად ჩანს პეტროზისა და რევისორის თანააჭ-  
რორობის, თანამშრომლობის მნიშვნე-  
ლობა, როდესაც ორივე ხელოვანის  
შემოქმედება ერწყმის ერთმანეთს და  
ამავე დროს ინდივიდუალურია.

მაგრამ გარევეულწილად „საკუთრ-  
აო კინოში” შეიძლება გამოვყო ე. წ.  
განშტოება, რომელსაც შეიძლება უ-  
წოდოთ, „ერთპიროვნული” კინო, სადაც  
იგულისხმება რეჟისორის, ოპერატო-  
რის, მხატვრის ერთობლივი ნაშრომი,  
როდესაც ისინი კვლავ გვევლინებიან  
თანამოაზროვნებად, მაგრამ რეჟისო-  
რის ინდივიდუალობა, გარემოს მიმართ  
უფრო მწვავედ, მკეთრად შეიგრძნო-  
ბა ფილმის შექმნის დროს. ამ ტიპის  
„საკუთრო“ ანუ „ერთპიროვნულ“  
კინოს შეიძლება მივაკუთვნოთ ა. იმ-  
სელიანის შექმნითა ბა.



ბის ნახვის დროს, ყოველთვის წარმო-იშვება ის შეგრძნება, რომ ფილმი შექ-მნილია უნებლივ კადრებით, თითქოს-და შემთხვევით აწყდება კატერა ქუჩა-ში მოსიარულე დამაინათა გვერდით ფილმის გმირებს, შემთხვევით აღეჭ-დავს მნიშვნელოვარ ღატალებს. მისი ფილმებისთვის თითქმის ყოველთვის დამახსიათებლია ის შესავალი, კონ-ტრასტული გარემო, რომელზეც შემდ-კომ მოგვითხრობენ. ეს შეიძლება იყოს წმინდა დოკუმენტური კადრები, მაგალითად „გიორგობისთვიდან“, სა-დაც დასაჭყისში ნაჩვენებია მთელი პროცესი ღვინის დაწურვის ართული ტექნოლოგიისა და შემდგომ უკვე მთე-ლი ფილმი არის ამ პროცესს გაყალ-ბების მომენტი, ან ფილმში „იყო შაშ-ვი მგალობელი“, სადაც უკვე ოპერა-ტორის მეშვეობით რეჟისორი გვაუწ-ყებს პირვენების პირველადობას, მის შერწყმას ბუნებასთან, როდესაც გვიჩ-ვენებს მთავარ გმირს, გია ალაძეს ბუნების წილში. გმირი ზევილიან გადაპ-ყურებს ქალაქს, ამ დროს ის ბუნების სიმშვენიერეს შეიგრძნობა, ტექნება ჩიტების გალობრ კამერა სცე-ნას ქვევილიან გადაიღებით აფიქსირებს, რაც იწვევს გმირის ოპტიკურად გაღი-დების აფექტს. ეს ექსპოზიცია კონ-ტრასტულია იმ ისტორიასთან, რომელ-საც რეჟისორი შემდგომ გვიყვება და სადაც მთავარი გმირი ფაქტურად უაზრობ, უმიზნოდ ცხოვრობს და ქრე-ბა, რეჟისორი და ოპერატორი გვთა-ვარობენ რეალობის აბსოლუტურ შეგ-რძნებას. თითქმის ყოველი მისი ფილ-მი, ეუ არ ჩავთვლით ფილმს, „მთვა-რის ფავორიტები“, შექმნილია ქრინი-კალურ სტილში, რომელიც დამახსია-თებელია რეჟისორისათვის. სწორედ ამ სტილის გამოყენება თითქმის უხილვეს ხდის ოპერატორისა და მთავრის ხე-ლოვნებას, სწორედ ეს სტილი აძლევს ფილმს ქრინიის ელფერს. მასში შეიგ-რძნობა ის კოლორიტი, რომელიც დამა-ხსიათებელი იყო 60-იანი წლების თბი-ლისისათვის. ერთი შეხედვით ოპერატო-რისა და მთავრის მუშაობა ფილმში შე-

უმჩნეველია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფილმის შექმნის პროცესში, მთავრი გვთავაზობს. ბეჭრის მთემელია ის გარემო, რომელსაც რე-ჟისორი გვთავაზობს. აქ ყოველ ღე-ტალს, ნიუანსს აქვს მნიშვნელობა, რაგან ისინი შეტყველებენ გმირის, გარემოს თავისი ბურებაზე. უნდა აღი-ითოს, ისიც, რომ იოსელიანის ფილ-მებში, თუნდაც „შაშვი მგალობელში“, შეუძლებელია აღმოვაჩინოთ მსახიობ-ის ახლო ხედი. კინოს იმ ერთ-ერთ ხერხს რეჟისორი თითქმის არ იყენებს, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია არა თვითონ გმირის შინაგანი, სულიერი ცვლილებები, არამედ მთლიანი აღმია-ნი, მისი არსებობა გარკვეულ გარემო-ში.

„ერთპიროვნულ“ კინემატოგრაფის შეიძლება მიეგაუთვნოთ ს. ფარაჯა-ნოვის ფილმები. ეს ის შემთხვევაა, როდესაც რეჟისორი გვევლინება მხა-ტურად. მისთვის მნიშვნელოვანია ფერ-თა გამა, კომპოზიციური წყობა. ფერი მის ხელოვნებაში ერთგვარი სიმბო-ლოა, აზრის მატარებელია, სწორედ ეს ფერთა გამა ქმნის განუმეორებელ აღ-მოსაელურ კოლორიტს. მისი ხელოვ-ნება გვაგონებს აღმოსავლური სახიი-თი ხელოვნების ნიმუშთა კუბულს, თუმცა, აღბათ, ვერ გამოვრიცხავთ სო-მხური და ქართული მხატვრობის გავ-ლენასც. ს. ფარაჯანოვის კინემატოგ-რაფი შეიძლება მიიღო, გაითავისონ და პირიქით, მაგრამ მისი გამომსახველო-ბითი მხარე უდავოდ განუმეორებელია. იგი გვევლინება ერთგვარ ქადოქრად, რომელსაც შეუძლია ფერთა კონტ-რასტულობით, გარკვეული კომპოზიციური წყობით მოახდინოს საოცარი ეფექტი. მის მიერ შექმნილი კადრები იმდენად თვალწარმტაცია, რომ შეუძ-ლებელია არ აღვაფრთვანოს.

ფარაჯანოვის შემოქმედებაში არა-ერთხელ გხვდებით შესანიშნავ ნატურ-მორტებს. გავიხსენოთ თუნდაც ფილ-მიდან „აშული ქერიბი“ წითელი, თეთ-რი და შავი ბრონეულების ნატურმორ-ტების მონაცემებია — სადაც ენაც-ცლება ერთმანეთს რეჟისორის მიერ

ნატურმორტის საშუალებით შემოთვაზებული სისპერტაკე, სევდა, სიხარული და მრავალი სხვა მომზიბლავი ნატურმორტები, რომლებიც მაყურებელს აიძულებენ დატებეს მათი მშვენიერებით.

არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ს. ფარავანოვის ფილმები წარმოადგენენ მნატურობის ერთგვარ ილუსტრირებას. ისინი საქმიანდ მოძრავი დინამიური რიტმის მატარებელნი არიან. დიდ მნიშვნელობა ენიჭება, შიდაცადრულ მონტაჟს, დერალის გამოყოფას. ს. ფარავანოვის გამომსახველობითი მხარე საქმიანდ საინტერესო და განუმეორებელია და იგი სწორედ ჩეკისორის ინდივიდუალობის, მისი სტილის მატარებელია.

ოპერატორისა და რეჟისორის მციდრო კავშირის შედეგად შეიქმნა ბერგმანის, ანტონიონის, ვისკონტის და სხვა უდიდეს სასტატთა თვითმყობადი ხელოვნება. სწორედ ოპერატორის პროფესიონალიზმის მეშვეობით შეგვიძლია მოვიცნოთ მათი ხელშერა.

განუმეორებელია ბერგმანის ფილმებში მკეთრი განათების, რია ფერების გამოყენება. მათ სიმსუბუქესა და სიკაშებში შეიგრძნობა რაღაც აფორიაჟების, კატასტროფის ატმოსფერო. ბერგმანის შემოქმედებაში ქვეთონი დღის სინათლე განსხვავებული აზრის, შინაარსის მატარებელია. მისი ფილმების გამომსახველობითი მხარე საოცრად მეტყველია. პლასტიური გადაწყვეტის ერთიანობაში დღიდი მნიშვნელობა ენიჭება ოპერატორ ს. ნოუკვისტის შემოქმედებას.

მაგრამ არის მომენტი, როდესაც ოპერატორებში წარმოიშევა სურვილი საკუთარი ძალებით შექმნან ფილმი, ისაუბრონ იმ პრობლემებზე, რომელიც მისთვისაა მნიშვნელოვანი. ეს ერთის მხრივ შეიძლება იყოს გამოწვეული თვით ოპერატორისა და რეჟისორის პროფესიათა მონათესავე ხასიათის გამო, როცა ოპერატორი გრძნობს თვითი პროფესიის შესაძლებლობების მიმართ რაღაც გარკვეულ დაუქმაყოფილებლობას. ამ დროს ოპერატორის პროფესი-

ის გამოყენებით და რეჟისორის ტარობის მეშვეობით იგი კონსტანტური გამომატოს თვითი შესაძლებლობები, მოახდინს სინამდვილის პიროვნულ აღმის ოვალიზაცია.

ქართულ კინში ასებობს ასეთი მაგალითები: შეიძლება გავისხვენოთ თუნდაც ა. იუნგიაშვილის შემოქმედება, რომელმაც თვითი მოღვაწეობა დაიწყო როგორც ოპერატორმა და მისი პირველი ოპერატორული ნაშრომი გახლავთ გ. შენგალიას ფილმი „ალავერდობა“.

„ალავერდობა“ იყო ერთგვარი მოვლენა ქართულ კინემატოგრაფში. ამ ფილმში შეერწყა ერთი თაობის სამი თვითმყობადი შემოქმედი. თითქოს ამ ფილმის მეშვეობით ითქვა ამ თაობის სათქმელი, მათი შეხედულებები. გ. შენგალიას მიერ გ. ჩჩეულიშვილის ნაწარმოების მიხედვით შექმნილ ფილმში არანაკლებ მნიშვნელობა მიენიჭა კამერის როლს, ალ. ჩეხვაშვილის შემოქმედებას.

ალავერდობის დღესასწაულზე შექრებილ ხალხს, მათ ღრეობას აუჯანცდება ფილმის გმირი. იგი ეწინააღმდეგება იმ ყოფას, სახეცვლილ ტრადიციებს, რომლებიც გამოსვიდის ადამიანთა ქცევაში, მათ ყოფაში. ის უმხედრდება მათ პროტესტს გამოთვამს. მაგრამ მხოლოდ წამერად, რადგან რაღაც მომენტში სეთივე სიმწვავით შეიგრძნობს ამ ხალხის სიღიადეს, მათ უნარს შექმნას მშვენიერება, მათ სულში ჩაბარებული წინაპრების სასიცოცხლო ძალას.

ფილმის ბოლოს ალავერდის ძლიერ, ზევად ტანზე, მოჩანს მთავარი გმირი მისი კონტრასტულობა თეთრ ფერთან შედარებით საქმიანდ თვალშისაცემია. ქვევიდან გადაღებული ეს კადრი უფრო მეტ სიღიადეს მატებს „ალავერდის“ უძველეს ძეგლს და თითქოს იგი გვაუწყებს სწორედ ქართველი ერის ბუნებას, მის ძლიერებასა და სიღიადეს. სწორედ ამ კადრით გამოხატება ის დედაბიზრი ნოველისა, რომელიც ფილმში ჩადებულ იქნა რეჟისორისა და ოპერატორის მიერ.



„ალავერდისბაში“ ყოფელი ქალარი მოძრავი, დინამიურია. იგი თითქოს გადმოგვცემს არა მარტო გმირის სულიერ მდგომარეობას, არამედ ხელოვანის, რეჟისორის პოზიციას, მის ხასიათს. ფილმი შავ-თეთრ ფირჩევ გადაღებული, რაც ხელს უწყობს უფრო რეალისტური ელფერი დაედოს მას. აյ ხშირად კამერა გვევლინება გმირის მაგიერს. ის დაძრწის, დაეძებს ადამიანთა სახეებს, ქმნის შესაიშანავ, მრავლის მთქმელ ჯგუფურ პორტრეტებს, პეიზაჟებს.

„ალავერდისა“ და რამდენიმე სხვა ნაწარმოების შემდგომ ა. რენვიაშვილი მოგველინა რეესისრიდ თავისივე ფილმებში „XIX საუკუნის ქართული ქრისტიანია“, „გზა შინისაკენ“, „საფეხური“ წინა პლანზე წამოიწევს გაძმისახულება. ისეთი გამომსახველობითი საშუალებები, როგორიცაა, პეიზაჟი, პორტრეტი, დეტალი გვევლინება არა დამატებით, არამედ შემავსებელ ნაწლავ გმირის ხასიათს, ყოფის მაუწყებლად. ისინი მოძრაობენ, მოქმედებენ გმირებთან ერთად, მოვითხოობენ მათზე. რადგან ერთი შეხედვით მათი ურთიერთობები ზედაპირულია. ა. რენვიაშვილი თითქოსდა გადატვირთული ინტერიერებით ავსებს გმირთა სამყაროს, ალბათ სწორედ ოპერატორის პროფესიამ განაპირობა მის შემოქმედებაში გამომსახველობითი გადაწყვეტის პირებს პლანზე გაღმოსავალითა.

ხშირად კინებატოგრაფში მნიშვნელოვანი როლი, უფრო სწორედ, ძირითადი დატვირთვა ოპერატორის ნამუშევრას აწვება. ქართულ კინოში არა ერთხელ შეეხებორივართ ნამუშევრებს, რომლებშიც აშკარად გამოკრთის ოპერატორის განსაკუთრებული ორიგინალური ხელვის უპირატესობა.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენ ლ. ლოლობერძის ფილმი „ერთი ცის ქვეშ“, რომლის ოპერატორიც გამოივართ ლ. პაატაშვილი. ამ ფილმიდან მინდა მოვიყენ ეპიზოდი, რომელმაც სტერი კამერი ყურადღება მიიქცა.

თავადის ქალი მაია ზღვას ურთდება. რეალურ ეტანევება სიცოცხლეს. მისი

ერთადერთი იმედი ზღვის ტალღებში გაქრება. ლ. პაატაშვილი თავის გმირს კამერით უკან მიჰყვება, რაღაც მომენტში ტრიალდება და ჩვენ თვალწინებედათ ამოტრიალებულ ზღვას, რომელიც დაღუშული სიცოცხლის, იმედების, ქვეყნის ამოტრიალების, ყოველი საზღვრის წაშლის ერთგვარ სიმბოლოდ გვევლინება. კამერა ამ დროს გვაწვდის საოცრად დაძაბულ, დინამიურ მომენტს, როდესაც ვგრძნობთ მთელ სიმწვავეს ქვეყნის ამოტრიალებისას და ამავე დროს გადმოგვცემს მცირე ნოველის დედააზრს.

კაშერის გამოყენების ასეთი მაგალითი ჭირბად არსებობს ქართულ კინოში და საერთოდ კინემატოგრაფში. მაგალითად შეიძლება მოვიყენოთ ს. ფარაჯანვის ფილმ „სურამის ციხეში“ გამოყენებული კამერის მოძრაობა, რომელიც ფილმის ბოლო ეპიზოდში გვთავაზობს ციხის ნგრევის ეფექტს. გვაუწყებს რა სამყაროს პროტესტს ადამიანური გრძნობების მიმართ. პერატური ამ ეფექტს კამერის სწრაფი მოძრაობით, რეალურ აღწევას.

საერთოდ უნდა აღინიშვნოს, რომ კინ-კაბერის მოძრაობამ გაათავისულდა, უფრო მოძრავი გახადა კინონა. ეს პროცესი შეეხმ გამომსახველობითი საშუალებების თითქმის ყველა დარღვ. რა თქმა უნდა, იგულისხმება კომპოზიციის მევეტრი ცვლილებებიც. სტარტური კომპოზიციიდან წარმოიშვა უფრო რომ რომ სტრუქტურის მქონე კომპოზიცია, რომელსაც უწოდებენ ნახევრად კოდკომპოზიციას. მონტაჟი ამ შემთხვევაში იგულისხმება თვით გადაღების პროცესში. სწორედ მან დაუბრუნა კინის დინამიური მონტაჟის საშუალებები. მიგალითად შეიძლება მოვიყენოთ მ. კალატოზიშვილის ფილმი „მიტრინივენ წეროები“ აյ ნახევრადკომპოზიციური კადრებით იქმნება ერთ-ერთი სცენა. ეს გახლავთ ომში გამგზავრების სცენა, სადაც გარდა ნახევრადკომპოზიციური კადრების გამოყენებისა, დიდი როლი აკისრია კამერის მოძრაობას. კამერის სწრაფი გადადგილებით, სხვადასხვა რაციონების მთებნით ჩვენ

ველებთ საკმაოდ დინამიურ კიდრს, რომელიც გამოხატავს როგორც გმირის აფრიკაქებულ, სულიერ განწყობას, სუვე ქვეყნის მდგომარეობას. ეს სცენა 60-იან წლებში ერთგვარი გადატრიალება იყო კინოს გამომსახველობითი ხერხების მხრივ და, შეიძლება ითქვას, ურუსევგასის, ფილმის ოპერატორის მიერ გამოყენებულ კამერის მოძრაობის ამ ხერხს ბევრი მიმღევარი გაუჩინდა.

მაგრამ მაგალით ფილმიდან „ერთი ცის ქვეშ“ იმიტომ მოვიყვანე, რომ ფილმის ნახვის შემდგომ გონიერის თვალით გადახედილ ლანა ლოლობერიძის ვერცერთ ფილმში ვერ აღმოვაჩინე მსგავსი კიდრები, რომელიც ამგვარი საშუალებით მოგვცემდა ნაწარმოების საკმაოდ მნიშვნელოვან და შეიძლება ითქვას ძირითად აზრს. სწორედ ამ დროს. საოცრად ნათელი გახდა ოპერატორის მიერ გადალებული კიდრის ზნიშვნელობა.

„თავადის ქალი მაია“ ლ. ქიაჩელის მოთხოვნის ეკრანიზაციაა. ასანიშნავია ის, რომ ფილმში ძირითადი ქიაჩელის სული აზრის გადმოცემა სწორედ ოპერატორმა მოახერხა. მისი შეშვეობით, მისი კამერით მოხდა დაახლოევება მწერლის აზრთან, ჟელწერასთან, რაც ჩერებორმა ვერ შეძლო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ლოლობერიძის ხელოვნებაში ჩვენ შეგხვდებით სამართლებრივი სისტემის დამოუკაველობით საშუალებებს, როგორცაა პორტრეტი.

ჩადგან შევხერთ ეკრანიზაციას, რამდენიმე წლით შევჩერდები მასზე. ეკრანიზაცია იმდენი წნისაა; რამდენიც თვით კინო. წლების ძანძილზე ჩემნაბოდა ეკრანიზაციები უზარვის აუკლი იყო მაყურებლისთვის. მოგო კი უცხო, აუგებო! ამდენიმე საბის ეკრანი! ა. მირველი, როდესაც რეაქციით ცდილობს ნაწარმოების ზესტრი ასლი ჭადაიტანოს ეკრანზე. იგი იღებს ნაწარმოების პრობლემას, გმირთა სახეებს. სუვე თვით გარემოს, სორუსავის, მეორე — როდესაც ჩერებორი ცდილობს არ დაშორდეს ნაწარმოებს, მაგრამ ამავე დროს გვთავაზობს

თვის დამოკიდებულებას, შეხელულებას. როდესაც ჩერებორი იყვნება: ნაწარმოებს თავისი სათქმელის გადმოცემისათვის.

თავით ეკრანიზაციის პრობლემაზე საუბარი, საკმაოდ შორს წაგვიყვანს. ჩემთვის საინტერესოა ის, თუ რა როლი აქისრია ოპერატორს ეკრანიზაციის შექმნაში? რა თქმა უნდა, პირველ რიგში აუცილებელია ოპერატორის მიერ გათვალისწინებულ იქნას ეპოქის ნიშან-თვისებები. მოძებნოს ამ ეპოქის თვის დამახასიათებელი ნიუანსები, კოლორიტი და, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოს ჩერებორის სტილი, მწერლის მიერ მოცემულ პერსონაჟთა ხასიათი. მწერლისა და ჩერებორის მსოფლმხედველობა, ხელწერა, სტილი. თუ ჩერებორს შეუძლია გააკეთოს არჩევანი ზემოთ ხსენებული ორი სახის ეკრანიზაციის შორის, ოპერატორი ვალდებულია ასე თუ ისე, შეძლებისამებრ მონახოს ორივე აკტორისათვის დამახასიათებელი. რაღაც საერთო და მიაღწიოს ამ საერთო ნიშან-თვისებებისა და გამომსახველობით საშუალებათა ერთგვარ სინთეზს.

ეკრანიზაციაა თ. აბულაძის ფილმ „ვედრება“. ის ვაჟა-ფშაველის პოემების კრებულს წარმოადგენს. მასში გაერთიანებულია „სტუმარების პინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“. მისი პოემების ეკრანიზაცია გარკვეულ სინქრონულებით იყო დაკავშირებული და ალბათ სწორედ ამიტომ ავტორებმა თ. აბულაძემ და ანტიპერეკომ შემოგვთავაზეს მკაცრი კომპოზიციური კადრები, თითქმის სტატუსი, რომლებიც უმოადგენონ გარკვეული მომენტის თავისებურ ილუსტრირებას. ამ „სურათთა“ ცვლა ჭმის ფილმში ერთგვარ რომს, რომელსაც შეძლებისამებრ უნდა გამოეხატა ვაჟა-ფშაველი რიტმული წყობა. იმისათვის, რომ მოძეს ამ კადრთა ერთიანობა და შეიქმნას ერთიანი სტრუქტურის მქონე ნაწარმოები, თ. აბულაძე გვთავაზობს, საკმაოდ სუვარულად. ბოროტინა და კეთილის ბრძოლის პროცესს, მათ დაუსრულებელ ჭიდილს, ორთაბრძოლას.



„ველორებაში“ ავტორები, თომოსდა  
გამორიცხავენ კომერის მოძრაობას, აქ  
უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სა-  
განთა განლაგებას ზუსტი. ტრადიცი-  
ული კომპოზიციის მ-ხედვით, მათი  
მეტყველების უნარიანობასა და ამავე  
ღრუს კადრის სისადავეს. „საერთო კა-  
დრებში“ მოცემული ენება თვითონ  
მეტყველებს ფშავებევსურთა მკაცრი  
დათ-წესების, ბუნების, ურთიერთ-  
ბების შესახებ. სწორედ ეს ფონი გვაძ-  
ლებს ბევრად მეტ ინფორმაციას, მეტ  
ემციურ დატვირთვას, ვიზუა დიზტო-  
რის მიერ წაითხული ტექსტი.

ფილმი შავ-თეთრ ცერტშია გადაწყვეტილი, სწორედ ამ ცერთა გამოყენება, ურთიერთშეთანხმება უფრო მკაფიოს ხდის გარემოს. ნათლად გმოხატება უკვე არა ვაჟა-ფშაველას პირველადი იდეა, რომელიც ჩადებულია ამ ორ ნაწარმოებში, არამედ რეჟისორის მიერ წინა პლანზე წამოწეული ბოროტებისა და სიკეთის ბრძოლის იდეა.

“კედლებაში” მკუცრი კომპოზიციის გამოყენებამ ერთგვარ ჩარჩოში მოა-თავსა გამოსახულება. უყურებ ფილმს და იქნება ისეთი შთაბეჭდილება, თა-თქოს ამ კონკრეტული გარემოს გარდა არ არსებობს ჩალური სივრცე. გავიხ-სენოთ ოუნდაც ის კადრი, სადაც ზეი-ადაური შებოჭილი ოვლებე მიუგ-ზიათ, უკან მოჩანან ქისტები. ოპერა-ტური მათ შემდეგნაირად განალაგებს: კადრში კომპოზიციურად წინა პლანზე პლატფორმული ზერადაური, თავისი დიდი, ძლიერი ნაჟვებით და უკან ერთ-ერთ კუთხეში ქისტები, რომლებიც საქმა-ოდ მოშორებული შეპყურებენ მას. ამ დროს ნაჩვენები ქისტა სახეები, პორტრეტთა მონაცემება გვიჩვენებს არა სიზარულს, რომელიც მტრის შეპ-ყრობით უნდა ყოფილიყო გამოწვეუ-ლი. არამედ გაონებძმს.

ზემოთ აღნიშვნე, რომ ს. ფარაგანვის ფილმებიც აღმოსავლური მხატვრობის ერთგვად ილუსტრირებას მოგვაგონებს. მის ფილმებშიც კადრი შექმნილია მეცაცრი კომპოზიციური პრინციპით, მაგრამ „კედლებისა“ და ს. ფარაგანვის უწინდავ „აშეუ შეტიბი“-ს

ეს „ერთგვაროვნება“ განსხვავდება ცალკეული მართვის მიზანის სწორებ იმით, რომ აბულაძის ყოველი მომსახურება კადრში იგრძნობა სივრცის ნაწილი, ჩატარების მოქმედული სივრცის ასებობას და რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ კამერის მოძრაობით დარღვევა გახდებული კომპოზიციული წყობა, ის სილამაზე, რომელიც კადრის სისადაგენერირდა თან, ხოლო ს. ფარავანოვთან კადრირებით—მისი კადრები არ ეტევა ჩატარების იდეალური განვითარების ნაწილია, რომელშიც ცხოვრობდნენ მისი გმირები. რჩება შთაბეჭდილება, რომ კამერის მიერ დაფიქსირებული სივრცის მიღმიღობა არსებობს ისეთივე ზღამრული სამყარო ს. ფარავანოვის. მის ფილმებში აშკარად შეიგრძნობა კინოს განსაკუთრებული უნარი აღმერდოს სივრცე.

უნდა აღინიშნოს, რომ შავ-თეთრი  
ფერის ფერადით შეცვლამ ვერ გან-  
დევნა ეკრანიდან შავ-თეთრი გამოსა-  
ხულება. ალბათ ძნელია შეეღიო მის  
მომზიბლაობას, რადგან სწორედ შავ-  
თეთრ გამოსახულებაში დევს რაღაც  
განუმეორებელი, იდუმალი, ის უფრო  
რეალისტურია, ვიდრე ფერადი კინ.

ძნელი წარმოსადგენია ო. იოსელიანის, მ. კობახიძის ფურადი კინემატოგრაფი. აღბათ შავ-თერზი კინოს მოძინაბლათა შეიძლება ვერებოთ ადამიანის მიერ ფურების აღჭმის ფუნქცია, ჩადგან; როგორც ცნობილია, ჩეცნ ფურებს ალვიქვამთ არა მყვეორად გამოხატულად, არამედ ვაღიავებულს; თითქმის ერთ ტრიალობაში. მყვეორი ფურის წარმოშობამ კინოში მოიტანა კოლორიტის პრობლემა. უკვე უცილებელი განდა თქვერატორის მიერ ბლბეჭდილ კატტრა მიახლოვება იმ მხედველობასთან, იმ აღჭმასთან, რომელიც ახასიათებს ადამიანს.

თუ აქმდე საუბარი გვერნდა იმ  
შემთხვევაზე, როდესაც ხდება ორი  
ხელოვანის ინდივიდუალობის, ოსტა  
ტობის შერწყმა გარკვეული. ერთონი  
სტრუქტურის მქონე ნაწარმოებებში,  
ამჟამად მე მინდა ყურადღება დავუთ-  
მო შემთხვევას, როდესაც ოპერატო-  
რისა და რეაქსიონრის ხელოვნება ერთ-



მანეთს სცილდება და განსხვავებული საშუალებებით, სტილით მოგვითხრობენ ჩა თუ იმ ამბავს.

ჩვენს თვალშინ გათამაშდება მართლაც უგუნური ფარსები, რომლებიც იშვიათი სითავეებითა და მკრეხელობით მოვითხოობს სიცოცხლესა და სიკედილზე, ადამიანსა და სამყაროზე. აეტორი რაღაცნარი აღტაცებული ურცევობით ადარებს თავის საკუთარ ოჯახს, არც მეტი, არც ნაკლები, წმინდა აჯახს. მისი სათავეანებელი მეუღლე ღვთისშობლის როლს ასრულებს, თვით მხატვარი კი — ქრისტე მაცხოვარისას. სახელი „სალვადორი“, ესე იგი „მაცხოვარი“ სწორედ რომ ზედგამოკრილია ამ მკრეცელურ მისტერიაში.

ვიოომ მართალი არიან ის კრიტიკ-სები, რომლებიც ამბობდნენ, რომ დალიმ გაუგებრობა აირჩია, როგორც განსაკუთრებული და თავისებური საჭუალება, თავის თავზე რაც შეიძლება ხშირად, რაც შეიძლება ხმამაღლა და ყოფილი მოურიდებლად ელგაბარიკო?

როგორც არ უნდა იყოს. მხატვარის

წიგნი — დღიური წარმოადგენს ფასტა-  
ულებრივ წყაროს სიურეალიზმის ფსი-  
ქლოგის, შემოქმედებით მეთოდისა  
და თვით პრინციპების შესასწავლად.  
მართალია, ის განსაკუთრებული, სახე-  
ლდობრ დალისგან განუყოფელი და  
ამ განწყობილების ფრიად სპეციფიკუ-  
რი გარიანტია, მაგრამ მის მაგალითზე  
კარგად ჩანს მთელი „სკოლის“ საფუძ-  
ვლები.

სიზმარი და ცხადი, ბოლგა და სინამ-  
დევილე ერთმანეთშია ორეული და ერ-  
თმანეთისგან განურჩეველია, ასე რომ,  
გაუგებარია სად შეერწყნენ ისინი ერთ-  
მანეთს და სად იყვნენ ერთმანეთთან  
მარჯვედ დაკავშირებული, დალი გატა-  
ცებით ჰყება თავის უწარუობებსა  
და „ბზიკებზე“, — მაგალითად, თავის  
აუსნელ ლტოლვას ისეთი მოულონე-  
ლი საგნისენ, როგორიცაა სპილოს თა-  
ვის ქალა, „ილიურის“ თუ დაფუჭრებთ,  
ის ოცნებობდა ზღვის ნაპირი კატალ-  
ნიაში თავისი რეზიდენციის ახლოს მო-  
ეფინა, საგანგებოდ ამ მიზნით ტრიპიკ-  
ული ქვეყნებიდან გამოშერილი უამრ-  
ავი სპილოს თავის ქილით. თუ მას მარ-  
თლაც ასეთი განზარავა ჰქონდა, მშინ  
აშკარაა, რომ სურდა რეალური სამყა-  
როს მონაკვეთი თავისი სიურეალისტუ-  
რი სურათისთვის დაემსგავსებინა.

აქ არ ეგების გაუბრალოებული კომ-  
ინტარით დამაყოფილება, განდიდების  
მანიმდე დაყვანა იმ აზრისა, რომ სამ-  
ყაროს ერთი პატარი კუთხე თავისი პა-  
რანოდალური იდეალის მსგავს სივრც-  
ედ გადაექცია. ეს მხოლოდ პირადი მა-  
ნის სუბლიმაცია არ ყოფილა. ამის  
უკან დგას ერთ-ერთი ძირითადი პრინ-  
ციპი სიურეალიზმისა, რომელიც სუ-  
ლაც არ ამირებდა შემოფარგვლის სუ-  
რათებით, წიგნებითა და კულტურის  
სხვა ნაყოფით, არამედ უფრო მეტზე  
— ცხოვრების შექმნაზე — აცხადებდა  
პრეტენზიას.

იგულისხმება, რომ გენიოსთა შორის  
უგრიალურესი, კაცობრიობის მხსნე-  
ლი — მაცხოვარი და ახალი სამყაროს  
— უწინდელზე გაცილებით უკეთესის  
— შემოქმედი ვალდებული არაა დაუ-  
მორჩილოს უველა სხვა ადამიანისთვის

სავალდებულო ჩვევებსა და წერტილის  
სალვადორ დალის ეს წუთითაც უძრავია მათთვე  
წყლება და თავის გამსაკუთრებულობას.  
ფრიად თავისებური ხერხით შეგვახსე-  
ნებს. წარმარა ჰყება იმაზე, რაზეც  
„მიღებული არა“ საუბარი სირცვი-  
ლის გამო აკრძალულობის მიზეზით  
ის, იმაში დარწმუნებული, რომ უკელა  
აკრძალვა და ქვევის შემავავებელი ნო-  
რამა საშიში და პაორეგნური რმაა; კე-  
შმარიტი ფრიოდისტის თვეგმოდებით  
არღვევს მკითხველთან ურთიერთობათ  
„ერიყეტს“. ეს გამოიხატება დაურე-  
ბელი საუბრებით იმაზე, თუ როგორ  
როლს თამაშობს ესა თუ ის ხორციელი  
საწყისები მის ცხოვრებაში.

„დღიურში“ ჩართულია საუბარი  
იმაზე, თუ როგორ იხატავდა დალ  
რომელიც ქალის გაშიშვლებულ დუ-  
ნდულებს ერთ მაღალ საზოგადოებაში,  
სადაც იმ ქალთან ერთად სტუმრიად  
იყო მიწვეული, მაგრამ არ შეიძლება ამ  
მონაკონლი წრეგადასულობა ბოქაჩის  
ან რაბლეს სიცოცხლისმოყალიბი ერო-  
ტიკის რენესანსულ ტრადიციებს დაუ-  
კავშირდეს. ცხოვრება, ორგანული ბუ-  
ნება და ადამიანის სხეული დალის თვა-  
ლში სულაც არა პგავს ყოფის ბედნი-  
ერი და მოზეიმე სისაცის ატრიბუტს:  
ისინი ასტებითად უფრო რაღაც საო-  
ცარი, შემზარავი პალუცინაცებია; რო-  
მლებიც, სხვათა შორის, მხატვაოსს შე-  
მთ ან ზიტლით კი არა, არმედ აუსნე-  
ლი, დაურკებელი ალტაცებით, თვა-  
სებური მისტიკური ექსტაზით მსვალა-  
ვენ.

დალის დღიურ-ჩანაწერებს მუდმივ  
თანასდევს მისი ორგანიზმის ფიზიო-  
ლოგიურ ფუნქციათა დამმოწმებელი. ანუ  
იმის დამადასტურებელი რეფრენი,  
რასაც მედიცინის ენზე დიგესტია, დე-  
ფეკცია, მეტეორიზმი და ერექცია  
ჰქვია. და ესენი არა უბრალოდ უსაჭ-  
ციელობები, რომელთაგან შესძლებე-  
ლია აბსტრაქტორება. ის თავის წმიდა ში-  
გნებულსა და სხეულის ქვედა ნაწილზეც  
ისეთივე ამაღლებულ ნორაზე ორატო-  
რობს, როგორც მცველეობურებებს სა-  
მყაროს საიდუმლოებებსა ან კათოლი-  
კური ეკლესის პოსტულატებზე.

„დღიურიდან“, ისევე როგორც და-  
ლის სურათიდან, ერთი დეტალის ამზ-  
დებაც კი შეუძლებელია.

რატომ იქცევა უწესოდ, რატომ უხა-  
მსობს ეს *terrible?* რასთ-  
ვეს აეფთობს მას — ნუთუ მხოლოდ  
იძისთვის, რომ მყითხეველი გაღინი-  
ნებით და გაბაზებით ისიძოგხნოს?


დალი, იყო რა ფრინიდი ბეჭით და  
ალლანინი მიმდევარი, არც ეჭვიდა.  
რომ სხეულის ცხოვრებაზე დუშმილი,  
ფსიქიკის ინტიმურ სფეროთა ჩაბობა-  
დათრგუნვა ავადყოფობამდე მიღის.  
მან კარგად იცოდა, რომ ამ მხრივ ძალ-  
ზე გულდაკოდილი იყო. თავის ფსიქი-  
კურ ჯანმრთელობაზე ის განსაკუთრე-  
ბულად არ ზრუნავდა — მით უფრო,  
რომ ფრინიზმა მტკიცებს ცეცხების  
— „ჯანმრთელობისა“ და „ავადყოფ-  
ფობის“ ფულებასთანაც მენტალურ  
სფეროში. მაგრამ დალისთვის უაღრე-  
სად მნიშვნელოვანი რომ იყო შემოქ-  
მედებითი სუბლიმაცია ის მტკიცე ხე-  
ლით წარმართავდა თავის ქვეცნბიერ  
იმპულსებს შემოქმედების კალაპოტის-  
კენ და არ აპირებდა ისინი უმიზნიდ

ებობოქრებინა და მით პიროვნების  
მთლიანობა შეერყოს.

ის კი არ განვეიჩიახვის, რომ გავა-  
მართოთ ჩვენი გძირი ან „გამოვესარ-  
ჩლოთ“ მას; ის მას არ სჭიროებს, მა-  
გრამ ის კი გვმართებს, რომ გაუცვით  
საჭირო მისი მოტივები, ივხსიათ მი-  
სი ქცევებისა და მიღრეულებების ძა-  
მოძრავებელი ძალები. მხოლოდ მაშინ  
შეიძლება მათ შეფასება მოცულ

ყველაფერი იმას ადასტურებს, რომ  
დალის „ურცხვო“ გულლიობა ფსიქო-  
თერაპიის ფორმაა. ეს კი იმისთვისაა  
საჭირო, რომ სასურველ მდგომარეო-  
ბაში შეინარჩუნოს თავისი შემოქმედე-  
ბითი „მე“ (ოღონდ, არა „ეგოს“, არა  
მედ უფრო — „იღის“ აზრით). მასთან  
მოსაუბრენი, ინტერვიურები და შე-  
თველები ნებით თუ უნებლივთ ფსი-  
ქოთერაპევტთა ფუნქციებს ასრულე-  
ბენ, ის თავისუფლდება ნებისმიერი  
თვეშეკავებისაგან, როცა ჩვენს თვალ-  
შინ აღმსარებლობს, — სწორედ იმის-  
თვის აღმსარებლობს, რომ ფანტაზიათა  
და პალუცინაციათა მხერვალები ყო-  
ვალგვარი დაბრკოლებების გარეშე გა-

6. დალი მოკონებით ლენინზე





ლოვდეს და წარმოსახავდეს ახალ და ახალ სურათებს, ნახატებს, გამცელებებს, ილუსტრაციებს, წიგნებს და სხვა ცელაფერს, რასაც ის ხაბად ჰქმიდა. ამგარად, მან გააკეთა რადიკალური პრიეტიული დასკვნები XX საუკუნის ფიქოლოგიური კონცეფციებიდან და ისინი სიურალისტური შემოქმედებითი მოღვაწეობის სამსახურში ჩაყენა.

მაგრამ ცელაფერი ეს ჯერჯერობით შეეხება მხატვრის ყოფის შეიცავა პრივატულ სფეროებს (სიტყვას მოჰყვა და, მისთვის ეს განსაკუთრებული აზრის შემცველი რამ იყო). თუმცა დალის ძრითადი პიროვნული მიზანდასახულობა — ირაციონალურ სიურეალისტურ სახეთა ნაკადის ინტენსიფიცირება — ასევე მკვეთრად და გადაჭრით ვლინდება სხვა სფეროებშიც. მაგალითად, პოლიტიკურ სფეროში.

1930-იან წლებში სალვადორ დალიმ არაერთხელ გამოსახა თავის სურათებში ლენინ და, მხოლოდ ერთხელ აღმეჭდა პიტლერი. სურათში „ვილჰელმ ტელის გამოცანა“ ლენინი წარმოჩნდება უაღრესად უცნაური სახით, — როგორც პერსონული ბოდვით ხილვისა. პიტლერი სურათში „პიტლერის გამოცანა“ ფიგურირებს როგორც დაგლეჭილი და გამოხილ-გაზინთული ფორმგრაფია, რომელიც რატომდაც უშველებელ თევზშე აგდია, საზიზღარი მწერის მსგავსი გიგანტური ურჩხულის-მაგვარი ტელეფონის ყურმილის ჩრდილში. დალი მრავალი წლის შემდგომ (უკვე მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ), როცა თავის „დოიურში“ ამ ნაწარმოებებს იხსენებს, აცხადებს, რომ ის პოლიტიკოსი არა და პოლიტიკის გარეთ დგას. ჩვეულებრივ, ამ დევლარაციას არ ერწმუნებიან: როგორ შეეძლო მას თავის პოლიტიკურობაზე ელაპარაკნა, როცა ასე გამომწვევად ეხებოდა XX საუკუნის პოლიტიკური ცხოვრების ცელაზე მწვავე ასპექტებს?

და მანც მე მიმაჩნია, რომ მხატვრის სიტყვებს ამ შემთხვევაში ანგარი-

ში უნდა გავუწიოთ, მაგრამ არასამისამა სთვის, რომ ისინი ვირწმუნოთ, რამდენიმე იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ ჩავუდიქტდეთ ამ ნაწარმოებთა შექმნის შინაურ მოტივებს.

ისე, ლენინთან თავის დამკიდებულებაზე (ანუ, აქედან გამომდინარე, ამ სახელთან დაკავშირებული იდეების ფასეულობებისა და ფაქტების მთელ კომპლექსთან დამკიდებულებაზე) მხატვარი „დოიურში“ ღუმს და ჩვენ გვთავაზობს მისი ამოხსნის თავისუფლებას. რაც შეეხება პიტლერს, მასთან დაკავშირებით ითქმის ერთი ყველაზე უფრო გამომწვევი და „ველური“ პასაუი იმ პასაუთაგან, რომლებიც კი როდისმე უფრეამს სალვადორ დალის ზეპირად ან დაუშერია. ის წერს, რომ მის აღქმაში პიტლერი ქალურობის იდეალი იყო! ირკვევა, რომ პიტლერთან დალის დამკიდებულება ეროტიკული ხასიათისა იყო: მხატვარი აგზნებით გვიყვება, თუ როგორ ხორციელად იყო იგი შეყვარებული ფიურერში.

ომის შემდეგ დალიმ რამდენჯერმე მისცა თავს უფლება გამოექვეყნებინა თავისი შეხედულებები მთავარ ფაშისტებე. უკველი შემთხვევაში ეს შეხედულებები ასევე წარმოუდგენელი რამ იყო და აბნევდა მემარტენებსაც და მემარქენებსაც. ავადმყოფ, პათოლოგიურ სუბიექტად დალის შერაცხვა მართებული არ იქნებოდა, რადგან ის სამისოდ მეტისმეტად გონიერი, ცრაქტიკული და მიზანდასახული პიროვნება იყო. ნუთუ ის თამაშობდა და ტაკიმასარობდა? განა ეს საშინელება არაა? თუმცა, თუ ის ნამდვილად ასე აღიკვედდა „პიტლერის ხორცს“, ეს, შესაძლოა, კიდევ უფრო შეტარავი მაბავია.

სიურეალიზმისთვის, იმ სახით, როგორც მას აღიარებდა დალი, არ არსებობს არც პოლიტიკა, არც ინტიმური ცხოვრება, არც ესთეტიკა, არც ისტორია, არც ტექნიკა და არც სხვა რამ. არსებობს მხოლოდ სიურეალისტური ხელოვნება, რომელიც რაღაც სიახლედ აქცევს ცელაფერს, რასაც კი შეეხება. დალი ეხებოდა უკლებლივ ცელა-


ფერს, რაც მისი დროის ადამიანისთვის არსებოთი იყო. მის სურათებსა და აღსარებებში გვერდი არა აქვს ავლილი ისეთ თემებს, როგორიცაა სექსუალური ჩევოლურია და სამოქალაქო ომები, ატომური ბომბი და ნაციზმი, კათოლიკური ჩრდენა და მეცნიერება, მუსუმების კლასიკური ხელოვნება და კურაჟის მომზადებაც კ. და თორმელი ყველაფერ ამაზე ის რაღაც წარმოულ გენერაციას მოიწოდება კულტურულ მოაზროვნე ადამიანის შემაცტუნებელ მოსაზრებებს გამოთქვამდა.

მას, ალბათ, სწორედ ეს უნდოდა: საღ აზრს დასტაცებოდა, ბრძოლაში ბამოეჭვია გონება და მორალი. ეს კ' არამც და არამც არ იყო მხოლოდ მისი პირადი საქმე, ეს იყო სიურეალიზმის მთავარი მიზანი.

ომის შემდეგ დალი უწინდელივის საფრანგეთში ან აშშ-ში კი არ ცხოვანის მუდმივად, არამედ ესპანეთში. ის მგზნებარედ ეფულება ერთგულებას კათოლიკზმა და მონარქიას, რომელიც, როგორც ეს დიდი ხანია არის მიჩნეული, ესპანეთისგან განუყოფელია. ის ხატავს ეფექტურ, თუმცა კი ოდნავ ციუ „რელიგიურ“ სურათებს, ესე იგი სახარების კანონიერ სიუზეტებს ხედის სიურეალისტურ ხერხებს უსადაგებს. ის სურათებს ხატავს ფრანგის ოჯახის შეკრებისთვის, აქედან შეგვიძლია ის დასკვნა გავაყეთოთ, რომ მან თავისი პოლიტიკა აირჩია, განდა „რეაქციონერი“ და მხოლოდ თვალმაჯუბობდა, როცა თავის აპოლიტიკურობაზე ლაპარაკობდა? მაგვარად, ის კონფორმისტია?

მა საკითხში რამდენიმე მაინც გასარევედ საჭიროა ზოგი რამ ვიცოდეთ ესპანერ სპეციფიკასა და იმდროინდელი ესპანეთის ვითარებაზე.

დალის მონარქიისტული მანიფესტები ფრანგის სასტკი ვეტორიტურული დოქტრინის ეპოქაში ქვეყნის პოლიტიკური რეებისთვის ქარაგმული და გასლიანი შეხსენება იყო „კანონიერი ხელისუფლების“ ასებობისა, იმისა, რომ არსებობდა ტახტის კანონიერი მექვიდრე — ხუან კარლოსი. ფრანგის მშის-



6. დალი

ფერმც

შულის პორტრეტში დალიმ სხვა რამე კი არ გამოსახა, არამედ ესკორიალი — ჰაბსბურგების ჩარიდენცია — და სცენა ველასკესის სურათიდან „ბრედის ჩაბარება“, რომელშიც აბეჭდილია ესპანერი მონარქიის ერთ-ერთი ტრიუმფი. მეტიც, ველასკესის ეს სურათი ხომ კონფლიქტის მშევრიბინ გადაწყვეტას მიეძღვნა, იქ ხომ დამარცხებულთა მიმართ სულგრძელობა და მონარქიის მხედართმთავართა რაინდული კეთილშებილებაა ხაზგასმული. როგორ შეიძლებოდა მისი გაგება დამარცხებული რესპუბლიკების წინააღმდეგ ხინგრძლივი რეპრესიების წლებში? მხატვრის ყველა ეს სიმბოლური ექსტრ „დიადი, სულგრძელი, კანონიერი“ მონარქიის მხარდასაჭერად არაზრივნად გაძოხატული პოზიცია მაიც იყო იმ პირობებში, როცა ძალაუფლების უზურიბაციის პრობლემა აღლვვებდა არა მარტო ესპანელებს, არამედ იმ გარე სამყაროსაც.

რომელიც პრინციპში ფრინჯოს არ ეწინააღმდეგობდა.

კათოლიკურ მიდრეკილებებს ჩატვებებამ, აქცია რაღაც უცნაური, დალი ერთდროულად და აღლებს, ურთის მხრივ, ნიცშეანობისა და ფრინიდზების ერთვულებას, მეორეს მხრივ, ვატიკანისას არა არის ეს „აუგუსტუსრყვილობა“ თუ კადნიერება? იმწერებში ვატიკანი გმობდა დალის ორივე „სულიერ მამას“. როგორ შევეტავსოთ ერთმანეთს ევანგელიური მცნებები და „კმიაყოლების პრინციპი“? საუბარი სულაც არა იძახე, რომ დალი ერთს ფიქრობდა, მაგრამ მეორეს ლაპარაკობდა. ან რომ ის „მართლაც“. სულის სიტრმეში, ფრანკოიზმისა და რელიგიის მოწინააღმდეგე იყო. ის მოწინააღმდეგე არ გახლდათ, მაგრამ მოყვარე თუ იყო?

საქმე, როგორც ჩანს, იმაშია, რომ ის ოხმით ტერფამდე სიურეალისტი იყო. სიურეალისტურ სახეებად იქცეოდა ყველაფერი, რასაც ის აკონტდა, მბობდა. წერდა.

ის, უბრალოდ, მონარქისტი კი არა, სიურეალისტური მონარქისტია: სიურეალისტური კათოლიკა ეს კი უბრალოდ

მონარქისტობა და უბრალოდ კათოლიკობა გაიცილება კათოლიკობა სულაც არაა.

ის თვის ცხოვრებას სუვე უყოფანოდ აგებდა სიურეალისტურ მანერაზე, როგორც თვის ქმნილებებსაც. რაც აქ თვის ნების მივცემ ურთის კვერცხს დღოურს“ მოვწყდე და დალის ცხოვრების აღრინდელ პერიოდის ჩამდებრები ეპიზოდი გიამბოო.

დედამისს გარდაიცვალ 1920 წელს, როცა თვითონ 16 წლისა გარლაზონერ-მდგომში ის ხშირად ამბობდა. რომ „ეს მისთვის უძმინდესი ლავკორ იყო, იმიტომ“. რომ დედამისს, მისივე სიტყვებით, „ჩელიგიურად აღმერთებდა“. კაცია რომ თქვას, ეს კასაგებიცაა: აბა, მაცხვარ-ხევაგვარად როგორ შეიძლება მიმიჩნევდეს დედას? დალი მოვვინებით დაწვრილებით აღწერდა იმ მისტიურ ხილვებს, იმ ტრანსცენდენტურ შთაბეჭდილებებს. რომლებიც, მანი სიტყვებით, წარმოუდგებოდნენ და მსკვალევდნენ მას. როცა ის ჯერ კიდევ დედის მუცელში იმყოფებოდა და რომლებმაც გადაუშალეს მას სამყაროს არის და თვით მისი, დალის, დიადე ხვედრი.

1929 წელს პარიზში დალის გამოფე-

ხ. ლალო.

ობის აღა





ნაზე დამთვალიერებულებმა ნახეს მისი სურათი, რომელზეც მხატვრის ხელით იყო გაფერებული წარწერა: „მე ვაფუ- რთხებ დედაშემს“. ეს უსაქციელობა მხატვას ოჯახთან კავშირის გაწყვე- ტად დაუჭიდა: მამამ მას შინ დაბრუნება უკრძალა.

ერთის მხრივ, ეს იყო საკუთარ თავ- ზე მოჩალის უარმყოფელი „ზეადამია- ნის“ ნიკეანური გარეგნობის მორი- გი მოზომება, მეორეს მხრივ, დალი აქ- აც განუხრელად და უჭოკმანოდ ასრუ- ლებდა ფრონდისტულ მოთხოვნებს, რომლებიც სულის ჰიგიენას შეეხებო- და.

1929 წელს დილი უკვე იცნობდა თა- ვის „მუზას“, „გალარინას“, როგორც ის მას ეძახდა. მხატვრის ცნობიერე- ბაში არ შეიძლებოდა არ გაელევებუ- ლიყო ის აზრი, რომ ახლა ის თავისუ- ფალია დედის ხსოვნისან. გაჩნდა ახ- ლი კერძი, რომლის თაყვანისცემამ მხა- ტვრის ცხოვრებაში ძალზე შესამჩნევ ადგილი დაიკავა.

ამ სიტუაციაში ნებისმიერ ადამიანს როგორმაც უნდა გასჩენოდა იმის შე- გრძნება, რომ უკვე აღარაა დედის ხსოვნის ტყვეობაში. ჩაკი ფრონდისტის განაწესს იცავდა, შეუძლებელი იყო იმ გრძნობის გულში ჩამარხვა. ის ამის- გან უნდა გათავისუფლებულიყო, ანუ მისთვის სრული თავისუფლება უნდა მიეცა. ეს კი მეცვეთი, ფორსისტებული ფორმით უნდა გამოეხატა. მხატვარი ასეც მოიქცა, ასე გაიწდა საშინელი ფრაზა მის სურათზე, ასე გაწყვიტა კა- ვშირი მამასთან (და ისევ ზუსტად ფრონდის თანამდალ!). ზნეობრივი თვა- ლსაზრისით ეს იმდენად სერიოზულ, გადაცდომაა, რომ მიტევებას არ იმსა- ხურებს. მაგრამ მასწავლებლის განაწესს საკრთო არაფერი ჰქონდა ზნეობრიო- ბასთან.


ზნეობრიობის თვალსაზრისით ენ უნდა დაიგშოს? ფსიქოანალიზის ფუძე- მდებელი, მისი იმდევასრ მედიკოსე- ბი? თუ პაციენტები, რომლებსაც თა- ვით სულიერ ვაგბათა შემსუბუქება სწყუროდან? თუ უწინარეს ყოვლისა

სალვადორ დალი, ერთი პიროვნება არ გამოიხადა მილიონობით ადამიანიდან, რომლებმაც ფსიქოანალიზის დახმარებას მიმართეს? თუ უნდა დავგმოთ თავად ადამიანის ბუნება, რომელშიც ერთმანეთს ცუდად ეხამებიან ჭამბროელობა. ტალანტი და ზნეობა?

სიურეალისტი სერიოზულად ქმნი- და და ნერგადა თავის სიურეალის- ტურ „მე“-ს სწორედ იმ საშუალებე- ბით, რომლებსაც განსაკუთრებით აფა- სებდა და ეთაყვანებოდა კველი სიუ- რეალისტი. კონკრეტური და ზნეობრივი ადამიანების თვალში სიურეალიზმის ჩადიგალური ფილოსოფია, სავსების სერიოზულად აღმული და უსიტუვოდ მიღებული (ისე, როგორც ეს დალის- თანაა), პროტესტს იწვევს, სიურეა- ლიზმს კი სწორედ ეს სჭირდება.

დალი, ასე თუ ისე, კადნიერიდ, სკან- დალურიად, გესლიანად, პროვოკაციუ- ლად, პარადოქსულად, წინასწარ განუჭ- ვრეტელად ან უპატივცემულოდ მოე- კიდა ყველა იმ თეორის, პრინციპს, ცნებას, ღირებულებას, ადამიანს, რო- მლებთანაც კი ჰქონის საქმე. ეს შეეხე- ბა XX საუკუნის ძირითად პოლიტიკურ ძალებს, თვით მხატვრის ოჯახს, ზრდი- ლობის წესებს, წარსულის მხატვართ, სურათებს, აյ მხოლოდ მხატვრის პირო- ვნებას არ ეხება საქმე. მან სიურეალიზ- მის იდეები გაიზიარა და უკიდურესო- ბადე მიიყვანა. ამ სახით ეს იდეები ნამდვილად იქცა დინამიტად, რომელიც თავის გზაზე უველავერს სპობა, არ- ყევდა ნებისმიერ ჭეშმარიტებას, ნები- სმიერ პრინციპს, თუკი ეს პრინციპი ეუ- რინობრიდა გონების, წესრიგის, რწმენის, სათნოების, ლოგიკის, პარმონის, იდე- ალური სილამაზის საფუძვლებს — უვე- ლავერ იმას, რაც ხელოვების რადი- კალურ ნოვატორთა თვალში და ცხოვ- რებაში იქცა სიცრუისა და უსიცოცხ- ლობის სიმბოლოდ.

პარადოქსული, ფერქებადი და პრო- ვოკაციულია ეთსეტიური ხასიათის სა- კითხებზე დალის განცხადებიც, რო- მლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ და- უკავშირებელ სიბრტყეებს. ეს განც-



ხ. დალი.

წერმის ატარებული ნარჩენი

ჟადებები მომავალი ინებელი განცხადებებია, ისინი აშმაგებენ როგორც რაღიკალური ავანგარდიზმის მომხრეებს, ისე კონსერვატორ-ტრადიციონისტებსაც.

ასეთია დალის ცნობილი „ალმაჩენები“ იმის თაობაზე, რომ მოდერნიზმი ვეშმარიტი ხელოვნების მტერი: რომ მხატვრის ერთადერთი ხსნა აკადემიზმან, ტრადიციასთან, მუზეუმების ხელოვნებასთან დაბრუნებაა. ეს დეკლარაციები, რომლებიც სტალინისა და ბრეზნევის დროთა (სიტყვამ მოიტანა, და უფრო გვიანდელი დროისაც) საპატიოთა სამხატვრო აკადემიის პრივატებისა და მოღვაწეობის თანამიერია, ასევე იარაშროვანი და ვერაგულია. „შეშლილი“, პარანოიასთან მოთამაშე სურათების ავტორის ამ დეკლარაციებს ქვით ჩატაცების აბუჩად აკლება, ბოროტი ქირდვა ხომ არ იმაღება?

მეგობარმა სიურეალისტებმაც კი დალის ეს უსაქციელობანი სერიოზულობად მიიღეს და დაწყეს მისი ასევე სერიოზულობა უარყოფა და განჯიქება. მაგრამ უკელაზე უკეთ დალის ხომ თვი-

თონ დალი უარყოფდა და ამას ის აზარტულად და გამჭრიაბობით აეთებდა. 30-იანი წლების დასაწყისში, როცა ესპანეთში დაიწყო ცხარე კამათი კულტურულ მემკვიდრეობაზე და მასთან დამოკიდებულებაზე, დალი დემონსტრაციულად გამოვიდა მოთხოვნით მთლიანად განენადგურებინათ ქალაქ ბასელონას ისტორიული ცენტრი, რომელშიც შუა საუკუნეებისა და არნესანის უამრავი ნაგებობა იყო მოქცეული. განზრახული იყო ამ ადგილზე სუპერთანამედროვე „მომავლის ქალაქის“ აშენება.

საქმე ის როდია, რომ ეს ანარქისტული, ავანგარდისტული წინადადებები „ეჭინაალმდეგება“ აკადემიზმის, კლასიკური მემკვიდრეობისა და ფერწერები „სამუზეუმო სტილის“ მოთხოვნებს. უფრო ზუსტად თუ კიტუვით, ეს განსაკუთრებული წინაალმდეგობებია და მათი დადგენა სულაც არ ნიშნავს მათი წამომყენებლას არათანმიმდევრულობისა ან აზროვნების ზედაპირულობის დადასტურებას. აზროვნების



ეს ტიპი არა მხოლოდ გვერდს არ უკლის წინააღმდეგობებს, არამედ პირი-ქით, მას ისინი სწავლია, მათკენ ილტვის, მათით ცოცხლობს. ალვიზშიმი, ირაცი-ონააღმით მისი პროგრამა და სტიქიაა. ამ აზროვნების თამამიდღევრულობა და მთლიანობა მიიღწევა აბსოლუტური და ტოტალური წინააღმდეგობების მისაღწევად უკიდურესი დაძაბულობის ხარჯზე. მაყრვარა-სალვადორის წმიდა წინასწარმეტველური უგუნურება უარყოფს ამა ქვეყნის მთელ საბრძნეს, წინასწარმეტველურის ტრადიციისამებრ. გონიერების საწინააღმდეგოა, უგუნურებაა ფრონტიზმისა და კათოლიკიზმის ნაზავის შექმნა. საყვარელი დედის ხსოვნის საჯაროდ შეურაცხოვა, „სპილოს თავის ქალებზე“ ავგვარებული აზრით გამსჭვალვა, ფიურერისადმი საკუთარი ეროტიკული გრძნობით გატაცება, „სამუშავეო სტილისა“ და ისტორიულ ძეგლთა განადგურების ქადაგება.

მაგრამ სწორედ ასეთი იყო ცხოვრებასა და ხელოვნებაში სალვადორ დალის ღვწის წესი. ის ჰგავს ევროპული ტრადიციის აზრებსა და ლიტებულებებთან მიმართებაში სარისკო ექსპერიმენტი. დალი თითქოს ცდის მათ სიმყარეს, როცა დაუკავშირებელ სიბრუეებს ერთმანეთს აჯახებს და უკანასურად, თავისებურად აკავშირებს. მაგრამ ამ უკანასურ, ახირებულ სახეობრივ და აზრობრივ ამაღლამათა შექმნის შედეგად აშერად იშლება თავად მისი შემაღენელი მატერია. დალი საშიშია ადგიანთა საქმეების ჩუმად და მყუდროდ მოწყობის, ადამიანის „კეთილდღეობის“ (ამ სიტყვის ფართო გაგებით) თვალსაშრისით, არა იმიტომ. რომ ის „ჩე-აქციონერია“ ან „კათოლიკი“, არამედ იმიტომ, რომ ის სახელს უტეხს კულტურის პოლარულ აზრსა და ლიტებულებებს. ის ნდობას უკარგავს რელიგიას და ულმერობასაც ნაციზმსაც და ანტიფაშიზმსაც, ხელოვნების ტრადიციების თყვანისაც უკანასურად მის წინააღმდეგ ავანგარდულ მმბოსაც, ადამიანისადმი რწმუნებასაც.

ეს ტექნიკა დემონური და, ამავე ურთიერთობა დროს, ფილოსოფიური კითხვებისა (რა-პირული დან წყვდიადის მეუფეც ჩინებული ფილოსოფოსია) დალი ისესხა ნაწილობრივ სიურეალიზმისგან, რომლის ნაყოფსაც ის პარიზში ეზირი, ნაწილიც თვითონვე შეიმუშავა თავისი საყვარელი მოაზროვნების კითხვის წყალობით და ბარსელონელ, მადრიდელ, პარიზელ მეგობრებთან ურთიერთობის შედეგად — ვიდრე კაშირი არ გაწყვიტა მათთან.

და ამიტომ შევვიძლია ვამტკიცოთ, რომ სიურეალიზმის საფუძლების შესწავლის ამოცანა წმიდა ხელოვნებათ-მოდენებითი, ან ლიტერატურისა-და-დრენირებითი, ან კიდევ კინომულებებით ამოცანა არ არს. სიურეალიზმი, მართლაც, არა მიმართულება ხელოვნებაში, არამედ ტიპი აზროვნებისა, სისტემა მერტალობისა, სამყაროსთან თანაბორჯედებისა და, შესაბამისად, სტილი ცხოვრებისა. შესაძლოა, კეშმარიტი ხელოვნებათ-მოდენებია (ლიტერატურისა-და-დრენებისა, კინომულებისა) იყოს მოწოდებული, რომ სწორედ ასეთი მოვლენები შეისწავლოს, იმგარად, რომ არ შეიზღუდოს წმიდა სპეციალური საყითხებით. აუცილებელია დაეთანხმოთ პეტრიკ ვალდებურგს, რომელიც ამტკიცებდა, რომ სიურეალისტთა ნაწარმოებების გაგება შეუძლებელია მხოლოდ სპეციალური ესთეტიკური ანალიზის დახმარებით. „მათი ნებისმიერი კომენტარი, — წერდა მეტნიერი, — მოითხოვ სულიერ წყაროთა, ეთიურ და პოეტურ მისწრაფებათა დაკვირვებით განხილვას“.

სიურეალიზმი ესწრაფეოდა ადამიანის ყოფისა და ეგზისტენციის ძირეულ საკითხთა ახლებურად დასმასა და გადაწყვეტას.

ერთი სიტყვით, სალვადორ დალის შემოქმედებასა და პიროვნებაზე დასაბუთებული დასკვნების გასაკეთებლად აუცილებელია საერთო ხაზებით გაინციდონისა აბრისი იმ თავისებური. უცნაური არქიპელაგისა, რომელსაც „სიურეალიზმი“ ჰქვია.

## სიურმალიზმის ისტორიიდან და იინაისტორიიდან

1920-იან წლებში პარიზში სიურმალიზმის წარმოქმნა და მოძრაობასთან, უკვე მდროიდან, ახალი და აღმართების (მათ შორის სალვადორ დალისაც) დაკავშირება არაერთხელაა ღმერჩილი და კომენტირებული დასავლეთში ხელოვნების ისტორიულობის მიერ. მოკლედ ეს საქმე ასე იყო:

1922 წლიდან მწერლისა და ხელოვნების ორორეტიკოსის ანდრე ბრეტონის ირგვლივ ჯუფდებიან თანამოაზრები: მხატვრები უან არპი, მაქს ერნსტი, ლიტერატორები და პოეტები ლუი არაგნი, პოლ ელუარი, ფილიპ სუპრ და ზოგი სხვა. ისინი, უბრალოდ, ახალ სტილს როდი ჰქმიდნენ ხელოვნებას და ლიტერატურაში, მათ აშკარად გაცილებით მასშტაბური ჩანაფიქრები ჰქონდათ.

ლუის ბუნიუელი, რომელსაც ღრმად ესმოდა იმ ცხოვრებისეული და შემოქმედებითი პრინციპების არსი, რომელთა წინაშეც ვალი მოიხადა, წერდა: „სიურეალისტები ნაკლებ ზრენადნენ იმისთვის, რომ ლიტერატურის ან ფერწერის ისტორიაში შესულიყვნენ. ისი-


ნი, პირველ ყოვლისა, ესწარავს მარტინ კორენის — და ეს მათი უმნიშვნელოვანების და უარსებითი წადილი იყო, — სამყაროს გადაკეთებას და ცხოვრების შეცვლას“.

ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ არაცნობიერი და არაგონებრივი საწყისი განსახიერებს იმ უმაღლეს ჭრებას (ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობით), რომელიც უნდა დამკვიდრდეს ამ ქვეყნად. სერიოზული, რთული და, იგულისხმება, საკამათო საქმე ხორციელდებოდა მეოთხებით, რომლებიც სიულებითაც არ ჰგავდა რიტუალურ მღვდელმსახურებას. ეს ადამიანები თავიანთ თავკრილობებს არქმევდნენ არა „საღამოებს“ და, მით უფრო, „სხდომებს“, არამედ გამომწვევე ტერმინს — sommeils-ს, რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს „ცხადლიց სიზმარს“.

თავიანთი „ცხადლიც სიზმარებისთვის“ შეკრებილი სიურეალისტები (მათ თავიანთ თავს სიურეალისტები გიორგ აპოლინერისგან ნასესხები სიტყვის მახედვით უწოდეს) უცნაურ და თითქოს არასერიოზულ რაღაცას იქმნოდნენ: თამაშობდნენ. მაგრამ ეს იყო თავისებური მოდელირებული თამაშები, რომელთა ეფექტურობა ამა თუ სოციოფსიქიკუ-

ხ. დალი.

7. ანტონის ფოკერი



რი სტრუქტურების შესამუშავებლად მხოლოდ მოგვიანებით შეფასდა.

მაგალითად, მათ აინტერესებდათ ის-შემთხვევითი და არაცნობერი აზრობრივი შეთანხმებები, რომლებიც წარმოიქმნება „ბურიმეს“ ტიპის თამაშების პროცესში: რიგრიგობით ადგენდნენ ფრაზას ისე, რომ არაფერი იცოდნენ მის იმ ნაწილებზე, რომლებსაც სხვები წერდნენ, ერთხელ, 1926 წელს, მთამაშეებმა საბოლოოდ ასეთი ფრაზა მიიღოს: „დახვეწილი გვაძი დალეჭა ახალ ლენინს“. ამ შედეგმა იმდენად განაცილებული ისინი და იმდენად დაამას-სოვრდათ ეს ფრაზა, რომ თუთ ამ საქმიანობამ — აბსურდის თამაშია — მათ წრეში მიიღო პირობითი და, იგულისხმება, ასევე აბსურდული სახელწოდება „დახვეწილი გვაძი“, Cadarve exquis. ასეთი თამაშების თამაში ნიშნავდა თავისი თავის იმგვარად გაწვრთნს, რომ ლოგიკური კავშირები და ცნობიერების დონები გამოირთვებოდნენ, ითიშებოდნენ ან თითქოს ეჩვეოდნენ თავისათ არასავალდებულობას. სილმისეული, ქვეცნობიერი, ქაოტური ძალები უფსკრულიდან გამოიჩოდნენ.

სალვადორ დალის რაც შეეხება, ის 1922 წელს, 18 წლის ასაკში, შევიდა მადრიდის ნატიფ ხელვნებათა უმაღლეს სკოლაში და აქ, ცნობილ სტუდენტურ ჩეზიდენ-ცუაში დამკვიდრებული, იქიდან თითქმის მეორედ და საბოლოოდ გარიცხვამდე (თავებდობისთვის, რასავირელია). რაც 1926 წელს მოხდა, ძირითადად ორი საქმით იყო გატაცებული, ორი ვნებით იყო შეპრაბორებული: ის დაუმეგობრდა სახელგანთქმულ აღმიანებს, რომლებიც მაშინ მის გვერდით ცხოვრიდნენ, — ფედერაციო გარსია ლორკას და ლუის ბუნიელს და, იმავდროულად, გატაცებით წავლობდა ზიგმუნდ ფროიდს.

პარიზში ცველაფერი თავის რიგზე მიდიოდა, ცრაბანს ბრეტონის ჭველი-სან დამოუკიდებლად მუშაობდა ფერმწერი ანდრე მასონი, რომელიც ცდილობდა ცნობიერების კონტროლისგან მარჯნისუფალი სურათები და ნახატები

შეექმნა. მასონი იყო განათლებული პორტონება, მას თეორეტიკოსისა და გეოგრაფიული მეცნიერების ნიჭი ჰქონდა მომადლებული, იმუშავებდა ფსიქოტერეპის ორიგინალურ საშუალებებს, რომელთა დანიშნულება იყო „რაციოს“ გამორთვა და არაცნობიერის სფეროდან სახეების გამოხმობა. მასონისკენ ილტვოდნენ ლიტერატურები მიშელ ლერისი, ურულებმური, რობერ დესნოსი, აგრეთვე ბარსელონიდან ჩამოსული მხატვარი ერნე მირო.

1924 წლის გაზაფხულზე ანდრე ბრეტონმა სიმონის გალერეაში ნახა მასონის სურათების პირველი გმოფენა: მან მონახა მხატვარი და გაეცნო მას. მათ იმდენად გაუგეს ერთმანეთს, რომ გადაწყვიტეს გაერთიანებული ძალებით ემოქმედნათ. ამგვარად კონსოლიდირებული მხატვრული ძალები იქცნენ დიდ, ჟეშმარიტიად ეპოქასულ მოვლენად ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

იმავე, 1924 წელს გამოქვეყნდა ანდრე ბრეტონის მიერ დაწერილი „სიურეალიზმის პირველი მანიფესტი“, რომელიც მას შემდეგ მთლიანად და ნაწყვეტის სახით მრავალჯერ დაიბეჭდა ყველა ეპროპულ ენაზე (რომელთა შორისაც უკანასკნელი რუსული ენა იყო) დაარსდა უსრნალი „სიურეალისტურ რევოლუცია“.

ჩვენს წინშეა პირველი ჟეშმარიტიად ინტერნაციონალური მოძრაობა, რომელიც გამოვლინდა ფერწერაში, ქანდაკებაში, თეატრში, ლიტერატურაში, ეროვნელოვნებაში. უწინდელი ავანგარდისტული მიმართულებები — კუბიზმი, ფუტურიზმი, ექსპრესიონიზმი — ჯერ კიდევ სამარად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ეროვნულ სკოლებთან, ეროვნულ ტრადიციებთან, ესე იგი, შესაბამისად, ფრანგულ, იტალიურ და გერმანულ სკოლებთან და ტრადიციებთან. სიურეალიზმის თავიდანვე იყო წარმოდგენილი საფრანგეთიც, გერმანიაც და ესპანეთიც. სიურეალიზმის ერთ-ერთი პირდაპირი წინამორბედი იყო იტალიელი ოსტატი ჭორჭონ დე კორიკო. 1920-იან წლებში უკვე მუშაობის



ბელგიელი რენე მაგრიტი და მის შემდეგ სიურეალიზმის მიზიდულობის სფეროში ჩნდება მისი თანამემამულე პოლ დელვოც: ამ მოძრაობის გამოცდილებას ითვისებს ინგლისელი ჰენრი მური, მოვანახებით — ფრენისი ბეკნი. 1930-იან წლებში ყალიბდება სიურეალიზმის სინტერესო ჩეხისლოვაკური „ფრაქცია“ (ფრ მუზიკა და სხვ.), აშ-შე და ლათინურ ამერიკში ამ გამოცდილებას იყენებენ დ. თანინვი, ა. გორკი, მატა კრისტენი.

მაგრამ სიურეალიზმის ხანგრძლივი და რცული ისტორია, ომისშემდგომ პერიოდში მისი გაგრძელებებითა და გამოძახილებით, მეტისმეტად ბევრის-მომცველია და მისი სრულად ორწერა აქ შეუძლებელია. მოცანა ახლა ასეთია: დავითისათოთ ის პარიზული ნიადაგი, რომელზეც 1922 წელს მოხვდა ამ შეხვედრისთვის უკვე მომზადებული ახალგაზრდა სალვადორ დალი.

თას ცხრას ოცდახუთ წელს გაიმართა სიურეალისტთა პრეველი საერთო გამოფენა, რომელიც ბრეტონისა და მასონის ჯგუფებს აერთიანებდა. მომდევნო წელს იქმნება სოციალური „სიურეალიზმის გალერეა“, რომლის დანიშნულებაც, ძირითადად, ამ ხელოვნების ჩვენება და პროპაგანდირება იყო. სხვადასხვა მასშტაბის გამოფენები ზედიზედ მიართებოდა ეკრანპაშიც და ოქენის გაღმაც: ამ მოძრაობის მსოფლიო მნიშვნელობა აღიარებულ იქნა 1936 წლის ორი დიდი გამოფენით ესენია ლონდონის „ინტერნაციონალური სიურეალისტური გამოფენა“ და ნიუ-იორქში მოწყობილი ექსპოზიცია სახელწოდებით „ფარასტიკური ხელოვნება, დადა და სიურეალიზმი“.

სალვადორ დალი მონაწილეობს მსოფლიოს დედაქალაქებში სიურეალიზმის ამ ტრუმფალურ მსვლელობაში, თუმცა თანამოაზროვნებთან მისი ურთიერთობები უღრუბლო სულაც ორა: ის ახლა ხორცის ასხას სიურეალისტური პარადოქსის მისეულ ხერხებს. საქუთარი გამოხატვებები და საზოგადოებრივი აქციები მას აცილებენ, აშორებენ

მოძრაობის კორიფეებს, პირები და მას ანდრე ბრეტონს. დაწყებული 1929 წლიდან, ის ქნის სურას „დიდი მას ტურბატორი“ და პერიოდის, კულტურული, 1936-1937 წლებში, ას. ცა ის ჰენრის ისეთ ჩანარისებულებას, როგორიცაა „შემოდგმის კინისტრისა და „ნარცისის მეტამორფოზისას“, ძირისევენ მასი თვითმყოფადი ციცობრის ფეხული შემოქმედების პირველ და როგორც ზოგიერთი თვლის უკალა ზე ნაყოფიერი პერიოდად.

ამ დროისათვის დალი ჩამოგრაფიაცია უკვე ხელოვნების თავისებურ ქმნილებად აღიქმება. ის მას თვითონ ჰენრის თვისი პრინციპების შესატყვისად.


ის ლრმად ასოციალური ასახებაა და მისი მონაწილეობა მხატვრულ წრებში, მოძრაობებში, გამოფენებში ან ნიუ-შავდა მის შერწყმის სხვებთან ეს ეპოცენტრულია. პირადი ურთიერთობების კაცია, ურთიერთობებისა, რომლებიც რაც დრო გადიოდა. მოთ უფრო და უფრო შეტენევით ხდებოდა. პარიზში რომ აღმოჩნდა, დალი ძლიერ დეპრესიაში ჩავარდა (ყურადსალებია, რომ აქ აღალც ამგვარი ემართება მანამდე, ოცი წლის წინათ ახალგაზრდა პიკასოსაც), ფრანგის განმარტებების თანახმად. შეიძლებოდა იმის კონსტატირება, რომ ახალგაზრდა კაცის მიღრეკლება ნახცისიშმისენ, აუტოეროტიზმისა და პარანოიდალური პალუცინაციებისენ მას ახასიათებს, როგორც „პოლიმორფულ გამრყვნელს“, და აქ შანუგებებელი არაფერი იქნებოდა. დალი თვისი გადამრჩენად მიიჩნევდა შეხვედრას ქალთან, რომელიც მისი თანამგზავრი გახდა ცხოვრების ბოლომდე დალი აღმერთებდა „გალარინას“ და თვისი შემოქმედებაში მას მეგლის უდგარდა. ყოფილი მეგობრები (მაგალითად, ლუის ბუნიელი) ფიქრობდნენ, რომ მან „გააფუჭავ“. ის, მასში განვითარა სიხარე და ეგოიზმი, გააწყვეტინა უწინდელი კავშირები, კის შეუძლია განსაჯოს კინაა მართალი?

ურყევად ერთი რამის თქმა შეიძლება: 1929 წლიდან მხატვრის შემოქმე-

დებითი ძიებები და ბორგვები ახალ თვისებას იძენს, მას ეუფლება ირაციონალური ფანტაზიის წილვარი, ყალიბდება მისი განსაკუთრებული ინდივიდუალური სტილისტიკა. თავდაჯერებულობა, თავისი თავისი რწმენა ვლონდება გამომწვევ და აშკარად ფორმისტებულ „განდიდების მანის“ დემონსტრაციულ ფორმებში. ის წყვეტს კავშირს ადამიანებთან, რომელთან სიახლოეს ნათელს ჰყენდა მისი „მოწაფეობის“ პერიოდს. 1934 წელს დალის აქცევები სიურეალისტთა ჯგუფიდან, რომელიც „გმარცხენებას“ განაგრძობს და კომუნისტებს თანაუგრძნობს. ის გამომწვევად აცხადებს უარს გარკვეული პოზიციის დაკავებაზე და შევინიშმთან და ფაშიზმთან საშიშ სიურეალისტურ შეთამაშებასაც კი იწყებს. 1941 წელს პრაქტიკულად ცველა უწინდელი მეგობარი წყვეტს მასთან ყოველგვარ პირად ურთიერთობას მას შემდეგ, რაც ის თავის თავს კათოლიკიზმისა და მონარქიის მომხრედ აცხადებს.

ისეთი დრო იყო, არავის ძალუძღვა გაეგო, თუ როგორ შეიძლებოდა ასე უპასუხისმგებლოდ თამაში პოლიტიკასთან, ასე კადნერად ონბაზობა, როცა საფრთხე ემუქრებოდა რწმენებს, მაგრამ დალი უკვე უგნურად თუ ბრძნულად, წინაშარმეტყველურად თუ დანაშაულებრივად ეკიდებოდა რწმენათა ცველა სისტემას, როგორც მხოლოდ საბაბს თვითგამოხატვისთვის. აქედან მოდიოდა ის სიურეალისტური ბარათები, რომლებმაც პლასტიკური ფორმები შეიძინეს ლენინისა და პიტლერისადმი მიძღვნილ სურათებში. ესპანეთის სამოქალაქო ომის, მიუნპენის ხელშექრულების, ფაშიზმის აგრესიისა და კაცობრიობისთვის შექმნილი საფრთხის ეპოქაში დალის პიზიცია, როგორც წესი, ზღვაორგადასულ ცინიზმად აღიმებოდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა კოფილი.

უფრო გვიან კი, როცა ადამიანები იწყებდნენ წარსულის შეკამებას, სტალინიზმისა და პიტლერიზმის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ტრადიციული რეჟიმების აწონ-დაწონას და



2. დალი.

მილეს აჩქიტექტონიკური  
„ცველიური“

ერთმანეთთან შედარებას, ჩნდება სხვა პერსპექტივის, სხვა თვალსაზრისის შესაძლებლობაც. თვითონ პიყალმაც გაიღო ხარკი გენერალისმუსის პორტრეტის გამოქვეყნებით (საქმიოდ მოკრალებული) „ხალხთა მამის“ სახოტბოლ.

იმავე პიყალმ ზურგი შეაქცია საბჭოთა კავშირსაც და საფრანგეთის კომპარტიასაც მას შემდეგ, რაც გამომზეურდა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში მომზდარ უკანონობათა და ძალმომრეობათა პირველი მხილებანი. სალვადორ დალის, ამ ცინიკოსა და ონბაზოს, ხან ერთ, ხან მეორე მხარეს რყევა არ დაუწყია.

სიურეალისტური „უგნულება“ თითქოს ისტორიული მომენტის პოლიტიკურ ვნებებზე გამჭრიახ აღმოჩნდა.

და, აი, პორტონტზე გამოჩნდა კითხვა, რომელსაც ადამიანები უკვე პოსტიტურუმ იძლევიან. ვინ უფრო პევანი და ზნეობრივი პიროვნება იყო — ის, ვინც „გენერალურ ხაზთან“ ერთად მეტყეობდა, ხაზთან, რომელმაც გაღუნდობა და მიგრებილ-მოგრეხილმა, გენოციდის გამართლებიდან საუკენის შუა ხანაში „ცალკეულ შეცდომათა“ და

ଶ୍ରୀଜାରୀ ତାପଦାଖେରୁଥୁଲନୀବା ଗ୍ରେ-  
ମୂଳା ତାଙ୍କୁ ବୁଝିଲେ ମହିନ୍ଦ୍ରବ୍ରଦ୍ଧା, ତାତକେବେଳେ  
ଏହି କିନ୍ତୁକେବେଳେ ମହା ଦା ସାମନ୍ତରିଣୀର ମାତ୍ରକୁ  
ଗ୍ରହିନ୍ତାରେ ।

სიურეალისტური პარადოქსი, გარეულად, XX ს. ისტორიული განვითარების შედეგად აღევეობური აღმოჩნდა.

დალის „ეკოთოლიკური ფრონდიშმი“, მისი საზოგადოებრივი მოღაწეობა სკანდალური ინტიმური აღიარებების გამოვლენების ფორმით; „ავანგარდის-ტული და ორქიტაციური ალური ლონ-ზუნგების შეგნებული და აბსულდული ორევა და ყველაფერი, რაც აქედან გამომდინარეობდა, იყო გამოხატვა ერთი, მუდამ დაუჭლი ცხოვრებისეული მიზანდასასულლობისა — იერიში მიტანილ ქნან შეშლილ ისტორიაზე, შეშლილ გონებაზე, აბსოლუტური, ტოტალური მოდეიოთბის პოზიციით შეშლილად მინეულ რეალობაზე.

უკვე ომის შემდეგ დალი აცხადებდა: „კიტლერი ჩემთვის იყო ხოლო შესხმული სახე დიდი მაზონისტისა, რომელმაც მსოფლიო ომი გააჩინა მხოლოდ და მხოლოდ მისი წაგებით დატკბობისთვის და იმპერიის ნანგრევებქვეშ დამარცხვისთვის. ეს უანგარო ქეტი უნდა იწვევდეს სიურეალისტურ აღტაცებას იმიტომ, რომ ჩვენს წინაშეა თანამედროვე გმირი“.

ასეთი „აღმოჩენებით“ აღშფოთებულ მხატვრის თანამედროვეები, რო-

გორც ჩანს, არ ულრმავდებოდენ, არ  
ფრაზების აზრს, ისინი ყურადღლობით მოვალეობა  
ცეკვის ცალკეულ სიტყვებს, სკ-  
თებს, როგორიცაა „თანამდედროვე გძი-  
რი“. მაგრამ აქ სხვა აზრია ჩატანებული.

პოლიტიკური კრედიტი აქ ხამდვილია  
არაა. არმტც და არამც ას შეიძლება  
დალის პოზიციას „პროფესიული“  
ეწოდოს. „გმირი — მაზონისტი“, რო-  
მელმაც „მსოფლიო ომი გააჩარა მის  
წაგებით დატებობისთვის“, — ას დრო-  
შა არაა, რომლის ქვეშ შესაძლებელია  
პოლიტიკური ძალების გაერთიანება.  
მაგრამ აქ ხომ დაგმობაც არაა. — პი-  
რიქით, დალი აღტაცებულია „გმირი —  
მაზონისტით“. კითხვა თუ „ვის უჭირს  
მხარს“ სავალდორ დალი, უაზრია. და-  
ლი „აღტაცებულია“ ჰიტლერის იმ სი-  
ურვალისტური მიზნით, რა მიზნითა-  
ცა ის აღტაცებული „კრეტინული ქრი-  
სტიანული აგზნებით“ (მისი სიტყვებია  
„ერთი გენის დღიურიდან“). ასეთივე  
ხასიათისაა მისი „აღტაცება“ ასაფელის  
სურათებით და საკუთარი ფიზიოლოგი-  
ური მოქმედებებით. ფრიდრიხ ნიცშეს  
„ზეკაცით“ (ნიცშესი, რომელსაც ის  
დასცინის „დღიურში“... ჩამოკიდებული  
ულვაშების გმო). ასეთივე ხასიათისაა  
გამტერთებაც დედისა. რომლის ხსო-  
ვნაც დალიმ შეგნებულია შეურაცხო.

დაღი ხედავს მომავალა, დარღვევის  
სთვის განწირულ სამყაროს, რომელიც  
აზრს კირგავს. ყველაზე უაზრო და  
მევდარი რამ კი არის გონიერისა და მო-  
ჩალის ფასადები, პოლიტიკური პროგ-  
რამები და ოჯახური იდეალი, ესაა თვით  
უსტურება, ესაა თეოტ ადამიანიც.

ରୁାଗ ସିପୁଳକ୍ଷେତ୍ରେ ମୁଣ୍ଡିବା କାହିଁ, ଏହି  
ଟଙ୍ଗାଲସାଥିରୁଣିଟ ପ୍ରେଲାନ୍ତି ଲିଙ୍କିବ୍ୟୁତି ଦୂ  
ର୍ଥିରୁଣି କ୍ରମରୁକ୍ତବ୍ୟା ସିଉର୍ଜ୍ୟାଲିମ୍‌ବ୍ୟୁକ୍ତି  
କ୍ରମରୁକ୍ତବ୍ୟା.

გალაუცა წარმოებას 25. 02. 92 წ.

ଶ୍ରୀଲମନର୍ତ୍ତବାଦୀ ପାଠୀକାପ୍ରତିବାଦ 8. 05. 92 ଫୁଲାଙ୍କା

სიმებურთ ქათამარა 5.25.


କେଳାଲ୍‌ଦୀର୍ଘ ତଥା 70X108!/।

ლიზიური ნაბეჭდი თაბაზი 11,5,

საილიტიკურ-საგამოშემცემლო თავ

ଶ୍ରୀରଞ୍ଜନାଲୀପିଣ୍ଡ ପ୍ରାଦୟପ୍ରଦିଲ୍ଲମ୍ଭନ ଶ. କାଳେଯିବେ ଲୁହ  
ଏ. ପ୍ରତ୍ୟେକିନ୍ତୁରୋଧିକୁ ଅଗ୍ରନ୍ତିରୁଥିବା.

ନେଇବାକୁହିଲେ କରିବାକୁହିଲେ କରିବାକୁହିଲେ କରିବାକୁହିଲେ  
କରିବାକୁହିଲେ କରିବାକୁହିଲେ କରିବାକୁହିଲେ କରିବାକୁହିଲେ





58/46

Հանու և թան.